

დღიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდი



გიორგი კალანდია

# ოღიუის საევისკოვოსოები

(ტანიუი, ბეღია, მოქვი, სოუი)



ბამოხცემლოგა არტანუჯი

**ნიგნი ეძღვნება**

**აფხაზეთიდან დევნილ ქართველობას**

**რედაქტორი**

**გარიამ ლორთქიფანიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**რეცენზენტები: პალერი სილოგავა**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ღავით ნინიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ლილი გერაია**

ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის დადინების  
სასახლის ფონდების მთავარი მცველი

**ნიგნის გამოცემა დააფინანსა**

**ფოთის პორტმა**

## ავტორისაგან

თქვენ წინაშეა ნაშრომი, რომელიც საქართველოს უძველესი სასულიერო ცენტრების – ცაიშის, ბედიის, ხობისა და მოქვის ეპარქიების ისტორიას ასახავს. ჩვენთვის საინტერესო საკითხების კვლევისას უფრო და უფრო ვრწმუნდებოდით ამ საეპისკოპოსოების განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაში. ხშირად გვიფიქრია, რომ მათ გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა კიდევ ჩვენი სახელოვანი წარსული. უდიდესი შემოქმედებითი ენერგია დაიხარჯა ყოველი საეპისკოპოსოს დაარსება-განვითარებისათვის, ამიტომ თავს ბედნიერად ჩავთვლით, თუ ღირსეულად შევძლებთ მათი წარსულის აღწერას.

სასიამოვნო ვალდებულებად მივიჩნევ, მადლობა ვუძღვნა მათ, ვინც დაუხარელი თანადგომითა და დახმარებით ხელი შეუწყო წინამდებარე შრომის მომზადება-გამოცემას. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, პროფესორი დავით ნინიძე, პროფესორი ვალერი სილოგავა. მათი თანადგომითა და მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა დასახული მიზნის მიღწევა. განსაკუთრებული მადლობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ზაზა ალექსიძეს, ამავე ინსტიტუტის ფონდების მთავარ მცველს ლამარა ქაჯაიას, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ მაია სტეფნაძეს, პროფესორ ზურაბ პაპასქირს, პროფესორ თამაზ ბერაძეს, ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარ მცველს ლილი ბერაიას და თინათინ იზორიას.

დიდი მადლობა გამომცემლობა „არტანუჯის“ ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ბუბა კუდავას, მთელ შემოქმედებით კოლექტივს და მათ შორის ლაშა გადელიას, გიორგი მასხარაშვილსა და ეთერ ბაიდოშვილს.

წიგნის დაბეჭდვის უზრუნველყოფისათვის საგანგებო მადლობა ფოთის პორტის ხელმძღვანელს ღრმად პატივცემულ ჯემალ ინაიშვილსა და მის მოადგილეს ბატონ თენგიზ ქოიავას.

იმედი მაქვს, ოდიშის დიდებული ტაძრების მადლი არასდროს მოაკლდება მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

## რელაქტორისაგან

საქართველოს ეკლესიის ისტორია განსაკუთრებულია, რაც ქრისტიანობისადმი ქართველების უმაგალითო სიყვარულმა განაპირობა. სწორედ ამიტომაც ბრძანებდა მიხეილ თამარაშვილი, რომ „საუკუნეთა მანძილზე ქართულმა ეკლესიამ არა მარტო შეძლო, გმირულად აღსდგომოდა მწვალებლებს, რათა შეურყენელად შეენარჩუნებინა თავისი ჭეშმარიტი რწმენა, არამედ მრავალი ბრძოლა გაუმართა ქრისტიანობისა და ცივილიზაციის ყველაზე მრისხანე მტრებს. ამრიგად, ქართული ეკლესია მარადიული ჯვაროსანი გახდა, მისი ისტორია კი – მარადიული მარტიროლოგი. შეიძლება ითქვას, იგი უფრო მეტად ეწამა თავისი სარწმუნოების დასაცავად, ვიდრე ყველა აღმოსავლური ეკლესია ერთად აღებული“.

მისასალმებელია ის გარემოება, რომ ბოლო წლების განმავლობაში მეცნიერთა ახალი თაობა უფრო და უფრო ინტერესდება ქართული ეკლესიის ისტორიის აქამდე შეუსწავლელი ან ნაკლებად ცნობილი საკითხების კვლევით. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გახლავთ ოდიშის საეპისკოპოსოთა ისტორიაც.

საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში მოქმედმა საეპისკოპოსო კათედრებმა თუ მონასტრებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების, დედა ეკლესიის გაძლიერების საქმეში. მაგალითისათვის გიორგი ჭყონდიდლის ან სვიმონ ბედიელ-ალავერდელის მოღვაწეობის დასახელებაც კმარა.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია ჩვენი ქვეყნის ისეთი სახელოვანი სასულიერო ცენტრების ისტორია, როგორებიცაა: ბედია, ცაიში, ხობი და მოქვი. დადგენილია აქ მოღვაწე ეპისკოპოსებისა და წინამძღვრების ქრონოლოგიური რიგები. მოცემულია ეპარქიების საზღვრები და სოციალური სურათი, ასახულია გამორჩეულ საეკლესიო პირთა ბიოგრაფიები, შესწავლილია ამ სასულიერო ცენტრების დაარსების წინაპირობები და თარიღები. საყურადღებოა ისიც, რომ ნაშრომში მოცემულია რამდენიმე ისეთი საკითხი, რომლებიც მანამდე ცალკეული კვლევის საგანი არ გამხდარა. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ოდიშის საეპისკოპოსო კათედრებსა და ეკლესია-მონასტრებში დაცული სინმინდევების ისტორია. ნაშრომის

ამ თავში დანვრილებითაა აღწერილი ესა თუ ის რელიგია, მათი მნიშვნელობა, საქართველოში მოხვედრის სავარაუდო გზები და როლი ქართული ქრისტიანული ხელოვნების განვითარებაში.

ჩანს, რომ ოდიშის საეპისკოპოსოთა ისტორიის შესწავლისას ავტორმა ფართოდ გამოიყენა ის მნიშვნელოვანი ისტორიული მასალა, რომელიც უხვადაა დაცული საქართველოს ერთ-ერთ უმდიდრეს სიძველეთსაცავში – ზუგდიდის დადიანების სასახლეში. მუხუჟუმის ფონდებსა თუ ექსპონიციში წარმოდგენილი ისტორიული დოკუმენტები და ეროვნული კულტურის ნიმუშები ხომ ოდიშის საეპისკოპოსოთა ისტორიის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს ასახავს.

შრომას დანართების სახით ახლავს რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი, რომელთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია XIX საუკუნის შრომა „მონასტრები და ტაძრები აფხაზეთსა და სვანეთში“. მართალია, აქ მოყვანილია რუსი არქიტექტორის რეისერის შრომის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთში მის მოგზაურობას ეხება, მაგრამ ესეც ბევრ აქამდე უცნობ საკითხს ჰფენს ნათელს. გვერდს ვერ ვუვლით ექვთიმე თაყაიშვილის იმ ისტორიულ მემკვიდრეობასაც, რომელიც პირველად ქვეყნდება. ნაშრომში – „ზუგდიდის კარის ეკლესია და მისი სიძველენი“ (რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს სამეგრელოში 1913-14 წლების მოგზაურობის დროს უნდა შეედგინა) – მოცემულია რამდენიმე აქამდე უცნობი ისტორიული წარწერა, აღწერილია დადიანების საგანძურში დაცული ქრისტიანული სინმინდეები. „მთავრობის თავმჯდომარისადმი 1919 წელს გაკეთებული მოხსენება ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობის შესახებ“ კი არა მარტო ფასდაუდებელი ისტორიული წყაროა, არამედ იგი გარკვეულწილად დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

ფაქტია, რომ ზემოხსენებულმა ისტორიულმა დოკუმენტებმა თავისებურად გაამდიდრა და მეტი ნათელი მოჰფინა ოდიშის საეპისკოპოსოთა ისტორიას.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ გ. კალანდია გააგრძელებს ოდიშის დანარჩენი ეპარქიების ისტორიის საკითხებზე მუშაობას. გააფართოებს კვლევის სფეროს და შეავსებს მას ახალი მონაცემებით.

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე

## შესავალი

უახლოეს წარსულში ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, რის გამოც ძალიან ხშირად ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის ახსნა თუ განმარტება ბოლომდე ვერ ხერხდებოდა. საქართველოში ეკლესიისა და სახელმწიფოს ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ამიტომ ქართული ეკლესიის ისტორიის გლობალური და საერთო-ეროვნული მნიშვნელობის საკითხების კვლევასთან ერთად აქტუალურია იმ ცალკეული საეპისკოპოსოს, ტაძრისა და მონასტრის ისტორიის შესწავლა, რომელნიც ერთიანი ქართული ეკლესიის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საჭიროა ოდიშის სამთავროში არსებულ იმ საეპისკოპოსოთა ისტორიის შესწავლა, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შექპონდათ არა მარტო მხარის, არამედ მთელი ქვეყნის მატ-იანეში.

დასაწყისისათვის აღვნიშნავთ, რომ ოდიშში 7 საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: ჭყონდიდი, ცაიში, ბედია, მოქვი, დრანდა, ხობი და წალენჯიხა, სადაც მოღვაწეობდნენ იმ დროის გამოჩენილი ეპისკოპოსნი თუ სხვა სასულიერო პირნი. მათი დაკვეთითა თუ შემწევობით იქმნებოდა უნიკალური ხელნაწერები, ოქრომქანდაკელობისა და ჭედურობის საუკეთესო ნიმუშები, სასულიერო არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები. ამიტომ, ვფიქრობთ, აქტუალურია ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგების განსაზღვრა, რაც მნიშვნელოვანწილად გვეხმარება ეკლესიის ისტორიის ძირეული ეტაპების შესწავლაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოდიშის სამთავროში აქტიური საეკლესიო ცხოვრება თითქმის არასდროს შეწყვეტილა, რაც აისახა მხარის საერო ცხოვრებაზე და, პირიქით, სხვადასხვა პოლიტიკური პროცესის შედეგად იქმნებოდა და უქმდებოდა საეკლესიო ცენტრები, იცვლებოდა ეპარქიათა საზღვრები და იცვლებოდნენ სასულიერო მოღვაწეები. აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ საკითხთა შესწავლა საშუალებას გვაძლევს, აეხსნათ ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების სხვადასხვა ეტაპი, ახალი კუთხით მიუვადგეთ ჩვენს ხელთ არსებულ ისტორიულ წყაროებსა და ფაქტებს.

ნაშრომში განხილულია ოდიშის ოთხი საეპისკოპოსოს: ცაიშის, ბედის, მოქვისა და ხობის ისტორია. სამწუხაროდ, ეს საკითხი დღეი-

სათვის თითქმის შეუსწავლელია. ნაშრომი მოკრძალებული ცდაა, გარკვეული წვლილი შეიტანოს საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემათა კვლევა-ძიების საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ ჩავთვალეთ, განგვესაზღვრა ამ სასულიერო ცენტრების დაარსების წინაპირობა და თარიღი, აქ მოღვაწე ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგები. ასევე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გამორჩეულ საეკლესიო პირთა ბიოგრაფიების შესწავლა, ეპარქიათა საზღვრების დადგენა, ყმა-მოლაშქრეთა ინსტიტუტის მიზნისა და რაობის გარკვევა. ნაშრომში განხილულია ეპისკოპოსობის არსი, მისი, როგორც საეკლესიო წოდების, წარმომავლობა და უფლება-მოვალეობანი. აქვე განხილულია ოდიშის საეპისკოპოსოთა რაოდენობა. ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებულ წყაროებზე დამყარებული ცნობები ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავია და მათ შორის ხშირად მნიშვნელოვანი განსხვავებებიცაა, რის გამოც საჭიროდ ჩავთვალეთ საკითხის დაწვრილებითი განხილვა. ნაშრომში ასევე შესწავლილია ოდიშის საეპისკოპოსო კათედრებსა და სხვა ეკლესია-მონასტრებში დაცული სიწმინდეები, მათი საქართველოში მოხვედრის სავარაუდო გზები, მნიშვნელობა და როლი ქართული ქრისტიანული ხელოვნების განვითარების საქმეში.

ჩვენი კვლევის საგანი საქართველოს ისტორიის ის პერიოდია, რომელსაც ზემოხსენებულ საეპისკოპოსოთა შექმნა და განვითარება დაუკავშირდა. ცაიშის საეპისკოპოსოს ისტორია დაახლოებით VI-VII საუკუნეებში იღებს სათავეს და მისი, როგორც ქართული სასულიერო-კულტურული ცენტრის, ჩამოყალიბება საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საეკლესიო რეფორმებს უკავშირდება. თითქმის იგივე პროცესები განვითარდა ბეღიაშიც, ოღონდ X საუკუნეში, დაახლოებით 999 წელს, როცა ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ ბიზანტიის საეკლესიო პოლიტიკის საწინააღმდეგოდ ძილანევის ძველი ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრა მოშალა და ბეღიაში გადაიტანა. X საუკუნეშივეა შექმნილი მოქვის საეპისკოპოსო.

რთული ისტორიული ეტაპები განვლო ხობის საეპისკოპოსომაც. XVII საუკუნეში ლევან დადიანის (1611-1657) დროს აღდგენილი კათედრა მისი გარდაცვალებისთანავე მოშლილა და საწინამძღვროდ ქცეულა. მოგვიანებით იგი აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენციად გამოცხადდა.

ეპარქიათა ნაწილმა (ბეღია, მოქვი, დრანდა) XVII საუკუნის 80-იან წლებში, ოდიშ-აფხაზეთის პოლიტიკური დაპირისპირების დროს შეწყვიტა არსებობა. 1829 წელს კი სამეგრელოს ეპარქია შეიქმნა და ამით ოდიშის კათედრალების დამოუკიდებელი ისტორია დროებით შეწყდა.

წინამდებარე ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული იმ მეცნიერთა შრომები, რომლებიც ქრისტიანობისა და ქართული ეკლესიის სხვადასხვა ასპექტს იკვლევდნენ.

ქართულ წერილობით წყაროთა შორის უპირველესად ის საეკლესიო დოკუმენტები უნდა დავასახელოთ, რომლებიც ზემოაღნიშნულ ეპარქიებში ინახებოდა – ესენია: ცაიშისა და ბედიის გულანი, მოქვის ოთხთავი. მათში დაცული მინაწერები ეპარქიებში მიმდინარე მოვლენებზე უხვ ინფორმაციას იძლევა (17,18,20).

ეპარქიათა დაარსების საკითხი და ტოპონიმიკა დაცულია ისეთ ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში, როგორცაა: „მეფეთა ცხოვრება“ და „მატიანე ქართლისა“ (23,26).

მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა წარწერები ჯვარ-ხატებსა და სხვა საეკლესიო ნივთებზე. ასეთ წარწერებში ძირითადად მოხსენიებულნი არიან ეკლესია-მონასტრების მამულებლნი, ეპისკოპოსნი, აქვე მითითებულია ბევრი საინტერესო მოვლენა თუ ფაქტი (მაგ.: ცაიშის ჯვარცმის დიდი ხატის წარწერა, ბედიის ოქროს ბარძიშის წარწერა და სხვა) (58;59).

უხვ ინფორმაციას შეიცავენ ცალკეული სიგელ-გუჯრები, საკანონმდებლო ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, საეკლესიო კრებათა დადგენილებები და სხვ. (30,31,32,33).

აღნიშნული საკითხის კვლევისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობასაც. მის ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – მოცემულია ოდიშის ეპარქიათა საზღვრები, არქიტექტურული ძეგლების ნაწილობრივი დახასიათება და სხვ. (12).

გასათვალისწინებელია საეკლესიო კრებების დადგენილებები, სხვადასხვა სახის შეწირულობათა წიგნები და დავთრები: „1759 წლის საეკლესიო კრების დადგენილება“, „მცნებაი სასჯულო“, „კაცია დადიანის 1777 წლის წიგნი“, „მალაქია კათალიკოსის მოლაშქრე კაცთა ნუსხა“ და სხვ. (17,18,22).

უფიქრობთ, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს მკისკოპოს კირილონის მიერ 1901 წელს გამოქვეყნებული წიგნი: „Краткий очерк истории Грузинской церкви и епархата за XIX столетие“ (152), ეს შრომა XIX საუკუნის საქართველოს ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. მასში ქრონოლოგიურადაა მოცემული მიმდინარე მოვლენები, რომელთაგან ბევრის თანამედროვე თავად ავტორიც იყო.

ნაშრომში ფართოდაა გამოყენებული გამოუქვეყნებელი საარქივო მასალები, რომელთა საფუძველზეც მიმოხილულია ჩვენთვის საინტერესო



მრავალი საკითხი. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას შრომას – „ბედის ტაძარი“ (7). მიუხედავად ზოგიერთი ხარვეზისა, შრომა პირველი ცდაა ბედის საეპისკოპოსოს ისტორიის მონოგრაფიული შესწავლისა.

აქვე აღნიშნავთ, რომ ქ. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმსა და რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული მრავალი საინტერესო დოკუმენტების საფუძვლიანმა შესწავლამ საშუალება მოგვცა, ნათელი მოგვეჩინა XIX საუკუნეში სამეგრელოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესებისათვის (1,2,3,4,5,9,10).

ოდიშის საეპისკოპოსოთა შესახებ ყურადსაღებ ცნობებს უცხოელი ავტორებიც გვაწვდიან: არქანჯელო ლამბერტი, კრისტოფორო კასტელი, პავლე ზახარევი, ფედოტ ელჩინი, ალექსი იველევი, ჯუდიჩე მილანელი, ავიტაბილე პიეტრო, ჯუზეპე მარია ძამპი, მაკარი ანტიოქიელი, პავლე ალექოელი, ჟან შარდენი. ძირითადად მათი ნაშრომები სამეგრელოში ყოფნისას არის შედგენილი. მართალია, ბევრი მათგანი ზედმეტად ტენდენციურია, მაგრამ ამ წყაროებში მრავალი ისეთი ცნობაა შემონახული, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება (21,22,24,25,29,45,47,50).

ოდიშის ეკლესია-მონასტრების, ქრისტიანული სიძველეებისა თუ საეკლესიო დოკუმენტების შესწავლის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი აკადემიკოს მძვინდველმა თაძაგიშვილმა და მის კაპიტალურ ნაშრომს – „არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში“ – მიუძღვის. მასში დაწერილებითაა აღწერილი სამეგრელოს თითქმის ყველა ძირითადი ეკლესია-მონასტრის სიძველე. ეს ნაშრომი, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა აღნიშნული საკითხის კვლევისას (72,73,74).

მნიშვნელოვანია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის როლი ქართული ეკლესიის ისტორიის პრობლემათა კვლევის საქმეში. განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ მისი ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორია“, სადაც შესწავლილია ეკლესიის მსახურთა უფლება-მოვალეობანი, მონასტრების სოციალური შემადგენლობა, მათი წეს-წყობილების საკითხი (136,137,138).

ცაკელე აღნიშნის ღირსია აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა. მის ნაშრომებში განხილულია როგორც ცალკეულ იერარქთა მოღვაწეობა, ასევე ოდიშის ეპარქიების ისტორიასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წეს-წყობილება და აფხაზეთის საკათალიკოსოს ურთიერთობა საეპისკოპოსოებთან (61,62,63).

ქართული საეკლესიო დოკუმენტების კვლევის საქმეს დიდი ამაგი დასდეს: სარგის კაკაბაძემ, თედო ჟორდანიამ, ისიდორე დოლიძემ. მათ მიერ გამოქვეყნებულსა და შესწავლილ დოკუმენტებში დაცულია ჩვენთვის საინტერესო მრავალი იერარქის სახელი (82-84,30-33,36-38).

სამეგრელოს ეკლესია-მონასტრების სიძველეთა შესწავლის საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს: დიმიტრი ბაქრაძემ, ნიკოდიმე კონდაკოვმა, დიმიტრი ფურცელაძემ, ალექსანდრე ცაგარელმა. მათ ნაშრომებში დაცულია ბევრი ისეთი ცნობა, რაც სხვაგან არ გვხვდება. ეს საშუალებას გვაძლევს, მეტი სიზუსტით დავახასიათოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხები (57,141,159,51,182).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარი ბროსეს შრომებსაც, რომლებშიც მოცემულია ეპარქიების ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები, ლაპიდარული წარწერები, საეკლესიო საბუთები, წარწერები ხატებსა და ჯვრებზე (188-189).

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს მიხეილ თამარაშვილის ორი მონოგრაფია: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (1902) და „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ (1995). ამ შრომებში შემდეგებისდაგვარად განხილულია ქართული ეკლესიის არსებობის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი. გამოქვეყნებული და შესწავლილია მრავალი უცხოური წერილობითი წყარო, კარგადაა ნაჩვენები ევროპულ მისიონერთა და ადგილობრივ იერარქთა ურთიერთობა (75-76).

საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეს დიდი ამაგი დასდო ბაბილინა ლომინაძემ. მის შრომებში საგანგებოდაა შესწავლილი საეკლესიო იერარქთა მოღვაწეობის ცალკეული საკითხები, ეკლესია-მონასტრების სოციალური წეს-წყობილება, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო რეზიდენციის ბიჭვინთიდან გელათში გადატანის გამომწვევი მიზეზები და სხვა (99-101).

აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილისა და აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის ზოგიერთ შრომაში განხილულია VIII-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საეკლესიო პროცესები, რაც საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ ოდიშის ეპარქიების წარმოშობის როგორც მიზეზები, ასევე პერიოდი (42-43, 103).

ჩვენთვის საინტერესო თემის ცალკეული მომენტები განხილულია პ. ზაქარაიას, ზ. ანჩაბაძის, შ. მესხიას, ა. ურუშაძის, ს. მაკალათიას, ე. მეტრეველის, მ. ჯანაშვილის, ნ. ლომოურის, პ. ინგოროყვას, პ. ჟუზეს, ე. სილოგავას, ბ. კილანავას, კ. სამუშიას, დ. ნინიძის, ა. გოგოლაძის, ზ. პაპასქირის, ლ. ბერაიას, ბ. კულდავას, თ. ჯოჯუას, თ. ქორიძის, თ. ქართ-

ველიშვილის, ბ. დიასამიძის, ბ. ხორავას გამოკვლევებსა და შრომებში (71,47ა,110,120,104-105,112,138ა,102,78-79,172,50,39,97, 113, 67,58-59).

ნაშრომში განხილულ ცაიშის, ბედიის, ხობისა და მოქვის საეპისკოპოსოთა ისტორიას ცალკეული თავები ეთმობა. ნაშრომში ამ საეპისკოპოსოთა ისტორია შემდეგი თანმიმდევრობითაა მოთხრობილი:

1. კათედრის სახელწოდების წარმომავლობა (ცაიში, ბედია).
2. დაარსების თარიღი (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი).
3. ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი).
4. საეპისკოპოსოს სოციალური მდგომარეობა და ყმა-მოლაშქრეები (ცაიში).
5. ეპარქიის საზღვრები (ცაიში, ბედია, მოქვი).
6. ხუროთმოძღვრული კომპლექსის არქიტექტურული დახასიათება (ცაიში, მოქვი, ბედია).
7. ტაძრის მოხატულობა (ცაიში, ბედია).
8. საეპისკოპოსოს როლი ქართული ხელოვნებისა და კულტურის განვითარებაში (ცაიში, ბედია, მოქვი).

შრომას დანართის სახით ახლავს გამოუქვეყნებელი ნაშრომები: „ტაძრები და მონასტრები აფხაზეთში“, „ქართული ეკლესია-მონასტრების მდგომარეობა საქართველოს რესპუბლიკაში 1919 წელს“ და „ზუგდიდის კარის ეკლესია და მისი ყოფილი სიძველენი“. ნაშრომები საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. პირველის ავტორი XIX საუკუნის არქიტექტორი იაკობ რეისნერი გახლავთ, დანარჩენისა კი ექვთიმე თაყაიშვილი. შრომებში დაწვრილებითაა აღწერილი აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული ოდიშის კათედრალური ტაძრების არქიტექტურა, ფრესკული მხატვრობა და ჩვენთვის საინტერესო მრავალი საკითხი.

ნაშრომის მთავარი შედეგია ოთხივე კათედრის ეპისკოპოსთა ქრონოლოგიის დადგენა, რამაც საშუალება მოგვცა, ეპარქიების ისტორიის აქამდე უცნობი ბევრი დეტალისათვის მოგვეფინა ნათელი. ქრონოლოგიური რიგების დადგენის დროს გაირკვა, რომ ოდიშში იყო შემთხვევები, როცა სხვადასხვა სასულიერო წოდებასა და მათ შორის ეპისკოპოსის ტიტულსაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ერთი გვარის წარმომადგენელი ატარებდა, რაც საეკლესიო სფეროში ცალკეული საგვარეულოების დაწინაურების შედეგი იყო. გაირკვა ისიც, რომ ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა საეკლესიო წოდებამ – მიტროპოლიტი – ოდიშში განვითარების საკუთარი სახე მიიღო და საკუთარი ძალაუფლებით არსებითად არ აღემატებოდა ოდიშის სხვა ეპისკოპოსებს. გაირკვა,

აგრეთვე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო პირველი მიტროპოლიტი და როდის უნდა მიეღო მას ეს წოდება.

ცაიშის მონასტრის ჩვენს მიერ პირველად შესწავლილმა ფრესკულმა მხატვრობამ საშუალება მოგვცა, აქ გამოსახულ ისტორიულ პირთა ვინაობა დაგვედგინა და გაგვერკვია მათი დამოკიდებულება კათედრისადმი.

ყმა-მოლაშქრეების ინსტიტუტისა და ეპარქიების საზღვრების კვლევამ დაგვანახვა, თუ რა შემოსავალი ჰქონდა კათედრას, როგორი იყო ცალკეული საეპისკოპოსოსა და საკათალიკოსოს დამოკიდებულება. ბედიის საეპისკოპოსოს საზღვრების კვლევის დროს საჭიროდ ჩავთვალეთ, შევხებოდით ისტორიულ საბედიანოს და მასთან დაკავშირებულ „დადიან-ბედიანის“ წოდებას.

შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ხობის საეკლესიო სტრუქტურის განსაზღვრა. როგორც გაირკვა, აქ რამდენიმე სახეობის საეკლესიო ორგანიზაციამ მოიყარა თავი და ყველას განვითარების საკუთარი ისტორია ჰქონდა.

ცალკე განხილვის საგნად იქცა სამეგრელოში დაცული ქრისტიანული სიწმინდეებისა და რელიკვიების კულტი. ნათლად ჩანს, რომ ყოველ წმინდა ნაწილსა და რელიკვიას რელიგიურის გარდა კონკრეტული საეკლესიო დანიშნულებაც ჰქონდა. მნიშვნელოვან წმინდა ნაწილთა ფლობა მსოფლიო ეკლესიათა სამშოში ავტორიტეტს ანიჭებდა მის მფლობელს. წმინდა ნაწილები მრავალრიცხოვან მრევლსაც იზიდავდა, რაც ეკლესიის მესვეურთათვის ღირსებისა და შემოსავლის წყარო იყო.

დადგენილია, თუ რომელი სიწმინდე რომელ ეკლესიაში ინახებოდა, როგორი იყო მათი საქართველოში მოხვედრის ისტორია.



ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა გულსაკიდი ჯვარი.  
მარტვილი. X საუკუნე. ოქრო. 15x9 სმ.



საწინამძღვრე ჯვარი. მარტვილი. XV საუკუნე.  
ვერცხლი-ოქრო. 47X25,5 სმ.

## §1. ეპისკოპოსობა და ოღიშის საეპისკოპოსოები

„ეპისკოპოსი“ ბერძნული სიტყვაა და ზედამხედველს ნიშნავს. ძველ საბერძნეთში ამ სახელს ატარებდნენ პოლიტიკური წარმომადგენლები, რომელთაც ათენი აგზავნიდა მოსაზღვრე სახელმწიფოებში სამოკავშირეო ხელშეკრულებების შესრულებაზე დასაკვირვებლად.

საქართველოში ეპისკოპოსნი იყვნენ „პატივსა მღვდელმთავრობისასა“ და ამიტომაც მათ სამღვდელოება და ეკლესიის ყველა მსახური დაქვემდებარებული ჰყავდათ. გარდა ამისა, ეპისკოპოსი ითვლებოდა ერის სულიერ მთავრად. მას, როგორც დაკრულების, ასევე კრულების გახსნის უფლება ჰქონდა (138;16).

ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, ეპისკოპოსი „სწავლებით და მეცნიერებით“ განმტკიცებული „მწყემსი“ იყო ერისა და ამიტომაც ითვლებოდა „მლოცველად ერისა“. დიაკვნისა და მღვდლის მსგავსად ეპისკოპოსიც კაცთმოყვარეობით უნდა ყოფილიყო განთქმული. „ღუაწლთა სნეულთასა გამოცდილისა“ და „ობოლთა და ქურიეთა მოღუაწის“ სახელი უნდა ჰქონოდა. ამიტომაც მხოლოდ ის ითვლებოდა საეპისკოპოსო მიტრის ღირსად, ვისაც შეეძლო ზორცის კეთილად გაწვრთნა და სულის დამორჩილება. რუის-ურბნისის ძეგლისწერის თანახმად, ეპისკოპოსად 35 წლის კაცი უნდა ყოფილიყო კურთხეული (138;34). მას ეკრძალებოდა, „რომე საეპისკოპოზო საქმე გაუშვან და საქუეყნიეროს საქმეში გაერიოს ... ვერ შეუძლია ორის პატრონის სამსახური უფლის ბრძანებით“ (138;34). როგორც მთელ ქრისტიანულ სამყაროში, ასევე საქართველოშიც ეპისკოპოსებს (თუმცა ყველას ერთნაირი საეკლესიო პატივი ჰქონდა) ყოველთვის ერთგვარი პატივისცემა არ ეკუთვნოდათ, რაც კარგად გამოიხატებოდა სახელმწიფო დარბაზობის დროს. საეპისკოპოსოების უმცროს-უფროსობა მუდმივი არ იყო და დროთა განმავლობაში ზოგი აღზევდებოდა და ზოგი ჩამოემცრობოდა კიდევ. გარდა ამისა, ეპისკოპოსთა პატივისცემა მათ პირად ღირსებაზეც იყო დამოკიდებული: თუ „ვითარი მონაზონი იყოს, ანუ ვითარი კაცი“, რის მიხედვითაც მათ ეკუთვნოდათ „ზოგთა უფრო და ზოგთა უმცრო“ პატივისცემა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიას აფხაზეთის საკათალიკოსო გამოეყო, დასავლეთ საქართველოში, და კერძოდ ოდიშში, ყველა ეპისკოპოსი აფხაზეთის კათალიკოსს უნდა შეერჩია და ეკურთხებინა (62,131-132). როგორც ვამეყ დადიანი თავის ერთ-ერთ სიგელში ამბობს: „კათალიკოზის უკითხავად და უნებურად ეფისკოპ(ო)სობა არ გაცემულა; და არც ჩვენ დღეს ამას იქით თქვენად უკითხავად (იგულისხმება აფხაზეთის კათალიკოსი სვიმეონ ჩხეტიძე – გ.კ.) და უნებლად ჩვენ ეპისკოპ(ო)სნი არ დავსვით და არც ეპისკოპ(ო)სობა გავსცეთ“ (38,669). ხდებოდა საწინააღმდეგოდაც. მაგალითად, გაბრიელ ჩიქოვანმა „დაიპყრა ჭყონდიდულობავე და იქმნა მისანდო ლევან დადიანის ყოველსა შინა“ (12,842). გარდა ამისა, ოდიშის მთავარი კაცია დადიანი საკუთარი სურვილის თანახმად და „თანა შეთქმულებითა ყდ სამღუდელთა მიტროპოლიტთა“ (18,176-177) ცაიშის კათედრის ეპისკოპოსად ადგენს გრიგოლ ჩიქოვანს: „გამოვარჩიე კაცი სათნო ღვთისა ... საწყური სულისა ჩემისა და სატრფო გონებისა ... მიტროპოლიტი გრიგოლ და დავადგინეთ გამგედ ეკლესიისანი“ (18; 176-177). ლევან დადიანი კი დავით ნემსაძისადმი მირთმეულ კათალიკოსობის ბოძების წიგნში აღნიშნავს: „ასე რომ, რომელიცა სხვა კათალიკოზს დადიანისაგან კითხოვდეს ამ ოდიშის ქუეყანასა, აგრეთვე ჩუენ ისრე გკითხოთ და თქუენდა შეუკითხავად არცარა თქვენი საკითხავი საქმე რა ვქნა და არცა უთქუენოდ ეფისკოპოსსა და წინამძღვარს გაუწყრეთ და გარდავაგდოთ; და მოგახსენოთ და როგორთაც თქვენ მოგვახსენოთ ისრე ვქნათ“ (38,678).

ამდენად, ცხადია, რომ მთავრები მეტ-ნაკლებად ერეოდნენ რეგიონის სასულიერო ცხოვრებაში და მათ აზრს ეპისკოპოსებთან თუ სხვა იერარქებთან მიმართებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, „რამეთუ ხელმწიფე სჯულისა და კანონისა უმდაბლესი არ არის, რამეთუ მასცა აქუს ხელმწიფობა ღვთისა მიერ – ვისაც ენებოს ეპისკოპოზისა, აღამაღლებს, მიტროპოლიტად დააყენებს“ (18;162).

გარდა ამისა, ასევე ირკვევა, რომ ოდიშში იყო შემთხვევები, როცა მაღალ სასულიერო წოდებებს, და მათ შორის ეპისკოპოსობასაც, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ერთი გვარის წარმომადგენლები ატარებდნენ (მაგალითად, გონგლიბაიძეები, ლოლობერიძეები, საყვარელიძეები), რაც, ჩვენი აზრით, საეკლესიო სფეროში ცალკეული საგვარეულოების დაწინაურების შედეგი იყო.



არქანჯელო ლამბერტი მეტ-ნაკლებად ტენდენციურ, მაგრამ მაინც საინტერესო ცნობებს გვაძლევს ოდიშის სამღვდლოების შესახებ. მისი თქმით, „ეპისკოპოსები ძლიერებით, სიმდიდრითა და ძალაუფლებით სჯობნიან თითოეულ იქაურ დიდებულს“ (22;167).

XVII საუკუნეში სამეგრელოში მყოფმა მისიონერმა, თეატინელმა პატრმა ძამპიმ საფრანგეთის ელჩის დავალებით მიიღო ჩვენებათა ანგარიში, რომელშიც აისახა უმაღლეს იერარქთა ქრისტიანული მრწამსი (29; 171-172).

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, მიტროპოლიტის წოდება საქართველოში VI-VIII საუკუნეებში დამკვიდრდა (42;188). ამ პერიოდში ჩვენთვის ცნობილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული ლაზიკის მიტროპოლია. მოგვიანებით მიტროპოლიტობამ ოდიშში განვითარების საკუთარი სახე მიიღო. სამწუხაროდ, წყაროთა სიმწირის გამო ვერ დავადგინეთ, თუ რა პრივილეგიებით სარგებლობდა ამ წოდების მატარებელი პიროვნება. ერთი კი ცხადია, რომ მიტროპოლიტი თავისი ძალაუფლებით არსებითად არ აღემატებოდა ოდიშის სხვა ეპისკოპოსებს. ეპისკოპოსებისათვის მიტროპოლიტის პატივის ბოძება კათალიკოსს შეეძლო. ევდემონ ჭყონდიდლის კათალიკოს გრიგოლისადმი მიართმეული ერთგულების წიგნში ნათქვამია: „ბატონის დადიანის ბეჟანის სიტყვით და ბრძანებით მიტროპოლიტად კურთხევას შემოგეხვეწეთ ... ჩუენის წინანდელი ჭყონდიდელი ძველთა და დიდთა ხელმწიფეთაგან დიდად პატივცემულნი ყოფილან მონასტრითაც, სიმდიდრითაც და მამულითაც, მაგრამ მიტროპოლიტად კურთხევა არ ჰქონიან აწ რადგან ჯერ ღმრთის ბრძანებით და მერე ბატონის დადიანის წყალობით ჩუენზედ მიტროპოლიტობის კურთხევა მოიღეთ დღეის იქით ამას ვიყო თქუენტვის კარგი და კარგის მდომი“ (36;764).

ჩვენთვის ცნობილი ოდიშში მოღვაწე პირველი მიტროპოლიტია ბედიელი ანტონე შუპანიძე, რომელმაც ეს საეკლესიო პატივი დაახლოებით 1533 წლის შემდეგ მიიღო. მოგვიანებით მიტროპოლიტობას იღებენ: ცაიშელები და ჭყონდიდელები. ამიტომაც ცხადია, რომ ეს მაღალი საეკლესიო ხარისხი უფრო საპატიო წოდება იყო და ენიჭებოდა იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც ვრცელ ეპარქიებს განაგებდნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეპისკოპოსობის ინსტიტუტი ოდიშში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, განვითარების თავისებურებებს განიცდიდა, მაგრამ


ეპისკოპოსობის ძირითადი ქრისტიანული, დოგმატური არსი პრაქტიკულად არასოდეს დარღვეულა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ოდიშის საეპისკოპოსოთა რაოდენობა. ამ საკითხის შესახებ ცნობები დაცულია როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ავტორებთან. განვიხილოთ ისინი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: არქანჯელო ლამბერტი, რომელიც სამეგრელოში 1633-1649 წლებში იმყოფებოდა, თავის ნაშრომში – „სამეგრელოს აღწერა“ – ჩამოთვლის ოდიშის 12 საეპისკოპოსო კათედრას. მისი თქმით, აქედან ექვსი მოქმედია, ექვსი კი გაუქმებული. მოქმედ კათედრათა შორის დასახელებულია: 1. დრანდის, 2. მოქვის, 3. ბედიის, 4. ცაიშის, 5. წალენჯიხის, 6. ჭყონდიდის; ხოლო მონასტრებად გადაკეთებულ საეპისკოპოსოებს შორის ჩამოთვლილია: 1. ქიაჩის, 2. წიფურიას, 3. ხოფის, 4. ობუჯის, 5. სებასტოპოლისის, 6. ანაკრიის (22;107).

ლამბერტისთან ერთად საქართველოში მოვიდა პატრი ვუზუპე ჯუდიჩე მილანელი. იგი ოდიშში 1633-1643 წლებში ცხოვრობდა. მილანელს რომში გასაგზავნად დაუწერია მოკლე რელაცია სამეგრელოზე, სადაც ნათქვამია: „მთელს სამეგრელოში ტყეში გაფანტულია ექვსი მთავარი და საეპისკოპოსო ეკლესია, რომლებიც მდიდარია ქონებითა და ყმებით“ (47;93).

რუსმა ელჩებმა პავლე ზახარემა და ფედოტ ელჩინმა 1639-1640 წლებში სამეგრელოს თითქმის ყველა ეკლესია მოიარეს. მათ აქ შემდეგი კათედრები უნახავთ: მოქვი, დრანდა, ბედია, ცაიში, ხობი, წალენჯიხა. (50; 324-325,351-352,354,356,373-374). რუსი ელჩების ისტორიული ჩანაწერები იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მათ იმ დროს აქ მოღვაწე იერარქთა სახელები შემოგვინახეს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხი მიმოხილულია ასევე დონ კრისტოფორო დე კასტელის ალბომის მინაწერებზეც. კასტელი სამეგრელოში 1640-1652 წლებში იმყოფებოდა და მრავალი ჩანახატი დაგვიტოვა. მის ალბომში დაცულია მინაწერები, რომელნიც გვაძლევენ ინფორმაციას ოდიშში იმ დროს მოქმედი რამდენიმე საეპისკოპოსოს შესახებ. სურათებზე შემდეგი შინაარსის წარწერები გვხვდება: „ჩასკოლის (ჩანელის) საეპისკოპოსო“ (21;174), „აფხაზეთის ახლოს მდებარე მოქვის ეკლესია ძალიან ლამაზია“ (21;176), „ხობის საეპისკოპოსო“ (21;176), „დანდრას საეპისკოპოსო აფხაზეთში, კავკასიის მთებში“ (21;180), „დრანდა, აქ არის ერთი ეპისკოპოსი



დრანდელი ეპისკოპოსის გაბრიელ პატრიარქის ფრესკა  
იერუსალიმის ჯგერის ქართველთა მონასტერში.

მდინარე კოჩარესთან ახლოს“ (21;195). კრისტოფორო კასტელის ეს ცნობები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ისინი ერთ-ერთი უძველესია, სადაც ხობი საეპისკოპოსო კათედრად მოიხსენიება.

1664-1666 წლებში სამეგრელოში სტუმრად იმყოფებოდა ანტიოქიის პატრიარქი მაპარი, რომელმაც თავის ნაშრომებში მოიხსენია ოდიშის საეპისკოპოსო კათედრები. მისი სიტყვით: „იქ (სამეგრელოში) ექვსი ეპისკოპოსი ზის. ესენია: ჭყონდიდელი, მეორე – ხობელი, ... მესამე ეპისკოპოსია ცაიშელი, მეოთხე – ბედიელი, მეხუთე – მოქველი, მეექვსე – დრანდელი“ (24;112-113). იმავე ცნობას იძლევა მაკარის შვილი პაველ ალეპოელი (25;72). ამდენად, ანტიოქიის პატრიარქი და მისი ვაჟი არქანჯელო ლამბერტის მსგავსად ჩამოთვლიან ექვს საეპისკოპოსოს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წალენჯიხის კათედრის მაგივრად აქ ხობია მოხსენიებული.

ოდიშის საეპისკოპოსოთა ისტორიას ეხება გერმანელი მეცნიერი დოქტორი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელმაც რუსეთის სამეფო

კარის სპეციალური დავალებით მოიარა საქართველო 1771-1772 წლებში. იგი წერს: „ოდიშს მოსდევს აფხაზეთი, აქ ბეღიაში, მოგვემი ანუ მოქვეში და დრანდაში სამი ეპისკოპოსი იყო, ეპისკოპოსები — ბედიელი, მოგველი და დრანდელი“ (50;122-127), ამგვარად, გიულდენშტედტი ძველ ოდიშში ასახელებს სამ გაუქმებულ საეპისკოპოსოს — ბეღიას, მოქესა და დრანდას.

ვახუშტი ბატონიშვილი ოდიშის აღწერის დროს მოიხსენიებს 6 საეპისკოპოსო კათედრას. ესენია: 1. ჭყონდიდი, 2. ცაიში („ჩაისი“), 3. წალენჯიხა („ჭყლენჯიხი“), 4. ბეღია, 5. მოქვი („მოქეი“), 6. დრანდა (12;755-781), მაგრამ იგი მომდევნო თავში დასძენს: „... იყო ჭირი დიდი ოდიშს ... უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნაევებით და ხმელთა და სტყუენიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე და დაეშენებოდეს თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“ (12;845), ამდენად, ვახუშტის ცნობით ირკვევა მოქვისა და დრანდის საეპისკოპოსოების როგორც გაუქმების პერიოდი, ასევე მიზეზები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ ცნობებს იძლევა დაახლოებით 1770 წლის აპრილში შედგენილი დოკუმენტი „დასავლეთ საქართველოს სამწყსოთა ნუსხა“. აქ, ოდიშში მოქმედ საეპისკოპოსოთაგან მხოლოდ ჭყონდიდია მოხსენიებული, ხოლო „რომელზედაც არა ზის და საყდრებია: ბედიელი მიტროპოლიტი, ქ. მოქველი ეპისკოპოზი, დრანდელი ეპისკოპოზი ... არს კიდევ ზღვის პირზე ფოთის ეპისკოპოზი“ (106;553). ეს წყარო იმითაცაა საინტერესო, რომ აქ გაუქმებულ კათედრათა შორის ფოთი მოიხსენიება, რაც ზემოხსენებულ ისტორიკოსთა ცნობებში არ ფიქსირდება.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ისტორიული წყაროების ცნობები ოდიშის ეპარქიათა რაოდენობის შესახებ განსხვავებულია, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია საკითხის უფრო დაწვრილებით გაშუქება.

არქანჯელო ლამბერტი მონასტრებად გადაკეთებულ კათედრათა შორის მოიხსენიებს ხობს. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ხობის საეპისკოპოსო კათედრას მართლაც, XVII საუკუნის გარკვეულ მონაკვეთში, არსებობა უნდა შეეწყვიტა. ჩვენთვის ცნობილია XIV-XVI საუკუნეებში მოღვაწე რამდენიმე ხობელი ეპისკოპოსი. ესენია: ილარიონი (XIV ს.) (72;136), საბა (XV ს. I ნახ.) (30;30), ნიკოლოზ წულუკიძე (1569 წ. ახლო პერ.) (37;275). ამდენად, ლამბერტის ცნობას, რომ ხობი

საეპისკოპოსო იყო, მცდარად ვერ ჩავთვლით. ხობის საყდრისადმი მამულების მფლობელობის განახლების სიგელში ლევან II (1611-1657) დადიანის მიერ ცხადადაა ნათქვამი, რომ ხობში: „უამთა ვითარებისა და წელთა გარდასულისა, და ეტლთა მოქცევისა, და დღეთა ცვალებისაგან მოშლილიყო სოფელი და ტყე და ველი“ (36;209).

ამდენად, ფაქტია, რომ არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოში მოღვაწეობის გარკვეულ მონაკვეთში ხობის საეპისკოპოსო კათედრა არ არსებობდა. იქნებ სწორედ ამიტომაც დასჭირდა ლევან II დადიანს ძველი „გარყენილი და დაკარგული“ იადგარის მოძიება და ამ ტაძრისადმი მფლობელობის განახლების სიგელის ბოძება.

ისმის კითხვა – როდის უნდა გაეტარებინა სამეგრელოს მთავარს ეს ღონისძიება? – ჩვენი აზრით, XVII საუკუნის 40-იან წლებში, რამეთუ უკვე მოგვიანებით, 1639-1640 წლებში ოდიშში მყოფი რუსი ელჩები: კრისტოფორო კასტელი (1640-1652 წწ.) და მაკარი ანტიოქიელი (1664-166) იცნობენ ხობის საეპისკოპოსოს.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნის 30-იანი წლები-სათვის მოშლილი ხობის საეპისკოპოსო ლევან II დადიანს დაახლოებით 1639-1640 წლებში აღუდგენია. ამ პერიოდში უნდა იყოს შედგენილი ხობის მფლობელობის განახლების სიგელიც, არქანჯელო ლამბერტიმ კი, მოგვიანებით მომხდარი ეს ფაქტი, შესაძლებელია, სულაც არ იცოდა, ან იგი შემდეგ აღარ ჩაურთავს თავის თხზულებაში. თუმცა ფაქტია, რომ ლევანის მიერ აღდგენილმა კათედრამ დიდხანს მაინც ვერ იარსება. დაახლოებით XVII საუკუნის მიწურულს აქ საეპისკოპოსო კათედრა კვლავ მოიშალა, რადგანაც უან შარდენი, ვახუშტი ბატონიშვილი და ასევე XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნის წყაროები აქ საეპისკოპოსო კათედრას უკვე აღარ იცნობენ.


ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მივიღებთ შემდეგ სურათს: XVII საუკუნის 40-იან წლებში ლევან II დადიანმა აღადგინა ხობის საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც უფრო მოგვიანებით, კერძოდ XVII საუკუნის დასასრულს, კვლავ მოიშალა.

რაც შეეხება ლამბერტის იმ ცნობას, რომ ქიაჩი, ობუჯი, წიფურია, ანაკრია საეპისკოპოსოები იყო და შემდეგ მონასტრებად გადააკეთეს, მცდარია, რადგან მსგავსი ინფორმაცია სხვა წყაროებში არსად არ ფიქსირდება. გამონაკლისია მხოლოდ სებასტოპოლი,

რომელიც მოიხსენიება IX საუკუნეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ კათედრათა ნუსხაში, როგორც სებასტოპოლის ავტოკეფალიური საარქიეპისკოპოსო, მაგრამ იგი X საუკუნეში გაუქმდა (63;526).

ზემოხსენებულ 1770 წლის დოკუმენტში გაუქმებულ საეპისკოპოსოდ მოიხსენიება ასევე ფოთი. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ კათედრათა ნუსხაში მეხუთედ მოხსენიებულია ფაზისის მიტროპოლია (102;423). ცნობილია ასევე, რომ 553 წელს მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებას ხელს აწერდა ფაზისის ეპისკოპოსი: „თეოდორე უღირსმან ეპისკოპოზმან ფასოისამან, სოფელსა შინა მეგრელთასა, განსაზღურენ და წარეწერენ“ (115;25), ხოლო 787 წლის მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში, სხვა პირებთან ერთად, მოიხსენიება „ქრისტეფორე ეპისკოპოსი ფასისისა ანუ ტრაპეზუნტისა“ (115;25).

მოგვიანებით ფოთის საეპისკოპოსო კათედრა აფხაზეთის მეფე გიორგი II-ის დროს (922-957) გაუქმდა და იგი ჭყონდიდში გადაიტანეს (78;249). ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქმული აქვს ნიკო ბერძენიშვილს. იგი თავდაპირველად ფიქრობდა, რომ ფაზისის კათედრა გადავიდა ჭყონდიდში, თუმცა შემდეგ შეიცვალა აზრი და მიიჩნია, რომ ფაზისის კათედრა გადავიდა არა ჭყონდიდში, არამედ ქუთაისში. მოსაზრებას ფაზისის საკათედრო ცენტრის ქუთაის-



წალენჯიხის ტაძარი. XII-XIV სს.

ში გადატანის შესახებ ავითარებს პროფესორი თამაზ ბერაძეც. ახალგაზრდა მეცნიერი ბუბა კულავა კი მიიჩნევს, რომ ფაზისის მძლავრი კათედრის მემკვიდრე (პატივის თვალსაზრისით) სწორედ ჭყონდილის ძლიერი კათედრა უნდა ყოფილიყო. ფაზისიც და ჭყონდილიც პატივის თვალსაზრისით იერარქიის სათავეში იყვნენ დასაველეთ საქართველოში (96;23).



წალენჯიხელი ეპისკოპოსი  
ვედემონ ჯაიანი.  
წალენჯიხის ტაძრის ფრესკა.  
XVII ს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ წალენჯიხის საეპისკოპოსოზეც, რომლის შესახებ ისტორიული წყაროები საკმაოდ მწირია. იგი ოდიშის სხვა ეპარქიებთან შედარებით ყველაზე ახალგაზრდაა. აქ საეპისკოპოსოს დაარსება, ალბათ, ლევან II დადიანს უკავშირდება, რადგან ჩვენთვის ცნობილი პირველი წალენჯიხელი სწორედ ლევანის დროს მოიხსენიება. წალენჯიხის ეკლერიის ფრესკულ წარწერაში შემდეგი შინაარსის წარწერა ამოვიკითხეთ:

„1. მე: მთავარეპისკოპოზმან: წალენჯიხელმან: ედემონ: ჯაიანმან: დავახა

2. ტვინე: ეკდრის: კარი: ჩუენის: ხელმწიფის: დადიანის: ლევანის: სა

3. დღეგრძელოდ: და: კურთხეულის: დედოფლ

4. ის: ნესტან: დარეჯანის: სულისათვის: დაიხატა: კარ

5. ი: ესე: დროსა: და: ჟამშია: დიდისა: ხელმწიფისა: დადიანისა

6. ბატონისა: ლევანისათა: ქრონიკსა: სამას: ოცდა: ათე:

7. ქესმეტსა: ამინ:, და: კირიელეისონ: დაწვერე: მე: ესე:

8. წინაძღვარმან: საყდრისა: ამის: მასიმე: სინელიამისამან:“

იმევე შინაარსის წარწერაა მოთავსებული ედემონ ჯაიანის, საფლავის ქვაზეც. ორივე წარწერაზე დატანებული ქრონიკონი 1648 წელს უდრის.

ედემონ ჯაიანის შემდგომ, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია სხვა წალენჯიხელის სახელი, ამიტომაც ბევრს ვერაფერს ვიტყვი ამ საეპისკოპოსოს შემდგომი ისტორიის შესახებ.

საჭიროა მოკლედ შევეხოთ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ოდიშის საეპისკოპოსოს: მოქეს, დრანდას და ბელიას. ამ უძველეს ქართულ საეპისკოპოსო კათედრებს XVII საუკუნის 80-იან წლებში დიდი საშიშროება დაემუქრა. ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ საგრძნობლად შესუსტდა ოდიშის პოლიტიკური ძლიერება, რასაც თან დაერთო ამ სამთავროზე აფხაზეთის მხრიდან გაძლიერებული თავდასხმები. ბოლოს XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან ოდიშ-აფხაზეთის პოლიტიკურ საზღვრად ეგრის წყალი (მდ. ლალიძგა) და შემდეგ ენგური გახდა (130;234). აფხაზეთმა ოდიშს მოაცილეს მდ. კოდორსა და ენგურს შორის მოთავსებული ტერიტორია, იწყეს ჩამოსახლება, სწრაფად მიმდინარეობს მკვიდრ მეგრელთა აყრა-გაქცევა, რასაც შედეგად მოჰყვა დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოსის გაუქმება. 1664-1666 წლებში მაკარი ანტიოქიელის სამეგრელოში ყოფნის დროს ორივე საეპისკოპოსო მოქმედებდა, რაც ცხადყოფს, რომ დრანდა და მოქვი ჯერ კიდევ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა (24;234).

უეჭველია, აფხაზეთსა და ოდიშს შორის მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირება ბელიის ეპარქიასაც დაეტყო. საგრძნობლად შემცირდა ამ ეპარქიის საზღვრები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ სასულიერო ცხოვრება მაინც გრძელდებოდა. ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი ბელიელი ეპისკოპოსი მაქსიმე იაშვილი XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში მოღვაწეობდა.

თუ როგორი ვითარება შეიქმნა პოლიტიკური დაპირისპირების შედეგად ბელიის ეპარქიის ტერიტორიაზე, საინტერესოაა ასახული ერთ-ერთ დოკუმენტში, ეგრეთ წოდებულ „ბელიის სიგელში“, რომელიც 1897 წელს გამოაქვეყნა ზაქარია ჭიჭინაძემ. საბუთი მ. ვორონცოვის მოღვაწეობის წლებით თარიღდება (იხ. დანართი 1). სიგელი შერვაშიძეთა საგვარეულოს თავისებური ქრონიკაა. იგი იმდენადაა ჩვენთვის საინტერესო, რამდენადაც აქ მოცემულია ოდიშ-აფხაზეთის პოლიტიკური დაპირისპირების გარკვეული დეტალები. დოკუმენტში ჩანს, რომ ბელია ჯერ ყვაპუ, შემდეგ კი ლეონ შერვაშიძის კუთვნილება ხდება. საგულისხმოა ისიც, რომ, დოკუმენტის თანახმად, XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ტერიტორია ლალიძგიდან მდინარე ენგურამდე „ამღვრეულ დროებათა გამო ყოფილა უფრო დაცარიელებული მცხოვრებთაგან“. ამდენად, ფაქტია, რომ აღნიშნულ პერიოდში



ოდიშის ხელისუფლება გავლენას კარგავს თავის ტერიტორიებზე და ბედიის ეპარქიაც აფხაზ ფეოდალთა ხელში გადადის.


ამგვარად, თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, სურათი ასეთი იქნება: არქანჯელო ლამბერტის ცნობა, რომ ქიაჩი, ობუჯი, წიფურია და ანაკლია საეპისკოპოსოები იყო, მცდარია და იგი არცერთ სხვა დოკუმენტში არ დასტურდება.

X საუკუნეში ბიზანტიის საეკლესიო პოლიტიკის საწინააღმდეგოდ საქართველოში მოიშალა ძველი (ბიზანტიური) საეპისკოპოსო კათედრები, სებასტოპოლის საარქიეპისკოპოსო ცხუმის კათედრამ შეცვალა, ხოლო ფოთის მიტროპოლია აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის (922-957) დროს ჭყონდიდში გადაიტანეს.

XIV საუკუნეში დაარსებული ხობის საეპისკოპოსო XVII საუკუნის 30-იანი წლებისათვის მოშლილა და იგი 1639-1640 წლებში ლევან დადიანს აღუდგენია, მაგრამ ხსენებული კათედრა XVII საუკუნის დასასრულს საბოლოოდ მონასტრად გადაკეთებულა.

ლევან II დადიანს დაუარსებია XVII საუკუნეში წალენჯიხის საეპისკოპოსო, რომლის არსებობამაც ღიდხანს ვერ გასტანა.

XVII საუკუნის 80-იან წლებში ოდიშზე დაიწყო აფხაზეთის გაძლიერებული თავდასხმები. მოქვისა და დრანდის ეპარქიებში



დრანდის ტაძარი. VIII ს.

სწრაფად აიყარა მკვიდრი მოსახლეობა, აქაურობა გაველურდა, რის შედეგადაც ეს საეპისკოპოსოები გაუქმდა.

ოდიშ-აფხაზეთს შორის მიმდინარე პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ბედიის კათედრის სიცოცხლისუნარიანობაზეც იმოქმედა – XVIII საუკუნის 80-იან წლებში აქ სასულიერო ცხოვრება შეწყდა. 1888 წელს კი ბედიის ტაძარი უკვე მცენარეებით დაფარულ ნანგრევებს წარმოადგენდა.

1823 წელს ცაიშის უკანასკნელი მიტროპოლიტის გრიგოლ ჩიქოვანის გარდაცვალების შემდეგ ჭყონდიდისა და ცაიშის ეპარქიები გაერთიანდნენ. 1829 წელს მას სამეგრელოს ეპარქია ეწოდა და მარტვილის ტაძარი კათედრად გამოცხადდა.

ამდენად, ოდიშის სამთავროს ტერიტორიაზე არსებობდა ძირითადად 7 საეპისკოპოსო კათედრა: ცაიში, ბედია, მოქვი, დრანდა, ჭყონდიდი, ხობი და წალენჯიხა. თითოეულმა მათგანმა განვითარების საკუთარი გზა განვლო.



ცაიშის ტაძარი. XIII-XVII სს.  
სამსრეთის ფასადი.



ცაიშის ტაძრის სამრეკლო. XVII ს.  
დასავლეთის ფასადი.

## II თავი

### ცაიშის საეპისკოპოსოს ისტორია

#### §1. დაბა ცაიშისა და ცაიშის მონასტრის სახელწოდებისათვის

საინტერესოდ მიგვაჩნია დაბა ცაიშისა და ცაიშის მონასტრის სახელწოდების წარმომავლობა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით მეცნიერულ ლიტერატურაში მრავალი მოსაზრება გამოითქვა. სარგის კაკაბაძის აზრით, ტოპონიმს რელიგიური საფუძველი უდევს: „(კოლხები) ყველაზე მეტად თაყვანს სცემდნენ ურანოსსა და გეას (ზეცასა და ღედამიწას)“ (120;56), ამიტომ ასკვნიდა იგი, რომ სიტყვა ცაიში ღვთის კუთვნილებას ნიშნავდა. (84;65-67) ისტორიკოსმა ჯანიერ როგავამ ივანე ჯავახიშვილის განმარტების საფუძველზე, ცაიშის ეტიმოლოგია ცისკრის ვარსკვლავს – ღვთაება ცას (აფროდიტეს) დაუკავშირა.

ისტორიკოს მამანტი პაჭკორიას აზრითაც, ცაიშის სახელწოდების წარმოშობა დაკავშირებულია ცის ვარსკვლავთან (114;42-43). ნოდარ წულეისკირი სახელწოდება ცაიშს უკავშირებს ცა ღვთაების სახეს. კერძოდ, ძველისძველ კოლხურ ღმერთს, მსხვილფეხა პირუტყვის მფარველ მაგიდეს. მისი აზრით: „მას კუთვნილი ადგილი მიწაზეც აქვს. ეს ადგილი გახლავთ ცაიში“ (132).

კალისტრატე სამუშიას აზრით, „ცც“-იონი ცაიშად წოდებული სოფლის ძველი სახელი ჩანს (118ა;140). აქ აღმოჩენილი ლომის თავი, შუბლზე მზის გამოსახულებით, ზოგიერთ არქეოლოგს მზე-ღვთაების ქანდაკებად მიაჩნია. ამ მიდამოებში მზე-ღვთაების კერპის აღმოჩენა წარმართობის ხანაში აქ მზე-ღვთაების სამლოცველოს არსებობაზე მიუთითებს და ალბათ ეს იყო იქ, სადაც ამჟამად ცაიშის ღმრთისმშობლის ეკლესია დგას, ან მის ზემოუბანზე, რომელსაც ციონს ეძახიან (116ა;128). მეცნიერი ასევე დასძენს: „ციურ ღვთაებათა შორის, მთვარესთან ერთად, მზე-ღვთაებაც ითვლებოდა, მისი კერპი აქ მდგარა, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ცაიში (ცეში) უნდა ნიშნავდეს მზე-ღვთაებას ცისა.. ასე რომ, გეოგრაფიული სახელები: ცაიში (ცეში) და ურთა წარმართული პერიოდის მზე და მთვარე ღვთაების კულტთან დაკავშირებული სახელებია“ (118ა;140). ამრიგად, კალისტრატე სამუშიას აზრით, სახელწოდება

ცაიში, მზე და მთვარე-ღვთაების კულტთან დაკავშირებული სახელწოდებებია, და წარმოდგება სწორედ მზე-ღვთაების სალოცავი ხისაგან – თელასაგან – მეგრულად „ცც“-სგან.

ჩვენი აზრით, ყველაზე მართებულად უნდა ჩაითვალოს ზემოდასახელებული მეცნიერის აზრი, რამეთუ ძველ აღმოსავლეთშიც საკმაოდ გავრცელებული იყო ხის კულტი. შესაქმის აქადურ მითში ცნობილია ხე ცარბათ (96;84), „ხე ცოცხალი სიმბოლოა ორი სამყაროს შემაერთებელი ღერძისა“ (96;84). მრავალი ხალხის წარმოდგენაში ხე იყო ზეცისა და მიწის დამაკავშირებელი „დიდი ღერძი“. ერთ შუშერულ შელოცვაში ვკითხულობთ: „კვერთხი, ცის ღერძი. კვერთხი-ღერძი ციური სახლისა. ფესვი მისი წყვილია. მწვერვალი მისი – ზეციური ტაბლა“. არის შემთხვევები, როცა მთიდან ამოზრდილი ხე მთის გაგრძელებაა ცის მიმართულებით. ერთ-ერთ ქართულ ზღაპარში ხე პირდაპირ გვევლინება მზესთან დამაკავშირებელ საშუალებად: „წავიდა, იარა, იარა და შეხვდა ერთი დიდი ხე, იმხელა იყო, რომ თვალს ვერ აწვდუნდა, ირემზე იყო ის დიდი ალვის ხე ამოსული, იმ ალვის ხეზე კიბე იყო, ამ კიბით მზის დედასთან უნდა მისულიყო“ (134;369). ცნობილია, რომ საკრალურ ხესა და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს ქართველური ტომების მითოლოგიურ აზროვნებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. რიგი გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეში წმინდა ხეებად ითვლებოდნენ მუხა, ცაცხვი, ტირიფი, იფანი, ალვა, ნაძვი, ფიჭვი, ჭადარი და სხვა მცენარეები (134ა;8).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სოფელ ცაიშის დასახელების წარმოშობაში იმავე მოვლენასთან უნდა გვეკონოდა საქმე და მართებულად უნდა ჩაითვალოს აზრი, რომ სოფელ ცაიშის სახელი წარმოდგება მზე-ღვთაების სალოცავი ხის თელასაგან – მეგრულად „ცც“-საგან. არგუმენტის სისწორეში ასევე გვარწმუნებს ის გარემოებაც, რომ „ცც“-ხე ღვთაების სამლოცველოები „ცეშის“ (ცაიშის) გარდა ცნობილია უჩაშონაში – ცეცონა, მუაჟავაში „ცშ“-ნაკარი წალენჯიხის რაიონსა და სოფელ მულახში – მესტიის რაიონში, ქართლში სოფელ თელეთში (118;140). ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ სოფელ ცაიშის მახლობლად სოფელ ცაცხვის სახელიც ხესთანაა დაკავშირებული. აქვე გვინდა დავსძინოთ, ცაიშის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფრაგმენტი – შუბ-

ლზე მზისგამოსახულებიანი ლომის თავი, მასთან დაკავშირებული სალოცავი ხის – თელას, მეგრულად „ცყ“-ს, კულტი და ურთის თხემზე არსებული სალოცავი „ჯვეთა“ მოწმობს, რომ საქმე გვაქვს, ალბათ, მითრას კულტის ქართულ ვარიანტთან. მოგვიანებით საქართველოში ქრისტიანობასთან ერთად შემოსულმა წმინდა გიორგის კულტმა მითრას ღვთაება თანდათანობით განდევნა (105;40). თუ დავაკვირდებით მითრას გამოსახულებების ევოლუციას, ვნახავთ, რომ II საუკუნის დასასრულიდან საქართველოში მითრა უკვე ცხენზე ამხედრებული და ბოლოს ემატება ისიც, რომ მიწის ქვემოთ ჩნდება გველის გამოსახულება (69;348-339).

გიორგი ღუნდუა ტრაპიზონის სპილენძის საქალაქო მონეტების იკონოგრაფიის შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ: „ახ.წ. II საუკუნის დასასრულს ხდება მენის შერწყმა მითრასთან, ერთიანდება ასტრალურ ღვთაებათა ტრიადა (მზე, მთვარე, ვარსკვლავები) სინკრეტულ ღვთაებად“ (69;338-339), ეთნოგრაფიული მასალის შესწავლის შედეგად სერგი მაკალათია გამოთქვამს მოსაზრებას, რომ წარმართულ საქართველოში წმინდა გიორგის წინამორბედი ღვთაება მირსა ანუ მითრა უნდა ყოფილიყო“ (105;37), რასაც მოწმობს დღემდე დაცული „მირსობა“, „მეისარობა“ და „ჯვე-მისარონი“ (105;37).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ტოპონიმი „ცაიში“ უძველესია აქ აღმოჩენილი ფრაგმენტი შუბლზე მზისგამოსახულებიანი ლომის თავი იმაზე მეტყველებს, რომ ამ ადგილას წარმართული სალოცავი იყო, რომელიც, თავის მხრივ, მითრას კულტს უკავშირდებოდა. სხვადასხვა ქვეყნის არქიტექტორები ლომის გამოსახულებებს მიიჩნევდნენ როგორც მკველ-დარაჯებს და მათ ტაძრების შესასვლელებში ათავსებდნენ. გარდა ამისა, ლომი ხომ თვით მზის კულტს უკავშირდებოდა. ლომის შუბლზე გამოსახული მზე კი ფაქტობრივად მითრას სიმბოლური გამოსახულება უნდა იყოს.

ამდენად, ტოპონიმი ცაიში უკავშირდება მზე-ღვთაების სალოცავ ხეს – თელას, მეგრულად „ცყ“-იონს, რომელიც, თავის მხრივ, მითრას კულტთანაა დაკავშირებული.

## §2. ცაიშის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი

ცაიშის საეპისკოპოსო საქართველოში ერთ-ერთი უძველესი საეკლესიო ცენტრია. მისი ისტორია დაახლოებით VI-VII საუკუნეებიდან იღებს სათავეს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მისი ქართულ სასულიერო-კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბება საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საეკლესიო რეფორმებს დაუკავშირდა. X საუკუნისათვის იგი უკვე ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისა და ქვეყნის ზნეობრივი დონის სრულყოფის სამსახურში დგას. სანამ თვით საეპისკოპოსოს ისტორიის განხილვას შევეუდგებოდეთ, მოკლედ განვიხილოთ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პროცესი. როგორც „ქართლის ცხოვრება“ იუწყება, დასავლეთ საქართველოში, და მათ შორის ოდიშშიც, ქრისტიანობის ქადაგება ქრისტეს მოწაფეებს ანდრია მოციქულსა და სვიმონ კანანელს მიეწერება: „ხოლო სკმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოპს ქალაქსა, შორის აფხაზეთის და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმინდა სკმონ კანანელი. ხოლო კუალად განამტკიცნა წმიდამან ანდრია მეგრელნი და აფხაზნი და წარვიდა სკკეთდ“ (23,43). ამის შემდეგ ანდრია გარდაცვლილა პატრამში 60 წლის 30 ნოემბერს, იგი პროკონსულ ეგეატას ბრძანებით გაუკრავთ ჯვარზე (162;37). ეპიფანე მონაზონი († 780) „წმინდა ანდრიას ცხოვრებაში“ წერს: „ამრიგად წმინდა ეპიფანე, კვიპროსის ეპისკოპოსი, გადმოცემის მიხედვით ადასტურებს, რომ წმინდა ანდრიამ იქადაგა სკვითებში, სოგდიანელებში, გორსინიელებში, დიდ სებასტოპოლისში, სადაც მდებარეობს აფსართა ციხესიმაგრე, ისოს ნავსადგურში და მდინარე ფაზისზე, სადაც ცხოვრობენ იბერები, საყსები, ფუსტები და ალანები. ამის საბუთი ხელთა გვაქვს“ (76;167). მიხეილ თამარაშვილის განმარტებით, წმინდა ეპიფანე 310 წელს დაიბადა და 403 წლის 12 მაისს გარდაიცვალა. იგი ყოფილა კონსტანციის (ყოფილი სალამინი) ეპისკოპოსი და კუნძულ კვიპროსის არქიეპისკოპოსი. დასავლეთ საქართველოში ანდრიას ქადაგების შესახებ ცნობა დაცულია ასევე ტილემონთან და IX საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოს ნიკიტა პაფლაგონიელთან. ივანე ჯავახიშვილმა ამ უკანასკნელის ცნობა და ანდრიას საქართველოში მოღვაწეობა საეჭვოდ მიიჩნია. ცნობილია, რომ დღეს ეს მოსაზრება არაა გაზიარებული. მ. თამარაშვილმა იმსჯელა ამ პრობლემის გარშემო და საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტებით დაასაბუთა ანდრიასა და



სვიმონის მოსვლა საქართველოში (76;132-139). ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ დღეს საყოველთაოდ ცნობილია ანდრია მოციქულის მარშრუტი, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას პონტოდან სკვითეთამდე (162;167). ამიტომაც უდავოა, რომ მას დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც უნდა გაეწოდებოდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ II საუკუნეში ფაზისში უკვე იყო საეპისკოპოსო, რომელსაც განაგებდა ცნობილი ერეტიკოსი მარკიოს პონტოელი (76;191). კოლხებთან და იბერიელებთან ურთიერთობა ჰქონია იმპერატორ ტრაიანესაგან დატყვევებულ რომის ეპისკოპოს კლიმენტსაც და ბოლოს, დას. საქართველოში ქრისტიანობას კარგად რომ იცნობდნენ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე 325 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებას ბიჭვინთის ეპისკოპოსიც ესწრებოდა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების ფაქტი გიორგი მთაწმინდელმა გამოიყენა ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობის დროს, როგორც ძლიერი არგუმენტი ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების დასაცავად: „ჩვენ პირველწოდებულსა და ძმისა თყისისა მწოდებლისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი, და ერთი წმიდა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონ ვიციყ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებული ვართ“ (14;215). ანდრია მოციქულის ქადაგება და შემდგომ წმინდა ნინოს მოღვაწეობა ერთმანეთს შეუსადაგა XI საუკუნის ქართველმა მეცნიერმა ეფრემ მცირემ, ხოლო 1104 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მისი დებულება ჭეშმარიტებად მიიჩნია და დააკანონა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 325 წლის ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების აქტებში პიტიუნტის ეპისკოპოს სტრატოფილეს მოხსენიება იმაზე მეტყველებს, რომ IV საუკუნის დას. საქართველოში ქრისტიანობა უკვე ფეხმოკიდებული იყო. ამ მხრივ საინტერესოა პრისკე პანიონელის ცნობა, რომლის მიხედვითაც გუბაზ მეფეს ბიზანტიელი კარისკაცები მოუხიბლავს „საქრისტიანო ნიშნების ტარებით ...“ ეს ცნობა, შეიძლება, მცირე მინიშნება იყოს ქრისტიანობის გაძლიერებაზე გუბაზის დროს ეგრისში (102;127).

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს V საუკუნის საეკლესიო ისტორიკოსის გელასი კვიზიკიელის ცნობას: „იმავე ხანებში ღმერთის ცნება მიიღეს

პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არ სწამდათ“ (42;186). გელასი კვიზიკიელის ძირითად წყაროს IV საუკუნის მწერლის გელასი კესარიელის „საეკლესიო ისტორია“ წარმოადგენდა (102;188), მაგრამ ივანე ჯავახიშვილმა ეს ინფორმაცია კვიზიკიელის საკუთარ დანართად მიიჩნია (137;230-231), თუმცა მისივე თქმით: „გელასი კვიზიკიელის ამ დანართს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს გარემოება, რასაკვირველია, იმის მომასწავებელია, რომ V საუკუნის მესამე მეოთხედში ლაზიკა, ანუ დასავლეთი საქართველო, უკვე დიდი ხნის გაქრისტიანებული უნდა ყოფილიყო და ქრისტიანობის დასაწყისი იქ მაშინ IV საუკუნის დროინდელად ყოფილა მიჩნეული“ (137;230-231), ე. ი. დაახლოებით მაშინ, როცა ეს იბერიაში მოხდა (102;188), ხოლო უკვე VI-VIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს სამი საეკლესიო ოლქი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში, რომელთა შორის პირველია ლაზიკის მიტროპოლია და მასში შემავალი ოთხი საეპისკოპოსო, მათ შორის დაბა ცაიშისა. საყურადღებოა, რომ დაბა ცაიშის სახელწოდება ბერძნულ ნოტიციებში წარმოდგენილია სხვადასხვა სახით. სიმონ ყაუხჩიშვილი განიხილავს მათ და მიდის იმ დასკვნამდე, რომ გაუგებრობა მხოლოდ გადამწერის ბრალია (421;187). ასე რომ VIII საუკუნეში კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორისაა დასახელებული ლაზიკის სამიტროპოლიტო, რომელსაც ექვემდებარება ოთხი ქალაქი, ე. ი. ოთხი საეპისკოპოსო: როდოპოლისის, საისინთა (ე. ი. ცაიშის), პეტრის და ზიგანეთა (42;188). VI-VIII საუკუნეებში. ე. ი. იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველო ბიზანტიის იმპერიის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ყველა ზემოდასახელებული საეკლესიო ოლქი კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ნაწილად არის მოხსენიებული (77;234-35). ყველაზე გვიანი ხანის დოკუმენტი, რომელშიც დას. საქართველოს საეკლესიო ოლქები და მათ შორის ცაიშის საეპისკოპოსო მოიხსენიება, როგორც ნაწილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსი, არის ნოტიციები № 3, 4 და 5. პავლე ინგოროყვას აზრით, ამ დოკუმენტების არქეტიპები ეკუთვნის VIII საუკუნეს, ხოლო მათი არსებული რედაქციები IX საუკუნის პირველ მესამედს. ნოტიციები № 3-4, 806-815 წლებისაა, ნოტიცია №5, 729-829 წლებს ეკუთვნის (77;234-354). მეცნიერის აზრით, ასევე არაა გამორიცხული, რომ ეს

დოკუმენტები VIII საუკუნის I ნახევრის არქტივიდან მომდინარეობდეს, მით უფრო, რომ აქ შემოთავაზებული გეოგრაფიული ნომენკლატურა VIII საუკუნეში არსებულ ვითარებას ასახავს (77;234-35); ამიტომაც სავარაუდოა, რომ IX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ოლქები (სებასტოპოლისის ბერძნული კოლონიის გარდა) და მათ შორის ცაიშის საეპისკოპოსოც ჩამოშორებული იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. „მაგრამ, რადგან ეს ჯერ კიდევ ახალი დროის ამბავი იყო, ანდა რადგან ჩამოშორების ეს პროცესი ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დამთავრებული და არ ჰქონდა ჯერ კიდევ მიღებული ოფიციალური ცნობა, ამიტომაც ამ უკანასკნელი ნოტიციების შემდგენელ გადამწერებს, შესაძლოა, არ გაუწევიათ ანგარიში ახალი ვითარებისათვის და აღარ ამოულიათ დას. საქართველოს კათედრები VIII საუკუნიდან გამომდინარე პირველდენიდან“ (77;235). ამის შემდეგ საყურადღებოა კეისარ ლეონ VI-ის დროინდელი ნოტიცია, რომელიც IX-X საუკუნეთა მიჯნას, კერძოდ 886-911 წლებს, ეკუთვნის. № 6 ნოტიციაში უკვე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში აღარაა მოხსენიებული ექვსი კათედრა: ფოთის მიტროპოლია, საეპისკოპოსოები: ძილანებისა, ცაიშის, პეტრასი და ვარდციხისა, აგრეთვე, ნიკოფსისის სამთავარეპისკოპოსო (77;235).

ეს უდიდესი მოვლენა იყო არა მარტო ცაიშის საეპისკოპოსოსა და ქართული ეკლესიისათვის, არამედ იმდროინდელი საქართველოსათვის, რადგან ერთიანი ქვეყნის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი გახლდათ ქართული საეპისკოპოსოების კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებიდან გამოსვლა. ჯერ კიდევ სუსტ სახელმწიფოში ეკლესია თუ ერთიანი არაა, ძნელია ილაპარაკო მის მომავალ ძლიერებაზე. ტენდენცია ეგრის-ქართლის ეკლესიების გაერთიანებისა VIII-IX საუკუნეებში მჟღავნდება (7;146). სწორედ ამ ტენდენციის გამოხატულება გახლდათ გიორგი მერჩულის სიტყვები: „ქართლად ფრიადი ქუეყანაა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კურილეისონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო წყალობა ყავ“ (15;20). ნიკო ბერძენიშვილის ვარაუდი, რომ ჯერ ეგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება მოხდა და შემდეგ ამ ეკლესიის მეთაურის აფხაზთა კათალიკოსად აღზევება, წყაროებიდან არ ჩანს, მაგრამ ამ ფაქტს მხარს ის უჭერს, რომ დასავლეთ საქართვე-


ლოს ეკლესია მთლიანად შევიდა მცხეთის სამწყსოში. ფაქტია ისიც, რომ დას. საქართველოს გაერთიანებული ეკლესია და მისი მეთაური კონსტანტინოპოლზე იყო დამოკიდებული (136;121). აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ „საქართველოს ეკლესია ხატების მებრძოლთა წინააღმდეგი ყოფილა და აღმოსავლეთში მაშინ თითქმის ერთადერთი ეკლესია იყო, რომელიც ძველს წესს იცავდა და ხატების თაყვანისცემა არ უარუყვია“ (136;121). ზემოხსენებული მეცნიერის აზრით, ბიზანტიასთან დას. საქართველოს ეკლესიის ამ საკითხებში შეუთანხმებლობამ, ამასთანავე, იმპერიის დასუსტებამ და ამ მხარის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებამ გამოიწვია მცხეთის საკათალიკოსოს უფლებების დამკვიდრება დას. საქართველოში (136;121).

ჩვენს მიერ ხსენებული ლაზიკის ეპარქიისა, და მათ შორის ცაიშის საეპისკოპოსოს გამოსვლა კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებიდან დიდ ძალისხმევას ითხოვდა და ალბათ თანდათანობით მიმდინარეობდა. ვახუშტი ბატონიშვილი ამ აქტს პოლიტიკური დამოუკიდებლობის პროცესს უკავშირებს: „ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძღურებულ იყვნენ ბერძენნიცა და ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომად მისთაგან, განთავისუფლდა თხოვნითა და ბერძენთაგანვე (იგულისხმება აფხაზეთის კათალიკოსი — გ. კ.), ვინაიდან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოსსა აფხაზეთისასა, და არა ეგრისისა და იმერეთისასა“ (12;746). საინტერესოა, თუ როდის მოხდა ზემოხსენებული საეპისკოპოსო კათედრების, და მათ შორის ცაიშის გამოსვლა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან?

კორნელი კეკელიძის აზრით, დას. საქართველოს საკათალიკოსო V საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბდა, როდესაც გაუქმდა ლაზიკის სამიტროპოლიტო და აბაზგიის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო (95;357).

სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით კი, დასავლეთ საქართველოს კათედრები V საუკუნის დასაწყისში უკვე გამოეთიშა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს (42;193-201).

ნიკო ბერძენიშვილის აზრით, პირველ ხანებში პოლიტიკურად არცთუ ისე ძლიერი აფხაზეთის მეფეები მოერიდებოდნენ საეკლესიო საკითხის გამწვავებას და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხოლოდ საეკლესიო გაერთიანების დასტურს მოსთხოვდნენ. გაერ-



ცაიშის ტაძარი. XIII-XVII სს. ჩრდილოეთის ფასადი.

თიანება კი აფხაზეთის ავტოკეფალიური არქიეპისკოპოსის მეთაურობით უნდა მომხდარიყო. მაგრამ ასეთი მდგომარეობა საბოლოო ვერ იქნებოდა, არც ლაზთა ეკლესიის მეთაურის (ფოთის მიტროპოლიტი) და არც მცხეთის ტახტი ამით კმაყოფილი არ უნდა ყოფილიყო. რადგან მცხეთის საკათალიკოსოს ძველთაგანვე მტკიცედ ჰქონდა მოკიდებული ფეხი ამ ქვეყნებში და აფხაზეთის მეფეებიც იძულებული იყვნენ, სათანადო ანგარიში გაეწიათ ქართული ეკლესიის ინტერესებისათვის, რამეთუ მათ საბრძანებელში მცხეთის სამწყსოს მოზრდილი ნაწილი – სკანდა-შორაპნის ხაზი – ლიხს შუა იმყოფებოდა. (63;598).

X საუკუნის დასასრულს კი ლიხთ-იმერეთის საეკლესიო რეფორმა დასრულებული ჩანს: „გაქრა ბერძნული ეკლესია და მისი იერარქია. შეიქმნა ქართული იერარქია, რომლის უმაღლესი მეთაური აფხაზეთის კათალიკოზი ქართლის კათალიკოზს დაემორჩილა“ (63;599).

ჩვენი აზრით, ერთი რამ უდავოა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორც იყო დასავლურქართული და აღმოსავლურქართული ეკლესიების გაერთიანება, ერთბაშად ვერ მოხდებოდა. ამიტომ,

დასავლეთის საეპისკოპოსოთა გამოყოფა კონსტანტინოპოლიდან და მცხეთის ტახტისადმი დაქვემდებარება სავარაუდოდ IX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა (103;424). იგი საბოლოოდ, ალბათ, X საუკუნისათვის დასრულდა. ამ დებულებას ცხადყოფს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ კათედრათა ნუსხა, სადაც უკვე X საუკუნის ნოტიციებში არცერთი დასავლურ-ქართული საეპისკოპოსო აღარ მოიხსენიება. „საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთის ტახტთან დაკავშირებას ახორციელებდა, თვალნათლივ მიუთითებს თვით ამ სახელმწიფოს (ეგრის-აფხაზეთის) აშკარად გამოხატულ ქართულ შინაარსზე“ (103;426).

ამრიგად, ცაიში დას. საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსოა, მისი მოხსენიება VI–VIII საუკუნეების ბერძნულ ნოტიციებში იმაზე მეტყველებს, რომ ცაიშის საეპისკოპოსო უფრო ადრე უნდა შექმნილიყო, VI–VII საუკუნეთა მიჯნაზე მაინც. X საუკუნისათვის იგი მცხეთის საკათალიკოსო ტახტს დაექვემდებარა და ერთ-ერთი უძლიერესი ქართული სასულიერო და კულტურული ცენტრი გახდა.

### §3. ცაიშელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

„ცაიშის მონასტერი დასავლეთ საქართველოს პატივდებულ მონასტერთა რიცხვს ეკუთვნის და სამეგრელოში მდებარეობს“ (61;188). მისი ზურთმოდგერული კომპლექსი ქალაქ ზუგდიდის სამხრეთ-დასავლეთით ათიოდე კილომეტრზეა განლაგებული და კოლხეთის დაბლობის მთების დასაწყისშია გაშლილი.

ცაიში, როგორც საეპისკოპოსო, ბერძნულ წყაროებში მოიხსენიება უკვე VI–VIII საუკუნეებიდან, მაგრამ X საუკუნემდე ცაიშელ ეპისკოპოსთა შესახებ არაფერია ცნობილი.

პირველი ცაიშელი, რომელიც ისტორიულ წყაროებშია მოხსენიებული, გახლავთ ეფრემი. მისი სახელი დატანებულია ცაიშის დიდ საწინამძღვრო ჯვარზე: „წმიდაო ძელო ცხორებისაო, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და კურაპალატი“. აქ მოხსენიებული ბაგრატი უნდა იყოს ან ბაგრატ III, რომელიც მეფობდა 978-1014 წლებში, ან ბაგრატ IV, რომელიც 1027-1072 წლებში მოღვაწეობდა. ექვთიმე

თაყაიშვილის აზრით, ეს ჯვარი გაძარცვულია და შემდეგ უფრო გვიან, „ხელობის დაქვეითების ხანის დროს, ახლად შეუჭვდიათ და ის ორი ძველი წარწერა, რომელიც კიდევ შერჩენილი ყოფილა ნამტკრევებზე, ახლად გადაუწერიათ“ (72;178-179, შდრ.59;6-7).

შემდეგი საინტერესო ისტორიული წყარო ცაიშის ტაძრის სამრეკლოს სამხრეთ კედელზე დატანებული წარწერაა, ზოგიერთი ადგილის გახსნით იგი შემდეგნაირ სახეს მიიღებს:

[. . .] [აღ]ვ[ა]

შენე წმიდაი ესე საყდარი გიორგი

წმიდისა ბრძანებთა ვდა მზრ [...]

[. . .] ბ[-] ლ ცაიშ[ლისა] (წარწერა ამოკითხულია თ. ბარნაველის მიერ). ვ. სილოგავა კი წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: [ქ. სახელით ღმრთისაჲთა აღვა] შენე ესე საყდარი გ(იორგ)[ი] დაღია[ნისა] ბრძანებითა და მახარ[ებლისა] [იოვანეს შეწვენი]თა ცაიშელ[მან][... (39;175)]

ბოლო სტრიქონიდან შეიძლება ამოვიკითხოთ ბასილი ცაიშელი. ასეთი ცაიშელი ისტორიულ დოკუმენტებში არ ჩანს. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XIII-XIV საუკუნეებს ეკუთვნის (39;175). ამ არგუმენტს ისიც უწყობს ხელს, რომ XIII საუკუნის ბოლოს, ბედან II-ის გარდაცვალების შემდეგ, ოდიშის ერისთავი გახდა მისი



რელიეფი ცაიშის ტაძრის სამრეკლოს ჩრდილოეთ ფასადზე.

მემკვიდრე გიორგი I. ამიტომ, სრულიად შესაძლებელია, რომ წარწერაში ხსენებულ გიორგი იყოს ოდიშის ერისთავი გიორგი I დადიანი, რომელიც 1323 წელს გარდაიცვალა. ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდის გარკვეულ მონაკვეთში – დაახლოებით XIII საუკუნის ბოლოდან 1323 წლამდე – საეპისკოპოსოს ბასილი ცაიშელი განაგებდა.

ცაიშში მოღვაწე ერთ-ერთი ეპისკოპოსის ვინაობას ვიგებთ თოფურიძეთა სიგელის მიხედვით (31;233). თედო ჟორდანიას აზრით, სიგელი გაცემულია იმერთა მეფის ალექსანდრე II-ის დროს (31;233). ჩვენი აზრით კი, თოფურიძეთა სიგელი არა იმერთა მეფის ალექსანდრე II-ის (1484-1510), არამედ საქართველოს ერთიანი მეფის ალექსანდრე I-ის დროს გაცემულად უნდა ჩაითვალოს (94;210-211. იხ. ასევე აქვე მოქველ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი). აღნიშნული დოკუმენტი იურიდიული სახისაა, რომელშიც მოწმეთა შორის მოიხსენიება ბართლომე ცაიშელი (31; 234).

სამწუხაროდ, ამ მწირი ცნობის გარდა ბართლომეს შესახებ სხვა ცნობა არ გავაჩნია. ამიტომაც, მისი მოღვაწეობის დათარიღება, ძირითადად, ამ დოკუმენტის მიხედვით გვიხდება. ამდენად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ბართლომეს ცაიშის კათედრაზე დაახლოებით 1412-1442 წლებში უმოღვაწია.

შემდეგი ცაიშელი, რომელიც ისტორიულ დოკუმენტში მოიხსენიება, გახლავთ დანიელი. მის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწოდის სიგელი დანიელ ცაიშელ მთავარეპისკოპოსისა ლაბსყელდაში-სადმი, გთავაზობთ ტექსტს: „სახელითა ღმრთისაითა ცაიშის ღმრთისმშობელისათა თვესა სეკდ(ემ)ბ(ე)რსა ათუთხმეტსა, მე, ცაიშელი მთ(ა)ვ(ა)რებ(ი)სკოპოსი დან(ი)ელი, ლაბსყელდასა მივ(ე)დი. ვაკურთხე მთავარანგელოზი ლაბსყელდაშისა, დემეტრე მეფისა მეფობასა შიგა. ერისთ(ა)ვთ-ერისთავისა დად(ია)ნისა ოზბ(ე)გისა ბრძანებითა და მოწმებითა და ცხმ(ა)რისა ხეუმ(ა)ნ დაუწერეთ მთ(ა)ვ(ა)რანგელო(ზ)სა ლაბსყელდაშისა საპ(ა)ტიჟიო: ზღუდესა შიგნით სამოცდ(ათი)ათ(ასისა) თეთ(რი) საპატ(ი)ჟიო. მას გარე საპ(ა)ტ(ი)ჟიო, - სადა სარეკლ(ი)სა ხმაი ისმის, რვაი ათასის თეთრისა მისი საპატ(ი)ჟიო დაგვიცს ... მე, ცაიშელ მთავარეპისკოპოსმან დანიელ ვამტკიცე, და ჩუენ ერთობილთა ხვეთა ცხმარისათა, მეფეთ, დადიანისა ბრძანებითა. ვ(ინ)ც გა(ა)მ(ა)გროს კურთხ(ე)ულიმც არს, ვინც შესც(ვ)ალოს, კრ(უ)ლ(ი)მც არს ღ(მრ)თ(ი)სა მ(ა)დლ(ი)თა: მე, კაკა-



სატსა დავ(ი)თს დამი(წერ(ი)ა, მოწამეც ვარ ამა სიგელისა“. (37;172). ამ საბუთში, როგორც ვხედავთ, ერთად არიან მოხსენიებულნი მეფეთ-მეფე დემეტრე, ერისთავთერისთავი დადიანი ოზბუგ და დანიელ ცაიშელი. საბუთის დათარიღებისას ქართულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა მისი დათარიღების რამდენიმე ვერსია: თაყაიშვილმა იგი XIII საუკუნის ძველად ჩათვალა, ისიღორე დოლიძემ დაათარიღა დემეტრე II თავდადებულის ზეობის წლებით – 1271-1289 წწ. (37;25,172), ხოლო პავლე ინგოროყვამ 1441-1452 წწ. (79;12). მან დასახელებული დემეტრე მიიჩნია ალექსანდრე I დიდის ძედ დემეტრედ, რაც სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ დათარიღება მაინც დაკონკრეტებას მოითხოვს.

ჩვენი აზრით, საბუთი სწორად დაათარიღა ვ. სილოგავამ, რასაც მეორე დოკუმენტი, კერძოდ, ცაიშის ტაძრის საწინამძღვრო ჯვრის წარწერაც ადასტურებს, რომელიც გამოქვეყნებულია ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომში: „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში“. წარწერა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: „სისხლითა შენითა მოგებულსა ნუ უგულბებელს მყოფ დღე(სა) მას განკითხვისასა (პატრონსა) მეფეთა მეფებასა, ძესა ალექსანდრ(ე)სა (ბაგრატს), რომელმან წარუძღვანე ჯვარი ესე დანიელ ჩაისელსა (ამინ)“ (72;180). ექვთიმე თაყაიშვილი აქვე ბრძანებს: „აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ფრჩხილებში ჩასმული ბაგრატი უბრალო მოსაზრებაა და არავითარი დასამტკიცებელი საბუთი არა გაქვს ამის“ (72;180). ფრჩხილებში კი სწორედ ზემოხსენებული დიმიტრი მეფის სახელი უნდა ჩაისვას. ამიტომ დანიელის სიგელი ალექსანდრე I დიდის ძის დემეტრეს მოღვაწეობის წლებით (1445-1452) უნდა დათარიღდეს, აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დანიელსაც დაახლოებით ამ პერიოდში უმოღვაწია.

დანიელის შემდეგ ისტორიული წყაროები მოიხსენიებენ ბედიელ-ცაიშელ მთვარეპისკოპოსს იოაკიმეს. ბაგრატი მეფისა და შამადავლე დადიან-გურიელის მეოხებით იოაკიმე აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხა არა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, არამედ ამ დროს დასავლეთ საქართველოში სტუმრად მყოფმა ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქმა მიხეილმა, ამის შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგა. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ „მცნებაი სასჯულო“: „... მაღალმან ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისამან და ცათა მობაძავისა ანტიოქიისამან, და მოვევლინე ღრთისა მიერ მე, ყოველთა ნარჩევი,

იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქი მიხეილ ... ქართლისა და აბხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქისა პატრიარხისაგან იკურთხოლნენ. ჟამთა სიძველისაგან და სოფლისა სივერაგეთაგან იყვნეს მრავალნი წესნი შეშლილ და გარდაქცეულ ვნახეთ და შევემთხვნეთ მადლსა, ვითარცა მეუფესა, ცაიშელ-ბედიელ მთავარეპისკოპოსისა იოვაკიმისთა, ... ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯვენაი იერუსალიმისა, აფხაზეთისა, კათალიკოზი და კურთხეულმცა არს: დავაყენეთ და დავსვით აფხაზეთს საყდართა ანდრია მოციქულისათა, ყოველთა ქრისტიანეთა ლიხთ-ამერთა“ (30;294).

ჩვენი აზრით, იოაკიმე უშუალოდ დანიელის შემდგომი ცაიშელი უნდა ყოფილიყო. ზემოხსენებული ბაგრატი იმერეთის ერისთავი 1445-1462 წლებში იყო. ჩიხორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ბაგრატი II-ის სახელწოდებით იკურთხა იმერეთის მეფედ. 1466 წელს იგი ქართლის ტახტსაც დაეუფლა და ორივე სამეფოს განაგებდა ბაგრატი VI-ის სახელწოდებით, შამადავლე კი 1470-1474 წლებში მოღვაწეობდა. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამ ორი ისტორიული პირის მოღვაწეობის წლებით უნდა განისაზღვროს იოაკიმე ცაიშელის ეპისკოპოსობა. საეჭვოა, რომ მას აფხაზეთის კათალიკოსად კურთხევის შემდეგ შეენარჩუნებინა ამ ეპარქიათა უშუალო ხელმძღვანელობა. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, იოაკიმე ცაიშში დაახლოებით XVI ს-ის 50-70-იან წლებში მოღვაწეობდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი ცაიშში ეპისკოპოსად მოღვაწეობაც დაახლოებით ამ პერიოდს ემთხვევა.

ექვთიმე თაყაიშვილმა სუჯუნის მონასტერში მიაკვლია წმინდა გიორგის ხატს. გიორგი ფეხზე მდგომარეა, მარჯვენა ხელში გრძელი ფარი, მარცხენაში კი შუბი უკავია. ხატის ეს ნაწილი ძველია, ხოლო მასზე შემოვლებული არშია XVII საუკუნეს ეკუთვნის (72;23). წმინდა გიორგის ფარზე ასომთავრულით დატანებულია წარწერა: „ქე შე იო ცმლ ფლგიძე“, ექვთიმე თაყაიშვილმა ეს წარწერა შემდეგნაირად ამოიკითხა: „ქრისტე შეიწყალე იოანე ცაიშელი ფოლაგისძე“ (7;23). მეცნიერი აღნიშნავს: „არც ის ვიცი, თუ როდის ცხოვრობდა იოანე ცაიშელი. ვიტყვი მხოლოდ, რომ ხელობა ხატი-სა კარგია და ძველ დროს უნდა ეკუთვნოდეს“ (72;23). როგორც ვხედავთ, მეცნიერი ვერ ათარიღებს ხატის ხელობას, ჩვენც არაფერს ვიტყვით ახალს, ერთადერთს დავსძენთ — რადგან ხატზე შემოვლებული არშია XVII საუკუნისაა და ლევან დადიანს ეკუთვნის, შეი-

ძლებს ვივარაუდოთ, რომ ხატი უფრო ადრინდელია, დაახლოებით XV-XVI საუკუნეებისა და იოანე ფოლაგისძის ეპისკოპოსობაც, ალბათ, დაახლოებით ამ პერიოდს ემთხვევა.

შემდგომი ჩვენთვის ცნობილი ცაიშელი ეპისკოპოსია დავითი, რომელსაც კაცხის მაცხოვრის ეკლესიისათვის მახარებელ კუპატაძისა და მამულის შეწირულობა განუახლებია. ს. კაკაბაძის დათარიღებით ეს საბუთი 1580-1590 წლებს შორისაა შედგენილი (85ა; 48). ამავე პერიოდით უნდა განისაზღვროს დავითის ცაიშელობაც.

ცაიშის ეპისკოპოსის ვინაობაზე XVI საუკუნეში ცნობას გვაწვდის ცაიშის ვერცხლის საწინამძღვრო ჯვარზე დატანებული წარწერა, რომელშიც ნათქვამია: „წმიდაო ჯვარო ქრისტესო, შეიწყალე და დაიცვე მშვიდობით ლეონ დადიანი ორთავე შინა ცხორებათა“. „ჯვარო ქრისტესო, შეიწყალე მამათმთავარი კირილე ჟუანიძე“ (72;177. შტრ. 59;11). ხსენებული კირილე ჟუანიძე ასევე გვხვდება ზუგდიდის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში, რომელიც მანამდე ბედიის ტაძარს ეკუთვნოდა. აქ იგი ცაიშელ-ბედიელად იხსენიება. წარწერაში ასევე ვხვდებით გიორგი დადიანსა და მის მეუღლე თამარს. ირკვევა, რომ კირილე ჟუანიძეს ორი დადიანის დროს უმოღვაწია, ესენია ლეონი (1572) და მისი ძე გიორგი II (1582). გარდა ამისა, კირილე ცაიშელი დასწრებია იმერთა მეფის ბაგრატ III-ის მიერ XVI საუკუნის 50-იან წლებში მოწვეულ საეკლესიო კრებას (12; 823-824).

აღნიშნულ წყაროთა შეჯერების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კირილეს დახლოებით XVI ს-ის 50-80-იან წლებში უმოღვაწია.


შემდეგი ჩვენთვის ცნობილი ეპისკოპოსია მაქსიმე I. იგი მოიხსენიება ერკეთის გულანის მინაწერში: „დაიწერა წმიდა ესე გულანი ეპისკოპოსობასა ცაიშელ მამათ-მთავრისა მაქსიმესა“ (57;187). აქვე ნათქვამია: „... ცაიშის ღმრთისმშობელო, ჩუენ სასოებით ცვაჲ ფარვათაჲ თქვენთაჲ მონაჲ მოსაემან და მონდობილმან თქვენმან ... აფხაზეთისა და ჩრდილოეთისა კათალიკოზმან ეფთჳჲმე საყვარელისძემან, ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და შემოგწირეთ წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი გულანი ...“ (57;187). მინაწერში ასევე აღნიშნულია: „ცაისშავო ღმრთისმშობელო, ჩვენ, მინდობილმან თქვენმან დედოფალმან ელენე შემოგეხვეწეთ ... მფარველ ექმნათ ძესა ჩვენსა მანუჩარს“ (58;187).

მინაწერების წამკითხველი დიმიტრი ბაქრაძე მიიჩნევს, რომ აქ მოხსენიებული ელენე, ქართლის მეფის სვიმონ I-ის ასული, ათაბაგ მანუჩარ II-ის მეუღლეა, მცირეწლოვანი მანუჩარი კი ათაბაგი მანუჩარ III-ეა (1614-1656) (57;188). ჩვენი აზრით, სინამდვილე სხვაგვარია. ელენე, სამეგრელოს მთავრის მამია IV-ის († 1590) მეუღლე, როსტომ გურიელის ასული უნდა იყოს (94ა;107-112), ხოლო მანუჩარი სამეგრელოს მთავარი – მანუჩარ I დადიანი (1590-1611). ცნობილია ისიც, რომ ერკეთის გულანი თავდაპირველად ცაიშისათვის შეადგინეს და იგი 1578-1590 წლებს შორის დაიწერა (30;436). მინაწერში სხვა ისტორიულ პირებთან ერთად მოხსენიებული აფხაზეთის კათალიკოსი ეფთჳმე საყვარელიძე 1578-1605 წლებში მოღვაწეობდა. ამდენად, მაქსიმე I-ის ცაიშელობა 1590-1605 წლებით უნდა განისაზღვროს.

შემდეგი ცაიშელი, რომელიც ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება, მალაქია გურიელია. პირველი საბუთი, სადაც იგი გვხვდება, გახლავთ ცაიშის დიდი ზომის ხატი ჯვარცმისა: „წ. მას ჟამსა, ოდეს საჭედ ვიპყრობდი ცაიშის, ჯუმათის საყდარსა ზედა, ჩვენ, ძემან გურიელისა, პატრონისა გიორგისამან, პატრონმან მალაქია, კელვყავ ცაიშის ტაძრისა შემკობად და დაეახატვინეთ, აღვასრულეთ გუმბადი ვიდრე საფუძველადმდე, და შევამკვეით, ვითარცა შვენის სახლსა ღმრთისასა და წმიდათა მისთა და განვისვენე წელ ერთ. ეჰა სახიერებასა და მიუწლომელობასა ღმრთისასა, შეაძრწონა და შეარყია ქვეყანა ესრეთ: იქმნა ძრვა დიდი და საკვირველი ქვეყანასა ამას ჩვენსა, რომელი არაოდეს ყოფილა. იძროდა ვითარ წელ ერთ და შეიმუსრნეს ეკლესიანი მრავალნი და დაირღვივნეს დაბანი, ხოლო საყდარიცა ესე ცაიშის დაეცა, შეიმუსრა თავითგან ვიდრე საფუძველადმდე, გალავანით, ყოვლითა ნაშენებით მითურთ, და დაილეწნეს ყოველნი ხატნი და იარაღნი ეკლესიისანი და არარა დაშთა რა. ხოლო ოდეს მოხედვა ყო ღმერთმან წყალობითა თვისითა და დაეყენა ძრვა იგი ამისად შემდგომად წელსა მეორესა ჯერჩინებითა ღმრთისათა და მოწმობითა ყოვლისა საქართველოსა ერისათა, მყუვეს კათალიკოზ აფხაზეთისა და ჩვენ დიდმან მამათმთავარმან ყოვლისა ჩრდილოეთისა კედართა კათალიკოზ-პატრიარქმან, ცაიშელ ჯუმათელმან, ძემან გურიელისა პატრონისა გიორგისამან, პატრონმან, მალაქია მეორე კელვყავ აღშენებედ ტაძრისა ამის და მკობად ხატთა და მოვაჭვდინეთ ძელი ცხოველი ... ქორონიკონსა ტ.ზ.“ (59;16-17):

მალაქიას ღვაწლის შესახებ მოგვითხობს ასევე „საქაიშლოს გამოსავალი მოსაკრებულობის დავთარი“, სადაც ნათქვამია, რომ „როდესაც საშინელისა ძურისაგან ცათა მობაძავე ცაიშის ეკლესია დაიქცა, ... ბრძ(ა)ნებითა და შეწვევითა ღიდისა კელმწიფისა დაღიანის ლეონისათა მე, ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზ ცაიშელ-ჯუმათელ-ზონელმან, გურიელის გიორგის ძემან, მალაქიამ აღვაშენე ცაიშისა ეკლესია“ (37;438).

როგორც ვხედავთ, პირველი წარწერა შეიცავს ცაიშის ტაძრის ისტორიის ორ პერიოდს: I. როცა მალაქიამ, ჯერ ცაიშელ-ჯუმათელ-ზონელმა, შეამკო ტაძარი და მოახატვინა გუმბათიდან „ვიდრე საფუძველადმდე“, რის შემდეგაც ერთი წელი დაისვენა; II. როცა უკვე აფხაზეთის კათალიკოსი გახდა და მიწისძვრით დანგრეული ცაიშის ტაძრის აღდგენა დაიწყო. (ამაზე მეორე წყაროც საუბრობს). იმის გასაგებად, თუ როდის გახდა მალაქია ცაიშელი ეპისკოპოსი, საჭიროა,



მალაქია გურიელის პორტრეტი  
კასტელის მიხედვით

ჯერ დავადგინოთ, თუ როდის მოხდა მიწისძვრა და როდის ეკურთხა იგი აფხაზეთის კათალიკოსად. უკანასკნელის შესახებ არსებობს რამდენიმე ვერსია: თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ მეორე წიგნში მოჰყავს გელათური წმ. გიორგის ეკლესიის გულანის მინაწერი (30;455), რომელშიც ნათქვამია: „ამავე ქ-ს (ე. ი. ს.ჯ. 293-1605) აფხაზეთის კათალიკოსი ეფთუმი მიიცივალა და ცაიშელ-ჯუმათელი გრიგოლის შვილი მალაქია კათალიკოსად დასვეს“. იქვე ზემოთ წერია: „ამასავე ქ-სა (ე. ი. ს.ჯ.) თვესა მათსა: იგ: დღესა ორშაბათისა კელი ყვეს ცაიშის საყდარს აღსაშენებლად“ (30;455).

სარგის კაკაბაძე „სატაიშლო გამოსავლის დავთარში“ იძლევა იმავე გულანის მინაწერს შემდეგნაირად: „ტღ,“ ე. ი. 304-1616. ამ თარიღს ავტორი ყოველგვარი განმარტების გარეშე გვთავაზობს, მაგრამ „აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგრის“ გამოცემის შენიშვნაში წერს, რომ თედო ჟორდანიას წაკითხვა მცდარიაო (83ა;1).

პ. ზაქარაიას აზრით, იმავე საკითხზე უნდა იყოს საუბარი ერკეთის გულანში ჩართულ კვინკლოსშიც (71;14), სადაც ნათქვამია: „აქა აფხაზეთის ... მიიცივალა და კ-ზად გურიელის შვილი დაჯდა“ (141ა;151). ქორონიკონით 304-1616 წელია.

ხსენებული მეცნიერი ფიქრობს, რომ აქ უთუოდ მეორე სიტყვის შემდეგ დასმული სამი წერტილის ადგილას ეწერებოდა სიტყვა „კათალიკოზი“ და მისი სახელი „ეფთუმი“. გურიელის შვილი სხვა არავინ ყოფილა და ისიც ამ ქორონიკონის ახლო წლებში, თუ არა ისევ მალაქია, ხოლო გარდაცვლილ კათალიკოსად უნდა ვიგულისხმოთ ეფთუმივე საყვარელიძე (71;14).

რადგან გაირკვა, რომ მალაქია კათალიკოსად 1616 წელს უკურთხებიან, ადვილი გასაგებია მიწისძვრის მოხდენის თარიღიც, — როგორც წარწერებიდან ჩანს, „... წელსა ერთსა სრულიად ქვეყანა იბროდა“, რა თქმა უნდა, მიწისძვრა ერთი წლის განმავლობაში პერიოდულად მიმდინარეობდა (71;15), რამაც საშინელი ზიანი მოიტანა. მიწისძვრის შეწყვეტის შემდეგ მეორე წელს მალაქია კათალიკოსად დაუსვამთ. აქედან ცხადია, რომ მიწისძვრა 1614 წელს მომხდარა (71;15). პ. ზაქარაია ასევე გვაწვდის მონასტრის პირველი მოხატვის თარიღსაც — 1612 წელს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მალაქია 1612 წელს უკვე ცაიშელი ეპისკოპოსია, ამიტომაც შესაძლებელია, მალაქიას გაცაიშელება მართლაც 1605 წელს მოხდარიყო, როგორც ამას ე. თაყაიშვილი ფიქრობს (71;190). აფხაზე-

თის კათალიკოსად კურთხევის შემდეგ „მალაქია ცაიშის საეპისკოპოსო კათედრასაც განაგებს. ის მარტო სახელით კი არა, რეალურად არის ცაიშელი მთავარეპისკოპოსიც“ (61;121).

მალაქია გურიელს აფხაზეთის კათალიკოსობა 1639 წელს დაუსრულებია. აქედან გამომდინარე, ჩვენც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მალაქია ცაიშს დაახლოებით 1605-1639 წლებში განაგებდა.

მალაქია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოღვაწეა ქართული ეკლესიის ისტორიაში. მის შესახებ ლაღაღებს უამრავი წყარო, ოღიშის თითქმის ყველა სასულიერო ცენტრი იცნობს მას. ღვთისმშობლის კვართის სანაწილე კოლოფის წარწერაში ნათქვამია:

1. ქ. ხოფისა ღმრთისმშობელო, ადიდე ორ
2. თავე შინა ცხორებათა ამისი
3. შემამკობელი გურიელის შვილი მალაქია ვინცა შენდობა ბრძანოთ თქვენცა
4. შეგინდოს ღმერთმან ამინ“ (58. 59; 24).

ცაიშის დიდი ჯვარცმის ხატის წარწერიდან კი ვგებულობთ: – „ქ. ჩვენ ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხევით კურთხეულმან ყოვლისა ჩრდილოეთისა და [აფხაზეთის] კათალიკოზმან, ცაიშელ ჯუმათელმან, გურიელის გიორგის ძემან, პატრონმან მალაქია [მოვაჭედ]ინეთ და შევამკევით ხატი ეს უხილავი ამა სოფელსა ჩემ[თა დღეთა სიერძისათვის და მას საუკუნოსა საოხად და სახსრად სულისა [ჩემისას ამინ] კათალიკოზი მალაქია ამშენებელი საყდრისა ამისა (72;165-166. შდრ. 59;16-17). როგორც ზემოთ ვნახეთ, მალაქიას დაუზოგავი შრომის საფასურად თავიდან აღუდგენია ერთხელ უკვე მის მიერ გამშენიერებული ცაიშის კათედრალი. მალაქია გურიელს ასევე შეუჭვდია „ძელი ცხოველი და ხატი უხილავი“, შეუმკია იგი „ქვათა მიერ სამარავდოთა და მარგალიტითა“, ორჯერ მასვე მოუხატავს ტაძარი (71;44).

ამდენად, როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, მალაქია ცაიშის კათედრაზე მოღვაწეობის ჟამს თავდაუზოგავად იღვწოდა თავისი ეპარქიის განახლება-აღორძინებისათვის.

მალაქია გურიელის შემდეგ ჩვენთვის ცნობილი ეპისკოპოსია ანდრია ცაიშელი.

XVII საუკუნეში სამეგრელოში იმოგზაურა ორმა რუსმა ელჩმა – ფედოტ ელჩინმა და პავლე ზახარევმა. ისინი აქ იმყოფებოდნენ 1639-1640 წლებში. მათ მეგზურობას უწევდა ეპისკოპოსი ანდრია.

ჩანაწერების ტექსტიდან ვგებულობთ, რომ ანდრია ცაიშელი ეპისკოპოსი ყოფილა. კერძოდ, პ. ზახარევის ჩანაწერებში ნათქვამია, რომ მათ, ბედიის მონასტრის მონახულების შემდეგ, მიაკითხეს ეპისკოპოს ანდრიას ცაიშში (50;355). ზემოხსენებულ ტექსტში პირდაპირ არსადაა ნათქვამი ის, რომ ანდრია ცაიშელია, მაგრამ ამის მიხვედრა თავისუფლად შეიძლება კონტექსტის მიხედვით.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „к епископу Андрею к Цашин (50;355)“ „а у Андрея епископоса чернишы, а у ны дочери и служашки живут в том же монастыре с епископом Андреем“ (50;356) „Февраля 17 де ис Троецкого монастыря от Андрея епископа от Цашин пошли“ „Майя в 6 де пришли в Цашин монастырь к Андрею епископу и Андрейи епископъ жил на горе, шатры поставя от монастыря версты 3 дв“ (50;373).

ანდრია წყაროთა მიხედვით საკმაოდ განათლებული პიროვნება ჩანს და ლევან II დადიანთან დაახლოებული პირია. რუს ელჩებს ძირითად მეგზურობას იგი უწევს. ანდრია ასევე დაახლოებულია ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწესთან, იმჟამად ზობელ ეპისკოპოს ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილთან (50;374).

პავლე ზახარევის თქმით, სასულიერო მოღვაწეებიდან ცაიშში იმჟამად ყოფილა ერთი შავი მღვდელი და ერთი დიაკვანი, რომელნიც მონასტრის გვერდით ცხოვრობდნენ. თვით ანდრია ეპისკოპოსი იქვე მახლობელ მთაზე ცხოვრობდა და მონასტერში მხოლოდ სადღესასწაულოდ ჩამოდიოდა.

ანდრია ეპისკოპოსის მოღვაწეობა ძირითადად ამ წყაროთა მიხედვით უნდა დავათარილოთ. როგორც ვიცით, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის ელჩობა სამეგრელოში 1639-1640 წლებში შედგა, სწორედ ამ პერიოდში მოიხსენიება ანდრია ცაიშელად. ამიტომაც, მისი მოღვაწეობა ამ წლების ახლო დროით უნდა დათარიღდეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანდრია მალაქია გურიელის შემდგომი ეპისკოპოსია და მისი მოღვაწეობა XVII საუკუნის 40-იანი, კერძოდ 1639-1640 წლებს უნდა დაუკავშიროთ.

შემდეგი ჩვენთვის ცნობილი ეპისკოპოსი, რომელიც ალბათ 1652 წლის ახლო პერიოდში გამხდარა ცაიშელი, არის დავით ჯოლია, რომლის შესახებ მოგვითხრობს ცაიშის სამღვდელმთავრო ოლარი: „... ცაიშისა ღმრთისმშობელო, ჩვენ, ცვა ფარვათა თქვენთა მონდობილმან დავით ჯოლიამ, ბრძანებითა თქვენითა ამ ტაძარსა თქვენსა ცაიშს



ეპისკოპოსად დავეჯექით. და ომფორი და შესამოსელი ჩვენათ მისვლამდის ერთის წლის უმაღლ დამწვარ იყო, და არას შესამოსლისა იარაღისაგან არა დამკლდომია რა, მერე აგარიანთა კელითა გაძარცული ომფორი მოიტანეს გასასყიდლად და ვიყიდეთ“ (72;185).

ცაიშის სახარება გვაძლევს ცნობას კიდევ ერთი ცაიშელი ეპისკოპოსის შესახებ. მინაწერში ნათქვამია: „... დაიწერა წმიდა ესე ოთხთავი ბრძანებითა ჩაისელ მთავარეფისკოპოზისა მაქსიმესითა“ (72;188). გვაქვს ასევე ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ამოკითხული მინაწერი ცაიშის უამგულანზე: „დაესრულა ფებერვალი ს-დ მისითა განგებითა ... აღიდე აქა და საუკუნოსა ბატონი ცაიშელ მიტროპოლიტი მაქსიმე ციხისთავი“ (72;190).

ე. თაყაიშვილის თქმით, მაქსიმე უნდა იყოს წინამოადგილე ცაიშის კათედრაზე მალაქია გურიელისა, მალაქია კი, თედო ჟორდანიას აზრით, ცაიშლად ეკურთხა 1605 წელს (72;190.84;437), ჩვენი აზრით, მაქსიმე II მთავარეპისკოპოსი XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა, რამეთუ:

1) 1696-1742 წლების გრიგოლ კათალიკოსის მიერ დადებულ წიგნში ნათქვამია: „ეს წყალიძგა უმაღლ კურთხეულ ნებსაძე კხს ცისტვის შვილის მაქსიმესათვის მიეცა. მერმეთ ჩემს კზობაში თავათ ცაიშელი მოვიდა“ (18;154), როგორც ვხედავთ, დოკუმენტში ერთად ცოცხლებად მოიხსენიებიან მაქსიმე ცაიშელი და აფხაზეთის კათალიკოზი დავით ნემსაძე (1673-1696);

2) მაქსიმე რომ გრიგოლ კათალიკოსის თანამედროვეა, ამას ცხადყოფს 1712 წლის გარიგების წიგნი, სადაც ნათქვამია: „... კიდევ ჭითავა მღუდელი გი ციხისთავის შვილის ცაიშელის მაქსიმეს ყავდა, სამკვიდრო იყო მისი და მისგან ჩვენ ვიშონეთ მისის მამულითა“ (18;103);

3) მაქსიმეს, მალაქია გურიელის წინა, მოადგილე ეპისკოპოსადაც ვერ ჩავთვლით, რამეთუ იგივე ექვთიმე თაყაიშვილი სოფელ ნასპერის მაცხოვრის ხატზე დატანებული წარწერის აღწერისას აღნიშნავს, რომ „ცაიშელი მაქსიმე ცხოვრობდა XVII საუკუნის მეორე ნახევარში“ (73;92). წარწერაში ნათქვამია: „იესო ქრისტე, მეუფეო ღიდებისაო და მაცხოვარო პირო ღმრთისაო, აღიდე ორთავე შინა ცხოვრებათა მონა და მადიდებელი წმიდისა ამის ხატისა შენისა ცაიშელი მამამთავარი მაქსიმე, რომლისა ბრძანებითა მოიჭედა და შეიმკო ხატი ესე მიძინებისა სოფლისა ჭალისა“ (73ა;92);

4) ცაიშის დიდი გულანის მხედრული მინაწერიდან ვგებულობთ: „ვიძიე გულანი დამპალი, დიდისა ლევან დადიანისა უკუნით უკმარ და გაუკეთებელი. ქელვყავ მე ცაიშელ მიტროპოლიტმან მაქსიმე ციხისთავმან სრულნი დ უნაკლულონი, მრავალთა წიგნთაგან გავაკეთებინე დედოფლის მარიამის ბრძანებითა და დადიანის კაცისათა ... გაკეთდა წა ესე გულანი“ (30;356). აქ მოხსენიებული კაცია ოდიშის მთავარი კაცია I დადიანი უნდა იყოს, რომელიც 1704-1710 წლებში მოღვაწეობდა;

5) თედო უორდანი ცდება მაშინ, როდესაც ერკეთის გულანში მაქსიმე ცაიშელთან ერთად მოხსენიებულ აფხაზეთის კათალიკოზ ექვთიმეს მოღვაწეობას 1578-1605 წლებით ათარიღებს (30;436), უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტზე ცნობილია ორი ექვთიმე საყვარელიძე, აქედან ექვთიმე I საყვარელიძე მოღვაწეობდა 1578-1605 წლებში, ხოლო ექვთიმე II საყვარელიძე 1669-1673 წლებში, ამიტომ, თუ ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებს შევაჯერებთ, უფრო მართებული იქნებოდა, რომ მაქსიმესთან ერთად მოხსენიებული აფხაზეთის კათალიკოსი „ეფთუძე“ ექვთიმე II საყვარელიძედ მიგვეჩინა.

ამრიგად, გრიგოლ კათალიკოსის შედგენილი დოკუმენტები, სოფელ ნასპერის ხატის წარწერა, ცაიშისა და ერკეთის გულანის მინაწერები ცხადყოფენ, რომ ცაიშელ ეპისკოპოსს მაქსიმე ციხისთავს (ციხისთავიშვილს) უმოღვაწია არა მალაქია გურიელამდე, არამედ უფრო მოგვიანებით.

ჩვენი აზრით, მაქსიმე უნდა მოსწრებოდა აფხაზეთის კათალიკოსების: ექვთიმე II საყვარელიძის მოღვაწეობის უკანასკნელსა და გრიგოლ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძის მოღვაწეობის დასაწყის წლებს.

ამდენად, მისი ეპისკოპოსობა დახლოებით 1673-1700 წლებით უნდა დათარიღდეს.

ცაიშელი ეპისკოპოსის სვიმონ ლოლაბერიძის შესახებ ცნობას 1701 წელს შედგენილი ერთ-ერთი დოკუმენტი გვაწვდის, სადაც იგი შემდგენიარადაა მოხსენიებული: „ჩაისელი ლოლაბერიძე სვიმონ“ (73; 45-46).


სვიმონ ლოლაბერიძის შესახებ სხვა ცნობებს ვერ მივაკვლიეთ. ამიტომ, მის ცაიშლობას ძირითადად ამ დოკუმენტის მიხედვით ვათარიღებთ და ვფიქრობთ, რომ მას დაახლოებით XVIII საუკუნის დასაწყისში უნდა ემოღვაწა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ XVI-

XVII საუკუნეებში ლოლაბერიძეთა გვარის წარმომადგენლები ხშირად გვევლინებიან საეკლესიო მოღვაწეებად, მაგალითად: 1714 წ. ევდემონ ლოლაბერიძე – ჭყონდიდელ მიტროპოლიტად (18;46), ხოლო 1750 წელს „ხელმწიფის კარის მღვდლად და წმინდა მოწამეთის წინამძღვრად“ სილიბისტრო ლოლაბერიძე მოიხსენიება (18;29-31). XVIII საუკუნეშივე ცაიშში მოღვაწეობს ეპისკოპოსი სოფრონ ლოლაბერიძე.

ჩვენთვის ცნობილი შემდეგი ცაიშელი ეპისკოპოსია ქრისტოფორე. იგი მოიხსენიება ბაილეთის ეკლესიის გუჯარის მამტიკცებელთა შორის: „ჩუენ – ნათქვამია სიგელში – ამ ტაძრის აღმშენებელთა მემკვიდრე, გურიელის ძე მპყრობელი გურიისა გურიელი გიორგი, ჩვენი მეუღლე ბაგრატიონის ასული დედოფალი მარიამი, პირმშო სვიმონი და ვახტანგი, უმცროსნი ქაიხოსრო და მამია“ (57;258). ეს სიგელი აახლებს ბაილეთის მთავარანგელოზთა ეკლესიისათვის მირთმეულ გუჯარს. სიგელს ამტიკცებენ: კათალიკოსი ქუთათელი მაქსიმე, გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე, ხინოწმინდელი იოანე, ცაიშელი მიტროპოლიტი ქრისტეფორე.

სიგელში მოხსენიებული გიორგი გურიის მთავარი გიორგი V გურიელია, რომელიც 1756-1758 წლებში განაგებდა სამთავროს ტახტს, შემდეგ კი ტახტიდან იქნა ჩამოგდებული. 1765 წელს პასან ფაშამ იგი კვლავ დააბრუნა გურიელად. ასე რომ, ცაიშელი მიტროპოლიტის ქრისტეფორეს მოღვაწეობა დაახლოებით ამ წლებით უნდა დათარიღდეს.

ჩვენს ხელთაა 1766 წლის შეწირულობის წიგნი კაცია დადიანისა, რომელშიც ნათქვამია: „... ზემოხსენებულს შეწირულობას ამ უდაბნოს ნუ მოუშლით. კაცთაგან მოწმე ამისი ცაიშელი მიტროპოლიტი სოფრონ ქნებითა ღთისა ვამტიკცებ დადიანი გრიგოლ წიგნსა ამას. ქნებითა ღთისათა ვამტიკცებ მშობელთა მეუფეთა ასული დედოფალი ნინო ქრისტეს აქეთ ჩლდ“ (17;32). ხსენებული სოფრონ ცაიშელი ასევე მოიხსენიება 1771 წლის ანტონ ცაგარელის საირმის უდაბნოსადმი შეწირულობის წიგნში. ჩვენი აზრით, სოფრონი 1777 წლისათვის ცაგერელი ეპისკოპოსია. ამას ცხადყოფს 1777 წლის კაცია დადიანის მიერ დადებული წიგნი ცაიშის კათედრის აღდგენის შესახებ (რომელსაც ცოტა ქვემოთ განვიხილავთ), სადაც სოფრონი უკვე ცაგერელ ეპისკოპოსად მოიხსენიება; გარდა ამისა, ჩვენ გაგვაჩნია 1806 წლის დოკუმენტი, სადაც პირდაპირ აღნიშნულია, რომ სოფრონი ცაიშლობის შემდეგ ცაგერელი



ცაიშის ტაძარი მურიეს ალბომის მიხედვით.

გამხდარა. ამ დოკუმენტით ასევე ვგებულობთ სოფრონის გვარს. წყაროში ნათქვამია: „მეუნარგიას ბოშიხუხუსა ... ჟამთა ვითარებისაგან აფხაზეთს გარდავარდნილ ყოფილიყავი და ცაიშელი სოფრომ ლოღობერიძე დასაქმებოდა შენ და წყალობას დაგპირდებოდა და გამოეყვანე გამოღმა და დაესახლებინე და მას შემდგომად სოფრომს ცაგერლობა მისცეს და შენ ისე უწყალობოდ დაშთენილიყავი“ (36;1050-1051).

ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოფრონ ლოღობერიძე ცაიშელ ეპისკოპოსად დაახლოებით 1766-1771 წლებში მოღვაწეობდა.

ამის შემდეგ, ცაიშის საეპისკოპოსო რამდენიმე წლის განმავლობაში ფაქტობრივად არსებობას წყვეტს. აქ სასულიერო ცხოვრება დროებით ჩაკვდა. ახალი საეპისკოპოსო „საეროდ ქმნილიყო“ და ტაძარი ერისკაცთა ხელში გადავიდა. ამაზე ერთდროულად ლაღაღებს რამდენიმე წყარო და ეს ალბათ სოფრონ ცაიშელის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ცაიშის ეპარქიაში შექნილი ვითარების შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს 1777 წლის დოკუმენტი (იხ. დანართი 2).

1777 წელს ცაიშის ეპარქიაში მღვდელმსახურება აღდგა. კათედრის კვლავ ამოქმედება, ჩვენი აზრით, იმერეთის მეფე სოლომონ I-ს

უნდა უკავშირდებოდეს, რომლის პოზიციები ოსმალთა წინააღმდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა 1776-1777 წლებში მაქსიმე კათალიკოსის გურიასა და სამეგრელოში მოგზაურობით. კათალიკოსმა გურია-სამეგრელო მოიარა. საეკლესიო-სასჯულო საქმეები განაგო და ამით დასავლეთ საქართველოში ერთიანობის საქმეს გარკვეული სამსახური გაუწია, ეკლესიის მთლიანობა აღდგა (139;664). ფაქტია, რომ მაქსიმე კათალიკოსი სამეგრელოში მოგზაურობის დროს ცაიშის სახელოვანი ტაძრითაც დაინტერესდებოდა, ამიტომ, „საეროდ ქმნილი“ კათედრის აღდგენაც მისი უშუალო ინიციატივა უნდა ყოფილიყო.

1777 წლის დოკუმენტში მოხსენიებული ცაიშელი ეპისკოპოსი გრიგოლ ჩიქოვანი ცაიშის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში გვამცნობს, რომ კაცია დადიანმა „დასდგა მრავალი ღვაწლი და აღმოიგო საყდარი ესე ხელითგან ერის კაცთასა და კვალად განაახლა საეპარხიოდ, რომელსა ზედა დაადგინა უღირსება ჩემი, წელს ჩღოზ“ (72;172), მის შესახებ მოგვითხრობს ასევე ცაიშის ტაძრის ლაპიდარული წარწერა:

„ცაიშის ღთის მშობლის ეკლესიისა  
ამის განმახლებელს ცაიშელ მი  
ტროპოლიტს:. გრიგოლს:. მეოხ მე  
ყავ წინაშე ძისა შენისა:“ (71;31)

გარდა ამისა, ჩვენ გაგვანჩია კიდევ ორი დოკუმენტი გრიგოლ ცაიშელის შესახებ. პირველ დოკუმენტში მოხსენიებულია სამეგრელოს მთავარი მანუჩარ დადიანი (1791-1796). აქედან გამოძვინარე, საბუთიც დათარიღებულია XVIII საუკუნის II ნახევრით. მასში ცაიშელის სახელი არ მოიხსენიება, მაგრამ ისიღორე დოლიძე საესებით სამართლიანად მას გრიგოლ ცაიშელად მიიჩნევს (38;247-249). დოკუმენტი მრავალმხრივ საინტერესოა. მასში ასახულია ნაწილობრივ ცაიშელი ეპისკოპოსის უფლებები, საეპისკოპოსო მართლმსაჯულებისა და იმდროინდელი სოციალური ურთიერთობის დეტალები (იხ. დანართი № 3).

მეორე დოკუმენტი, რომელიც 1806 წლის 11 ივლისითაა დათარიღებული (38; 368-370), ეხება ბესარიონ ჭყონდიდლისა და ფალავების განჩინებას მამულის საქმეზე, ამ დოკუმენტზე ცაიშელი მიტროპოლიტის გრიგოლის ბეჭედი დასმული. აქვეა სამეგრელოს მთავრის ლეონის ბეჭედიც (ლევან V – 1804-1840).

ცაიშელი მიტროპოლიტის გრიგოლ ჩიქოვანის სახელს ვხვდებით ცაიშის უამგულანის ერთ-ერთ მინაწერზეც, სადაც ნათქვამია: „მე ცაიშელ მიტროპოლიტმან გრიგოლ განვაახლებინე და შევაკერვინე წიგნი ესე სულისა ჩემისა საოხად“ (17;192). 1796 წლის სოლომონ II-ის შეწირულობის წიგნსაც ხონის საბუთთაგან ამტკიცებს თავისი ხელმოწერით გრიგოლ ჩიქოვანი (18;11-112).

უნდა აღვნიშნოთ, რომ გრიგოლ ცაიშელი ძე კაკაჩი ჩიქოვანისა (31;31) მოესწრო სამეგრელოს ოთხ მთავარს: კაცია II-ს (1745-1788), რომელმაც აღადგინა „საეროდ ქმნილი“ ცაიშის კათედრა და იგი ეპისკოპოსად დასვა; გრიგოლ დადიანს (1788-1804); მანუჩარს, რომელიც აუმხედრდა ძმას, მაგრამ ცოტა ხნით შეძლო გამთავრება (1791-1786) და ლევან V-ს (1804-1840).

ექვთიმე თაყაიშვილმა ამოიკითხა გრიგოლ ჩიქოვანის საფლავის ქვის წარწერა. მისი თქმით: „საფლავის წარწერა უჩვენებს, რომ ის გარდაიცვალა 15 ნოემბერს, 1823 წელს, ცაიშლად ყოფილა 47 წელი. მამასადაძე, ცაიშლად დამჯდარა 1776 წელს“ (72;181).

გრიგოლ ჩიქოვანს განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ცაიშში მოღვაწე მღვდელმთავართა შორის. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებად წარმოგვიდგენენ მას. როგორ ჩანს, გრიგოლ ჩიქოვანს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ცაიშში კათედრის აღდგენისათვის გაწეულ საქმიანობაში, სწორედ ამიტომაც დაუდგენიათ იგი ეპისკოპოსად: „კაცი სათნო ღვთისა და სულიერი-თა ხედვითა აღსავსე, საწყური სულისა და სატრფო გონებისა, ... ხედვითა და საქმითა სათნოებათა შორის წარჩინებული“... (71;31). გრიგოლს, როგორც განმაახლებელს, მოიხსენიებს ცაიშის ტაძრის ლაპიდარული წარწერა (32; 519). ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი ხატის წარწერაში კი თითქმის დაწვრილებითაა მოთხრობილი გრიგოლის ღვაწლი (იხ. დანართი № 4).

ეპისკოპოსი გრიგოლი მწიგნობრობითაც ყოფილა დაინტერესებული: მას განუახლებია და შეუკვრევენებია ცაიშის დიდი უამგულანი, მასვე შეუჭვდავს ზუგდიდის ბარძიმი (72;191). იგი ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგაც ყოფილა, რასაც სოლომონ I-ის მიერ 1750 წელს შედგენილი დოკუმენტი ცხადყოფს (38;247-9).

როგორც ჩანს, მიტროპოლიტი გრიგოლი ახლოს ყოფილა დადიანთა სამთავრო კართან. ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში ნათქ-

ვამია: „წელთა ჩეიგ-ს, იანვარის კვ-ს, დაიბადა დადიანის ლეონის ძე დავით: და მონათლა მასვე წელსა ყდ სამლუდელო ცაიშელ მიტროპოლიტმან გრიგოლმან ნაბაკევს“ (31;160).

გრიგოლისავე თანდასწრებითა და ხელმოწერით, სამურზაყანოს თავადაზნაურობას მიუღია რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის ერთგულების ფიცი (42;160). გრიგოლი განსაკუთრებულად ზრუნავდა საკუთარი მრევლის ზნეობრივ სიწმინდეზე, მას კარგად ესმოდა, რომ, „რადგან ამ ქვეყნის მწყემსი ვარ, ჩემგან რიგია, რაც რომ უსჯულოება და უმართებულო საქმე იქმნება, უნდა მოვიკითხო“ (41;160), „ღმერთის მტერი“-ს მიმართ იგი შეუპოვარი იყო და ძალასაც კი მიმართავდა. ამდენად, გრიგოლ ჩიქოვანი კარგად წარმოგვიდგენს იმ ეპისკოპოსთა სახეს, რომელთაც ევალებოდათ ყოფნა „მლოცველად ერისა“ და „მცველად სარწმუნოებისა“ (30;62).

ამრიგად, ცაიშელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი შემდეგ სახეს მიიღებს:

1. ეფრემი – XI ს.
2. ბასილი – XIII-XIV სს.
3. ბართლომე – 1412-1442 წწ.
4. დანიელი – XV ს-ის 40-50-იანი წწ.,  
(მთავარეპისკოპოსი)
5. იოაკიმე – XVს-ის 50-70-იანი წწ.,  
(მთავარეპისკოპოსი, აფხაზეთის კათალიკოსი)
6. იოანე ფოლაგისძე – XV-XVI სს.
7. დავითი – 1580-...1590 წწ.
8. კირილე ჟუანიძე – XVI ს-ის 1590-იანი წწ.
9. მაქსიმე I – 1590-იანი 1605 წ.
10. მალაქია გურიელი – 1605-1639 წწ.,  
(ცაიშელ-ჯუმათელ-ხოხელი, აფხაზეთის კათალიკოსი)
11. ანდრია – XVII ს-ის 40-იანი წწ.
12. დავით ჯოლია – 1652-?
13. მაქსიმე II ციხისთავიშვილი (ციხისთავი) – 1673-1700 წწ.,  
(მიტროპოლიტი)
14. სვიმონ ლოლაბერიძე – 1701-?
15. ქრისტეფორე – 1756-1665 წწ.,
16. სოფრონ ლოლობერიძე – 1766-1771 წწ.,  
(მიტროპოლიტი)

უებისკოპოსოს ხანა — 1771-1777 წწ.,

17. გრიგოლ ჩიქოვანი — 1777-1813 (1823\*) წწ.,

(მიტროპოლიტი)

საებისკოპოსოს გაუქმება — 1813.

#### §4. ცაიშის საებისკოპოსოს ყმა-მოლაშქრეები

საქართველოში ეკლესია-მონასტრებს დიდი ყმა-მამულები ჰქონდათ, რამეთუ ეკლესია თავისებური ფეოდალური ორგანიზაცია იყო და ამ ორგანიზაციის წევრი ყმა-გლეხი ისევე იბეგრებოდა, როგორც რომელიმე თავადის გლეხი.

„ეკლესიის მატერიალური ბაზა თავიდანვე შეწირულობის, ნასყიდობის და სხვა გზით იქმნებოდა. საეკლესიო ყმა-მამულის შემდგომი ზრდაც ამავე საშუალებით ხდებოდა. საამისო ფაქტები მრავლადაა. მეფე, მთავარი, თავადი თუ სხვა პირნი, ამა თუ იმ ეკლესია-მონასტერს ყმა-მამულს სწირავენ და ასე მრავლდება საეკლესიო ყმა-მამული“ (118; 147).

ვამეყ დადიანის ბიჭვინთისადმი შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „ჩვენ გავბატონდით, ყოველ საყდარს ცო[ტ]-ცოტა რამე შევსწირეთ“ — ო (38; 665).

ეკლესია, თავის მხრივ, ვალდებული იყო, შემწირველის სულის მოსახსენიებლად შესავედრებელი წირვა-ლოცვა და ალაპები გაეჩინა (99; 311).

მიწისმფლობელობის რაოდენობის მხრივ მაღლა იდგა მთავარი ეკლესია, როგორც ყველაზე ძველი და ქონებაც ყველაზე მეტი მას ჰქონდა.

სამწყსოს გადასახადს ეებისკოპოსის (თუ კათალიკოსის) სასარგებლოდ იხდიდა სამეფოსა თუ სამთავროს ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად წოდება-მდგომარეობისა. გადასახადი იყო ყოველწლიური, მაგრამ ერთდროულიც. საეკლესიო-სამწყსო საგადასახადო სისტემა შემდეგი სახისა იყო: 1. ღრამა, 2. ნიშანი, 3. სახუცო, 4. საწირავი, 5. წასახურ-გადასახურავი.

რაც შეეხება ცაიშის კათედრას: ამ საებისკოპოსოს სამწყსოსა და ყმა-მოლაშქრეების შესახებ დაცული ისტორიული დოკუმენტები არც ისე უხვია, მაგრამ მეტ-ნაკლებად მაინც შეიძლება აღვადგინოთ ამ საებისკოპოსოს ისტორიულ-სოციალური სურათი.



ძირითადი დოკუმენტები, რომელთაც ჩვენ აღნიშნული საკითხის კვლევა-ძიებისას ვეყრდნობით, განლაგებულია „საქაიშლოს გამოსავლის დავთარი“ (20) და კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხა (1611-1621). საქაიშლო დავთარი დაცულია აფხაზეთის საკათალიკოსო მამულების დიდ დავთარში. ერთ-ერთი მინაწერიდან ჩანს, რომ იგი დაწერილია აფხაზეთის კათალიკოსის ცაიშელ-ხონელ-ჯუმათელ მალაქიას ბრძანებით, შედგენილი უნდა იყოს 1610-1621 წლებში. საქაიშლო გამოსავლის გუჯარი, როგორც მთლიანად საკათალიკოსო მამულების დავთარი, დაწერილია ნუსხა-ხუცურით, მაგრამ საფიქრებელია, რომ ჩვენი გუჯარი დედანი კი არ უნდა იყოს, არამედ მისი პირი.

XVII საუკუნეში ცაიშის ეპარქია ოდიშის სამთავროს ცენტრში მდებარეობდა და მის მფლობელობაში ვრცელი ტერიტორიები შედიოდა. ამიტომაც, ცხადია, რომ კათედრას სამწყსო და შემოსავალი უხვად გააჩნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ „საქაიშლოს გამოსავლის დავთრის“ შესწავლისას წავაწყდით ზოგიერთ პრობლემას. კერძოდ, მებეგრეთა შორის ვხვდებით პირებს, რომლებიც მხოლოდ სახელით ან სოციალური მდგომარეობით მოიხსენიებიან. მაგალითად: „მართებს მეჯოგესა გოჭკომური“, ან „მართებს მთიურსა მოსახლესა სერგიას I საკლავი“. არის შემთხვევები, როცა ძნელია გავარკვიოთ, ესა თუ ის მებეგრე სახელით თუ გვართათა მოხსენიებული, მაგალითად: „მართებს ზერაკიას საკლავის ნახევარი“, „მართებს გიგაიას“, ან „მართებს აბაშიას“. გარდა ამისა, ზოგჯერ ძნელია გამოვარკვიოთ, პიროვნების ინიციალში რომელია გვარი და რომელია სახელი, მაგალითად, „მართებს სეფედალაას გაჭირდიას“. ხშირია ასევე ერთი და იმავე გვარის სხვადასხვა ტრანსკრიფციით გადმოცემა, მაგალითად: „ვართაგააკართაგაა“, „შანაგაა-შანიგაა“, „ხვანია-ხვიანია“. ყოველივე ზემოხსენებულმა ხელი შეგვიშალა, დაგვედგინა ზოგიერთი მებეგრის ზუსტი გვარი.

საქაიშლოს გამოსავლის დავთრის მიხედვით ცხადია, რომ ყველა მებეგრეს თავისზე შეწერილი გამოსავლები წელიწადში ერთხელ უნდა გადაეხადა. ამას ცხადყოფს ტექსტში დაცული შემდეგი ფრაზები: „მართებს სამამულს გეგებერას ერთს წელიწადსა 2 საკლავი ... და მეორეს წელიწადსა კიდევ სამამულს გეგებერას მართებს 1

საკლავი“ (გვ. 10), ან „მართებს გვანიბასა სერგიას ერთსა წელი-  
წადსა 1 საკლავი“ (გვ. 11).

XVII საუკუნეში ცაიშის ეპარქიაში საეკლესიო ბეგარას იხდიდნენ:

3 სული ბუკია	5 სული კვაჭალია
4 სული ლატარია	1 სული ახუტია
8 სული ხაზარია	1 სული გვაზავა
(გვზვდება ასევე ხაზარია)	2 სული ნაჭყეპია
2 სული წყაროსია	4 სული წიწაა
(წყარსია)	(წიწაა, წიწალია)
4 სული კუტალია	1 სული გაბელია
2 სული გეგებელია	11 სული ფართხაა
1 სული სერგია	(ფართხავა)
1 სული ჯეია	2 სული გვაჭაია
1 სული ძიგურავა	(გაკაჯია)
60 სული ქორია	1 სული ბაბუტია
1 სული გეგელია	1 სული ტურაა
3 სული ხუხულია	3 სული ოფსაია
13 სული წარბია	1 სული ქვაცალია
3 სული წულაია	2 სული შანიგია (შანავია)
1 სული სალდაყია	1 სული კუკურდია
1 სული შულულაია	1 სული შონია



ცაიშის ტაძარი. XII-XVII სს. სამხრეთის ფასადი.

- |                                 |                             |
|---------------------------------|-----------------------------|
| 6 სული გაგაა (გიგაა)            | 6 სული სულარაია (სავარაია)  |
| 1 სული ფიცხულია                 | 11 სული ღვაჭაჭია            |
| 1 სული ლაქენაა                  | 2 სული ბერია                |
| 3 სული კოდუა                    | 1 სული ბიბოია               |
| 22 სული მუნარგია                | 1 სული ხერაკია              |
| 9 სული ხეჩია (გვ. ასევე ხვანია) | 1 სული გიგაია               |
| 1 სული ფიგულაა                  | 1 სული აბაშია               |
| 5 სული მჭიფია                   | 4 სული ჭაჭია                |
| 1 სული მალუმია                  | 1 სული ფარცხელაა            |
| 10 სული აფხაზავა (აფხაზაა)      | 1 სული ჩაკაბედია            |
| 2 სული ვარდია                   | 2 სული ბერქია               |
| 2 სული ჭუჭულია                  | 1 სული ჯგუჯია               |
| 5 სული მეფორია                  | 2 სული ერჯუკია (ურჯიკაია)   |
| 1 სული კაპარქია                 | 1 სული ჩოჩხუა               |
| 1 სული თოთოზია                  | 11 სული ქავთარია (ქავთარია) |
| 4 სული ბუკია                    | 7 სული მჯუჯია (მჯგუჯია)     |
| 1 სული ლომინია                  | 2 სული კიკურია (კეკურია)    |
| 2 სული ნერსენია                 | 2 სული ჯუჯალია              |
| 2 სული ბულაა                    | 3 სული ქუნახია              |
| 2 სული ბონია                    | 9 სული ვართაგაა (ვართაგავა) |
| 1 სული გელუქანია                | 11 სული ეფრემია             |
| 2 სული ძომათია                  | 2 სული მარტვილაია           |
| 1 სული ბადია                    | 1 სული გომალაია             |
| 1 სული ადანია                   | 1 სული თომავა               |
| 1 სული გელოზია                  | 6 სული შანგლაია (შანგულია)  |
| 1 სული მელია                    | 1 სული კოდარია              |
| 1 სული თურქია                   |                             |

საცაიშლო გამოსავლის დავთრის შედგენით კათედრის უმაღლესმა იერარქმა მალაქია გურიელმა სისტემაში მოიყვანა ეპარქიის სოციალური ცხოვრება. ამ დოკუმენტში მოხსენიებულია 365 პირი. მათგან ყოველწლიურად საშუალო შემოსავალი შემდეგნაირად განისაზღვრა: 300-ზე მეტი საკლავი, ქათამი, პური, გოჭკომური, 1400-ზე მეტი ღოჯი და ფოხალი ღომი, ღვინო, გარდა ამისა თევზი, ყველი, კვერცხი, მარლი (20).

თუ გავითვალისწინებთ XVII საუკუნეში საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ-სოციალურ სურათს, ცხადი გახდება, რომ ცაიში საკმაოდ ძლიერი და მდიდარი ეპარქია ყოფილა.

საეპისკოპოსო კათედრებს საკუთარი შეიარაღებული მსახურებიც ჰყავდათ. ეპისკოპოსები „მთავრის მოთხოვნისთანავე ... კარგ საომარ ცხენებზე ამხედრებულნი მიდიან ომში, რადგან ითვლებიან წინამძღოლებად და სარდლებად თავიანთი ქვეშევრდომებისა, რომლებიც ვალდებულნი არიან იარაღსხმულნი იყვნენ. ისინი თავს ესხმიან და ებრძვიან მტერს ...“ (25;140).

კათალიკოს მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხიდან, რომელიც შედგენილია 1616-1623 წლებში, ვგებულობთ, რომ კათალიკოსს დაახლოებით 500-ზე მეტი მოლაშქრე ჰყოლია. ისინი ეპარქიის შემდეგ დასახლებულ პუნქტებში იყვნენ: ხიბულა (აზნაურისშვილი და 30 მსახური), წყარიგზა და სენაკი (4 მსახური), ჯგალი (აზნაურისშვილი და 38 მსახური), დარჩელი (აზნაურისშვილი და 85 მსახური), ჭიალა (2 მსახური), ჩოხათი (5 მსახური), მუხური (აზნაურისშვილი და 3 მსახური), ჭეთა (3 მსახური) და თავად ცაიში (აზნაურისშვილები და 63 მსახური) (37;484).

ამდენად, აფხაზეთის კათალიკოსს ცაიშის ეპარქიაში დაახლოებით 300-მდე მოლაშქრე კაცი ჰყოლია, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ მეტყველებს აღნიშნული საეპისკოპოსოს იმდროინდელ ძლიერებაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, ცხადია, რომ XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ცაიშის ეპარქია ერთ-ერთი უძლიერესი ეპარქია იყო. მისი ვრცელი ტერიტორიები და დიდი სამწყსო თავად კათედრას მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა. გარდა ამისა, ცაიშის ეპარქიას აფხაზეთის საკათალიკოსოსთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, როგორც საეკლესიო საკითხებში, ასევე სოციალურ სფეროში, რაც ამ ეპარქიაში აფხაზეთის კათალიკოსისათვის კუთვნილ მოლაშქრე კაცთა არსებობითა და რაოდენობით დასტურდება.

## §5. ცაიშის საეპისკოპოსოს საზღვრები

ცაიშის საეპისკოპოსოს საზღვრების დადგენა განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. წყაროთა უქონლობის გამო მხოლოდ XVII საუკუნის მდგომარეობას ვიცნობთ. ზემოხსენებული ეპარქია ოდიშის სამთავროს ცენტრალურ რაიონში მდებარეობდა


და სამი მხრიდან სხვადასხვა საეპისკოპოსო ესაზღვრებოდა. საცაიშლოს საზღვრები ვახუშტი ბატონიშვილს შემდეგნაირად აქვს განსაზღვრული: „ჩაისს ... ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ წყლის (იგულისხმება ხობისწყალი) სამხრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონა ზღუამდე“ (12;778). ამ ცნობით დაახლოებით მაინც ირკვევა ცაიშის საეპისკოპოსოს საზღვრები დასავლეთით, სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქვე დაცული ცნობები მოსაზღვრე ეპარქიათა შესახებ საშუალებას გვაძლევს მიახლოებით მაინც დავადგინოთ საცაიშლოს საზღვრები. ცაიშის საეპისკოპოსოს ჩრდილოეთით მდებარეობდა წალენჯიხის საეპისკოპოსო: „ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დაღის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიამ ზღუამდე“ (12;778). როგორც ზემოთ ვნახეთ, ვახუშტის თქმით, წალენჯიხელს ეკუთვნოდა ტერიტორია დაღის მდინარიდან ჭანის მდინარემდე. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერიტორია ამ მდინარეთა შორის საკმაოდ დიდია და საკუთრივ ცაიშის მონასტერიც კი ამ მდინარეთა შორის მდებარეობს. ამიტომაც, ჩვენი აზრით, საწალენჯიხოს საზღვარი აღმოსავლეთით მდინარე ჭანისწყლის მხოლოდ ზემო წელს მოიცავდა, ჩრდილოეთით კი, ალბათ, იგი მდინარე რუხსა და ზუგდიდ-ჭაქვინჯს შორის გადიოდა. წყაროთა უქონლობის გამო, შეუძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ საცაიშლოს ჩრდილოეთი საზღვარი. ამიტომ იგი პირობითად ზუგდიდ-ჭაქვინჯს ზემოთ გაგვყავს, ამასთანავე, იგი ხშირად ირღვეოდა აფხაზეთის მხრიდანაც, მაგალითად, 1678 წელს შეიარაღებული აფხაზები თავს დაესხნენ სამეგრელოს და ყველაფერი გაანადგურეს ზუგდიდისა და ხობის ჩათვლით (12;790), ხოლო XVII საუკუნის 70-80-იან წლებში ტრადიციად იქცა აფხაზ ფეოდალთა შემოსევები.

იტალიელი მისიონერი ძამპი, რომელიც იმ დროს ოდიშში იმყოფებოდა, წერდა: „სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია, აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია ... ახლა კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშშია“. XVII საუკუნის დასაწყისში გიორგი ლიპარტიანი ხანმოკლე დროით იბრუნებს კოდორსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიას, მაგრამ აფხაზეთის მთავარმა ისარგებლა 1703 წელს თურქთა შემოსევით, საზღვარი ოდიშსა და აფხაზეთს შორის კვლავ მდინარე ენგურზე გადმოიტანა (130;467). აქედან

გამომდინარე, ცხადია, რომ ცაიშის საეპისკოპოსოს ჩრდილოეთი საზღვარიც ხშირად ირღვეოდა და ამიტომაც დანამდვილებით ბერს ვერაფერს ვიტყევით მის შესახებ.

აღმოსავლეთით საცაიშლოს ესაზღვრებოდა ჭყონდიდი. აი რას ამბობს ვახუშტი ბატონიშვილი საჭყონდიდლოს საზღვრებზე: „აწცა არს მწყემსი უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენისწყალამდე“ (12;776). როგორც ვხედავთ, ვახუშტი საცაიშლოსა და საჭყონდიდლოს გამყოფად უნაგირას მთას ასახელებს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ უნაგირას მთა ჭყონდიდიდან ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარეობს და მაინც ვერ აკონკრეტებს საცაიშლოს საზღვარს. ჩვენი აზრით, ზემოხსენებული საეპისკოპოსოს აღმოსავლეთი საზღვარი, ალბათ, მდინარე აბაშაზე ან, შესაძლებელია, ცოტა უფრო დასავლეთით მდინარე ტეხურზე გადიოდა.

ცაიშის სამხრეთით იყო ჯუმათის საეპისკოპოსო, სადაც „ზის ეპისკოპოზი, მწყემსი სუფსეის მდინარისა და რიონის შორისის ადგილთა“ (12;790). აქვე დავსძენთ, რომ საცაიშლოს სამხრეთი საზღვარი, ალბათ, მოიცავდა მდინარე რიონის მხოლოდ ქვედა წელს, დაახლოებით სუჯუნდიან (იქ, სადაც მდინარე აბაშა უერთდება მდინარე რიონს) შავ ზღვამდე. დასავლეთით ცაიშს ესაზღვრებოდა



ცაიშის ტაძარი. XIII-XVII სს. დასავლეთის ფასადი.

შავი ზღვა. ცაიშის საეპისკოპოსოს ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი XVII საუკუნეში, ალბათ, ემთხვეოდა ოდიშის სამთავროს პოლიტიკურ საზღვარს და იგი სვანეთ-ლეჩხუმ-ოდიშის საზღვარზე გადიოდა, იქ, სადაც ცაგერის საეპისკოპოსო იწყებოდა. ამ მხრივ საინტერესოა XVII საუკუნის უცხოური წყარო, რომლის მიხედვითაც სადადეშქელიანო სვანეთი ცაიშელი ეპისკოპოსის სამწყსოა. მის სასარგებლოდ მეტყველებს ასევე ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სადაც სვანეთის აღწერისას არაა ნახსენები ადგილობრივი საეპისკოპოსოები. გარდა ამისა, გვაქვს XV საუკუნის სიგელი, სადაც ცაიშელი მთავარეპისკოპოსი დანიელი ლაბსყელდაშის მთავარანგელოზის მაკურთხებლად გვევლინება. ჩვენი აზრით, ეს ფაქტიც არ უნდა იყოს შემთხვევითი და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ XVII საუკუნისათვის, ან უფრო ადრე, სადადეშქელიანო სვანეთი ცაიშელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა.

ამრიგად, ცაიშის საეპისკოპოსოს საზღვრების სავარაუდო დახასიათება შემდეგნაირია: ჩრდილოეთით იგი გადიოდა მდინარე ჭანისწყლის ზემო წელზე, ზუგდიდ-ჭაქვინჯსა და მდინარე რუხს შორის. ეს საზღვარი ხშირად იცვლებოდა და XVII საუკუნისათვის მან უკვე მდინარე ენგურზე გადმონაცვლა. სამხრეთით საზღვარი იყო მდინარე რიონის ქვემო წელი, დაახლოებით სუჯუნიდან შავ ზღვამდე, დასავლეთით — დადისწყლის შესართავიდან მდინარე რიონის შესართავამდე, აღმოსავლეთით — მდინარე აბაშა ან მდინარე ტეხური. ცაიშის საეპისკოპოსოს ასევე ეკუთვნოდა სადადეშქელიანო სვანეთი.

## წმ. ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსის არქიტექტურული დახასიათება.

ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი განლაგებულია ქალაქ ზუგდიდის სამხრეთ-დასავლეთით ათიოდე კილომეტრზე. იგი მდებარეობს კოლხეთის დაბლობთან მომიჯნავე მთების დასაწყისში.

ხუროთმოძღვრულ კომპლექსს შემოვლებული აქვს ფართო და მაღალი (2,5 მეტრი) გალავანი, რომლის ცენტრში ტაძარია აღმართული. სამხრეთ ნაწილში ორსართულიანი სამრეკლოა. აქვე მოთავსებულია ე.წ. ადგილობრივი პალატი, რომელიც გალავნის ჩრდილოეთით მდებარეობს და ტაძრის ეზოდან არ ჩანს, რადგან იგი

ფერდობზეა მიდგმული. მისი ერთადერთი ჩრდილო-დასავლეთი ფასადი კი ხვეისკენაა მიქცეული. კომპლექსიდან სხვა არაფერი შემორჩენილა (71;617). ცნობები, რომელიც ცაიშის ტაძრის გარეგან სახეს ეხება, საკმაოდ მცირეა. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ისინი შემდეგია: XVII ს-ში მომხდარ ერთ უბედურ შემთხვევას გამოვცემს ცაიშის რამდენიმე ხატის წარწერა და იქვე შორიახლოს მდებარე ერთ-ერთი მცირე ეკლესიის წარწერაც. ამ წარწერაში ნათქვამია, რომ „ძერამ საშინელმა“ დაანგრა საყდარი, შემდეგ მოთხრობილია მისი აღდგენის ამბები; კიდევ ერთი წარწერა, რომელიც საყდრის მერმინდელ ისტორიას შეეხება, მოგვითხრობს მის განახლებას „ქვეყნის მიმორყეულობის“ შემდგომ. „ქვეყნის მიმორყეულობისდა“ მიუხედავად, აღვილობრივ მფლობელებს (ისევე, როგორც მიწისძვრის შემდეგ) ხელი არ აუღიათ თავიანთ საყდარზე და ხელახლა აღუდგენიათ „გაოხრებული“ ტაძარი (71;9).

წყაროთა მიხედვით ირკვევა, რომ მალაქიას, ჯერ ცაიშელ-ჯუმათელს, შემდეგ კი აფხაზეთის კათალიკოსს, 1612 წელს დაუმთავრებია ცაიშის ტაძრის მოხატვა და შემკობა; 1614 წელს აღუდგენია მიწისძვრისაგან დაანგრეული საყდარი; 1616 წელს დაუწყია ცაიშის საყდრის აღდგენა და 1619 წელს დაუმთავრებია (71;15).

ყურადღების ღირსია მიწისძვრა, რომელიც 1614 წელს მომხდარა. აი რას ამბობს მის შესახებ ცაიშის ერთ-ერთ ხატზე მოთავსებული წარწერა: „... ესრეთ იქნა ძრვა დიდი და საკვირველი ქვეყანასა ამას ჩვენსა, რომელი არაოდეს ყოფილა. იძროდა ვითარ წელ ერთ და შეიმუსრნეს ეკლესიანი მრავალნი და დაირღვივნეს დაბანი, ხოლო საყდარნიცა ესე ცაიშისა დაეცა, შეიმუსრა თავითგან ვიდრე საფუძვლამდე გალავნით, ყოველით ნაშენებით მითურთ, და დაიღწნეს ყოველნი ხატნი და იარალნი ეკლესიისანი და არარა დაშთა რა, ხოლო ოდეს მოხედვა ყო ღმერთმან წყალობითა თვისითა და დაეყენა ძრვა იგი, ამისად შემდგომად წელსა მეორესა ჯერჩინებითა ღმრთისათა და მოწმობითა ყოვლისა საქართველოსა ერისათა ძყუვეს კათალიკოზ აფხაზეთისა. და ჩვენ დიდმან მთავარმან ყოვლისა ჩრდილოეთისა კედართა კათალიკოზ-პატრიარქმან, ცაიშელ-ჯუმათელმან, ძემან გურიელისა პატრონისა გიორგისამან, პატრონმან მალაქია, მეორედ ქელვეყავ აღშენებად ტაძრისა ამისა და მკობად ხატთა. და მოვაჭვდინეთ ძელი ცხოველი და ხატი უხილავი, თვით ესე ცაიშთა ღმრთის მშობელი ოქროთა და შევამკვეით ქვათა



მიერ სამარგდოთა და მარგალიტითა, ქორონიკონისა ტზ“: ქორონიკონი უდრის 1619 წელს (72;169).

ცაიშის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში, კერძოდ კი სამრეკლოს სამხრეთ კედლის ქვედა ნაწილში, დატანებულია მხედრული წარწერა. გათავაზობთ მას:

„[.....]—]ვ[-]შენე წესე საყდარი გ[წ]მიდი სა ბრძანებითა ვდა მხრ[—]


[.....]ბ[-]ლ ცაიშე ....“.

ზოგი ადგილის გახსნით წარწერა ასეთ სახეს მიიღებს:

„[.....] [აღ]ვ[ა]შენე წმინდაი ესე საყდარი გიორგისა წმიდისა


ბრძანებითა ვდა მხრ [.....]

[.....]ბ[-] ლ ცაიშე[ლისა]“ (71;19).



ბასილი ცაიშელის წარწერა. სამრეკლოს სამხრეთი კედელი. XIII-XIV სს. (ვ. სილოგავას მიხედვით)

როგორც ჩანს, XIII-XIV სს. ეს წარწერა მოგვითხრობდა რომელიღაც საყდრის მშენებლობაზე და მის მშენებელზე, მაგრამ ძნელია გავარკვიოთ, რომელი ეკლესიის მშენებლობაზეა საუბარი (71;19). ზემოაღნიშნულმა მიწისძვრამ ცაიშის ხუროთმოძღვრულ კომპლექსს წაუშალა თავდაპირველი სახე. ეს კარგად ირკვევა ფასადების განხილვის დროს. შემდეგი დროის აღმდგენელმა ოსტატმა ვერ შეძლო



ცაიშის ტაძარი. აღმოსავლეთის ფასადი.

მისთვის პირველადი სახის დაბრუნება. მიწისძვრისაგან სრულად გადარჩენილმა ცოკოლმა იძულებულყო აღმდგენელი ოსტატები, დაეცვათ თავდაპირველი აბრისი. ძეგლის სამი ფასადი ძირითადად მხოლოდ თითო ვერტიკალური სიბრტყისაგან შედგება, რაც არ ითქმის მეოთხე – აღმოსავლეთის ფასადზე, სადაც მისი სწორი ზედაპირიდან მკვეთრად გამოყოფილია საკურთხევლის შეიდწახნაგოვანი აფსიდი, რომლის ზედაპირი რთული თაღედითაა დამუშავებული.

„ტაძარს თითქმის დაუკარგავს მასათა განლაგებაში ცენტრალურ-გუმბათოვან ძეგლთათვის დამახასიათებელი ჯვრის ფორმა. ეს ფორმა ინტერიერში ასე თუ ისე მაინც იკითხება, რაც არ ითქმის ექსტერიერზე. გარე მასებში გადაკეთების შედეგად ჯვრის მკლავები მკრთალადაა გამოვლენილი, ისიც მხოლოდ გვერდით ფასადებზე არასრულყოფილი სახით. ამ ფასადზე ჯვრის მკლავები ოდნავადაა აწეული, ისიც დამოკლებული ფუძით. ჯვრის დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკლავები სულაც არ არსებობს. მათი სახურავი გვერდის დაბალ ნაწილებთან ერთად სიბრტყეს ჰქმნის“ – ბრძანებს პარმენ ზაქარაია (71;21).

დღევანდელი ძეგლის მასათა კომპოზიციის დამაგვირგვინებელი „ცილინდრული“ ფორმის გუმბათი მთლიანად ახალია, მას საფუძვლის კვადრატის კონსტრუქციული შვერილებიც კი არ გააჩნია.

შენობა აღმართულია სამსაფეხურიან ცოკოლზე, აქედან ქვედა ორი საფეხური სწორკუთხაა, ხოლო ზედა, ნახევარწრიული ფორმისაა. ქვედა თითქმის მიწითაა დაფარული. შენობა თავდაპირველად შემოსილი ყოფილა ოდნავ მონაცრისფრო თეთრი ქვით. დღეს მას, ერთი შეხედვით, მთლიანად ნაცრისფერი გადაჰკრავს, მაგრამ ახლოს ყველა კედლის ფერი გარკვევით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ცაიშის კომპლექსის უძველესი ნაგებობა დგას გალავნის გარეთ ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში. მას პალატი ეწოდება.

პალატის ინტერიერი დიდად შთამბეჭდავია, თაღოვანი ბოძები, რომელსაც შენობის ჭერი ეყრდნობა, გოთური სტილის ელემენტებს ატარებს. ნაგებობის დღევანდელი სურათი ორ სამშენებლო ფენას შეიცავს – თავდაპირველსა და აღდგენილ ნაწილს. მხატვრული თვალსაზრისით, ამ ტაძრის პალატი დაახლოებით X საუკუნეშია აგებული (71;121). ამ სადგომის ზემოთ მდგარა ხის სახლი, რომელიც ხეზე ჭრის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა.

აქვე გვინდა შევეხოთ ცაიშის ტაძრის ორნამენტაციას, რომელიც მიეკუთვნება XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის საქართველოს არქიტექტურულ ძეგლთა შემკულობის ჯგუფს. ხუროთმოძღვრების ძეგლში ჭარბობს გეომეტრიული მოტივები, მაგრამ არსებულ მცენარეულ მოტივთა მცირე რაოდენობასაც კი სპეციფიკურობის გამო გარკვეული როლი ენიჭება (71;73).

ტაძრის ფასადები დამშვენებულია ასევე მედალიონებითა და ჯვრებით. ბაზისები და იმპორსტები ამ ძეგლზე წარმოდგენილია ოთხი სხვადასხვა სახით.

ტაძარზე რამდენიმე რელიეფური გამოსახულებაა. ყველაზე დიდი ბარელიეფი მოთავსებულია დასავლეთ ფასადის ცენტრალური სარკმლის ზემოთ. აქვე ჩაუსვამთ მეტად პრიმიტიული წმ. გიორგის გამოსახულებაც. ძეგლის აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულია იონას თავგადასავალი. ძეგლზე ასევე მოიპოვება ორი მტრედის, კიდევ რომელიღაც ფრინველის დაზიანებული და ფარშევანგის გამოსახულებები. ხოლო სამრეკლოს ქვედა სართულის ჩრდილო ფასადზე ჩაყოლებულია ქტიტორთა ბარელიეფი, გუმბათის ყელზე კი ცხვრის ქანდაკებაა ჩასმული.

ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ არის ტაძრის ხუროთმოძღვარი. არაა გამორიცხული, რომ გუმბათის ყელში ერთ-ერთ დეტალზე დატანებული წარწერა „ანანია“ ხუროთმოძღვრის ვინაობაზე მიგვანიშნებდეს.

ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნაწილს ორსართულიანი სამრეკლო წარმოადგენს. იგი ჩაშენებულია სამხრეთით შიგ გალავანში. მისი აგების თარიღი უცნობია, რამეთუ მის შესახებ წყაროები არაფერს ამბობენ. სპეციალისტების დაკვირვებიდან კი ცხადია, რომ სამრეკლო შეიცავს რამდენიმე სამშენებლო ფენას, ასევე ტაძრის ფრაგმენტებს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ იგი მიწისძვრის შემდეგ იქნა აგებული (71;124). ამასვე ადასტურებს მალაქიას შემდეგი წარწერა: „სრულიად დაიქცა გალავანითა და შინაგან გარ-შენობითა და სამრეკლოთა ...“ (71;171).

ამდენად, ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისის ხუროთმოძღვრების პირმშოა, მიუხედავად იმისა რომ ზოგიერთი ნიშანი უკვე XIII ს-ის დამდეგს ჩნდება. ძირითადად მასში III სამშენებლო პერიოდი განირჩევა. აქვე გვხვდება უფრო ადრეული, კერძოდ, X საუკუნის და უფრო მოგვიანო, – XVII საუკუნის ხუროთმოძღვრების ნიმუშებიც. 1616 წელს უნდა მოხატულიყო ტაძრის შიგა ინტერიერი, რაც მსჯელობის ცალკე თემაა.

## §7. ცაიშის ტაძრის ფრესკული მხატვრობა და ნეკროპოლი

ცაიშის ტაძრის ფრესკული მხატვრობა დღეისათვის სრულიად შეუსწავლელია, არადა ტაძრის შიდა სივრცის შემამკობელი, დიდ ფრაგმენტებად შემორჩენილი ფრესკული მხატვრობა შესრულების თავისებური მანერით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

სანამ თავად ფრესკების განხილვაზე გადავიდოდეთ, არსებულ წყაროებზე დაყრდნობით შევეცდებით ტაძრის მოხატვის თარიღის გარკვევას.


პირველი საბუთი, რომელიც ამ საკითხის შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაძლევს, არის ცაიშის დიდი ზომის ჯვარცმის ხატი: აქ ნათქვამია, რომ „ქემან გურიელისა პატრონის გიორგისმან, პატრონ-მან მალაქია კელვყავ ცაიშის ტაძრისა შემკობად და დავახატვინეთ, აღვასრულეთ გუმბადი ვიდრე საფუძვლამდე და ესრეთ შევამკევით“



ცაიშის ტაძრის აღმოსავლეთ კარიბჭის თაღის მოხატულობა. XVII ს.



ცაიშის ტაძრის აღმოსავლეთ კარიბჭის თაღის მოხატულობა. დეტალი. XVII ს.



მაცხოვარი. პატრონიკეს აღმოსავლეთ კედლის მოხატულობა. XVII ს.



წმინდა გიორგის ფრესკა  
პატრონიკეს დასავლეთ კედელზე.  
XVII ს.



დელოფალ ნესტან-დარეჯანის  
ფრესკა. XVII ს.



ცაიშის ტაძრის საკურთხეველის კონქის მოხატულობა. XVII ს.

(71;10). ჩვენთვის უცნობია, თუ რამ გამოიწვია ძველის ხელახალი მოხატვა. შესაძლებელია, ძველი მხატვრობა გაფუჭდა და მალაქიამ თავიდან განაახლა იგი. მომხდარი მიწისძვრა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მას დაუნგრევია არქიტექტურული ძველის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამიტომაც ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ მალაქიას დაკვეთით შესრულებული პირველი ფრესკული მხატვრობა შემორჩენილიყო.

წარწერიდან ვგებულობთ, რომ მიწისძვრიდან ერთი წლის შემდეგ მალაქია აფხაზეთის კათალიკოსად უკურთხებიან, რის შემდეგაც მას თავიდან განუახლება ტაძარი. ვფიქრობთ, სწორედ ამ განახლების შედეგი უნდა იყოს ცაიშში დღეს შემორჩენილი ფრესკული მხატვრობა. მალაქია გურიელი აფხაზეთის კათალიკოსად უკურთხებიან 1616 წელს (დაწვრილებით იხილეთ თავი: ცაიშელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი). სწორედ ამ დროს უნდა დაწყებულიყო ტაძრის მოხატვა, რომელიც, ალბათ, 1619 წლისათვის დასრულდა (როგორც ამას გვამცნობს ცაიშის ჯვარცმის ხატის ქრონიკონი: ტზ – 1619 წ.).

მიწისძვრის შემდგომი, მომდევნო ხანის წყაროები თითქმის არ შეიცავს ცნობებს არქიტექტურული ნაგებობების მდგომარეობის შესახებ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ეპისკოპოს დავით ჯოლიას ცნობას ტაძარში მომხდარი ხანძრის შესახებ (71;185). ცნობილია ისიც, რომ 1678 წელს აფხაზებს ცაიში დაურბევიათ (175;64,76) და 1777 წელს მომხდარა „საეროდ ქმნილი“ ცაიშის კათედრის აღდგენა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიტროპოლიტი გრიგოლ ჩიქოვანი მოგვითხრობს: „ვიხილე ესე ეკლესია ფრიად დაცემული და დარღვეული შინაგან კედელი და გარეგანცა ... და აღვაშენე ესე ეკლესია“ (72;175).


ამ წარწერიდან ცხადი ხდება, რომ ეკლესია იმდენად არ დაზიანებულა, როგორც მალაქიას დროს, და არა თუ შემუსვრილა, არამედ შენობის რომელიღაც ნაწილი თუ კედლის პერანგი ჩამოცვნილა და ეს დანგრეული ნაწილი გრიგოლ ჩიქოვანს აღუდგენია (71;18). ფაქტია ისიც, რომ გრიგოლ ჩიქოვანს თავიდან არ მოუხატავს და არც განუახლება ფრესკული მხატვრობა. ამის შესახებ არაფერია ნათქვამი არც კაცია დადიანის 1777 წლის სიგელში და არც გრიგოლ ჩიქოვანის სხვა წარწერებში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი: პირველად მალაქია კათალიკოსს 1612 წელს

დაუმთავრებია ცაიშის ტაძრის მოხატვა და შექობა, რაც 1614 წლის მიწისძვრას მთლიანად გაუნადგურებია. 1616 წელს მალაქიას, აწ უკვე აფხაზეთის კათალიკოსს, თავიდან დაუწყია ცაიშის საყდრის აღდგენა და სწორედ ამ პერიოდში უნდა მოეხატა კიდევაც იგი. მოგვიანებით ფრესკების განახლებაზე აღარავის უზრუნია. დღემდე შემორჩენილი ცაიშის ფრესკული მხატვრობა XVII საუკუნეს მიეკუთვნება.


ტაძრის შიდა სივრცის შემამკობელი ფრესკული მხატვრობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საკურთხეველის კონქზე შესრულებული ღმრთისმშობლისა და მიქელ-გაბრიელის გამოსახულებები. ღმრთისმშობელი ფეხზე მდგომარეა, მას ყრმა იესო უჭირავს ხელში. მარიამის თვალები, სახის ნაკვეთები და მდიდრული მოსასხამი ხაზს უსვამს მომხატველი ოსტატის ზომიერებისა და ჰარმონიის გრძნობას. ყრმა იესოს სახეში იკვეთება შეწითლებული ლოყები და მოყავისფრო ინტენსიური ჩრდილები.

მარიამის გვერდით მდგარი მთავარანგელოზები, მდიდარ საიმპერატორო ტანისამოსში გამოწყობილნი, თავყანისცემით ხელაპყრობილნი შეკყურებენ მას. მათ პორტრეტებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მდიდრული მოწითალო-მოვარდისფრო ტანისამოსი



ცაიშის ტაძრის ფრესკული მხატვრობა. განაკვეთი სამხრეთით.





ცაიშის ტაძრის ფრესკული მხატვრობა. სრული განაკვეთი სამხრეთით.

და ფრთები. ვარდისფერ მოსასხამებზე შესრულებულ სარტყლებზე, საყელოებსა და ომფორებზე გამოსახულია ძვირფასი ქვები, რაც ტანისამოსს მდიდრულობას სძენს. კომპოზიციის ოთხივე წვერს (მარიამი, ყრმა იესო, მიქელ-გაბრიელი) შარავანდი ადგას. საკურთხეველის კონქის მოხატულობის ფონი ცისფერი ზეცა და მოწითალო მიწაა. მიწაზე ალაგ-ალაგ მწვანე ბალახებია გამოსახული. საკურთხეველის კონქის კამარაზე შესრულებულია მედალიონებში ჩახატული 8 წმინდანის გამოსახულება. ყოველ მათგანს ხელში ეტრათი უპყრია. ზოგიერთზე ბერძნული წარწერები განირჩევა.

საკურთხეველის ტიმპანზე გვხვდება ოთხი სახის ორნამენტი:

პირველი სამკუთხედში ჩახატული ათყურა ფოთოლი, რომელიც ორი მხრიდან სამკუთხედის გვერდს ერწყმის. სამკუთხედსა და ფოთოლს შორის დარჩენილი სივრცე წითელი და შავი ფერის საღებავებითაა შევსებული;

მეორე ტიპის ორნამენტია შვიდყურა გვირგვინის მსგავსი წრეში ჩახატული როზეტი, რომელიც ღეროთი ორნამენტის ჩარჩოებს ერწყმის. აღსანიშნავია, რომ ორნამენტის ორივე ფორმა ხშირად გვხვდება ტაძრის ინტერიერში. ისინი უმეტესად გამოსახულია სარკმლებისა და შემოსასვლელების თაღებზე. ასევე ხშირია მათი გამოსახვა სცენებს შუა;

მესამე სახის ორნამენტი — დიდ კვადრატებში ჩახატული ლურჯი და წითელი ლივლივები, ძირითადად გამოყენებულია ტაძრის კედლების ქვედა რეგისტრში, ფრესკული მხატვრობის ბოლოს.

ორნამენტული გაფორმების მეოთხე ტიპად შეიძლება მივიჩნიოთ თეთრ არშიებში ჩასმული წითელი ზოლები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში დატანებულია ბიბლიურ სცენებსა და წმინდანთა პორტრეტებს შორის.

ცაიშის მონასტულობის ხასიათი იმითაც განისაზღვრება, რომ ტაძარი ღმრთისმშობლის სახელზეა აგებული. ამდენად ღმრთისმშობლის სახეს აქ მთავარი ადგილი უჭირავს. მისი ცხოვრება წარმოდგენილია სცენების ვრცელი ციკლით, რომლის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, უკვე გაფუჭებულია.

ღმრთისმშობლის გამოსახულებებიდან ყურადღებას იპყრობს დასავლეთის მკლავის ცილინდრული კამარის მონასტულობა. აქ ცენტრალური ადგილი უკავია სფეროში ჩახატულ ღვთისმშობელს. მარიამის სახე სიმკაცრითა და ძალმოსილებით გამოირჩევა. მისი


მუქი, მოყავისფრო-მოწითალო სამოსის მკვეთრი ნაკვეციები ხაზს უსვამს მხატვრის რეალისტურ სტილს. ღმრთისმშობელს ორივე ხელი ზეაყრობილი აქვს. საგულისხმოა ყრმა იესოს გამოსახულებაც; მიუხედავად იმისა, რომ იესო ღვთისმშობლის ფონზეა დახატული, მაინც კარგად იკვეთება მისი ფიგურა, რის ხელშემწყობ პირობადაც მძაფრი კონტურები, თეთრი სამოსი და ოქროს შარავანი გვევლინება.

ჩრდილოეთის კედლის ზედა რეგისტრში გაშლილია ღმრთისმშობლის ციკლი და მეტ-ნაკლებად განირჩევა სცენები: „შეხვედრა ოქროს კარიბჭესთან“, „მარიამის შობა“ და



ცაიშის ტაძრის აღმოსავლეთ კარიბჭის თაღის მონასტულობა. დეტალი. XVII ს.

„ტაძრად მიყვანება“. სცენაში – „შეხვედრა ოქროს კარიბჭესთან“ – გამოსახულია მოოქროსფრო კარიბჭესთან მდგომი ანა და იოაკიმე, რომელთაც ციდან ანგელოზი ევლინებათ. სცენაში – „მარიამის შობა“ – მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შენობას, რომელიც პროპორციებითა და გეომეტრიული აგებით XIV-XV საუკუნეების გოთური ხელოვნების ნიმუშს მოგვაგონებს. მის ფონზე მოთავსებული ანასა და მომვლელი ქალების ნაზი სახეები ხელს უწყობს სცენის მონუმენტურობასა და დინამიკურობას.



ციაშის ტაძრის საკურთხეველის კონქის მოხატულობა. დეტალი.  
XVII ს.

სამხრეთის კედელზე, შემოსასვლელის დასავლეთით, ქვედა იარუსში შემორჩენილია წმინდანთა ძლიერ დაზიანებული ორი პორტრეტი. აქ განირჩევა ორივე წმინდანის შარავანდი, მამაკაცის სახის მოხაზულობა და გვირგვინი, ხოლო ქალის თვალები და ცხვირ-პირი, აქვე შემორჩენილია ორი ბერძნული ასო „HE“ („ნე“), რომელიც დატანებულია წმინდანი ქალის შარავანდთან. შემორჩენილი მხატვრობა საშუალებას არ გვაძლევს, ზუსტად დავადგინოთ გამოსახულ წმინდანთა ვინაობა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ აქ წმინდა კონსტანტინესა და წმინდა ელენეს ფრესკული მხატვრობა ყოფილიყო. ვარაუდის საშუალებას გვაძლევს შემორჩენილი ბერძნული ასოები: „HE“.

შესრულების საუკეთესო რეალისტური სტილით გამოირჩევა აღმოსავლეთ კარიბჭის თაღზე მოთავსებული ჩვენთვის უცნობი სცენა (სამი მამაკაცი მთაში). აქ ყურადღებას იქცევს ადამიანთა ფიგურებისა და სახეთა გამოსახვის მანერა. სცენის კოლორიტი რბილ, ზუსტად მიგნებულ ტონთა რიტმულ შეხამებაზეა აგებული. ახალგაზრდა სახეები შუქჩრდილებით არის გაცხოველებული, მთლიანად სცენა მშვიდია და სათუთხაზოვან რიტმშია შესრულებული.


ციაშის ფრესკული მოხატულობიდან განსაკუთრებული ყურა-

დღების ღირსია ტაძრის სამხრეთ ნაევში, ბოძის ქვედა რეგისტრზე გამოსახული ქტიტორები. პორტრეტები მეტად თუ ნაკლებად ფრაგმენტულია, წარწერა კი, სამწუხაროდ, სავსებით წაშლილია. ფრესკა ორ გამოსახულებას შეიცავს. მათგან აღმოსავლეთით მდებარე გვირგვინოსანი დედოფლის გამოსახულება უფრო მეტადაა შემორჩენილი. დედოფალს მდიდრული სამოსიდან გამოყოფილი მარჯვენა ხელი ოდნავ ზეალმართული აქვს, თავზე ორნამენტებით შემკული გვირგვინი ახურავს. ორი დიდი ნაწნავი თითქმის მთელ სხეულზეა ჩამოშლილი. მაღალი ყელი, ფაქიზი ნაკეთები და დიდრონი თვალები დიდებული ქალის დახვეწილ ტიპს წარმოსახავს. დედოფლის მუქ შინდისფერ საკინძიან სამოსს ფრაგმენტულად შემორჩენილი ოქროსფერი მდიდრული მოსასხამი ამშვენებს, რომლის საყელოზეც საოცრად ნატიფი ორნამენტებია გამოსახული. დედოფლის ფიგურის პროპორციული სისწორე ოდნავ დარღვეულია თვალების, ყურების, თავის რამდენადმე გადიდებით, რაც გამოსახულების აღქმას აძლიერებს.

დედოფლის დასავლეთით მოთავსებული მამაკაცის ფიგურა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. მას აღმოსავლური ტიპის საკმაოდ მაღალი მოყავისფრო ქული ახურავს, რომელიც გეომეტრიული უჯრე-



სცენა წმინდა გიორგის ცხოვრებიდან.  
პატრონიკეს მოხატულობა. XVII ს.



სცენა წმინდა გიორგის ცხოვრებიდან.  
პატრონიკეს მოხატულობა. XVII ს.

დებითაა გაფორმებული. ქართული ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი ნუშისმაგვარი თვალები, შავი წარბ-ულვაში და სწორი ცხვირი პორტრეტს ღირიულ იერს სძენს.

უცნობია გამოსახულ ქტიტორთა ვინაობა. წარწერები სავსებით წაშლილია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევაში ნაწილობრივ შეიძლება დაგვეხმაროს ტაძრის მოხატვის პერიოდი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცაიშის კათედრის მოხატვა 1616 წელს უნდა დაწყებულიყო, ამიტომ არაა გამორიცხული, რომ აქ იმდროინდელი სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657) და დედოფალი ნესტან-დარეჯანი დაეხატათ.

ლევანი და ნესტან-დარეჯანი მსგავსი ჩაცმულობით წარმოგვიდგება კორცხელის რელიეფურ ხატზე. აქ ყურადღებას იქცევს ნესტანის ისეთივე ჩამოშლილი ნაწნაეები, როგორც ფრესკაზე და ლევანის აღმოსავლური ტიპის ქუდი. მართალია, ძნელია, დანამდვილებით ვამტკიცოთ ფრესკაზე გამოსახულ პირთა ვინაობა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაა გამორიცხული, რომ მალაქია გურიელის დაკვეთით, ცაიშში იმდროინდელი სამეგრელოს მთავრისა და დედოფლის ფრესკული გამოსახულება შეესრულებინათ.

ფრესკული მხატვრობის ნიმუშებით განსაკუთრებით მდიდარია პატრონიკე. აქ ტაძრის დანარჩენი სივრცისაგან განსხვავებით ძირ-

ითადი ადგილი წმინდა გიორგის ცხოვრების ამსახველ სცენებს ეთმობა.

პატრონიკეს დასავლეთ კედელზე შესრულებულია წმინდა გიორგის დიდი ფრესკა, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს. ეს კომპოზიცია ყურადღებას იპყრობს ფერთა სიუხვითა და სიხასხასით. მისი ფონი სამი — ლურჯი, ოქროსფერი და მოყავისფრო-მოწითალო — ფერებისაგან შედგება. თავად წმინდა გიორგი ტახტზე ზის, ორივე ხელში ქარქაშიდან ნახევრად ამოღებული ხმალი უჭირავს, მარცხნივ გადაკიდებული აქვს მშვილდი და ფარი. წმინდანის სხეული მოყავისფრო და ნაცრისფერი აბჯრითაა შემოსილი. წმინდა გიორგის ხელების მოძრაობა მძლავრია და მტკიცე, ნახევრად ამოწვდილი მოვერცხლისფრო ხმალი ხაზს უსვამს წმინდანის დიდ ძალას, სახე კი ჭაბუკური ნატიფი ნაკეთებით გამოირჩევა.


პატრონიკეში შემორჩენილი მხატვრობიდან გამოვყოფთ წმინდა გიორგის წამების ორ სცენას: პირველზე ასახულია გიორგის მახ-

ვილით წამების სცენა. მხატვარს ფერთა საშუალებით გამოცემული აქვს მოქმედ პირთა ხასიათი. მწვანე პერანგითა და წითელი მოსასხამით შემოსილი ხელაპყრობილი გიორგი დგას ჭაბუკებს შორის, რომლებიც მას მახვილს სცემენ. წმინდანის ნათელ სახეს შარავანდი აცისკროვნებს, მოძალადეთა სახეები კი მუქი ფერებითაა შესრულებული, მათი სამოსელი მოყავისფროა. ფერთა ასეთი განაწილება კარგად ასახავს როგორც მოქმედ პირთა ხასიათს, ასევე მთელი სცენის იდეურ შინაარსს.

მეორე სცენაზე ნაჩვენებია წმინდა გიორგის ბორბალზე გაკვრა. რვათელიანი ნაცრისფერი ბორბლის თავზე გაკ-



ცაიშის ტაძრის საკურთხეველის მოხატულობა. დეტალი. XVII ს.



ცაიშის ტაძრის ფრესკული მხატვრობა.  
განაკვეთი აღმოსავლეთით.

რულია შარავანდით შემოსილი გიორგი, რომელსაც თოკით ეწვევა ჭაბუკი. სცენაში ცენტრალური ადგილი უკავია ბორბალს, მის ქვემოთ შუბები და ორლესულებია მოთავსებული. ბორბლის სიდიდე კარგად ასახავს სატანჯველი იარაღის სისასტიკეს.

პატრონიკეში შემორჩენილია სცენათა ფრაგმენტები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან მხატვრის ოსტატობაზე. აქ ყურადღებას იპყრობს წმინდა გიორგი, რომლის ახალგაზრდული სახის ნაკეთები მორწმუნის დახვეწილ ტიპს განასახიერებს.

წმინდა გიორგის ფრესკული გამოსახულების საპირისპიროდ პატრონიკეს აღმოსავლეთ კედელზე მოთავსებულია მაცხოვრის წელზედა დიდი ზომის ფრესკა. მოხატულობას დინამიკურ იერს ანიჭებს ლურჯ და მუქ ოქროსფერთა მონაცვლეობა. იესოს სახის რბილი მოდელირება შემსრულებლის ოსტატობაზე მეტყველებს. მაცხოვრის სახის გამომეტყველება მშვიდი და შთაგონებულია.

ამრიგად, შესრულების მანერით, იკონოგრაფიული და სტილის-ტური ნიშნებით ცაიშის მოხატულობას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიენიჭოს XVII საუკუნის ქართული მონუმენტური ფერწერის ნიმუშებს შორის.

\*\*\*


ცაიშის ტაძარი XIV საუკუნეში დადიანთა საგვარეულოს საძვალე იყო. პლ. იოსელიანის თქმით: „ჩრდილოეთისაკენ მიმართულ მხერას იმთავითვე იპყრობს ურთას მთაგრეხილი, რომელსაც თითქოს უბეში ჩაუკრავს ცაიშის მონასტერი – ქრისტეს რჯულის ჭეშმარიტი მანათობელი ოდიშში, ამ კუთხის ძველ და ახალ მთავართა საძვალე, წმინდა ჯვრისა და სახარების წინააღმდეგ მებრძოლთა რისხვა“.

დადიანთა გარდა, როგორც ჩანს, აქ იკრძალებოდნენ ცნობილი საზოგადო და საეკლესიო მოღვაწეები. ცაიშის ნეკროპოლი შეუსწავლელია. ბევრმა საფლავმა ჩვენამდე ვეღარ მოაღწია. დღეს ტაძრის შიგნით ნ საფლავია შემორჩენილი. საკურთხეველის მახლობლად, ამბიონთან განლაგებულია სამი საფლავი. პირველი სამარის ლოდზე იკითხება შემდეგი შინაარსის წარწერა:

1. შავით დადიანი [ის]
2. ასული მართა [გარდაცვლილი 18]
3. 40სა წელსა [ფეხბერ]
4. ვალსა შინა მასვე წელს
5. დეკემბრის [ ]
6. მშობელთა აღუმართეს
7. სახსოვრად
8. ესე

მეორე საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერა შემორჩა:

1. ზოდს ამას ქუეშე განისვენებს
2. მენგრელიის მთავრის დ[ავით] და[დია]
3. ნის ძე ალექსანდრე [გარდაცვალებული]
4. მარტს 1846 წელსა [ ]



ლევან დადიანის  
ფრესკული გამოსახულების  
გრაფიკული ჩანახატი.  
ცაიშის ტაძარი.



5. დეკემბერს [ ]

6. ფიქალი ესე დავსდევ [ ]

სამწუხაროდ, მესამე სამარის ქვის წარწერა აღარ იკითხება. ძნელად გასარჩევია ეპისკოპოსის ტახტთან მოთავსებული საფლავის ეპიტაფიაც. აქ შემდეგი შინაარსის წარწერა შემოგვრჩა:

1. [ლოდს ამა ქუეშე განისვენებს]
2. მენ[გრელიის] დედოფლის
3. კატრინას ასული დადიანის [ ] რვის წლის
4. [ ] მუხთალი
5. დავსდევ ესე ფიქალი ათას რვას

როგორც ვხედავთ, წარწერიდან ნაწილობრივ ირკვევა გარდაცვლილის ვინაობა. ვიცით, რომ აქ სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის ეკატერინე დადიანის (1816-1888) ქალიშვილი ყოფილა დაკრძალული. მისი სახელი და გარდაცვალების თარიღი საფლავის ქვას, სამწუხაროდ, აღარ შემორჩა. ცაიშის ტაძრის ჩრდილო ნაწილში დაცულია კიდევ ორი საფლავი. პირველ მათგანზე ორენოვანი წარწერაა:

1. Здес покоется
2. генераль-лейтенантъ
3. светлейший княз
4. Константин Леванов
5. Даднани
6. 1819-1889.

1. აქ მდებარეობს
2. ღენერალ ლეინტენანტი სხვადასხვა ორ
3. ღენტა კავალერი უგანათლებულესი თავადი
4. კონსტანტინე მთავრის ლევანის ძე დადიანი
5. გარდაიცვალა სამოცდა მეთთესა წლისა
6. 23 აპრილს 1889-ს წელსა მეუფეო
7. განუსვენე

შემდეგ საფლავზე კი ასეთი წარწერას ვკითხულობთ:

1. ჩინა
2. ასული უგანათლებულესის მენგრელიის
3. მთავრის ძის დადია

4. ნისა

5. იშვა 1868 წელსა, აღიზარდა ყოველი

6. თა ქვეყნიერის ფუფუნებითა ვითარცა

7. ასული დიდებულისა სახლისა სახით

8. ტურფა, სულით ანგელოზი, ისწავა საღ

9. ვრთო წიგნები უმოძღვროდ და რა აღიწია

10. მეთექვსმეტესა წელსა უარ-ჰყო ყოველი

11. ესე სოფლით დიდება მიენდო სრულიად

12. ზეციერსა მამასა შესდგა მონაზვნად

13. და მიისწრაფა მისადმი და ერთისა

14. წლისა 20<sup>ს</sup> ოქტომბერს 1889 წელსა

ცაიშის მონასტერში დაკრძალული ყოფილა უკანასკნელი მიტროპოლიტი გრიგოლ ჩიქოვანი. მისი საფლავი უნახავს ექ. თაყაიშვილს. მეცნიერი არ მიუთითებს, სად განისვენებდა ეს იერარქი – ტაძარში თუ ეზოში (72;181). დღეს მისი საფლავი დაკარგულად ითვლება.

ცაიშის სამრეკლოს სამხრეთ კედლის ქვედა ნაწილში შემორჩა სამარის ქვა ასომთავრული წარწერით:

1. ესე (არ)ს განსას[უე]

2. (ნ)ებელი ჩემი [და]

3. (მ)ას დავემკვიდ[რო]

4. რამეთუ მონავს (71;19).

ამ წარწერის შინაარსიდან ბევრი ვერაფერი ირკვევა. სავარაუდოა, რომ იგი ეკვდერში იყო მოთავსებული და პალეოგრაფიული ნიშნებით XIII-XIV სს. განეკუთვნება, მაგრამ ვის ეკუთვნოდა წარწერა, ჯერჯერობით უცნობია. ეს ტექსტი არის 131-ე ფსალმუნის მე-14 მუხლი. მსგავსი შინაარსის წარწერა გვხვდება გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავის ქვაზე, სადაც ნათქვამია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, რამეთუ მონავს მასს დავემკვიდრო მე“ (112გ; 11). ცაიშში ასევე დაკრძალული ყოფილა ლევან V დადიანის სიძე, მანუჩარ შარვაშიძე. ნიკო დადიანის თქმით, იგი აფხაზეთში მოკლეს. დატირების „შემდგომად მოვასვენეთ ეკლესიასა ცაიშს და დაემარხეთ მუნ შესაფერისა პატივითა“ (16;210).

ამდენად, როგორც ზემოთქმულიდან ცხადია, ცაიშის ნეკროპოლი საინტერესო ისტორიული ძეგლია, მაგრამ ბევრი საფლავი დაიკარგა, ზოგიერთზე კი წარწერები აღარ იკითხება.



ბუჯიკის ტაძარი. აღმოსავლეთ ფასადი. X ს.



ქტიტორთა რიგი ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე. XI ს.



ბედის ტაძრის საეკლესიო ჭურჭელი  
(დაკარგულია მალალი ბარძიმი და მტრედი).

## ბედიის საეპისკოპოსოს ისტორია

### §1. ბედიის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი

ქალაქ ოჩამჩირიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, 25 კილომეტრის დაშორებით, სოფელ აგუბეღიაში მდებარეობს ბედიის გუმბათოვანი ტაძარი და მისი ხუროთმოძღვრული კომპლექსი.

„... დიდმან მეფემან (იგულისხმება ბაგრატ III) აღაშენა საყდარი ბედიისა, და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვსა საეპისკოპოსო, შეწირა სოფელნი მრავალნი ყოველთა კეეთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოველითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასვა ეპისკოპოსი“ – ნათქვამია „მატიანე ქართლისაში“ (26;281). ბაგრატ III იმავე ბედიის მონასტერში დაუკრძალავთ. ზვიად ერისთავთ-ერისთავმა მეფე ბაგრატის ცხედარი წამოიღო ფანასკერტიდან და „დაპარსა ბედიას“ (26;283).

მეფე ბაგრატის მიერ ტაძრის აგების ქრონოლოგიას აკონკრეტებს ბედიის ოქროს ბარძიმის წარწერა, რომელშიც ნათქვამია: „წმინდაო ღვთისმშობელო (ბედიისაო), მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აბხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა, ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხეველსა შემამკობელთა და წი~სა საყდრისა აღმაშენებელთა, ამინ“ (68;18). თვით ბარძიმს შემდეგნაირად ახასიათებს „ქართლის ცხოვრება“: „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათჳს დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიის ეკლესიისა“ (26;281). ისტორიული წყაროს ცნობით: „ბაგრატ, ძემან გურგენ მეფისამან კურაპალატმან ბეღია აღაშენა ...“. 999 წლის ბარძიმის საქტიტორო წარწერა ბაგრატს მხოლოდ აფხაზთა მეფედ იხსენიებს და არა კურაპალატად, ან ქართველთა მეფედ, როგორც იგი 1001 წლის შემდეგ მოიხსენიება (68;1). ამიტომაც მიღებულია, ბედიის ტაძრის აშენების ქრონოლოგიის ზედა ზღვრად 999 წელი ჩაითვალოს. ამას ემატება თედო ჟორდანიას მიერ მიკვლეული ეგრეთ წოდებული „დადიანთა ქრონიკა“, რომელშიც ბედიის ტაძრის აშენების თარიღად 999 წელია დასახელებული. „ქრონიკაში“ ნათქვამია: „წელსა

(ქრისტესით): შუთ: ბაგრატ, ძემან გურგენ მეფისამან კურაპალატმან ბედია აღაშენა“ (32;137).

მარი ბროსეს ცნობით, ბედიის ეკლესიის დასავლეთ კედლის კუთხის ერთ-ერთ ქვაზე მოთავსებული ყოფილა ასომთავრული წარწერა. ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია. ეს წარწერა, როგორც ჩანს, XIX საუკუნის II ნახევარში ეკლესიის შეკეთების დროს დაიკარგა. სხვა ცნობები წარწერის შესახებ, გარდა მისი ტექსტის მარი ბროსესეულ პუბლიკაციაზე დამყარებული გამოცემისა, არ მოიპოვება. წარწერა თავისი შინაარსით, თითქოს, ბედიის ტაძრის აგების პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს და ამიტომაც X საუკუნით თარიღდება (39;38).

წარწერაში ნათქვამია: „წ(მიდა)ო ღ(მრთ)ისმშობელო, მე(ო)ხ ექმენ წ(მიდის)ა ამ(ი)ს ს(ა)ყდრ(ისა) ამშ(ენ(ე)ბ(ე)ლს, გ(ა)ლ(ა)ტ(ო)ზ-თა(უ)ხუც(ე)ს(ს) სუპ(ეო)ნსა“ (39;38).

ამდენად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბედიის საეპისკოპოსო კათედრა დაარსებულია X საუკუნის ბოლოს, კერძოდ 999 წლის ახლო პერიოდში.

ბედიის ტაძარს 1008 წელს აგებულად მიიჩნევს ნიკოლიძე კონდაკოვი (159;58).

## §2. „ბედია“ როგორც გეოგრაფიული სახელი და როგორც ქალაქი

ბედიის, როგორც გეოგრაფიული ადგილის, სახელწოდებისათვის საინტერესო ცნობას იძლევა კრისტოფორო კასტელი. იგი ამბობს: „ამ სოფელს უწოდებენ ბედიას, იმიტომ, რომ ერთ დღეს საქართველოს მეფეს, რომელიც მთებში ნადირობდა, თავიდან დოლბანდი გადმოვარდნია, და ამ ადგილას ოქროს ჯვარი უპოვნია, რაზედაც უთქვამს, რომ კარგი ბედი მქონიაო. მეფეს უბრძანებია, რომ იქვე აეშენებინათ ეკლესია და გაემდიდრებინათ ის მრავალი ძვირფასეულობით“ (21;171. შდრ.: 68;56).

ვახუშტის ცნობით კი: „ხოლო ამ ეგრისს მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თუსი. არამედ ამას შემდგომაც უწოდეს ბედია, რომელი დასუა კ-მეფემან ფარნაოზ

ქვეყი ერისთავად რიონის დასავლეთისა, ვინამთგან ჰპოვა ბედი. მერმე აფხაზთა მეფის ლევანისაგან განიყო, და ცხომის ერისთავი სხუა, ბედიისა სხუა, აფხაზთა სხუა“ (12;780).

ბედიის სახელწოდება გვხვდება ისეთი სახითაც, როგორცაა „ბედია-ჩუკი“ (145ა;346) და იგი, ჩვენი აზრით, აფხაზეთში ოს-მალური გავლენის გაძლიერების გამოძახილი უნდა იყოს.

ბედიის, როგორც ქალაქის, შესახებ უძველესი ცნობა გადმოცემული აქვს ლეონტი მროველს. „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად, თარგამოს-მა თავის შვილს, ეგროსს, მისცა „ქუეყანა ზღვს ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვან ლიზი, დასავლით ზღუა, [ჩრდილოთ] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთე-ბის წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ მას აღვილსა ჰქვან ბედია“ (26;5). მეცნიერთა გარკვეული ნაწილი იზიარებს ზემოხსენებულ აზრს, რომ ქალაქი ეგრისი დღევანდელი ბედიაა (97;242). ნიკო ბერძენიშვილის თქმით: „საფუძვლიანი ხდება ფიქრი, რომ არსებობდა (ლეონტის დროსაც) გადმოცემა, რომ იმ დიდი მნიშვნელობის ადგილას, რომელსაც „აწ ჰქვან ბედია“ თავდაპირველად ეგრი ეწოდებოდა“ (63;112).

ბედიის შესახებ დაცულია კიდევ ერთი საინტერესო თქმულება, რომლის თანახმადაც მწირები მოგზაურობდნენ ლამაზსა და ზიდი-ვით გადაჭიმულ მთა-გორებზე. მოგზაურობა საოცრად რთული და დამძლეული აღმოჩნდა. დიდი ხნის სიარულის შემდეგ მწირებმა შეამჩნიეს კლდეში გამოკვეთილი ბუნებრივი სიმაგრე და აღტაცებით შესძახეს — „ბედია“. მას შემდეგ ისინი აქ დარჩნენ, ამ ადგილზე კი დიდებული ბედიის ტაძარი აშენდა (153;7).

### §3. ბედიელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი


ბედიელი ეპისკოპოსები სრულიად განსხვავდებიან საერო ბედი-ელისაგან (ე. ი. ბედიანებისაგან და დადიან-ბედიანებისაგან). ბედი-ელების, როგორც ბედიის ეპისკოპოსთა, შესახებ, ცნობას იძლევა არქანჯელო ლამბერტი. იგი ჩამოთვლის სამეგრელოს საეპისკოპო-სოებს და აღნიშნავს „ბედიას, რომელიც აშენებულია გორაკზე ... ღმრთისმშობლის სახელობაზე. მისი ეპისკოპოსი იწოდება ბედი-

ელად“ (22;107). „ხელმწიფის კარის გარიგების“ თანახმად, „ამიერი ბედიელი მოსაფლავა“, ესე იგი სამეფო საფლავის მფარველია (45ა;26). უცხოური წერილობითი წყაროების ცნობით კი, ბედიელი ეპისკოპოსი სამეგრელოში ყველაზე დიდი ეპარქიის მფლობელი იყო (172;18).

ბედიელ ეპისკოპოსთა შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა ასევე დონ ჯუზეპე ჯუღიჩე მილანელი. მისი თქმით, „ბედიელმა ეპისკოპოსმა, რომელსაც ამ ეკლესიის მოვლა აბარია (საუბარია ილორის ტაძარზე, გ. კ.), მთავრისათვის მოაწყო მეტად ბრწყინვალე ნაღიმი — დაკლა 10 ძროხა, 20 ღორი და 100 თხა. დიდძალი პური და ღვინო მოამარაგებინა. ბერებისათვის, რომელნიც ზორცს არ ჭამენ, ეპისკოპოსს მოემზადებინა დიდი რაოდენობით მარილიანი და ახალი თევზი, ნაღები და სხვა, მაგრამ განსაკუთრებით უხვად ჰქონია ღვინო“ (47;97).

პირველი ბედიელი, რომელიც ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება, გახლავთ სოფრონი, რომელიც მოიხსენიება სოფელ ქვემო გოსტიბეს კაბერის ტაძრის წარწერაში, სადაც ნათქვამია:

- „1. ქ სახელითა ღმრთისათა აღ
2. ვაშენე წმიდაჲ ესე ეკ
3. ლესიაჲ მე ასად სანივა
4. ჯის ძემან ძმამან სოფრონ
5. ბედიელ მთავარ ეპისკოპოსი
6. სამან ზე გიორგი მეფისა და
7. მელქიზედეკ კათალიკოზისა“ (163;52).



მორე წარწერა დატანებულია დასავლეთის ფასადზე: „ოდეს ე(სე) (და)ვწერე მე ასად ვ(იყა)ე წლისა 67 აღიდენ ღმერთმან სოფრონ ბედიელი ეპისკოპოსი წლისა 59 და ძნ მისი. ა...ო წლისა... და ნე...კ...“ (163;52).

ამ წარწერების მიხედვით, ტაძარი აშენებულა მეფე გიორგი I-ისა და კათალიკოს მელქიზედეკის მეფობის წლებში. ქორონიკონი დაზიანებულია და მითითებული წლის წაკითხვა შეუძლებელია. როგორც ცნობილია, მელქიზედეკი აკურთხეს და აღასაყდრეს საკათალიკოსო ტახტზე გიორგის გამეფებამდე, გარდაიცვალა კი ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ. ამდენად, ტაძრის აგების ქრონოლოგია უნდა თარიღდებოდეს გიორგი I-ის მეფობის პერიოდით, 1014-1027 წლებით. ტაძრის ამშენებელი ყოფილა ბედიელი მთავარეპისკოპოსის ძმა, ვინმე სანივაჯის ძე ასაჯი.



ამდენად, ჩვენთვის ცნობილი პირველი ბედიელი ეპისკოპოსის სოფრონის მოღვაწეობა 1014-1027 წლებს შუა ექცევა.

შემდეგი გახლავთ იოანე, რომელიც გიორგი მცირის ნაწარმოებში — „ცხოვრებაი და მოქალაქეობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისაი“ — მოიხსენიება. აქ ნათქვამია, რომ 1065 წელს კონსტანტინოპოლში მართა დედოფლის დელეგაციას თან ახლდა ბედიის მთავარეპისკოპოსი იოანე სუნგელოზი (14;236).

წყაროთა უქონლობის გამო ძნელია დავათარილოთ ზემოხსენებული ეპისკოპოსის მოღვაწეობის წლები, რამეთუ ვიცით მხოლოდ, რომ იგი 1065 წელს გახლდათ მართა დედოფალთან ერთად. ამიტომაც შეიძლება, მისი ეპისკოპოსობა ბედიაში XI საუკუნის 60-იანი წლებით განვსაზღვროთ.

გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ იოანეს მართა დედოფალთან ერთად კონსტანტინოპოლში ჩასვლა და სუნგელოზის საეკლესიო პატივის ტარება მეტყველებს ჩვენი ქვეყნისათვის არა მარტო მისი პიროვნების, არამედ იმდროინდელ საქართველოში ბედიის საეპისკოპოსოს როლზეც.

ბ. კულდავამ ერთ-ერთ ნაშრომში, რომელიც XI საუკუნეში მოღვაწე ჭყონდიდელ ეპისკოპოს იოანეს შეეხება, საინტერესო მოსაზრება გამოთქვა. მეცნიერის განცხადებით: „დიდია ცდუნება, იოანე ბედიელი დაუკავშიროთ იოანე ჭყონდიდელს და ამ ორი იოანეს იგივეობა ვამტკიცოთ. იოანე ჭყონდიდელი ძმა პეტრესი (იგულისხმება ბაგრატ IV-ის წარმომადგენელი პეტრე პატრიკი — გ. კ.) და თითქმის სულ ერთად იხსენებიან წყაროებში (1054 წლის აღაპი; გიორგი მცირის თხრობა 1066 წლის მოვლენებზე; 1085 წლის ანდერძი), მართას ამაღლაში კი გიორგი მცირე პეტრეს გვერდით კვლავ იოანეს, ოღონდ ამჯერად ბედიელ მთავარეპისკოპოსს, იხსენიებს. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ იოანე სუნგელოზის საეკლესიო პატივს ატარებს. მათი გაიგივებით თითქოს პრობლემაც იხსნება, მაგრამ რეალური ვითარება, როგორც ჩანს, სულ სხვაგვარია. ჯერ ერთი, იოანე ბედიელი არ იწოდება პეტრეს ძმად, იოანე ჭყონდიდლის შემთხვევაში კი ყველგან ხაზგასმულია, რომ იგი ძმა პეტრე პატრიკისა; მეორეც, იოანე ჭყონდიდელი ამ დროს ჯერ კიდევ არ არის სუნგელოზი, 1066 წლის მოვლენების აღწერისას გიორგი მცირე არ იხსენებს მას ამ პატივში. ორი ეპარქიის მმართველობის შეთავსება გვიანი პერიოდის

რეგალია (დავით აღმაშენებლის დროიდან), თანაც, ტიტულატურაში არ ჩანს შეთავსება — იოანე ჭყონდიდელი არსად იწოდება ბედიელად, იოანე ბედიელი კი ჭყონდიდელად. ისიც საეჭვოა, რომ იოანე ჯერ ბედიელია (1065 წ.), შემდეგ კი ჭყონდიდელი ხდება (1066 წ.). შეცდომაც გამორიცხულია — საეკლესიო პირი გიორგი ხუცეს-მონაზონი, ცხადია, კარგად ასხევეებს ერთმანეთისაგან ბედიისა და ჭყონდიდის ეპარქიებს“ (96ბ;39).

შემდეგი ჩვენთვის ცნობილი ეპისკოპოსია გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დისწული სუმონ გულაბერიძე. იგი დავითის ისტორიკოსის თხზულებაში მოხსენიებულია როგორც ბედიელ-ალავერდელი. წყაროში ნათქვამია: „განმგებელად და ზედა-მხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თუსი სუმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თუსისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“ (44;197).

როგორც წყაროდან ირკვევა, დავით აღმაშენებელს 1124 წელს შარვანის, ქალაქ შამახისა და ციხე ბივრიტის აღების შემდეგ სუმონი დაუნიშნავს აქაურობის „განმგებელად და ზედამხედველად“.

გვებაძება ლოგიკური კითხვა — როდის მიიღო ზემოხსენებულმა პიროვნებამ ბედიელ-ალავერდლობა? — მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მას ეს მაღალი სასულიერო წოდება სწორედ 1124 წლისათვის უბოძეს (111;141-142. 100;84. შდრ.: 54;107-108). ნიკო ბერძენიშვილის თქმით, 1123 წელს გულაბერიძე ბედიელ-ალავერდელია და მწიგნობართუხუცესი, ხოლო 1125 წელს უკვე ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. თუ მოვლენათა ქრონიკას თვალს გადავაგულვებთ, ვნახავთ, რომ 1118 წელს გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის გარდაცვალების შემდეგ წყაროში პირდაპირ არსადაა ნათქვამი, თუ ვის გადასცა დავით აღმაშენებელმა მწიგნობართუხუცესის სახელო. მაგრამ შარვან-შამახია-ბივრიტის აღებისას სუმონი უკვე მწიგნობართუხუცესად მოიხსენიება. ამიტომ მართებულად უნდა ჩაითვალოს ნიკო ბერძენიშვილის აზრი, რომ ეს სახელო გიორგის გარდაცვალების შემდეგ სუმონს ერგო (111;25-26. 100;84. შდრ.: 54;107-108). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ესოდენ დიდი პატივის მიმღები სუმონი, ალბათ, უკვე იყო ბედიელ-ალავერდელი ეპისკოპოსი. შირვანში გამგებლად და-

ტოვების დროს („მაშინ“) სუქონი „ბედიელ-ალავერდელი“ და მწიგნობართუხუცესია, ხოლო იმ დროს, როცა დავითის მემატთანე თხზულებას წერდა (XII საუკუნის 30-იანი წლები), უკვე ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსია. სუქონი 1124 წლამდე რომ ბედიელ-ალავერდელია ამაზე მეტყველებს ასევე დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძი შიომღვიმისადმი, სადაც სუქონი ბედიელ-ალავერდელად და მწიგნობართუხუცესად მოიხსენიება.

როგორც ჩანს, ჭყონდიდლობა სუქონს დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ, დემეტრე II-ის მეფობის დასაწყისში აქვს მიღებული, რადგან შირვანიდან დაბრუნებული დავითი ორ-სამ თვეში (1125 წლის იანვარში) გარდაიცვალა. ჭყონდიდლად კურთხევის შემდეგ სუქონს, ალბათ, ბედიელ-ალავერდელობისათვის თავი უნდა დაენებებინა. მართლაც, უბისის სვეტის 1141 წლის წარწერაში იგი მხოლოდ ჭყონდიდლად იხსენიება. წარწერაში ნათქვამია: „მე საწყალობელსა: ს-ნ-ჭ-სა მომემადლა ღ-ისაგან აღშენებად მონასტერი ესე მეფობისა ღ-ისა მიერ გ-რგნსნისა დიმიტრი მეფეთა მეფისა ძისა დიდისა მეფისა დავითისა: ქრონიკონი იყო: ტაა: ზედა წელი სარკინოზთაა: ფლგ.“ (42ა;141). აქედან გამომდინარე, სუქონის ბედიელ-ალავერდელობა დაახლოებით 1118-1141 წლებს შორის უნდა ვივარაუდოთ.



ბედიის ტაძარი. X ს. 1968 წლის რესტავრაციის შემდეგ.

აქვე გვინდა, ყურადღება მივაქციოთ იმ მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც დავით აღმაშენებელმა განახორციელა – მწიგნობართუხუცესის სახელოს შეერთებით ორ დიდ საეპარქიო მღვდელთმთავრის სახელოსთან. ამ საქმეში საქართველოს მტკიცე გაერთიანების არსი იყო ჩადებული: „აღმაშენებელს სურდა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობა ტერიტორიულ-გეოგრაფიულადაც საბოლოოდ მტკიცე პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საღებავში მოექცია, რადგან მწიგნობართუხუცესი-ეპისკოპოსი მეფის სანქციით განაგებდა და კონტროლს უწევდა ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე სულიერ-იდეოლოგიურ ცხოვრებას. ამრიგად, ქვეყნის დედაქალაქში, თბილისში მყოფი სახელმწიფო კანცლერის თანამდებობა – მწიგნობართუხუცესი ცენტრიდან შორეულ მარჯვენა და მარცხენა საეპარქიო ცენტრების მღვდელთმთავრობის – ალავერდელობისა და ბედიელობის ფლობით – სამეფო ხელისუფლებასთან ერთად უფრო მტკიცედ განასახიერებდა ყოველი საქართველოს პოლიტიკურ და სულიერ-სარწმუნოებრივ (იდეოლოგიურ) ერთიანობასაც“ (67;130).

შემდეგი ბედიელი, რომელიც წყაროებში გვხვდება, არის ნიკოლოზი. იგი მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის №109-97 აღაპში როგორც „ნიკოლოზ აფხაზეთისა კათალიკოსი, ბედიელ ყოფილი“ და პალესტინაში, შეჰანის უდაბნოში გადაწერილი ხელნაწერის ერთ მინაწერში, სადაც ნათქვამია: „წმ. პროკოპი, მეოხ ეყავ სულსა ნიკოლოზ ბედიელისა წინაშე ქრისტესა“ (112ა;30). აღაპი შედგენილი უნდა იყოს 1305 წლის შემდეგ, როდესაც ჯვრის მონასტერი განთავისუფლდა ტყვეობიდან. პავლე ინგოროყვა თვლის, რომ ნიკოლოზის კათალიკოსობა ეკუთვნის XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისს, 1280-1290-1300-იან წლებს (79;758). მ. ბროსე და თ. ჟორდანია ნიკოლოზს კონსტანტინე დავით ნარინის ძის (1293-1326) თანამედროვედ მიიჩნევენ (188;93. 172ა;12); XIII საუკუნის დამლევის კათალიკოსად მიიჩნევენ მას ელენე მეტრეველიც (112;132); ბ. ხორავას აზრით, ნიკოლოზ ბედიელყოფილში აფხაზეთის კათალიკოსი იგულისხმება „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, როცა „დაისარჩლეს აფხაზეთის კათალიკოსი და ქუთათელი იოვანე“, მაშინ, აფხაზეთის კათალიკოსის წინადადებით, ბედიელი სამეფო საფლავის მფარველად დაადგინეს (135ა;28).

ბედიის ტაძარზე მოთავსებულია XIII საუკუნის II ნახევრის ლაპიდარული წარწერა, სადაც ნიკოლოზ კათალიკოსის გარდა მოიხ-

სენიება სოფრონ ბედიელი: „(ღმერთო, შეიწყალე სული ამის) მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბლისა ნ(ი)კ(ოლო)ზ კ(ათალიკო)ზ(ისა) და ს(ო)ფ-რ(ო)ნ ბ(ე)დიელისა – გ(ო)ნგლი(ბ)ა(ი)ს ძ(ე)თ(ა)სა. შეიწყალენ ღ(მერთმა)ნ“ (39;172-173). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარწერაში მოხსენიებული ნიკოლოზ კათალიკოსი, ზემოაღნიშნული ალაპის „ბე-დიელ ყოფილი“ ნიკოლოზია (როგორც წარწერიდან ჩანს, ნიკოლოზი და სოფრონი გონგლიბაისძენი ყოფილან). მაშასადამე, XIII საუკუ-ნის II ნახევარში ჩვენთვის ორი ბედიელია ცნობილი. ამათგან ეპისკოპოსად ჯერ ნიკოლოზი უნდა ყოფილიყო, აფხაზეთის კათა-ლიკოსად კურთხევის შემდეგ კი ბედიელობა მეორე გონგლიბაისძეს (მის ძმას?) – სოფრონს უნდა მიეღო.

იერუსალიმის მოსახსენიებელთა XXIII ჯგუფი შეიცავს ორ ალაპს: ერთი ეკუთვნის დავით არდაშელის შვილსა და მის მეუღლე ხუარაშანს, მას პავლე ინგოროყვა 1305 წლით ათარიღებს (78;756).

მეორე ალაპი ეკუთვნის მიქაელ გონგლიბაისძე ბედიელს, სადაც ნათქვამია: „ამასვე დღესა ალაპი მიქ(ა)ელ ბედიელისა და წირვ(ა)ა და აღ(ა)პი საუკუნოა მ(ი)ქ(ა)ელ გონგლიბ(ა)ა მისა ბედიელის(ა)ა პანაშვიდითა, შეუნდვენ ღმერთო“ (112;80). მისი ალაპი (№ II-10) ჩაწერილია მატჩიანეში იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია ზემოხსენებული ალაპი (112;80). ამიტომ სავარაუდოდ შეიძლება დავუშვათ, რომ მიქაელ ბედიელის ალაპიც დაახლოებით ამ პერიოდში ჩაიწერებოდა. ე. მეტრეველიც მიქაელის ალაპს XIII საუკუნის მიწურულისა და XIV საუკუნის I მეოთხედში განწესე-ბულად მიიჩნევს (112;80).

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ მიქაელ გონგლიბაისძე ბედიელს უნდა ემოღვაწა 1305 წლის ახლო პერიოდში, XIV საუკუნის I მეოთხედში.


ალექსანდრე ცაგარელმა სინის ქართველთა მონასტერში მიაკვ-ლია ხელნაწერს სათაურით: „სტიქარონები, დასდებელნი აღდგომის-ანი რვათამე ხმათანი“. სტიქარონები შედგენილია XIII-XIV საუკუ-ნეებში. ხელნაწერს ერთვის XIV-XVI საუკუნეების ალაპები, სადაც მოხსენიებული არიან: ქართველი და ქრისტიანული სამყაროს სხვა წმინდანები, ქართველი მეფეები და დედოფლები, მთავრები, საეკლე-სიო იერარქები. ალაპში იმავე ხელით, რომელსაც ვხვდებით ტექსტ-ში, ჩაწერილია: „შეგვიწყალენ ჩუენ, დიდითა წყალობითა შენითა, კაცთმოყვარე, გვედრებით ისმინე და შეგვიწყალენ, მერმეცა გვედ-რებით ... მოხსენიებისა და განსუენებისა თუს სულსა მთავარ-

ეპისკოპოსის ბედიელისა ლაზარეს“ (182;220. შდრ.: 138ა;124). ჩვენთვის ძნელია დავათარილოთ ლაზარეს მოღვაწეობის პერიოდი, მაგრამ, რადგან ზემოხსენებული ეპისკოპოსის სახელი ჩაწერილია იმავე ხელით, როგორითაც ტექსტი (182;220), შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას XIV საუკუნეში უნდა ემოღვაწა (182;220). ბეჟან ხორავა ამავე მატთანეში მოხსენიებული სხვა საეკლესიო იერარქების მოღვაწეობის წლების განსაზღვრით უფრო აკონკრეტებს ლაზარეს ბედიელობას და მას სრულიად სამართლიანად XIV საუკუნის II ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევს (135ა;28-29).

ჯვრის მონასტრის 228-ე აღაპში მოხსენიებულია მარკოზ ბედიელი. წყაროში ნათქვამია: „ბედიელისა მარკოზისა მოგუვიდა ოცი სობი, ათი თანგა, ათი ფლური, ორი სარტყელი ვერცხლისა ...“ (112;100). ეს აღაპი პალეოგრაფიული ნიშნებით XIV-XV საუკუნეებით თარიღდება (112;158) და ამიტომაც ვვარაუდობთ, რომ მარკოზი, ამ საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა.

XV საუკუნეში ჩვენთვის ცნობილი ბედიელია გრიგოლე, იგი მოხსენიებულია თოფურიძეთა სასისხლო სიგელში, სადაც ნათქვამია: „... დაუმტკიცეთ: ბრძანება: და: სიგელი: სვიმონ მაწყვარელო: მანუელ ქუთათელი: დავით ცხეთელი: ელია ჭყონდიდელი: ბართლომე ცაიშელი(ო): რომანოზ მოქველო: გრიგოლე ბედიელი: ... თქვენითა ჯვარითა თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ ბრძანება და სიგელი ესე. დაიწერა ჟამსა ალექსანდრეს მეფობისასა“ (112;76). სიგელი საქართველოს ერთიანი მეფის ალექსანდრე I-ის დროსაა შედგენილი (დოკუმენტის დათარიღების შესახებ დაწერილებით იხილეთ ქვემოთ – მოქველ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი). „გრიგოლე ბედიელი“ დოკუმენტის მამტიცებელთა შორის მოიხსენიება, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ იგი ამ პერიოდში, დაახლოებით XV საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა. თუმცა ბედიის კათედრაზე მისი მოღვაწეობის დროის უფრო დაზუსტებაც შეიძლება. სიგელში იხსენიება დავით ცხეთელი, რომელიც შეიძლება იყოს ქართლის კათალიკოსი დავით II (1426-1430) ან დავით III (1435-1439, 1443-1459). ამდენად, მთავარეპისკოპოს გრიგოლის მოღვაწეობა ბედიის კათედრაზე შეიძლება XV საუკუნის 20-40-იანი წლებით განისაზღვროს (135ა;30).

შემდეგი ჩვენთვის ცნობილი ბედიელია მელქიზედგი. იგი იხსენიება სინას მთის სულთა მატთანეში: „სულსა ბედიელის მელ-



ბედიის ტაძარი. X ს.

ქიზელეგს შ-ნ ღ-ნ“ (138ა;243). იგი იხსენიება, აგრეთვე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სულთა მატთანის ტიშენდორფისეული ნუსხის № 82 აღაპში (112;76), რომელსაც ელენე მეტრეველი XV საუკუნის I ნახევრით ათარილებს (112;25). ამ პერიოდში თავსდება მელქიზელეგ ბედიელის მოღვაწეობაც.

ჩვენთვის ცნობილი შემდეგი ეპისკოპოსი იოვაკიმე მოხსენიებულია „მცნებაჲ სასჯულოჲ“-ში როგორც „ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი“ (19). იგი კათალიკოსად აკურთხა ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქმა მიქაელ IV-მ ან მიქაელ V-მ (76;455). დოკუმენტში მოხსენიებულია იმერეთის მეფე ბაგრატ I და სამეგრელოს მთავარი შამადავლე დადიანი. ეს უკანასკნელი 1470-1474 წლებში მოღვაწეობდა, ხოლო ბაგრატ I 1445-1462 წლებში იმერეთის ერისთავი იყო, ჩიხორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ კი ბაგრატ II-ის სახელწოდებით ეკურთხა იმერეთის მეფედ, 1466 წელს ქართლის ტახტსაც დაეუფლა და ორივე სამეფოს განაგებდა 1478 წლამდე ბაგრატ VI-ის სახელწოდებით. გაუგებარია, თუ როდის მიიღო იოვაკიმემ ბედიელობა, მაგრამ ვიცით, რომ მისი კათალიკოსად კურთხევა 1470

წლისთვის უნდა მომხდარიყო (175;132). არ არის გამოორიცხული, რომ მას აფხაზეთის კათალიკოსობასთან ერთად ცაიშელ-ბედიელობაც შეენარჩუნებინა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ჯვრის ერთ-ერთი აღაპი, სადაც იგი ცაიშელ-ბედიელად და აფხაზეთის კათალიკოსად მოიხსენიება (112;76). ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაახლოებით შეგვიძლია განვსაზღვროთ იოვაკიმეს ცაიშელ-ბედიელობა, რომელიც XV საუკუნის 50-70-იან წლებზე მოდის (112;41).

ნ. კონდაკოვს გელათში უნახავს სახარების ერთ-ერთი მინაწერი (159;42-43), სადაც მოხსენიებულია ბედიელი ეპისკოპოსი ანტონ ჟვანიძე. ანტონ ბედიელს აუშენებია ბედიის მონასტრის საეპისკოპოსო პალატი, რაზეც მიუთითებს პალატზევე ამოკვეთილი სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „აღმაშე(ნე)ბელი პალატის(ა)ი ამის(ე) ბედიელ მიტრაპ(ო)ლ(ი)ტი ანტონი [ჟუანის ძე, შ(ეუნდვენ)ე, ღმერთმან, ა(მე)ნ]“ (188;94 შდრ.: 56ბ;47).

ანტონის მიერ აგებულ საკმაოდ მოზრდილ საეპისკოპოსო პალატში მდიდარი წიგნთსაცავი და ბედიის ტაძრის საჭურჭლე ინახებოდა. ანტონმა წესრიგში მოიყვანა და განაახლა ვარძიის ოთხთავი, რომელიც გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანის XII-XIII საუკუნეების ხელნაწერია. მასზე მოთავსებულია მინაწერები. ერთ-ერთში მთავარეპისკოპოსის ზარისხით მოიხსენიება ანტონ ჟუანის ძე, „სულკურთხეულისა დადიანის მამიას, შ(ეუნდვენ), ღმერთმან, მათსა მეუღლეს, დედოფალთა დედოფალს ეკატერინეს, შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან), სულსა კურთხეულისა ბედიელი მთავარეპისკოპოზისა ჟვანის(სძესა) ანტონესა, შ(ეუნდვენ)ს ღ(მერთმან), მისთა დედათ და მამათა, შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან)“ (40;308). ანტონი ასევე მოხსენიებულია ურბნისის ოთხთავის მინაწერში: „ბედიელ მთავარეპისკოპოსსა ჟვანიძესა ანტონესა, შ(ეუნდვენ)ს ღ(მერთმან), მისთა დედათ და მამათა, შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან)“ (41;98).

თედო ჟორდანიამ აღნიშნული ოთხთავის მეოთხე მინაწერის ტექსტის დაკარგულ ადგილზე შეცდომით აღადგინა ლევან I დადიანის სახელი – „სულსა კურთხეულისა პატრონისად (ლევანს-?) შეუნდვენეს ღმერთმან. მეუღლესსა მისსა მეფის ასულსა ელენე ყოფილსა ეკატერინეს შეუნდვენეს ღმერთმან“ (52;30).

ზემოხსენებული ვარძიის ოთხთავის მინაწერიდან კი ცხადია, რომ ელენე, იგივე ეკატერინე, იყო მამია III-ის მეუღლე, ე. ი. ლევან I-ის დედა. ამიტომაც აღნიშნულ მინაწერში ლევანი ელენე-ეკატერინეს



თანამეცხედრედ ვერ იქნებოდა მოხსენიებული და მინაწერის ამოფხეკილი ტექსტი შემდგენიარად უნდა აღდგეს: „სულსა კურთხეულსა პა(ტრონისა) დ(ადიანს) (მაძიას), შ(ეუნდვე)ს ღ(მერთმა)ნ. მეუღლესა მისსა მე(ფის) ა(ს)ულსა ე(ლ)ენე ყოფილსა კვატერინეს, შ(ეუნდენი)ს ღ(მერთმა)ნ“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანტონ ბედიელი, მამია III დადიანის თანამედროვე ყოფილა.

ანტონ ჟუანიძის სახელი გვხვდება ასევე ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში, სადაც ნათქვამია: „მხნეო, შორის მოწამეთა ღვაწლისა მძლეო, გიორგი ილორისაო, საკვირველებათა მოქმედო, ღირსო მხედარო უფლისაო, ღირს ჰყავ ქრისტეს ღვთისა ჩვენისა წინაშე, და განადიდე და განაძლიერენ ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი ლეონ, და გვედრებით რათა მეოხ და მფარველ მექმნე, რომლისა ბრძანებითა შევაგმეთ წმიდა ხატი ესე, ბედიელ მთავარეპისკოპოზმან მიტროპოლიტმან ანტონი ჟუანიძემან, წინა-მდგომელ ექმენ ღვთისა ჩვენისა, აქა და მას ღლეხა ღღისა განკითხვისასა. ამინ“ (188;96).

ამ წარწერიდან ჩვენთვის საინტერესო ბევრი საკითხი ირკვევა. კერძოდ, ვგებულობთ, რომ ანტონს ლევან I დადიანის დროსაც უმოღვაწია, და მისი შემწეობით ფართო კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა ოდიშში. გარდა ამისა, ანტონი ისევე, როგორც ბედიის პალატის ლაპიდარულ წარწერაში, აქაც მიტროპოლიტის (მთავარეპისკოპოს-მიტროპოლიტის) პატივით იხსენიება.

ამრიგად, ანტონ ბედიელი ოდიშის მთავრის მამია III-ისა (1533-1572 წწ.) და ლევან I-ის (1533-1572 წწ.) თანამედროვეა და მისი მოღვაწეობა ბედიის კათედრალურ ტაძარში XVI საუკუნის I ნახევრით უნდა თარიღდებოდეს. პირველი ბედიელი მიტროპოლიტი ანტონ ჟუანიძე უნდა ყოფილიყო. მას ეს მაღალი საეკლესიო პატივი დაახლოებით 1533 წლის შემდეგ უნდა მიეღო.

ჩვენთვის ცნობილი შემდეგი ბედიელი ეპისკოპოსია კვირილე ჟუანიძე, იგი მოხსენიებულია ზუგდიდის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში, სადაც ცაიშელ-ბედიელად იწოდება (72;177. შდრ.: 59;12). წარწერაში, კირილეს გარდა, მოხსენიებულნი არიან გიორგი დადიანი და მისი მეუღლე თამარი. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, კვირილეს ორი დადიანის – ლეონ I-ისა (1572) და მისი ძის გიორგის (1582) – დროს უმოღვაწია (72;177).

გარდა ამისა, ჩვენთვის საინტერესო ცნობას იძლევა ვახუშტი ბატონიშვილი, საიდანაც ვგებულობთ, რომ XVI საუკუნის 50-იან წლებში მოწვეულ საეკლესიო კრებას კირილემ დასწრებია. წყაროში ნათქვამია: „... შეკრბენ ქართლისა კათალიკოზი მალაქია, აფხაზთა კათალიკოსი ევდემონ ეპისკოპოსნი ... ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი ... ჩაისელი კვირილე“ (12;824). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კირილე XVI საუკუნის 50-იან წლებში მხოლოდ ცაიშელი ეპისკოპოსია. მას ბედიელობა, ეტყობა, მოგვიანებით მიუღია, რამეთუ, როგორც ჩანს, კრებას ბედიელი ეპისკოპოსი ცალკე ესწრებოდა.

ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში კი კვირილე უკვე ბედიელ მიტროპოლიტად მოიხსენიება: „... მეოხ მექმენ დღესა მას განკითხვისასა შემამკობელი ხატისა შენისა მე, ბედიელი მიტროპოლიტი კვირილე უვანიძესა. ამინ ... აღიდენ ღმერთმან დადიანი გიორგი და თანამეცხედრე მათი დედოფალი თამარ და ძე მათი აღზარდე ღმერთმან, ამინ“ (59;13).


ამდენად, კვირილეს ბედიელობა განისაზღვრება დაახლოებით 1572-1582 წლებით.

ჩვენთვის ცნობილი შემდეგი ბედიელი ეპისკოპოსია ნიკოლოზ II მხეიძე. მის შესახებ ცნობას გვაწვდის ბედიის გულანის ერთ-ერთი მინაწერი, სადაც ნათქვამია: „ბედიისა და ვლაქერნის ღმრთისმშობელო, მარადის ქალწულო მარიაჲ, გვედრები მე ცვა-ფარვათა შენტა მინდობილი მიტროპოლიტი მხეიძე ნიკოლოზ“ (41;319-320). გულანი, რომელზეც ეს მინაწერია დატანებული, XVII-XVIII საუკუნეებისაა. ნიკოლოზს მდიდარი შესაწირავი გაუღია ბედიის ტაძრისათვის, რასაც გარკვეულწილად უნდა მოეწესრიგებინა ეპარქიის სამეურნეო თუ საგანმანათლებლო საქმეები. გულანის ერთ-ერთი მინაწერიდან ვიგებთ: „ეჲა, ვლაქერნისა ღმრთისმშობელო, მარადის ქალწულო მარიაჲ, გვედრები მე, ცვა-ფარვათა შენტა მინდობილი, ბედიელი მიტროპოლიტი მხეიძე ნიკოლოზ. შემოგწირე კინი და მცირე ესე შესაწირავი ... თავს: უჟამიში: ბუკუჩავა: მისი ცოლ-შვილითა: და: ყმითა: და რისაც მქონებელი იყოს; ამას გარეთ, ერთი კარგად დახატული ჟამნი: ერთი დავითი: ერთი კარგი კონდაკი: ერთი ნეტაფრასი; ექესი თოფები მისი იარაღიანად, ოც და ორი ჯირკი სკა, სანთელს ხატს მოახმარებდნენ და თაფლს საკმეველში გაყიდდენ. ამას გარეთ, კვამლი კაცი ტყეიშს დაკარგული ამოვიდე ხვიჩაშათი, მისის ცოლშვილითა, ერთი ცოლ-

ქმარია კაცი გულდავას. ბიძლუ ბაიღია შემომიწირავს სულის დასაოხად. რაჟამს მოვიდეს ძე შენი განკითხვად ცხოველთა და მკუღართა, მას ჟამსა მწე-მფარველი და ხელის ამპყრობელ მექმენ და მარჯუენათა თანა აღმრაცხო. აწ, რამანცა ძემან კაცისამან ესე ჩვენ შემოწირული გამოსწიროს, ხელმწიფემან ან დედოფალმან ან ბედიელმან“ (52;206-207). ნიკოლოზის მოღვაწეობის დათარიღება ძირითადად ამ გულანის საშუალებით უნდა მოხდეს. გულანის დასაწყისში ნიკოლოზის მოხსენიება უფლებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ იგი ალბათ XVII საუკუნეში მოღვაწეობდა, რადგან გულანის დასაწყისი ნაწილი სწორედ XVII საუკუნეშია შედგენილი.

ბედიის საეპისკოპოსო ტახტზე მცირე ხანს მჯდარა ცნობილი ქართველი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, მისი ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ტიმოთე გაბაშვილს 1757-1758 წლებში უნახავს: „ჯვრის მონასტერში ხატია ... ბედიელი და ჯვარის მამა ნიკიფორე“ (13;82). ნიკიფორე (დაახლ. 1585-1658) კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის კარის მოძღვარი იყო, შემდეგ მცხეთისა და მეტეხის ეკლესიების წინამძღვარი, კახეთის მოძღვართ-მოძღვარი; 1632 წლიდან იგი დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა. ოდიშის სამთავროში ერთხანს ხობის ეპისკოპოსი და კორცხელის ტაძრის წინამძღვარი ყოფილა. 1643 წელს მისი ხელმძღვანელობით და ოდიშის მთავრის ლევან დადიანის სახსრებით განახლდა და მოიხატა ჯვრის მონასტერი. ამ პერიოდისაა მისი ფრესკა, ალბათ ამავე წლებში განაგებდა იგი ბედიის ეპარქიას. სწორედ ამიტომაც ბ. ხორავა, ჩოლოყაშვილის ბედიელობას XVII ს-ის 40-იანი წლებით ათარიღებს (135ა;38).

შემდეგი ჩვენთვის ცნობილი ბედიელი ეპისკოპოსია ანდრია. იგი მოხსენიებულია ანტიოქიის პატრიარქის მაკარის თხზულებაში. დოკუმენტში ნათქვამია: „მეგრელთა ქვეყნის დიდი ეპარქიის მფლობელმა ბედიის ეპისკოპოსმა ანდრიამ მიაბბო, ჩემს ეპარქიაში ხუთასამდე უკანონო ქორწინების შემთხვევააო. ზოგიერთ მამაკაცს ორი ცოლი ჰყავს, ზოგს ნათესავი ქალი შეურთავს, ზოგსაც ქალი უგვირგვინოდ მოუყვანიაო“ (24;103). სამწუხაროდ, ამ მწირი ცნობის გარდა სხვას ვერაფერს მივაკვლიეთ ანდრია ბედიელის შესახებ. ამიტომაც, მისი მოღვაწეობის დათარიღება ზემოხსენებული წყაროს საშუალებით უნდა მოხდეს. მაკარი ანტიოქიელი საქართველოში 1664-1666 წლებში ყოფილა. ცხადია, რომ ანდრია ბედიელსაც დაახლოებით ამ წლებში უმოღვაწია.



ბედიის ტაძარი. X ს. დასავლეთის ფასადი. 1968 წლის რესტავრაციის შემდეგ. გუმბათის აღდგენის ცდა.

შემდეგი ჩვენთვის ცნობილი ბედიელი ეპისკოპოსია გაბრიელ ჩიქოვანი. ერთ უთარილო საბუთში მის შესახებ ნათქვამია: „ჩვენ, ცვა-ფარვათა თქვენთა მინდობილმან და მოსავმან და მვედრებელმან სიწმინდისა თქვენისამან, ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულმან, ჭყონდიდელ-ცაგარელ-ბედიელმან ჩიქვანმან გაბრიელ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, შემოგწირეთ მცირე ესე შემოსაწირავი“ (37;142).

ისიდორე დოლიძე მარტვილისადმი შეწირულ ამ საბუთს 1680

წლით ათარიღებს (37;142). ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება თვითონ გაბრიელ ჩიქოვანის მოღვაწეობა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა ოდიშში მიმდინარე პოლიტიკურ ბატალიებს (135;107). იგი XVII საუკუნის 60-იან წლებში მეტად განდიდა – „დაიპყრა ჭყონდიდელბავე და იქმნა მისანდო ლევან დადიანისა ყოველსა შინა. ამან მოიყვანა ქმა თვისი კაცია და აზრახა ლევანს მიცემად სალიპარტიანოსი, რამეთუ ამისგან დაიპყრის ლეჩხუმიცა ლევან დადიანმან“ (12;842). ჩვენი აზრით, გაბრიელს ბედიის კათედრა დადიანთან დაახლოების შემდეგ უნდა მიეღო, რადგან იგი 1666 წელს მხოლოდ ჭყონდიდელ-ცაგერელად იხსენიება და ვახუშტი ბატონიშვილიც მის პოლიტიკურ არენაზე გამოსვლას ჭყონდიდლობის დაკავებით აღნიშნავს. გარდა ამისა, 1673 წელს ლევან დადიანის მიერ დავით ნემსაძისადმი გაცემულ კათალიკოსობის წიგნშიც გაბრიელი „ჭყონდიდელ-ცაგერელად“ მოიხსენიება (38;678).

შემდეგი ბედიელი ეპისკოპოსი უნდა იყოს გერმანე ჩხეტიძე. 1865 წელს ილორის ეკლესიის სალაროში დიმიტრი ბაქრაძეს აღმოუჩენია ბედიის ოქროს ბარძიმი. იგი შედგებოდა ორი ნაწილისაგან. ქვედა ნაწილზე, ე. ი. ბარძიმის ფეხზე, დატანებული იყო შემდეგი წარწერა: „... ვლაქერნის ღმრთისმშობელო, შემოწყალე მე ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტიძე ...“ (30;137-138).

თედო ჟორდანიას ამ წარწერასთან დაკავშირებით დასძენს: „სამწუხაროდ უკანასკნელი წარწერა ბარძიმის ფეხითურთ დაკარგულია ... გერმანე ჩხეტიძე XVI საუკუნეში ცხოვრობდა (ეკლ. მუზეუმი № 187) და დაკარგული ნაწილი ბარძიმისა ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს“ (30;137-138).

გერმანე ჩხეტიძეს XVI საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევს ასევე ლევან მენაბდე (109;159). ჩვენი აზრით, გერმანე XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის მოღვაწე უნდა იყოს, რადგან გულანი, რომელიც იძლევა ცნობებს ზემოხსენებული ეპისკოპოსის შესახებ, XVII-XVIII საუკუნისაა (112;316), ხოლო მისი დამკვეთია გერმანე ჩხეტიძე. ერთ-ერთ მინაწერში ნათქვამია: „ბრძანებითა ბედიელ მიტროპოლიტისა ჩხეტიძისათა სრულ იქმნეს წმინდანი ესე მარზვანი, ყოვლითურთ სრული და უკლები, ვითარცე წეს არს. არა დამიკლია-რა. ბევრის წიგნისაგან შევკრიბე და, ღმერთმან უწყის, დიდი ჭირი და სასჯელი ვნახე“ (112;316). გარდა ამისა, მისი ვედრება: „შენდობილმცა არს ამა ყოველთა წიგნთაგან

ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე“ (112;316) ძალიან ხშირად გვხვდება გულანის თითქმის მთელ შემადგენლობაზე. შეცდომაც არაა გამორიცხვად, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ არგუმენტის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ სამეგრელოში მიტროპოლიტის წოდებით ეპისკოპოსთა მოხსენიება უფრო ხშირად XVII-XVIII საუკუნეებში გვხვდება (შდრ.: 135ა;35-36).

ჩხეტიძე გერმანე, როგორც წყაროებიდან ირკვევა, ბიბლიოფილი მღვდელმთავარი ყოფილა. მისი ინიციატივითაა გადაწერილი ბედიის გულანი. ერთ-ერთ მინაწერში ნათქვამია: „ბედიელი მიტროპოლიტი მთავარეპისკოპოზი ჩხეტიძე გერმანე აღიდგენ შენ, მართალთა დიდებითა ორთავე შინა ცხორებასა, აქასა ამას ცხორებასა დღეგრძელობითა და მერმესა მას ცხორებასა – მოუკლებელისა ნათლისა გურგუნითა. რომლისა ბრძანებითა წამოველ თემით შავშეთით, დაბით ღიობნით, ძირით მთით კარჩხალთაჲთ და ნებითა და შეწვევითა ღმრთისაჲთა, მოვიწიე ოდიშს, ბედიის ტაძარსა და საყდარსა ვლასქერნისა ღმრთისმშობლისასა და შეწვევითა და წარმართებითა მისითა ვიწყე წერად წმიდათა ამათ და სულთა განმანათლებელთა თუქთა, იანვართით ერთითგან ვიდრე აქამოდღე, ყოვლითურთ სრულისა და უკლებსა, ვითა უნდოდა ბერისა წიგნისაგან, ვიდრე და გავასრულე. რაჲცა უნდოდა და რისაცა დედა ვიშოე, არა დამიკლია რაჲ ღმრთისა შეწვევითა.

ამისა მწერალსა, ფრიად ცოდვილსა, კერძო დიაკონს გაბრიელსა ლომსიანისძესა და მისთა დედა-მამათა და ნათესაეთა შნ-ს ღ-ნ... მისსა ამხანაგსა მწერალს სმ-ნ გიორგაძესა... შეუნდგენეს ღმერთ-მან“ (41;208). გაბრიელ ლომსიანისძეს გადაუწერია გულანის ნაწილი (თვენი, მარხვანი), ხოლო დანარჩენი გადაუწერიათ ამბროსი კარგარეთელს, საბა ნაჭოფაძეს და სხვას.

ამრიგად, ჩვენი აზრით, გაბრიელ ჩიქოვანს ბედიის საეპისკოპოსოში დაახლოებით XVII საუკუნის 80-იან წლებში უნდა ემოღვაწა.

ქუთაისის ღმრთისმშობლის სახელობის მონასტრის ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1759 წლით, მოხსენიებულია ბედიელი მიტროპოლიტი მაქსიმე იაშვილი. დოკუმენტში ნათქვამია: „მე, მეფეთ მეფემან სოლომონ და დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და შემოგკრიბეთ წმინდანი და ყოვლად სამღვდელონი დასნი და მართლმადიდებელნი ერნი, მორჩილნი ქრისტესი და მსმენელნი სიტყვისანი ... ბედიელი

მიტროპოლიტი მაქსიმე ... და ჟამთა ვითარებისაგან გარცხენილის ეკლესიების განახლება ვინებთ“ (51;136-137).

იგივე ეპისკოპოსი მოიხსენიება ხონის საბუთებში 1761 წელს, სადაც ნათქვამია, რომ მეფე სოლომონმა აღადგინა ხონის საყდარი და აქ დაამტკიცა ყოფილი მროველი მიტროპოლიტი იოსებ მაჩაბელი. მეფემ მოიწვია მიტროპოლიტები, მათ შორის ბედიელი მაქსიმე და წმინდა კრებამ დაამტკიცა, რომ ხონის ეპარქიაც გადაიხდის ისეთსავე გადასახადს, როგორსაც ჭყონდიდის, გელათისა და ქუთაისის ეპარქიები (51;141-142).

დოკუმენტში მოხსენიებულია იმერეთის მეფე, სახელგანთქმული სოლომონ I, რომელიც მეფობდა 1752-1784 წლებში და რომელმაც 1759 წლის დეკემბრის დასაწყისში მოიწვია საქართველოს საეკლესიო კრება, სადაც იყვნენ დასავლეთ საქართველოს უდიდესი საერო ფეოდალებიც. საეკლესიო კრების მეორე სხდომაზე 5 დეკემბერს იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საერო და სასულიერო გამგებლებმა იმერეთის მეფის მორჩილებისა და „ტყვის სყიდვის“ აკრძალვის პირობა დადეს (130;640). პირობაში ნათქვამია: „ესე მტკიცე წიგნი ... მოგართვით ... (ღმერთს წმინდანებს) და ჩვენს ... მღვდელმთავარს კათალიკოზ ბესარიონს ... ჭყონდიდელის გაბრიელის, გენათელის იოსების, შემოქმედელის ნიკოლოზის, ცაგერელის გრიგოლის, მთავარეპისკოპოს ნინოწმინდელ მაქსიმეს, მიტროპოლიტის ბედიელ მაქსიმეს და ყოველთა იმერთა ოდიშართა, გურიელთა ... ასე რომ ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა, რომ ადამის ტომსა არც პირველ სმენია და არც შემდგომ ისმინება: „ტყვეს თუ არ გაყიდით არ იქნება“... სანამდის სული გვიდგას ეს საქმე ჩვეგან არ იქმნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ... კიდევ მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნებით ... ერთმანეთს არ ვუმტყუნოთ და ამ საქმეზე ჩვენი თავი არ დავიშუროთ ... და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩვენგან იქნეს“... (31;261-262). 1759 წლის კრების დადგენილებები თანდათანობით ხორციელდებოდა. სწორედ ამის გამოძახილი იყო ხონის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენა. კრების დადგენილებით აღდგენილა ქუთაისის კათედრაც, რომელიც „ხელთ ეგლო მძვინვარეს აგარიანს და მიზეზითა ამით საქუთათლო მამული და სამრევლო მიმობნეულ იყო და რომელიმე დაშთომილ იყო საეროდ გამხთარ იყო და ქუთათელი აღარ იჯდა“ (51;138). 1776 წლის 9 მაისის დოკუმენტში, სადაც

საუბარია გელათის შეწირულობათა შესახებ, ნათქვამია: „ისრაელა და ამისი ცოლშვილი იაშვილმა მაქსიმემ შესწირა გელათს“. უდავოა, რომ იაშვილი მაქსიმეს სახით აქ ჩვენთვის ცნობილ ბედიელ მთავარ-ეპისკოპოსზეა საუბარი.

ზემოხსენებულ დოკუმენტთა საშუალებით მიახლოებით მაინც შეიძლება განისაზღვროს ბედიელი მიტროპოლიტის მაქსიმე იაშვილის მოღვაწეობის დრო, რომელიც, ალბათ, XVIII საუკუნის 70-80-იან წლებზე მოდის.

ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახა ისეთი ბედიელებიც, რომელთა ვინაობის გარკვევა შეუძლებელია.

უცნობია, თუ რომელი ბედიელი დაესწრო იმერთა მეფე ბაგრატ III-ის მიერ XVI საუკუნის 50-იან წლებში მოწვეულ საეკლესიო კრებას. ვახუშტი ბატონიშვილი ეპისკოპოსთა შორის ჩამოთვლის ბედიელსაც, მხოლოდ გვარ-სახელის გარეშე (12;823-824).

1813 წელს ბდიის ეპარქია, დასავლეთ საქართველოს სხვა ეპარქიათა მსგავსად, გაუქმდა და გურია-სამეგრელოს ეპარქიას დაექვემდებარა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბედიელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგს შემდეგი სახე ექნება:

1. გიორგი — X-XI სს. მიჯნა (მთავარეპისკოპოსი).
2. სოფრონი — 1014-1027 წწ. (მთავარეპისკოპოსი).
3. იოანე სუინგელოზი — XI ს. — 1065 წლის ახლო დრო. (მთავარეპისკოპოსი).
4. სუმონ გულაბერისძე — 1118-1141 წწ. (მთავარეპისკოპოსი, ბედიელ-ალავერდელი, მწიგნობართუხუცესი).
5. ნიკოლოზ I გონგლიბაისძე — XIII ს. 1280-90-იანი წწ. (აფხაზეთის კათალიკოსი)
6. მიქაელ გონგლიბაისძე — XIV ს. I ნახ. 1305 წლის ახლო დრო.
7. სოფრონ გონგლიბაისძე — XIII-XIV სს.
8. ლაზარე — XIV საუკუნე (მთავარეპისკოპოსი).
9. მარკოზი -- XIV-XV სს. მიჯნა.
10. გრიგოლე — XV ს-ის 20-40-იანი წწ. (მთავარეპისკოპოსი).



11. იოვაკიმე – ... 1452-1472.
12. მელქიზედეგი – XV ს-ის II ნახევარი  
(მთავარეპისკოპოსი, ცაიშელ-ბედიელი, აფხაზეთის  
კათალიკოსი).
13. ანტონ უვანისძე – XVI საუკუნე  
(მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი).
14. კვირილე უვანისძე – 1572-1582.  
(მიტროპოლიტი).
15. ნიკოლოზ II მხეიძე – XVII ს-ის I ნახევარი  
(მიტროპოლიტი).
16. ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი – XVII ს-ის 40-იანი წწ.
17. ანდრია – 1664-1666.
18. გაბრიელ ჩიქოვანი – XVII ს-ის 80-იანი წწ.  
(ჭყონდიდელ-ცაგერელ-ბედიელი).
19. გერმანე ჩხეტიძე – XVII-XVIII სს.  
(მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი).
20. მაქსიმე იაშვილი – XVIII ს-ის 70-80 წწ.  
(მიტროპოლიტი).

#### §4. ბედიის საეპისკოპოსოს საზღვრები


ბედიის ეპარქიის საზღვრების შესახებ ისტორიული წყაროები საკმაოდ მწირია და ისიც XVII საუკუნის მდგომარეობას ასახავს, მაგრამ ეგრეთ წოდებული საბედიანოს ისტორიული ტერიტორია უკვე აღრეული საუკუნეებიდანვეა ცნობილი. ამიტომ საჭიროდ ვთვლით ამ საკითხის განხილვასაც.

ისტორიულ წყაროებში ხშირად გვხვდება სიტყვა „ბედიასთან“ დაკავშირებული ისეთი ტერმინები, როგორცაა: ბედიის მონასტერი, მთავარეპისკოპოსი ბედიელი, დადიან-ბედიელი, საკუთარი სახელი ბედიან ან ბედან, ქალაქი ბედია, გვარი ბედია.

საკუთარი სახელით – „ბედიანი“ – ისტორიულ წყაროებში ცნობილი არიან: ბედან I დადიანი – ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი და მანდატურთუხუცესი (1210-1225) (78;580); ბედან II დადიანი – ჯუანშერის ძე, ერისთავთა ერისთავი და მანდატურთ-უხუცესი (1260-1290) (78;584). ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩვეულებრივ საკუთარ სახელთან, რომელიც ფართოდ იყო გავრ-

ცელებული დადიანთა საგვარეულოში და მას არავითარი საერთო არ გააჩნია რომელიმე საერო ან სასულიერო წოდებასთან.

რაც შეეხება ტერმინ „ბედიანს“, იგი უფრო ხშირად მასთან დაკავშირებული ორი ფორმით – „ბედიანი“ ან „დადიან-ბედიანით“ გვხვდება. მაგალითად: „ერისთავნი მის ჟამისანი იყვნეს ... და ოდიშის ერისთავად ბედიანი“ (11;32), „ხოლო მეფემან რუსუდან თანა-წარიტანნა ყოველნი მთავარნი ლიხთ-იმერელნი, დადიანი ცოტნე, კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლასა შინა სასელოვანი, ბედიანი, რაჭის ერისთავი“ (28;195). „დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა და განიყარნეს უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი, კაცი კეთილი და სრული“ (28;215). „დაჯდა მეფედ გიორგი ... და მისცა ცხომის საერისთაო ბედიელს, ვინათგან პირველიცა მისი იყო“. „იქმნა განდგომილება ლიხთ-იმერით და რომელნიმე წარმოუდგეს ლაშას ძესა, და რომელნიმე რუსუდანის ძესა, ეგრევე დადიანი-ბედი-



ბედიის ტაძარი. 1968 წლის რესტავრაციის შემდეგ.

ანი, ჯუანშერის ძე დადგა ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისასა, რამეთუ იყო ესე ბედიანი წარმატებული ყოვლითა ზნითა“ (28;215).

ზემოხსენებული ციტატების ანალიზით შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ტერმინი „ბედიანი“ და მასთან დაკავშირებული ფორმები: „ბედანი“ ან „ბედიელი“ ამა თუ იმ ტერიტორიის მფლობელი პიროვნების აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს: „მისცა ცხოშის საერისთაო ბედიელს, ვინათგან პირველიცა მისი იყო“ (12;278). ამ თვალსაზრისისაა პავლე ინგოროყვა. იგი ამბობს, რომ: „ოდიშის ერისთავთა ძველი გვარეულობა დადიანი, რომელიც ორნაირი ფორმით გვხვდება: – „დადიანი“ და „დადიან-ბედიანი“ დაკავშირებულია საერისთავო რეზიდენციის სახელებთან: დადის წყალზე მდებარე რეზიდენციის სახელწოდებას „დადის ციხე“, უკავშირდება საგვარეულო სახელწოდება „დადიანი“, მეორე რეზიდენციას – ციხე-ქალაქ „ბედიას“ უკავშირდება საგვარეულო სახელწოდება „ბედიანი“ (78;641).

ნიკო დადიანი თავის თხზულებაში „ქართველთ ცხოვრება“, ამბობს, რომ ლეონ მეფემ ვერისი რვა საერისთავოდ დაყო და „დასვა ბედიას ვერისის აღმოსავლიდამ ცხენის წყლამდე“ (16;154) ერთ-ერთი ერისთავი. XIII საუკუნეში ბედიანი ოდიშის ერისთავი ყოფილა (104;76).

იგივე ავტორი თამარ მეფის ერისთავად დადიან-ბედიანს მოიხსენიებს და აქვე დასძენს მის საგამგებლო ტერიტორიებს:

„... ბედიელ-დადიანი ოდიშისა ლიხთ-იმერ-ამერთა ანაკოფიამდე“ (16;940). გიორგი რუსთან დაკავშირებული ამბების აღწერისას ნიკო დადიანი კიდევ მოიხსენიებს დადიან-ბედიელს – „თვისითა დიდძალითა სპითა, ვინათგან იგი ფლობდა ლიხიდან ვიდრე ანაკოფიამდე ...“ (16;95).

ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „ქუჯი – ერისთავი იყო რიონის დასავლეთისა, იჯდა ბედიას. ლევან აფხაზთა მეფემ კი შექმნა სამი საერისთავო: ცხოშის, ბედიის და აფხაზთა. რუსუდან მეფის დროს კი იყო „ოდიშისა (ერისთავი) დადიანი, და ბედიელი მას აქეთისა, არღარა ცხოშისა“ (12;780).

ივანე ჯავახიშვილის განმარტებით: „ბედიანი ცალკე ერთეულის მთავრად ითვლებოდა. იგი სამეგრელოსა და აფხაზეთის მმართველი იყო და იმდენად ფართო უფლებებით ყოფილა მოსილი, რომ მეფე-დაც კი იწოდება. ჯარიც საკუთარი ჰყოლია და მართვა-გამგეობაც საკუთარი ექნებოდა“ (136;28).

მეფე გიორგი VIII თავის 1459 წლის ეპისტოლეში, სხვა მოკავშირეთა შორის, ბელიანს, როგორც სამეგრელოს მეფეს, იხსენიებს:

„მე გიორგი მეფე პერსთა (sic. სპარსთა)

ბელიანი სამეგრელოს მეფე“ (75;58).

ბელიანი მეფედ იხსენიება ასევე ლუდოვიკო ბოლონიელის მიერ შედგენილ პირობის ბარათში. ამასვე ადასტურებს ვენეციელი დესპანების იოსაფატ ბარბაროსა და ამბროზიო კონტარინის ცნობები სამეგრელოს შესახებ. მათი სიტყვით, საქართველოს დასავლეთ ნაწილს ფლობდა სამეგრელოს მთავარი, რომელსაც ბელიანი ეწოდება (104;88).

იოსაფატ ბარბაროს თქმით: „ამ ქვეყნის მმართველს ჰქვია ბელიანი. მას ხსენებულ ზღვასთან (იგულისხმება შავი ზღვა, გ. კ.) აქვს ორი ციხე-სიმაგრე, ერთს ჰქვია ვატი და მეორეს – სებასტოპოლი. ამათ გარდა, კიდევ აქვს მრავალი კოშკი და გამაგრებული ადგილი“ (46ა;55).

1459 წელს ყვარყვარე ათაბაგი თავის წიგნში ბელიანს სამეგრელოს მეფედ იხსენიებს. 1460 წელს კი ევროპაში მისულ ელჩებს განუცხადებიათ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობას მიიღებენ: „ბენდას (ბელიანი) სამეგრელოს და აფხაზეთის მეფე ბაგრატ იმერთა, რომელნიც აწ გიორგიანებად იწოდებიან და მანია (მამია) გურიის ერისთავი და ფაბია ანგოსის მთავარი“ (104;89).

ქართული წყაროების ცნობით, ბელიანს XV საუკუნეში ეკავა საკმაოდ ფართო ტერიტორიები: „ეპყრა ცხენისწყალის ჩაღმართი, ლეჩხუმს ქვემოთი, სვანეთის მთის გაღმომართი, აფხაზეთის ზემოთი“, მასვე ექვემდებარებოდა აფხაზეთი ჯიქეთამდის, მაგრამ „იგი მორჩილებდა არა ყოველსა ბრძანებასა დადიანისასა“ (104;88). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ბელიანი ამ შემთხვევაში სრულიად განსხვავებული პირია დადიანისაგან.

ამბროზიო კონტარინისა და ბარბაროს ცნობებით, ბელიანის სამთავროს დასავლეთით საზღვრავდა შავი ზღვა, სამხრეთით – ბათუმი, ხოლო ჩრდილოეთით მას ეკუთვნოდა სებასტოპოლიც, ჩრდილოეთით საბელიანოს საზღვარი აღწევდა ჩერქეზეთამდის. აღმოსავლეთით იგი ესაზღვრებოდა საქართველოს მეფის ბაგრატის საბრძანებელს, რომლისგანაც მას, შესაძლებელია მდინარე ცხენისწყალი ჰყოფდა (104;89).

მათივე ცნობით, ბედიანის სამთავრო იყო ცალკე პოლიტიკური ერთეული, რომელსაც ჰქონდა თავისი საზღვრები და ციხე-სიმაგრეები. საკუთარი მართვა-გამგეობა და ჰყავდა ჯარი. საბედიანოს, როგორც ცალკე პოლიტიკური ერთეულის არსებობას, უარყოფს თამაზ ბერაძე (59ა;175).


ივანე ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს მეფის უზენაეს უფლებებს ბედიანი ნომინალურად ცნობდა და მეფეს შეეძლო, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ჩარეულიყო ბედიანის საქმეებში (137ა;111. შდრ.:136ა; 327-331).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბედიანები (იგივე საერო ბედიელები) დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ფეოდალები იყვნენ. „ბედიანი“ წარმოადგენდა წოდებას, რომელიც დასავლეთ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ერთ-ერთ მფლობელს ჰქონდა მინიჭებული. მას უფრო ხშირად დადიანები ატარებდნენ და ამიტომაც „დადიან-ბედიანებად“ იწოდებოდნენ. იყო ასევე შემთხვევები, როცა „ბედიანი“ „დადიანისაგან“ განსხვავებული პირი იყო და „მორჩილებდა არა ყოველსა ბრძანებასა დადიანისასა“. დამოუკიდებელ ბედიანებს ჰქონდათ საკუთარი რეზიდენცია ციხე-სასახლითა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ატრიბუტიკით, ხოლო „დადიან-ბედიანი“ მისი ავტომატური მფლობელი ხდებოდა. აქვე გვსურს დავსძინოთ, რომ, როგორც ქართული წყაროებიდან ჩანს, იყო შემთხვევები, როცა სამეგრელოს ხელისუფალს მხოლოდ „ბედიანი“ ეწოდებოდა („ოდიშის ერისთავად ბედიანი“). ამასვე ადასტურებენ უცხოელი, მათ შორის ვენეციელი, დესპანების ცნობები. მაგრამ, უდავოა, რომ ამ წოდების მატარებელი პიროვნება ავტომატურად იმ ტერიტორიასაც ფლობდა, რომელთაც ოდესღაც დამოუკიდებელი ბედიანები განაგებდნენ. ჩვენთვის ძნელია, ზუსტად დავადგინოთ, თუ რა ტერიტორიის მფლობელი იყო „ბედიანი“.

ამასთანავე, საინტერესოა თუ რა ტერიტორიას მოიცავდა ბედიის ეპარქია. ემთხვეოდა თუ არა იგი ოდესღაც არსებულ საბედიანოს საზღვრებს? ამ მხრივ ჩვენ მხოლოდ XVII საუკუნის ვითარებას ვიცნობთ. ეს საეპისკოპოსო კათედრა ოდიშის სამთავროს ცენტრალურ რაიონში მდებარეობდა, ცოტა მოგვიანებით, აფხაზთა თავდასხმების გამო, იგი აფხაზეთის სამთავროს უკიდურესი სამხრეთი ნაწილი გახდა.

ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „ბედიას, აღაშენა ნ-დ მეფემან ბაგრატ ეკლესია, დიდ-შუენიერ გუმბათიანი და შეამკო სიმღიდრითა დიდითა ფრიად ... დასუა ეპისკოპოზი ოდიშისა, და აწცა ზის, და მწყემსი არს აწ დადის წყლის და მოქვის წყლის შუათისა ადგილთა“ (12;780).

ამ ცნობით დაახლოებით მაინც ირკვევა ბედიის საეპისკოპოსოს საზღვრები სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. მაგრამ აქვე დაცული ცნობები მოსაზღვრე ეპარქიათა შესახებ საშულებას გვაძლევს, უფრო დავაკონკრეტოთ საეპისკოპოსოს საზღვრები.



ბედიის ტაძრის კარიბჭის ორნამენტი. XIII ს.

ბედიას ჩრდილოეთით ეკვროდა მოქვის ეპარქია, რომლის სამხრეთი საზღვარი მდინარე მოქვისწყალზე გადიოდა. მის სამხრეთით წალენჯიხის ეპარქია მდებარეობდა, რომლის ტერიტორია, ვახუშტის ცნობით, დადისწყალსა და ჭანისწყალს შორის იყო მოთავსებული. რადგან ცაიშის საკათედრო ტაძარი ამ მდინარეთა შორის მდებარეობს, ამიტომ ჩვენ წალენჯიხის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ჭანისწყლის მხოლოდ ზემო წელზე, მდინარე რუხსა და ზუგდიდ-ჭანქვიჯს შორის გავატარეთ, ვახუშტისეული უზუსტობა კი, ალბათ, ერთმა გარემოებამ გამოიწვია: როგორც ცნობილია, წალენჯიხის საეპისკოპოსო კათედრა XVII საუკუნეში ლევან II დადიანის დროს შეიქმნა, რის გამოც, მანამდე არსებულ ეპარქიათა ტერიტორია წალენ-

ჯიხის სასარგებლოდ გადანაწილდა. ამას კი მოჰყვა ცაიშის ეპარქიის ჩრდილოეთი საზღვრის ცვლა. ასე გაჩნდა ცაიშსა და ბედიას შორის ახალი ეპარქია, რამაც, როგორც აღვნიშნეთ, გამოიწვია ცაიშისა და ბედიის საზღვრების შეცვლა. ეს უნდა იყოს მიზეზი ვახუშტის მიერ დაშვებული ზემოხსენებული უზუსტობისა – როგორც ჩანს, წალენჯიხის ეპარქიისთვის ჩამოიჭრა ტერიტორიები, როგორც ბედიის, ასევე ცაიშის ეპარქიებს. სწორედ ამის აღმნიშვნელი უნდა იყოს ვახუშტის შემდეგი სიტყვები: „მწყემსი არს აწ (ე. ი. ამჟამად) დადის წყლისა და მოქვის წყლის შუათანა ადგილთა“ (12;780). ამდენად, ჩვენი აზრით, ბედიის ეპარქიის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი იწყებოდა მდინარე დადისწყლის შესართავიდან და შემდეგ მიჰყვებოდა მდინარე ენგურის ზემო წელს ფახულანსა და წყაბას შორის. რაც შეეხება ჩრდილოეთ საზღვარს, იგი, ვახუშტის ცნობით, მდინარე მოქვისწყლის მთელ დინებას ემთხვეოდა და შესაძლებელია უფრო აღმოსავლეთით, მდინარე კოდორის ერთ-ერთ განშტოებასთან მთავრდებოდა.


დასავლეთით ბედიის ეპარქიას შავი ზღვა საზღვრავდა, აღმოსავლეთით კი ალბათ, სვანეთ-ოდიშის პოლიტიკურ საზღვარს ემთხვეოდა.

ამდენად, თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ. შემდეგ სურათს მივიღებთ: სამხრეთი საზღვარი გადიოდა მდინარე დადისწყალზე და ენგურის ზემო წელზე, ჩრდილოეთი – მოქვისწყალზე, ვიდრე კოდორის შენაკადის სათავემდე, დასავლეთი – შავ ზღვაზე, აღმოსავლეთი კი ოდიშ-სვანეთის პოლიტიკურ საზღვარზე.

## §5. ბედიის ტაძრის არქიტექტურა და მხატვრობა

სოფელ ბედიაში, კონცხად გამოწვდილ თხემზე, აღმართულია ბედიის ტაძარი. კლდეები მას სამი მხრიდან დაჰყურებს. მეოთხე, დასავლეთ მხარეს, გავაკებული მოედანი ვიწროვდება და გორაკის ფერდობს უერთდება. სწორედ აქ, ვიწროზე აღმართული იყო ორსართულიანი სასახლე და კარიბჭე სამრეკლოთი. სამრეკლო და სასახლის ზედა სართული, რომელიც აგებულია XVI საუკუნეში, განადგურდა. სასახლის გადარჩენილი თაღებიანი ქვედა სართული საერო არქიტექტურის ერთ-ერთი საინტერესო ძეგლია.

ამგვარი დაგეგმარების მქონე ანსამბლით იქმნებოდა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტი. ანსამბლის მთავარი ხუროთმოძღვრული ძეგლი გუმბათით დაგვირგვინებული ბედიის ტაძარი იყო (70;52). საყდრის ამშენებლად კალატოზთუხუცესი სემეონი გვევლინება.



ბედიის ტაძრის სარკმელი

ბედიის ტაძრის მორთულობის ერთი ნაწილი თავდაპირველ აღგებულზე არ არის მოთავსებული და მეორედ გამოყენების კვალს ატარებს. უახლესმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ თავდაპირველად პლატოზე იდგა არცთუ ისე დიდი ეკლესია, რომლის ფუნდამენტია გადარჩენილი. არის საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ზემოხსენებული ეკლესიის ორნამენტები გამოიყენეს ბედიის დღევანდელი ტაძრის მშენებლობისას. ისინი X-XI საუკუნის შემოქმედების ნიმუშებია, ხოლო აღმართული სივრცე ხუროთმოძღვრული მიდგომის სხვა, — პირველიდან განსხვავებულ, — უფრო მოგვიანო, XIII-XIV საუკუნეებში შექმნილ ნაგებობაზე მიგვიითივებს. კვლევის შედეგებმა ისიც გამოავლინა, რომ ბედიის მონასტრამდე არსებობდა სხვა

უფრო დიდი ზომის ნაგებობა, რომლის საფუძველზეცაა აგებული დღევანდელი შენობა (70;52). როგორც აღვნიშნეთ, ძეგლის ტერიტორიაზე მდებარეობდა ასევე სასახლე, რომლისგანაც მხოლოდ პირველი სართულია შემორჩენილი (70;52).

ციხე-დარბაზის არსებობის შესახებ მიანიშნებს ნიკო დადიანიც, იგი ბრძანებს: „რა სცნა ლევან შერვაშიძემ, რომელ არ ძალუძს წინააღმდეგობა, დაგვიწყო მოციქულობა, ითხოვა ჩემი იმედი უსიკვდილობისა, და გამოვიდა და მოგვცა ციხე ბედიისა“ (16;204).


ბედიის ტაძარი აავო და კათედრალი დააარსა საქართველოს მეფე ბაგრატ III-მ. ამიტომ „ტაძრის დიდებულება ... უმთავრესად




იმ გარემოებამ განაპირობა, რომ იგი აშენდა ვითარცა ბაგრატ მეფის სასახლის კარის ეკლესია და სამეფო საგვარეულოს სასაფლაო" (97;24). „ბედია ალაშენა 54 მეფემან ბაგრატ, ხოლო პირველ აქა მოვიდა ეგრი, ძე თარგამოსისა, და ალაშენა ქალაქი, და უწოდეს ეგრისი ეგრის გამო, და მერმეთ უწოდეს ბედია" (16;151).

კრისტოფორო კასტელმა, როცა ბედია დაათვალიერა, აღნიშნა, რომ აქ არის „ვერცხლგადაკრული ჯვარი, მისი სიმაღლე შვიდ ხელისგულზე უფრო დიდია, შიგნითა სივრცეში ძალიან ლამაზი მისტერიებია ჩვენი ძვირფასი მხსნელის უწმინდესი ვნებებისა და ზედ ამოკაწრულია ოქროს ნაირსახეობა“ (21;171-172). მანვე შემოგვინახა ამავე ტაძრის გრაფიკული ჩანახატი, რომელიც მეტნაკლებ წარმოდგენას გვიქმნის მისი არქიტექტურული იერსახის შესახებ. საინტერესოა ასევე ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარევის ცნობები, რომლებიც 1639-1640 წლებს ეკუთვნის. მათი თქმით, აქ არის ქვის ტაძარი, გუმბათზე ჯვრით, შიდა ინტერიერი მოხატულია ბიბლიური სცენებითა და ადგილობრივი საერო პირების გამოსახულებებით (50;354-355).

დომიტრი ბაქრაძის სიტყვით, „ბედია მთლიანად მოპირკეთებულია თლილი ქვით და გამშვენებულია ჩუქურთმებით. ტაძრის ზომები არც ისე დიდია, მაგრამ ნატიფი. მას აგვირგვინებს უკვე ჩამონგრეუ-



ბედიის ტაძარი კასტელის მიხედვით.



ბედიის ტაძრის კარიბჭის  
ორნამენტი.

ლი გუმბათი. ხშირი მცენარეულობა, დიდ ხეებთან ერთად, შეჭრილია ნაპრალებში. გალავანში შემორჩენილია ბედიელი ეპისკოპოსის ქვის სასახლე. მის გარეთა და შიგნით კედლებზე გადარჩა ქართული წარწერები, რომლებშიც მოიხსენიებიან ბედიელი ეპისკოპოსები, ასევე დადიანი გიორგი და მეფე კონსტანტინე, მცხოვრებნი XIV საუკუნეში“ (141;39).

ნ. კონდაკოვის აზრით, ბედიის ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშია. მასში, როგორც არქიტექტურულ ძეგლში, ქუთაისის ბაგრატის ტაძრისგან განსხვავებით, ბიზანტიური გავლენა არ შეიმჩნევა, ამიტომაც იგი დავითისა და თამარის დროინდელი ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლია (159;58-59).

ნ. კონდაკოვის მიერ შედგენილი ქართული არქიტექტურის განვითარების ქრონოლოგიური ცხრილის მიხედვით, ბედიის ტაძარი მიეკუთვნება ქრონოლოგიის II ეტაპს, ესე იგი პერიოდს ბაგრატ III-იდან დავით IV აღმაშენებლამდე.

ბედიის თავისებურებაა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ძლიერ წაგრძელებული განივღერძოვანი დაგეგმარება და ამისაგან გამოწვეული გვერდითი ნაგების სივიწროვე. ისინი იმდენად ვიწროა, რომ ტაძარი შიგნიდან ეგრეთ წოდებულ „გუმბათიან დარბაზებს“ მოგვაკონებს. ტაძრის შიდა კედლების წყობა უხეშია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აქ არქიტექტორი მოხატვას ითვალისწინებდა (174;193).

ო. ერმოლოვაც ბედიის ტაძარს X საუკუნის ბიზანტიური ტიპის ხუროთმოძღვრულ ძეგლად მიიჩნევს, სადაც ბრწყინვალეაა შერწყმული და გადამუშავებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის არქიტექტურული ტრადიციები (153;9-13).


ი. ვორონოვის თქმით, პირველად, ჯერ კიდევ X საუკუნეში, პლაცოზე იდგა არცთუ ისე დიდი დარბაზული ეკლესია გამოშვერილი

ხუთკუთხა აფსიდით. XIV საუკუნის დასაწყისში მისგან ჩრდილოეთით აღმართეს ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, რომელშიც ოთხი გუმბათქვეშა საყრდენიდან დასავლეთისანი თავისუფლად დგას, აღმოსავლეთისანი კი ერთმანეთთან დაკავშირებულია საკუროთხევლისშორისი კედლებით. საკუროთხევლის აფსიდები და მიმდებარე გვერდითი სათავსოები შიგნიდან ნახევრად წრიულია. დასავლეთის მხარეს ცენტრალური დარბაზი გვერდითი სათავსოებიდან გამოყოფილია კედლებით, რომელთა ზედა მხარე გაფორმებულია თაღებითა და კოლონებით.

გარედან ტაძრის კედლები მოპირკეთებულია გლუვი ქვიშაქვის ფილებით, აღმოსავლეთის კედელი გარედან შემკულია დიდი მოჩუქურთმებული ჯვრით. ფანჯრებისა და კარების საპირეები თავისი მოპირკეთებით უბრალოა, მაგრამ საუცხოო. მათი კვეთილობა გამოირჩევა ორნამენტული სიუფეტების მრავალფეროვნებით და ნატიფი შესრულებით.

მთელი პლატო ტაძრის გარშემო შემოზღუდულია მასიური კედლებით, რომელიც ბუნებრივად ასრულებს ფლატეს დასავლეთის მხრიდან, სადაც ტაძრის მისადგომი უფრო მოხერხებულია და ჩანს დიდი ქვის სასახლის ნანგრევები, მძლავრი, შიგა, ყრუ კედლით. შენობის ქვედა სართულზე სატრაპეზო და დარბაზია კრებისათვის, გაფორმებული მასიური კოლონებით და თაღოვანი ჭერით.

1910-1911 წლებამდე ბედიის შესასვლელში იდგა უზარმაზარი საუკუნოვანი ცაცხვი, იმდენად დიდი ღიაშტრის, რომ მის ფულუ-



ბედიის ტაძრის გეგმა პავლინოვის მიხედვით.

როში საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა ექვსი ბერი (ცაცხვი აფხა-  
ზებში წმინდა ზედ ითვლებოდა, რაც დასტურდება იმით, რომ  
აფხაზეთის ბევრ ტაძართან არის საუკუნოვანი ცაცხვები, მაგალ-  
თაად: ილორი, ლიხნი, დიდრიპში, ქეჩი და სხვა. ქეჩის ტაძართან  
ცაცხვის ფესვებქვეშ ძველი თავის ქალა აღმოჩნდა. ალბათ, ცაცხვს  
რგავდნენ საპატიო სასულიერო პირების საფლავზე) (139;83).

ზურაბ ანნაბადის სიტყვით, X-XI საუკუნეებში აშენებული ბედი-  
ის შესანიშნავი ტაძარი გამოირჩევა საუკეთესო პროპორციებით.  
მისი დაგეგმარება, არქიტექტურული იერსახე და ფასადების გაფორმება  
ტიპურია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის.

ნ. სევეროვის თქმით, ბედიის ტაძარი იწვევს განსაცვიფრებელ  
შთაბეჭდილებას თავისი ბრწყინვალე პროპორციებითა და კარგად  
შენარჩუნებული შიგა მოცულობით. ქუთაისის ბაგრატის ტაძრისა-  
გან განსხვავებით, რომელიც თავისი დაგეგმარებითა და ფორმით  
VIII-IX საუკუნეების არქიტექტურული ძიების ეპოქას მიეკუთვნება,  
ბედიის ტაძარი იმ საკულტო ნაგებობათა ჯგუფშია, რომელიც გაბა-  
ტონებული გახდა XI-XII საუკუნეებში (174;108).

შალვა ამირანაშვილის სიტყვით, XI საუკუნის I მესამედში ქართლში  
შეიმუშავეს შენობის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც სტანდარტ-  
ული გახდა XI-XIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს არ-  
ქიტექტურისათვის. შენობის ეს ტიპი არის სწორკუთხედი, მიახ-  
ლოებული კვადრატთან, რომლის შიგნითაც ჩვეულებრივ განლაგე-  
ბულია ოთხი საყრდენი. მათ გადაკვეთებზე თავსდება გუმბათი.  
არის შემთხვევები, როცა აღმოსავლეთის მხრიდან საყრდენ ბოძებს  
ცვლიან კედლის ბოძისებრი შვერილები, რომლებიც გამოყოფენ  
საკურთხეველის აფსიდს გვერდითი სათავსოებიდან. აღმოსავლეთის  
ფასადს არ გააჩნია გამოშვერილი აფსიდები. ორი ნიშაა, რომელიც  
საკურთხეველის აფსიდის გვერდებშია, მას ყოფს სამ ნაწილად. მი-  
სივე თქმით, ტაძრის შინაგანი სივრცის გაფორმება უახლოვდება  
ეგრეთ წოდებულ „გუმბათიან დარბაზს“. გუმბათს, თანახმად წესისა,  
უჭირავს ნაგებობის ცენტრი. იგი ეყრდნობა ოთხ სვეტს, რომელთ-  
აგან ორი აღმოსავლეთის მხრიდან საკურთხეველის აფსიდის კედ-  
ლის სვეტისებური გაგრძელებაა. აღმოსავლეთის ფასადი შემკულია  
ორი ნიშით. აღწერილი ტიპური ნაგებობის პირველი ნიმუში, რომელიც  
ქართლში ჩამოყალიბდა, სავსებით დადგენილი მხატვრული სახით,  
არის სამთავისის ტაძარი. დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით

ცნობილია ამ ტიპის მხოლოდ ერთი ძეგლი – ბედია (54;242).

ამბროსი ხელაიას 1900 წელს დაუთვალეიერებია ბედიის ტაძარი და შემდეგი შინაარსის წარწერა უნახავს: „წ. აღიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე კონსტანტინე, ძე დავითისა ამენ“ (7;12). მისი აზრით, წარწერა დავით ნარინის ვაჟს კონსტანტინეს (1293-1327) უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც გიორგი II დადიანთან (1345-1384) ერთად გამოხატული ყოფილა ტაძრის ერთ-ერთ კედელზე. ეს წარწერა ადრეც იყო ცნობილი და ამჟამადაც ადგილზეა (42ა;176). ამბროსი ხელაიას თქმით, XV საუკუნეში ბედიაში აუგიათ სამრეკლო და შემდეგ მომხდარა მისი რეკონსტრუქცია. დაახლოებით ასეთსავე ცნობას იძლევა XIX საუკუნეში შედგენილი ანონიმური დოკუმენტი – „მოგზაურობა აფხაზეთში“, სადაც ნათქვამია: „ბედია კარგი საყდარია, დავით ნარინ მეფის გაკეთებული. სამრეკლოს კედელზე ასე სწერია, ამის გარდა გალატოზის სახელი წერია: სიმონი ერქო“ (188;202-203).

ბედიის ტაძრის არქიტექტურის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ა. პავლინოვმა, რომელმაც 1893 წელს გამოაქვეყნა კიდევც ამ ხუროთმოძღვრული კომპლექსის სრულფასოვანი და მრავლისმომცველი აღწერილობა, რომელსაც თან ერთვის საინტერესო ფოტოები. აქვეა მის მიერვე შესრულებული ტაძრის რეკონსტრუქცია და ორნამენტების გრაფიკული ჩანახაზები. ამ მხრივ ნაშრომი



ქტიტორთა რიგი ბედიის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე. XI ს.



ბედიის ტაძრის მხატვრობის  
ფრაგმენტი

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ა. პავლინოვოს აღწერილობის მიხედვით, ტაძრის დასავლეთ მხარეს შემორჩენილი იყო ნანგრევები, რომელიც, ალბათ, ღია კარიბჭის როლს ასრულებდნენ.

მისი აზრით, ბედიის დაგეგმარება ძალიან ჰგავს X საუკუნის ბიზანტიური ტიპის საკულტო ნაგებობას. ამასთანავე, მისი გულდასმით შესწავლისას შესამჩნევი ხდება განსაკუთრებული თავისებურებები, რის გამოც იგი უნდა ჩაითვალოს ბიზანტიური არქიტექტურის განსაკუთრებულ სახეობად. კერძოდ, გარედან მას არ გააჩნია საკურთხეველის შევრილები, ამიტომაც აღმოსავლეთი ფასადი კარგავს საკურთხეველის საშნაწილიან მიშენებებს, რაც

სრულიად განსაკუთრებულ იერს ანიჭებს ტაძარს არა მარტო აღმოსავლეთიდან, არამედ ჩრდილო-სამხრეთიდანაც. ორი ნიშა ჰყოფს საკურთხეველის ნახევარწრეს, რითაც ოსტატმა აიცილა კედლის უსაფუძვლო გასქელება. ტაძრის შიდა სახე ბიზანტიურს უახლოვდება, აქ წარმოდგენილია ჯვრის დაგეგმარება, რომლის ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთი გვერდები იყოფა ორი სართულითა და პატრონიკეებით, რომლებიც ერთმანეთს არ უკავშირდება. საერთოდ, მსგავსი დაგეგმარების ტაძარში პატრონიკეები ერთმანეთთან დაკავშირებულია ღია თაღებით, მაგრამ ბეღიაში დღეს პატრონიკეები რაღგან აღარაა, თაღების მეორე სართული უფუნქციოდაა დარჩენილი.


საკურთხეველის გვერდით ნახევარწრეები გაყოფილია ორ სართულად. პირველ მათგანში თავისუფალი გასასვლელია, მეორე კი შენიღბულია. აქ პატარა შესასვლელი საკმაო სიმაღლეზეა გაკეთებული, რაც საეკლესიო ძვირფასეულობისა და განძეულობის შენიღბული საცავი უნდა ყოფილიყო. გარედან ეკლესია მოპირკეთებულია ფილა ქვაზე შესრულებული ორნამენტებითა და ზოლურებით. მთლიანობაში ტაძარი კოხტა და მოხდენილია. აღმოსავლეთ კედელზე შესრულებულია დიდი ჩუქურთმიანი ჯვარი, რომელიც სარკმლის

თავზეა ჩასმული. ჯვრის ბოლოსა და ფანჯრის თამასას შორის შეიმჩნევა მოგვიანრო ხანის გადაკეთების კვალი, კარ-ფანჯრების თამასები შესრულების დონით უბრალოა, მაგრამ კოხტა.

ტაძრის გუმბათს ქჷონდა 12 წახნაგი და ამდენივე სარკმელი. მოპირკეთებაში ჩართულია წნული მცენარეული ორნამენტი. ყველა ზოლური დამუშავების ხასიათით მოგვაგონებს სირიას და საეროდ აღმოსავლეთს, მაგრამ ამასთანავე ინდივიდუალური კავკასიური თვით-მყოფადობით გამოირჩევა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, პავლინოვი ასკენის, რომ ბედიის ტაძარი დაგეგმარებითა და შესრულების ხასიათით უნდა მივაკუთვნოთ ქართული არქიტექტურის ძეგლებს (168;27).

გიორგი ჩუბინაშვილის ვარაუდით: ზომებით, კომპოზიციით და დეკორატიული მორთულობით ბედია ვერ მივიღოდა ბაგრატის ტაძართან, მაგრამ კედლის მხატვრობით, ხელოვნების ძვირფასი ნიმუშებითა და შიდა მოკაზმულობით არ ჩამოუვარდებოდა მას, „ვინ იცის, იგი იქნება სჯობდა კიდევ ოდესღაც ქუთაისის ტაძარს“ (128;123).




ბედიის ტაძრის გეგმა პავლინოვის მიხედვით.

ბედიის მონასტერი 1894 წლისათვის მოუნახულებია გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტს. მისი თქმით: „ამ დღეებში შემთხვევით დავათვალიერეთ ერთი დიდებული ნაშთთაგანი ჩვენი წარსულისა ბედიის ტაძარი, თუმცა ჟამთა სიავეს მეტისმეტად დაუზიანებია ეს ტაძარი, მაგრამ თავისი წარსული სიდიადე იმდენად ეტყობა ბედიის ტაძარს, რომ შესვლისთანავე შიგ მოწიწებით ქუდს იხდით და მყისვე განიმსჭვალებით ქრისტიანობრივი და წარსულთა დროთა პატივისცემის გრძნობით. სხვა მრავალ მხატვრობათა შორის, რომელთაგან ზოგი მთლიანად წაშლილია და შებლაღულია, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბედიის ტაძრის სამხრეთის კედელზედ დახატული თამარ დედოფლის სახე. ჟამთა ვითარების უღმობელს ძალას ამ ყველა ქართველისათვის ერთგვარ პატივსაცემ სახელოვან მოღვაწის ნახატისათვისაც დაუსვამს თავისი დაღი. მხრები, პირის სახე და თავი გვირგვინით შემკობილი კარგად დარჩენილა. განსაკუთრებით თვალები და წარბები თითქმის სრულიად უვნებლად არის დაცული დღემდე. მხოლოდ ცალი ლოყა წაშლილია, ცალი ხელის ხუთივე თითი კარგად ჩანს. იქ, სადაც თამარ დედოფალია დახატული, წარწერები შედარებით უკეთესად მოსჩანს ... კარების გარშემო გაყოლებული ხელოვნურად ამოჭრილი ქვები მეტად კარგად არის დაცული ეხლაც ... ტაძარს გუმბათიცა აქვს, მაგრამ გუმბათის თავი (შუაგული) ჩამოცვნილია და დანარჩენიც გამზადებულია ჩამოსაცვენად“ (81).

XIX საუკუნის II ნახევარში აქ არსებული მონასტრის „მესვეურებმა“ გადაწყვიტეს „ტაძრის განახლება“ და მიზანმიმართულად გაანადგურეს როგორც ძველი გუმბათის, ასევე მოპირკეთების დიდი ნაწილი (174;108). ამავე საუკუნის დასასრულს ბედიის ტაძარი უკვე მცენარეულობით დაფარულ ნანგრევებს წარმოადგენდა, მაგრამ უკეთ იყო დაცული ფასადების საპირე წყობა (იხილეთ ბედიის ტაძრის 1888 წლის ფოტო). ამის შემდეგ ჩამოიშალა გადახურვები, ატმოსფერულმა ნალექებმა გამოიწვია კედლების დეფორმაცია, უკვალოდ გაქრა კედლის მხატვრობის დიდი ნაწილი, ხოლო შემორჩენილი ძლიერ დაზიანებულია.

ტაძრის არქიტექტურასთან ერთად, გვინდა, განსაკუთრებული ყურადღება ბედიის უნიკალურ ფრესკულ მხატვრობაზეც გავამახვილოთ. პირველი მკვლევარი, ვინც ბედიის მხატვრობას მიაქცია ყურადღება, იყო მარი ბროსე. იგი აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კედელზე





ბედიის ტაძარი 1888 წელს.

შესრულებულია ქალისა და ახალგაზრდა ყმაწვილის პორტრეტი. მეცნიერმა გამოაქვეყნა აქვე დატანებული წარწერა, სადაც მოხსენიებულია დედოფალი მარეხი, მისი შვილი მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი. მ. ბროსე ასევე აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთის კედელზე არის წმინდანთა რიგი: მაკარის, თეოდორეს, თომას, მერანიას გამოსახულებებით, ხოლო საწინააღმდეგო კედელზე მოჩანს მამაკაცი, გოგონა, ქალიშვილი და ქალი, რომლის მახლობლად წარწერაა „კორდაბ“.

დასასრულ, მ. ბროსე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ბედიის მხატვრობა შესრულებულია XVI საუკუნეში ანტონ იოანისძის მიერ (იგულისხმება ბედიელი მიტროპოლიტი ანტონ ჟვანიძე) (189:646-647).

1888 წლის ექსპედიციის დროს ბედიის ტაძარი მოინახულა ა. პავლინოვმაც. იგი აღნიშნავს, რომ შემორჩენილი მხატვრობის მეტი წილი წარმოდგენილია დასავლეთ კედელზე (168:28).

ბედიის ტაძრის ფრესკული მხატვრობის სრული და მეცნიერული აღწერილობა ლ. შერვაშიძემ მოგვცა, საიდანაც ვკებულობთ, რომ მთავარ აფსიდაში, ქვედა რეგისტრის მუქ-ნაცრისფერ ფონზე

წარმოდგენილი ყოფილა წმინდანთა რიგი, ასომთავრული წარწერებით. ფრაგმენტულად შემორჩა სამი ფიგურა — ორ წმინდანს ჭადრაკულად, ხოლო მესამეს ჯვრებით გაფორმებული მოსასხამები აცვიათ. ხელში მათ ასომთავრული წარწერებით დაფარული გრაგნილები უკავიათ.

ჩრდილოეთ ბემაზე მთელი ტანით გამოსახულია წმინდანთა სტეფანე, ასომთავრული წარწერით: — „(სტე)ფანე“. წმინდანთა რიგის ზემოთ მოთავსებული იყო სამების კომპოზიცია, სადაც ზუსტად განირჩევა თხელი ხაზებით შესრულებული არცთუ ისე დიდი ფიგურები. საკურთხეველის ქვედა ნიშაში, მოლურჯო მონაცრისფრო ფონზე შემორჩენილია დიდი შარავანი.

ჩრდილოეთის კედელზე, საღიაკნოსთან ახლოს, წარმოდგენილია საშუალო ასაკის მამაკაცი მოგრძო წვერით, გვირგვინითა და სამეფო მოსასხამით. მას მარცხენა ხელი სავედრებლად ზეაღმართავს, მარჯვენაში კი გუმბათიანი ტაძრის მოდელი უკავია. აქვე შემორჩენილია წარწერა, სადაც საკუთარი სახელი „ბაგრატი“ იკითხება.

ამდენად, აქ გამოსახული პირი საქართველოს მეფე ბაგრატ III უნდა იყოს, რომელსაც, როგორც ბედიის მაშენებელს, ხელში ტაძრის მისეული მოდელი უჭირავს.

მეორე, უფრო სწორკუთხა ველზე, გამოსახულია ორი ფიგურა: —



ბედიის ტაძრის  
მოხატულობის ფრაგმენტი

ქალი გვირგვინით, რომელსაც მხრებზე ჩამოშვებული თეთრი მოსასხამი აცვია. მის წინ პატარა მოზარდი დგას. ორივე ფიგურა, ისევე როგორც ბაგრატ III-ისა, მიმართულია საკურთხეველისაკენ მლოცველის ტრადიციულ პოზაში. აქვე შესრულებულია 5 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, სადაც მოხსენიებულია დედოფალთ-დედოფალი მარეხი და მანდატურ-თუხუცესი გიორგი დადიანი.

ჩრდილოეთ კედელზე, სადაც წარწერები კიდევ უფრო ცუდადაა წარმოდგენილი, ვიდრე სამხრეთისაზე, შემორჩენილია საკურთხეველისაკენ ლოცვით მიმართული ოთხკაციანი

ქტიტორთა რიგი, სადაც ყველაზე ბოლოს ქალი დგას, რომელსაც თავზე თეთრი, გრძელი მანდილი ახურავს. მასთან იკითხება წარწერა „ოდაბ“ (ბროსეს აზრით, „კორ(ო)დაბ“). მის წინაა შუახნის მამაკაცი, საკურთხეველთან უფრო ახლოს მოზრდილი ყმაწვილია, ხოლო ამ რიგის თავში ახალგაზრდაა წარმოდგენილი.

შალვა ამირანაშვილი შემორჩენილი წარწერების წაკითხვის საფუძველზე ასკვნის, რომ რიგის თავში მდგარი ახალგაზრდა მხატვართუხუცესია. რენე შმერლინგი კი ფიქრობს, რომ იგი წარმოდგენილი ოჯახის უფროსი ვაჟიშვილია და წარწერას X-XI საუკუნეებში გავრცელებულ საკუთარ სახელად – „კახაბერ“-ად – კითხულობს.

ოთხივე ქტიტორს ხელები ერთნაირად აქვს ზეაქრობილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი მოძრაობა მოსაწყენი ერთფეროვნებისგან შორსაა, რადგან ფიგურები სხვადასხვა სიმაღლისაა და ხელებიც მოთავსებულია სხვადასხვა დონეზე. ოსტატის ცდა, წარმოდგინა ოთხივე ფიგურა მხატვრულ ერთიანობაში, იქიდანაც ჩანს, რომ ქტიტორების ტანსაცმლის ფერები შეორდება. მოყავისფრო-წითელი ზედა სამოსი და მწვანე, ქვედა ტანსაცმელი მამაკაცებს და ახალგაზრდას მოსაეს, ხოლო მწვანე ზედა და წითელი ქვედა სამოსი ქალსა და ყმაწვილს. საინტერესოა, რომ ფონი, სადაც ბაგრატ III-ის გამოსახულებაა წარმოდგენილი, ისეთივე მოლურჯო-მონაცრისფროა, როგორც მოპირდაპირე კედელზე, ხოლო დედოფალ მარეხისა და გიორგი დადიანის ფონი განსხვავებულია.

რეგისტრის ზემოთ, ქტიტორების თავზე, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კედელზე შესრულებულია ჰორიზონტალური ზოლი, სადაც ჩახატულია ექვსი მედალიონი წმინდანებით. ეს ზოლი, როგორც შემორჩენილი მხატვრობიდან ჩანს, სამსხვერპლოსა და სადიაკნოს კედლებსა და აფსიდების ბემაზე გადიოდა.

ჩრდილოეთის კედელზე, ზემოხსენებული ზოლის ზემოთ, წარმოდგენილია ორი კომპოზიცია: „ქრისტე და სამარტელი ჭასთან“ და „ბრმის განკურნება“. ტიპმანზე კი მაკურთხებელი ქრისტე ემანუელი. ცოტა უფრო მაღლა მოთავსებულია წრეში ჩახატული ცვილისფერი ჯვარი მოყავისფრო ფონით. იგი მდიდრულადაა მორთული წითელი და ლურჯი ძვირფასი ქვებით. ამ წრეს ორივე მხრიდან მჭიდროდ ეკერის პეტრესა და პაულეს შარავანდი. წმინდანების გამოსახულება მხოლოდ წელსზემოთაა შემორჩენილი, პეტრეს ხელში უჭირავს ორი დიდი გასაღები.

ჩრდილოეთის კედელზე, მედალიონების ზოლის ზემოთ, სარკმლის აღმოსავლეთ მხარეს ფრაგმენტულად განირჩევა კედლების მდიდრული მოხატულობა. აქ გამოსახული ყოფილა „სერობა სიმონთან“. როგორც რენე შმერლინგი აღნიშნავს, სამსხვერპლოს შესასვლელის თავზე ყოფილა მაკურთხებელი ქრისტეს გამოსახულება, ხოლო სადიაკვნოს შესასვლელის ზემოთ ღმრთისმშობელი გამოუხატავს ოსტატს (1890 წლისათვის მხატვრობის კვალი აღარ შემინეოდა).

ძალიან ცუდადაა დაცული მხატვრობა დასავლეთის კედელზე. აქ შემორჩენილია მხოლოდ კარების მარჯვნივ და მარცხნივ გამოსახული ორ-ორი პირი. მარჯვნივ მდებარე წყვილი გვირგვინებითა და მდიდრული საიმპერატორო ტანისამოსით შემოსილი კონსტანტინე და ელენეა. მათ შორის დიდი ჯვარია მოთავსებული. წარმოდგენილი წყვილიდან მარცხნივ, ძნელად გასარჩევი კონტურები და შარავანდებია შემორჩენილი.

დასავლეთის შემოსასვლელ ტიპანზე წარმოდგენილია მარიამ ღმრთისმშობლის წელსზედა გამოსახულება. ამავე შემოსასვლელის გვერდით მკრთალად მოჩანს ორი ფიგურა, ხელში ჯვრებით, მათზე განირჩევიან ძვირფასი ქვებით მორთული ენქერები. ნ. ტოლმაჩევსკაია თავის მიერ ნანახი ფრაგმენტების მიხედვით ასკვნიდა, რომ აქ „საშინელი სამსჯავროს“ სცენა იყო.

დასავლეთის შემოსასვლელზე ფრაგმენტულად შემორჩენილია აბჯარასხმული ანგელოზის ფიგურა. მისი შემტევი პოზა შემართული ხმლით, მოძრაობის მიმართულება და ადგილმდებარეობა გვაფიქრებინებს, რომ აქ ღმრთისმშობლის მიძინების ფრესკა იყო. მხატვრობის ეს ფენა XV საუკუნეში უნდა შეექმნათ. უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი სამხრეთის გუმბათქვეშა ბოძის საკურთხევლისპირა კედელზე, სადაც განირჩევა შარავანდი, ხოლო ცოტა უფრო მაღლა წმინდა რაინდის ფიგურაა, რაც მისი მოსახამიდან ჩანს.

სამხრეთის კედელზე შემორჩენილი მხატვრობიდან ცხადია, რომ ოსტატი ქმნიდა რა ფრესკულ მხატვრობას, მკაცრად ითვალისწინებდა ჰორიზონტალურობის პრინციპს. ამიტომ, ცდილობდა მხატვრობა მიესადაგებინა და ორგანულად შეერწყა იმ დროს არსებული არქიტექტურისათვის.

რენე შმერლინგმა ბელაში არსებული მხატვრობა ქრონოლოგიურად 3 ეტაპად დაყო:



ბაგრატ III-ის ფრესკა ბედიის ტაძარში  
რესტავრაციის შედეგად.



ბაგრატ III. გიორგი გვეგეჭკორის ნამუშევარი.

I. მნიშვნელოვანი წილი XI საუკუნისაა და მხატვრობის ამ ფენას განეკუთვნება: სამხრეთის კედელზე – ბაგრატ III-ის პორტრეტი, ჩრდილოეთის კედელზე – ოიხი ქტიტორის გამოსახულება და წმინდანები საკურთხეველში.

II. XIII-XIV საუკუნეების ფრესკები: „სამების სცენა“. ზოლები მედალიონებით, „ქრისტე და სამარიტელი“, „ბრმის განკურნება“ და ასევე დასავლეთის კედლის მხატვრობა.

III. ფენა, რომელიც XIV-XVII საუკუნეებით თარიღდება და მას მიეკუთვნება დედოფლისა და ახალგაზრდის ფიგურები და სამხრეთის კედლის მხატვრობის ფრაგმენტი.

ეს დათარიღება თითქმის არ იწვევს ეჭვს, რადგან ემყარება პალეოგრაფიულ მასალებსაც.

ბედიის ტაძარში მოდელით ხელში ბაგრატ III-ის პორტრეტის არსებობა ხაზს უსვამს მის პიროვნებას. როგორც ტაძრის მაშენებლისა, რაც თავისთავად გვაუიქრებინებს, რომ პორტრეტი მეფის სიცოცხლეშივე შესრულდა. ეს იმიტომაც დასტურდება, რომ ტაძრის მშენებლობის დამთავრებისთანავე დაგვიძლი იყო მისი მოხატვა და უხეშადაა მოპირკეთებული როგორც თაღები ასევე კედლები.


ბაგრატ III-ის პორტრეტმა ჩვენამდე ძლიერ დაზიანებულმა მოაღწია. ძირითადად შემორჩა მისი ზედა ნაწილი, ისიც ძალიან ფრაგმენტულად, გარდა ამისა, მასზე შეიმჩნევა განახლების კვალი, თუმცა მაინც იკვეთება მეფის გარეგნობის თავისებურებანი.

ბაგრატის სახე რამდენადმე წაგრძელებულია, რასაც აძლიერებს მოკრძო წვერი, დიდი და ფართოდ გაშლილი თვალები, სწორი და თხელი ცხვირი.

თუ მეფის პორტრეტში სახეს განახლების კვალი ეტყობა, ტანსაცმელი პირველადი სახითაა შემორჩენილი. ბაგრატის ლორონი და



ბედიის ტაძარი  
ბაგრატ III-ის ფრესკის მიხედვით.



ბედიის ტაძრის კარიბჭის  
მორთულობა. X ს.

ენებისას დაცული არაა რაიმე ქრონოლოგიური კანონზომიერება. თავად ტანსაცმლის მოყვანილობას მიყვავართ იმ დასკვნამდე, რომ ფრესკა X საუკუნეშია შესრულებული (183;42-67;179).

ნ. ტოლმაჩევსკაია ბედიის მხატვრობის შესწავლამ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ფრესკების ნაწილი მოგვიანებით განახლდა. მაგალითად, „სამების“ კომპოზიციის ნაწილი, „სამარიტელთან საუბარი“, სადაც სამარიტელის მოსასხამი XIV საუკუნისათვის დამახასიათებელი სტილითაა შესრულებული. ამ პერიოდსავე განეკუთვნება „სიმონთან სერობის“ ფრაგმენტიც.

ეს ფრესკები კოლორიტით, მუქი მწვანე და მოყავისფრო ტონით, ტანსაცმლის ნაკეცების ხასიათით, კომპოზიციის კანონიკურობით, XIII საუკუნის დასასრულს ან XIV საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ. სამხრეთის კედელზე, ქტიტორთა შორის XIII საუკუნის მოღვაწეების: დედოფალ მარეხისა და მისი მცირეწლოვანი ვაჟის გიორგი დადიანის არსებობაც გამოთქმულ მოსაზრებას აძლიერებს.

ტაძრის XI საუკუნით დათარიღებული მხატვრობის ძირითადი ნაწილისათვის დამახასიათებელია ნათელი კოლორიტი, დომინირებს ხასხასა ოქროსფერი, შარავანდების ნათელი ჟანგისფერი, მსუბუქი და ოდნავ შესამჩნევი შუქრდილები შუბლზე, ყელსა და ლოყებზე. სახეთა მსგავსი გამოსახვა ჯერ კიდევ ვერ ატარებს მოძრაობისათვის დამახასიათებელ დინამიკურობას.

გვირგვინი მდიდრულადაა შემკული ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით. იგი შედგება მანტიისა და ფართო სარტყლისაგან. ამ ტიპის ღორბონები გვხვდება გელათის მთავარი ტაძრის მეფეთა გამოსახულებებშიც, თამარ მეფის ოთხივე პორტრეტზე და ბიზანტიურ ძეგლებში, მაგალითად, ჰარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერებში (Gr1242.P137), თუმცა ფრესკის დათარიღებისას ღორბონის ფორმა ვერ გამოგვაღვება, რადგან არც ქართულ და არც ბიზანტიურ ძეგლებში მათი გამოყ-



## 56. ბედიის საეპისკოპოსოს როლი ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში

ბედიის საეპისკოპოსოს, როგორც კულტურის, ქრისტიანობისა და განათლების კერას, ცხადია, ხანგრძლივი ისტორია აქვს.


ბიზანტიის იმპერიის შესუსტების პირობებში საქართველოს მესვეურებმა სცადეს ისეთი დიდი მნიშვნელობის ფაქტის განხორციელება, როგორიც იყო ლინთ-იმერეთში ბერძნული ქრისტიანობის შეცვლა ქართული ქრისტიანობით (63;7). სწორედ ამ მიზნით ძიღანევის საეპისკოპოსო ბედიაში გადმოუტანიათ (63;7).

ბედია იყო ქართული ჭედური ხელოვნების საუკეთესო კერა. გიორგი ჩუბინაშვილის აზრით, ბედიის ბარძიმს „ახასიათებს ეპოქის მხატვრულ დადგენათა გარდამავლობა, გარდამავლობა საკუთრივ სკულპტურული მონუმენტალობის გამომხატველობის ძიების მიმართულებით ... ბედიის ბარძიმი უმნიშვნელოვანესი რგოლია იმხნის ჯვარსა (973 წ.) და მარტივლის ჯვარს (XI საუკუნის შუა წლებში) შორის. ის გზად და ხიდად ელო ამ ორი მატერიალური კულტურის ძეგლს და მამასადაძე, ეროვნული ჭედური ხელოვნების განვითარებასაც“ (129;3-5).

ბედიის ბარძიმზე დეკორატიული ამოცანებიც სხვაგვარადაა გადაწყვეტილი. ლითონზე პლასტიკის ადრეული ექსპონატებისაგან განსხვავებით, ოსტატი პლასტიკურ-დეკორატიულ სისტემას ქმნის, რიტმულად განაწილებული თაღებისა და მათ ზემოთ გავლებული თაღების უწყვეტი ზოლით (68;3).

ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების ისტორიაში ბედიის ბარძიმი X საუკუნის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია (68;3).

ცნობილი ყოფილა ბედიის მეორე ბარძიმიც (იგი, სამწუხაროდ,



ბედიის მეორე ბარძიმი  
(ამჟამად დაკარგულია).

დაიკარგა), რომლის ფოტო არსებობს. მასზე გამოსახული ღმრთისმშობელი ძირითადი ტიპისაგან, ე. ი. ვედრების პოზისაგან, განსხვავდებოდა. ამიტომაც, ღმრთისმშობლის ეს სახე იყო ორიგინალური და გამოირჩეოდა „გამოცხადების“ იშვიათი გამოსახულებით.

ვლადიმერის (ბედიის) ღმრთისმშობელი დადიანების უმთავრესი ხატი იყო და იგი დიდი პატივით სარგებლობდა მთელ საქართველოში.

ბედიის მონასტერს ჰქონდა საკუთარი წიგნსაცავი. XVI-XVII საუკუნეებში აქ მოღვაწეობდნენ: ამბროსი კარგარეთელი, საბა ნაფოტაძე, სიმონ გიორგაძე. მათ გადაუწერიათ ბედიის ორტომიანი გულანი (109;78).

ბედიელ მიტროპოლიტს გერმანე ჩხეტიძეს შავშეთიდან ჩამოუყვანია გაბრიელ ლომსაძე. ბიბლიოფილი ყოფილა მთავარეპისკოპოსი ანტონ ყუანისძე (109;78).

შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა ბედიის საკურთხევის ფილის ფრაგმენტი. ქვის თეთრ ფილაზე წარმოდგენილია წმინდა გიორგის რელიეფური გამოსახულება. იგი თავისი მხატვრული სტილით უახლოვდება სამწვერისის, ძარცმისა და სალხინოს რელიეფურ ფილებს.



ბედიის ბარძიმი. 999 წ.

აქ გამოსახულია ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, რომელიც მახვილით გმირავს კერპთაყვანისმცემლობის სიმბოლოს — მიწაზე დანარცხებულ მეფე დიოკლიტიანეს. ცხენი გამოსახულია პროფილით, ჰაერში ატყორცნილი და უკან გაშვერილი ფეხებით, თითქოს ყალყზე შემდგარი ნავარდობს. უკან გადახრილი მხედარი მყარად ზის უნაგირზე. მას ალვირი მარჯვენა ხელში უჭირავს, ხოლო მარცხენით გრძელი ჯვრით დასრულებულ შუბს ფლობს. მხედარს თავს შარავანდი უმშვენებს, თმები შეჭრილი აქვს მოკლედ, კაბა კი მუხლებს უფარავს ისე, რომ მაღალყელიანი წაღები მოუჩანს. ზურგს უკან გაშლილია მოსასხამი.



ბედიის ფილა. X ს.

დიოკლიტიანე წევს გულადმა, ცხენის ფლოქვებქვეშ. ფეხებგაშლილს მაღალი უქუსლო წაღები აცვია, მას თავზე საკმაოდ მაღალი, ქუდის მსგავსი გვირგვინი ახურავს. ამ სიუჟეტის საქართველოში გავრცელებული რედაქციის თანახმად, დიოკლიტიანეს ხელი ჩაუჭიდა შუბისათვის და ცდილობს, იგი აიცილნოს.

ბედიის ფილის კომპოზიციაში შეიმჩნევა სცენის გადმოცემის ახალი მხატვრული გზები: დინამიკურად მონაგარდე ცხენი, უნაგირზე მყარად მჯდარი მხედარი მეტყველებს შემსრულებელი ოსტატის მაღალმხატვრულ დონეზე. ბედიის რელიეფი კარგად ასახავს, თუ როგორი წარმატებით დასძლიეს ქართველმა ოსტატებმა X საუკუნეში გავრცელებული სტატიკურობა და შებოჭილობა სკულპტურული გამოსახულების შესრულებაში.

ბედიის მეორე რელიეფიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. დამუშავების მხრივ ფილა სრულად აუთვისებია ოსტატს, რაც დარჩენილი ცარიელი სივრცის ნიშებით შევსებაში გამოიხატება. შვიდი ნიშიდან ხუთი მოთავსებულია ქვის ძირში, ორი კი მარცხნივ

გამოსახული ანგელოზის ფეხებქვეშ. სცენაზე, ჩვენი აზრით, წარმოდგენილია წმინდა სამება, რომელშიც ცენტრალური ადგილი თაღებქვეშ მდგარ მამა ღმერთს უჭირავს, მას ორივე ხელი მაღლა აღუპყრია, ტანზე ხშირნაკეცებიანი კვართი აცვია, რომელსაც ომფორი ამშვენებს, ომფორზე ჯვრებია შესრულებული.

მამა ღმერთის ფიგურა გამოირჩევა ზომით, ლამაზი კვართით, გულმკერდზე გამოსახული დიდი ჯვრით. მის მარჯვნივ დგას ძე ღმერთი, რომელსაც ხელში საცეცხლური უჭირავს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სცენაზე განსაკუთრებული გემოვნებითაა შესრულებული სამივე ჰიპოსტასის ტანსაცმელი. უბრალო პარალელური და ურთიერთგადამკვეთი ჭრილები ქმნიან ტანსაცმლის საოცრად ბუნებრივ ნაკეცებს, რაც მთელი სცენის თავისებური გაფორმებაა. მაცხოვარს, ისევე როგორც მამა ღმერთს, თავს შარავანდი უმშვენებს.

აქ სულიწმიდა ანგელოზის სახითაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, მხოლოდ მისი ტანი და ფრთის კუთხე მოსჩანს, დანარჩენი ნაწილები კი მოტეხილია. რელიეფის დიდი ნაწილი შესრულებულია ქვის სიბრტყეში ჩაჭრით, ორნამენტაციაში გეომეტრიული სახეებისაკენ მიდრეკილება კარგად შეიმჩნევა. სცენა შესრულების მანერითა და ჭრის ტექნიკით შეიძლება რამდენიმე ნაწილად დავეყოთ. ოსტატი აქ, ძირითადად, გეთავაზობს ღარებს, წრეწირებსა და სვირინებს. ორნამენტაცია ძირითადად მამა ღმერთის ომფორზეა წარმოდგენილი, სადაც ძირითადი ადგილი გეომეტრიულ ფიგურებს უჭირავს. მთავარი თაღი, რომელიც ლივლივებისაგან შედგება, იმპოსტებს ეყრდნობა. სამივე ჰიპოსტასი წარმოდგენილია მთელი სხეულით, მამა ღმერთი და ძე ღმერთი დამჯდარი ტანისაა, სულიწმიდა კი უფრო თხელია, მამა ღმერთი გრძელი სახისაა და მასაც, როგორც მაცხოვარს, წვერი აქვს.

ზემოთქმული მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ეროვნული საგანძურისა, რაც ბედიის ეპარქიაში შექმნილია, მაგრამ თვალის ერთი გადავლევაც ცხადყოფს, რომ ამ საეპისკოპოსომ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში.



მოქვის ღმრთისმშობლის კარედის სატი. XVII ს.



მოქვის ტაძარი. X ს.

## მოქვის საეპისკოპოსოს ისტორია

## §1. მოქველ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

მოქვი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეპისკოპოსო იყო არა მარტო ოდიშში. არამედ საქართველოში, მაგრამ მოქველ ეპისკოპოსთა შესახებ ჩვენამდის მოღწეული ცნობები მეტად მცირეა.

ჩვენთვის ცნობილი პირველი მოქველი ეპისკოპოსი ამავე ტაძრის სამრევლოს წარწერაში მოიხსენიება. თავად სამრევლო XV საუკუნეში აგებული, მაგრამ წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით უფრო ადრეულია, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ იგი აქ გვიანაა ჩაშენებული. წარწერას თედო უორდანიამ 1890 წელს მიაკვლია ტაძრის ნანგრევებში. წარწერიანი ფილის ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია. გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფოტოთეკაში ინახებოდა ამ წარწერის ფოტონეგატივი მინაზე (№5681), სადაც ნათქვამია:

..ყ(ოვლ)ად წ(მიდა)ო ღ(მრ)თ(ი)ს-  
მშ(ო)ბელო, მეოხ და მფარვ(ე)ლ ექ-  
მ(ენ) გ(რი)გ(ო)ლი მ(ო)ქ(უ)ელ  
მ-აგ-ძნის ძესა“.

წარწერაში მოხსენიებულ გრიგოლ მოქველის სახელს ვალერი სილოგავა სხვანაირად კითხულობს და მიიჩნევს, რომ აქ მოქველის მაგივრად მ(ი)ქ(ა)ელ წერია. თუმცა წარწერის აღმომჩენი თედო უორდანი ფიქრობს, რომ აქ მოქველი წერია (33. შდრ.:107ა;66).

სულ ახლახან პროფესორმა ვ. სილოგავამ წარწერა ახლებურად გაშიფრა და მისი ბოლო სტრიქონი შემდეგნაირად ამოიკითხა: ..გ(რი)გ(ო)ლი მო)ქ(უ)ელ მ(თავარეპისკოპოს)ს)ა გ(უ)ძ(ა)ნისძესა“.

მოქველი გრიგოლ მაგნიძის ძე (იგივე გუძანისძე) სხვა ისტორიული წყაროებით უცნობია, წარწერა კი, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XII საუკუნით თარიღდება, აქედან გამომდინარე, ამ იერარქის მოღვაწეობაც დაახლოებით XII საუკუნით უნდა განისაზღვროს.

შემდეგი წყარო, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას მოქველი ეპისკოპოსის შესახებ, გახლავთ მოქვის სახარება, სახარების ბოლო ფურ-



მოქვის სახარების მინიატიურა.  
 დანიელ მოქველის გამოსახულებით. 1300 წ.



ცელზე არის ღმრთისმშობლის სურათი, რომლის წინ დაჩოქილია და მასვე ევედრება მოქველი მთავარეპისკოპოსი დანიელი. წარწერაში ნათქვამია: „დანიელ მიქველ მთავარეპისკოპოზი“ (72;107).

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი შენიშნავს, მოქვის სახარება გადაწერილია 1300 წელს დანიელ მოქვის მთავარეპისკოპოსის თაოსნობით (72;109). მოქვის სახარების მაღალი მხატვრული დონე ნაწილობრივ მაინც მეტყველებს როგორც დანიელ მოქველის, ასევე საეპისკოპოსოს მნიშვნელობაზე. ამდენად, უნდა ჩათვალდეს, რომ დანიელ მთავარეპისკოპოსი მოქვეში მოღვაწეობდა XIV საუკუნის დასაწყისში, 1300 წლის ახლო პერიოდში.

იმავე სახარების მინაწერი გვაძლევს ინფორმაციას კიდევ ერთი მოქველის შესახებ. მინაწერში ნათქვამია: „მოქვისაა ღმრთისმშობელთა შიწყალე სული თქუენ წინ მღვდისაა მოქველ მთავარეპისკოპოზისაა აბრაჰამისაა, ამენ“ (72;109). ლუკა მახარებლის სურათის პირველ გვერდზე იმავე ხელით წერია: „მთავარეპისკოპოზსა მოქველსა აბრაჰამს შეუნდოს ღმერთმა, ამენ და ამენ“ (72;107).

თედო ჟორდანიას აზრით, აბრაჰამ მოქველი დანიელის შემდგომი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო (32;232). ჩვენ დანიელ მოქველის შესახებ სხვა წყაროები არ გავაჩნია, ამიტომ ვთვლით, რომ იგი XIV საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა.

აბრაჰამთან დაკავშირებული მინაწერების წაკითხვისას, საინტერესო დეტალს მიაქცია ყურადღება თ. ჯოჯუამ. ერთ-ერთ მინაწერში მოქველი მთავარეპისკოპოსი მოხსენიებულია, როგორც ამბრია. მეცნიერი მიიჩნევს, რომ იგი აბრაჰამისაგან განსხვავებული პირია და მასთან გაიგივება დაუშვებელია, რადგან აბრაჰამი და ამბრია სრულიად სხვადასხვა სახელებია. გარდა ამისა, ამბრიას მინაწერი სულ სხვა კალიგრაფიითაა შესრულებული (138ბ;48).

სამწუხაროდ, საკმაოდ ძნელია ამბრიას მოღვაწეობის დათარიღება, რადგან ამ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა შესაბამისი კოლოფონის პალეოგრაფიას ეკუთვნის, რაც შემდგომი კვლევა-ძიების საქმეა. თუმცა ძალიან პირობითად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ალბათ ხელნაწერის შექმნიდან ახლო პერიოდში, ანუ XIV საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა.

ჩვენთვის აქამდე უცნობი მოქველი ეპისკოპოსის, ლუკა ოძრხელის სახელს მიაკვლია თ. ჯოჯუამ. მეცნიერმა მისი ხუთი მინაწერი XII საუკუნის გარეჯული კრებულის (VEN.4-ის) აშიებიდან ამოიკითხა. მინაწერებში ნათქვამია: „ცოდვილი მოქული ოძრკელი ლუკა გვედ-

რებით, ვინცა ამა წიგნსა მიემთხუენეთ, ჩემთვის შენდობა ბრძანეთ, მოქულისათვის ვინცა შენდობა ბრძანოთ, ღმერთმან შეგინდოს თქუენცა და მოქულსა ომარ-ყოფილსა ლუკას ღმერთმან შეუნდუნეს“ (1388;36). მინაწერებს მეცნიერი 1363 წლით ათარილებს და სავსებით დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ იგი წარმომავლობით ციხე-ქალაქ ოძრხის ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა და მინაწერში დადასტურებული „ოდრკელ“-იც უფრო მის გვარს წარმოადგენდა ვიდრე სასულიერო წოდებას (1388;40). ამდენად, ლუკა, აბრაჰამის შემდეგი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო და იგი 1363 წლის ახლო პერიოდში მოღვაწეობდა.

მოქველი ეპისკოპოსის რომანოზის შესახებ ცნობას გვაძლევს ე. წ. თოფურიძეთა სიგელი. დოკუმენტის შესწავლისას თედო ჟორდანიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ „ამ სიგელს ბევრი ნიშნები აქვს იმისი, რომ იგი ანუ ყალბია და ანუ იმერთა მეფეს ალექსანდრე II-ს უნდა ეკუთვნოდეს“ (32;230-234). ჩვენი აზრით, თოფურიძეთა სიგელი ალექსანდრე I დიდის (1412-1442) დროს გაცემული უნდა იყოს. აქ მოხსენიებული ივანე სამცხის ათაბაგია, რომელმაც 1415 წელს მეფე ალექსანდრეს წინააღმდეგ გაილაშქრა, შემდეგში კი დამარცხებულმა პატიება ითხოვა და მეფეს ერთგულება შეჰფიცა (ივანე ათაბაგი 1444 წელს გარდაიცვალა). აქვე მოხსენიებული კათალიკოზი ალექსანდრე დიდის თანამედროვე დავით II (1426-1430) ან დავით III (1435-1439) უნდა იყოს.

ჩვენს მოსაზრებას ის ფაქტი ადასტურებს, რომ სიგელში მეფე ალექსანდრე „... ლიხთ-ამერთა და ლიხთ იმერთა ... ორთავენ: ოქროს ტახტზედ მჯდომარისა: და ღმრთივ გვირგვინოსანის და ყოვლისა ხმელეთისა მპყრობელობა მქონებელთად“ მოიხსენიება (32;340). ასეთი ტიტულატურა კი ერთიანი საქართველოს მეფის კუთვნილება იყო და ალექსანდრე I დიდის მიერ გაცემულ სხვა სიგელებშიც (1413 წ. 1419 წ. 1424 წ.) ფიქსირდება, სადაც იგი თავს „ორსავე სამეფოს მტკიცე მპყრობელს“ უწოდებს. გარდა ამისა, სიგელის მამტიკიცებელთა შორის მაწყვერელის, მცხეთელის, მოქველის, ჭყონდიდელის, დრანდელის მოხსენიება აშკარად მიუთითებს, რომ დოკუმენტი XV საუკუნის 60-70-იან წლებზე ადრეულ პერიოდშია შექმნილი, რადგან აღნიშნულ წლებში საქართველოს სამეფო უკვე დაშლილია და სამცხის სამთავრო, ისევე როგორც სამეგრელო, ცალკე ერთეულადაა ჩამოყალიბებული. ამიტომაც ფაქტია, რომ ამ პერიოდში იმერეთის მეფე ნაკლებმნიშვნელოვანი დოკუმენტის შე-

მუშავებისას ვერ მოიხსენიებდა იმ პირებს, რომლებზეც რეალური ძალაუფლება არ გააჩნდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თოფურიძეთა სიგელი საქართველოს ერთიანი მეფის ალექსანდრე I-ის დროს გაცემულად უნდა ჩაითვალოს და, შესაბამისად, რომანოზ მოქველიც ამ პერიოდში მოღვაწეობდა, ე. ი. დაახლოებით XV საუკუნის I ნახევარში.

დოკუმენტი პირველად 1891 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა და იგი ალექსანდრე I-ის ზეობის წლებით დაათარილა (73ბ.;1-3). თედო ჟორდანიას მოსაზრება საბუთის ნაყალბეობის შესახებ ქართულმა ისტორიოგრაფიამ გაიზიარა (84ა;65-66;115;316-317).

საინტერესო ცნობას მოქვეში მოღვაწე ეპისკოპოსის შესახებ გვაძლევს ოლარი, რომლის წარწერები გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ. იგი ილორის ტაძრიდან ჩამოუტანია ამბროსი ხელაიას. „ოლარი სიგრძით ექვსი არშინია და სამი გოჯი, მთლად ოქრო-ვერცხლისა და აბრეშუმის ძაფებით ნაკერია დიდის ხელოვნებით, გამოსახულია საუფლო დღესასწაულის ხატები“ (33).


ჩვენთვის საინტერესო ნივთზე ამოქარგულია რამდენიმე წარწერა, მათ შორის:

1. „ქ:ერისთავსა:მანდატორთ:უხუცესს დადიანსა:  
მამიასა:და:თანა:მეცხედრესა:მისს:დედოფალ:დეუფალსა  
სა:ელენეს:შ-ღს ღ-ნ „ა-ნ“

2. „ამა:ომფორსა:მომჭირენესა:მოქველ-ღრანდელ  
მთავარ-ებისკოპოსსა:ელიასა:შ-ს:ღ-ნ:  
დედა-მამათა:მისთა:შ-ნ:ღ-ნ:(მშო)ბლისი ბაბახის  
(ძესა)შ-სღ-ნ:და:მეუღლესა მისსა:შ-სღ-ნ

„ქ. ერისთავთ-ერისთავსა დადიანსა ლიპარიტს და  
თანამეცხედრესა დეუფალ დაუფალსა თამარს  
შეუნდოს ღმერთმან, ამენ“ (33).

მართალია, წარწერაში მოხსენიებული მოქველ-ღრანდელი მთავარ-ეპისკოპოსი ელია სხვა ისტორიული წყაროებით უცნობია, მაგრამ ცნობილია მასთან ერთად მოხსენიებული დანარჩენი პირები. აქ მოხსენიებული მამია სამეგრელოს მთავარი მამია II დადიანი (1396-1414) უნდა იყოს, ლიპარიტი კი მისი შვილი, რომელიც 1414-1470 წლებში დადიანობდა. აქედან გამომდინარე, რადგან მამა-შვილის სახელი ცოცხლადაა ნახსენები, ოლარი მამის სიკვდილამდე, ანუ დაახლოებით 1414 წლამდეა შეკერილი. ფაქტია, რომ ელია მთავარ-



მოქვის ტაძარი. დასავლეთის ფასადი. რეკონსტრუქცია.

ეპისკოპოსიც ამ პირების დროს, 1414 წლის ახლო პერიოდში, მოღვაწეობდა.

მოქვის სახარების კიდევ ერთი მინაწერი გვაძლევს ცნობას მოქველი ეპისკოპოსის ფილიპე ჩხეტიძის შესახებ. მინაწერში ნათქვამია: „სულსა მოქველ მთავარ ეპისკოპოსსა ჩხეტიძესა ფილიპესა შეუნდოს ღმერთმა ამენ“ (72;108).

ექვთიმე თაყაიშვილი მინაწერის აღწერისას განმარტავს, რომ იგი უფრო გვიანი ხელით და სხვა მელნითა დაწერილი. აქედან გამომდინარე, ძნელია ილაპარაკო ფილიპე ჩხეტიძის მოღვაწეობის წლებზე, მით უფრო, რომ არ გაგვანჩნია არავითარი სხვა წყარო. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რადგან მინაწერი უფრო გვიანი ხელითა დაწერილი, შეიძლება ფილიპეს მოღვაწეობა XIV-XV საუკუნეთა მიჯნით დათარიღდეს.

შედარებით მეტი და მრავლისმომცველი წყაროები გაგვანჩნია მოქველი ეპისკოპოსის ეფეთუმე საყვარელიძის შესახებ. მარტივი-

ლის მონასტრის მეტაფრასის მინაწერში ნათქვამია: „ღმერთო, ტკბილო და მრავალთა მოწყალეო, და ყოვლად წმიდაო მოქვისა ღმრთის მშობელო, მე მოქველ მთავარეპისკოპოზმან ეფეთყმე საყვარელიძემან დავაწერინე ესე სულთა განმანათლებელი მეტაპრასი და შემოგწირე სახსრად და საოხად სულისა ჩემისათა“ (72;108).

ცნობები ეფთყმეს შესახებ დაცულია ასევე გელათის ხუცურ დიდ ხელნაწერებში: „ქრისტე, შეიწყალე მოქველ მთავარეპისკოპოსი ეფთყმე“ (31;435). 1028-ე ფურცელზე – „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო, შეეწიე და აცხოვნე მოქველ მთავარეპისკოპოსი ეფთყმი საყვარელიძე ყოველსა ჟამსა“, 1048-ე ფურცელზე – „ადიდენ უფალო ... მოქველ მთავარეპისკოპოსი პატრონი ეფთყმი საყვარელიძე და ნუ უზამ მტერთა გულისასა“ (31;435), „მოქვისა ღმრთისმშობელო, მე მოქველ მთავარეპისკოპოსმან ეფთყმი საყვარელიძემან დავაწერინე ესე ... მეტაფრასი და შევსწირე (მოქვს)“ (31;435-436).

ეფთყმე საყვარელიძე მოიხსენიება ერთ-ერთი გულანის მინაწერშიც, ოღონდ უკვე როგორც აფხაზეთის კათალიკოსი: „ქრისტე, მგლობელო ყოველთა სუფევათაო, დაიციე შენ მიერთა დიდებითა ორთავე შინა ცხორებათა დიდისა აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველოსა პატრიარქი კათალიკოზი ტომ-ნათესაობით საყვარელიძე პატრონი ეფთყმე“ (72;115).

აფხაზეთის კათალიკოზის პატივში აღსაყდრებული ეფთყმე საყვარელიძე მზრუნველობას არ აკლებდა მოქვის ტაძარს. ზუგდიდის ეკლესიის ერთ-ერთი ხატის მინაწერში იგი მოგვითხრობს: „მოქვისა ღმრთისმშობელი, ჩვენ, ცვა-ფარვათ შენთა მინდობილმან და მსასობელმან სიტყვისა შენისამან, აფხაზეთისა კათალიკოზმან ეფთყმი საყვარელიძემან, მოვაჭედვინე ხატი ესე და დავასვენე წმიდასა ტაძარსა შენსა, მოქვს, სახსრად სულისა ჩემისად, რათა არ დამსაჯო დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ამინ“ (72;198-199). ეფთყმე საყვარელიძეს საკუთარი სულის საოხად შეუჭედია ასევე სამწყსოს სატარებელი ვერცხლის ჯვარი (72;233-2340).

გელათის წმინდა გიორგის მონასტრის ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში კარგადაა ასახული ეფთყმეს საგანმანათლებლო მოღვაწეობა: „დაიწერა ... ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველომსა პატრიარხისა კათალიკოზისა ეფთყმისისთა ... ბიჭვინტისა ღმრთისმშობელი, აცოცხლე ... რამეთუ ჭეშმარიტად იჭირვოდა წიგნთა წმიდათა წერასა და ამკობდა პატიოსანთა საყდართა,

კახეთით, ქართლით, იმერეთ-ოდიშით და გურიით და დასდებდა დიდროან და პატიოსანთა ყოველითურთ შემკობილსა წიგნებსა და ჩუენ (ე. ი. გადამწერლებს — გ. კ.) გვიბოძებდა მათსა ალაღსა, მათისა კონდაკითა ნაშოებსა საქონელსა მრავალსა და აურაცხელსა და არა დასცხრებოდა ყოველსა წელიწადსა შინა ოთხი ოთხისა, სამ სამისა და ორ ორისა მწერალთაჲ; გვაწერინებდა დიდისა პატივითა და წყალობითაი“ (32;435).

ზემოხსენებული წყაროებიდან ცხადია, რომ ეფთჳმე საყვარელიძის დაუღალავ და ენერგიულ საქმიანობას მოუცავს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. ამ მნიშვნელოვანი საეკლესიო მოღვაწის მეოხებით გადაწერილია მრავალი წიგნი და შემკობილია საყდრები. ფაქტია, რომ მას გადამწერთა მთელი სკოლა შეუქმნია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა განისაზღვროს ეფთჳმის მოქმეში მოღვაწეობის პერიოდი — ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, მისი კათალიკოსობა 1578-1611 წლებს ეკუთვნის (72;80). მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ საყვარელიძე 1578-1605 ან 1578-1615 (17ბ;91;123ა;19-22) წლებში მოღვაწეობდა აფხაზეთის კათალიკოსის ტახტზე. ერთი კი ფაქტია — მისი, როგორც მოქველი ეპისკოპოსის მოღვაწეობის ზედა ზღვარი 1578 წელი უნდა იყოს. ამდენად, უნდა ჩაითვალოს, რომ ეფთჳმე საყვარელიძე მოქმეში მოღვაწეობდა XVI საუკუნის II ნახევარში, 1578 წლის ახლო პერიოდში.

1639-1640 წლებში სამეგრელოში იმოგზაურეს ფედოტ ელჩინმა და პავლე ზახარევმა. მათ ცაიშელ ეპისკოპოს ანდრიასთან ერთად მოქვის ტაძარიც მოინახულეს, სადაც მათ მაქსიმე მოქველი დახვდა. ელჩების თქმით: „Февралая день мы были в монастыре в Мокшненском съ епискѹпам Оидреям да съ Максимам ... Това же числа в той церкви Максим епископ своимъ попомъ велель обедню служить ... Февралая в 9 де из Москового Монастыря от Максима епископа пошли“ (50;325). ამ მწირი ცნობის გარდა, არაფერი არ გაგვანჩია, ამიტომ, მაქსიმე მოქველის მოღვაწეობას XVII საუკუნის I ნახევრით ვათარილებთ.

მოქვის ეპარქიის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა საქართველოში სტუმრად მყოფმა ანტიოქიის პატრიარქმა მაკარმა (1636-1672).

პატრიარქმა მაშინდელი მოქველი ეპისკოპოსი საშინელ დანაშაულში ამხილა, რისთვისაც სასტიკად დასაჯა. მისი თქმით, „ზოგი-

ერთი ქართველი მღვდელმთავარი ყიდის სამწყსოს ლამაზ გოგონებს ... ჩვენ ვნახეთ, როგორ გაყიდა მარტო ერთ წელიწადში მოქვის ეპარქიის ეპისკოპოსმა სახელად ანდრიამ თავისი სამწყსოს სამოცი კაცი, ოცდასამი გაყიდა ქობულეთის ნავსადგურში, გურიის ქვეყანაში რომაა, დანარჩენი კი, ყველანი ერთად შავი ზღვის სხვა ნავსადგურებში. ეს წყეული მოვკვეთე, გადავაყენე და ეპისკოპოსად ახალი ღირსეული კაცი ვაკურთხე“ (24;543).


როგორც ვხედავთ, ანტიოქიის პატრიარქი სრულიად თავისუფლად ერევა ქართული ეკლესიის, კერძოდ აფხაზეთის კათალიკოსის, შინაურ საქმეებში. მაკარმა ანდრია მოქველი სრულიად სამართლიანად ამხილა დანაშაულში, მაგრამ განაჩენის გამოტანა და აღსრულება აფხაზეთის კათალიკოსის უფლება იყო. ის ფაქტი, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში არ ფიგურირებს იმდროინდელი აფხაზეთის კათალიკოსი სვიმონ I ჩხეტიძე (1660-1666), მეტყველებს ანტიოქიის პატრიარქის დიდ გავლენაზე აფხაზეთის საკათალიკოსოში.

მაკარი ანტიოქიელმა საქართველოში პირველად 1664-1666 წლებში იმოგზაურა. სწორედ ამ დროს, დაახლოებით 1665 წელს, უნდა მომხდარიყო მის მიერ ანდრია მოქველის ეკლესიიდან მოკვეთა და გადაყენება. არაა გამორიცხული, რომ ანდრია მაქსიმეს შემდგომი ეპისკოპოსი ყოფილიყო. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანდრია მოქვს განაგებდა XVII საუკუნის II ნახევარში, 1665 წლამდე.

სწორედ ის უნდა მოიხსენიებოდეს ზუგდიდის დაღიანების სასახლეში დაცული ერთ-ერთი ხატის წარწერაში, სადაც ნათქვამია: „წ. სიტყვისა ღ(მრ)თისა დედაო, უბიწოო სახელდილო მარი(ა)მ, ღმრთისა სძალო, მსას(ო)ებ(ე)ლმან სიწმიდისა შენისამან, ჩვენ მოქველმ(ა)ნ საყ(ა)რელიძემან ბატონმან ანდრია, მოვ(ა)ჭვდინეთ ხატი ესე სახედ და მგზავსად შენდა. დავ(ა)სვენეთ ტამ(ა)რსა თქუენსა მოქუს სახსრ(ა)დ და საოხად სულისა ჩვენისათვის, რათა მეოხ მექნა ორთ(ა)ვე შინა ცხოვრებ(ა)თა ღ(ა) მიხსენ დღესა მ(ა)ს განკითხვისასა კელთავ(ა)ნ მტერთა მძლავრებისათა. ა(მე)ნ. ვინცა ჩუენგან შეწირული გამოსწიროს, მოქუთავან განიკითხოს. ა(მე)ნ.“ (59;15).

ანდრია გახლავთ ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი მოქველი ეპისკოპოსი. თუმცა პლატონ იოსელიანი თავის ნაშრომში „ცხოვრება მფევე გიორგი მეცამეტისა და რუსეთთან შეერთება“ საინტერესო ცნობას გვაწვდის მოქვეში მოღვაწე ერთ-ერთი იერარქის შესახებ. იქ სადაც აღწერილია მოვლენები წმინდა ნინოს ჯვრის საქართველოში

დაბრუნებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „თაყვანის საცემლად ჯვარის ამისა წარვიდნენ ქართველთა მღვდელთმთავარი მოსკოვიდამ ნიჟნი ნოვგოროდშია ს. ლიხტოვოს: პაფნოტი არქიეპისკოპოსი ხოზიაშვილი“ (16ა;183). იქვე შენიშვნაში ნათქვამია: „პაფნოტი არქიეპისკოპოსი მოქვისა (სამურძაყანოს ანუ აფხაზიასა) გვართ ხოზიაშვილი, ძე მეკონდახისა და თვითცა იცოდა ხელობა ესე. 24 წლიდგან შედგა ბერად და ახლდა კათოლიკოსსა ანტონის დიაკვნად. შემდგომად გარდაცვალებისა გიორგი მეფისა, ბატონის შვილის იოანეს თხოვნითა 1802 წელსა აკურთხეს იგი არხიმანდრიტად თირის მონასტრისა, დიდ ლიახვზედ, შემდგომად გარდავიდა მეგრელიაში დედოფალს



მოქვის ტაძარი XIX საუკუნის დასასრულს.



ნინასთან, რომლისა ქმარმან დადიანმან გრიგორი წარავლინა დესპანად რუსეთსა. ჯილდოდ ესრეთისა დესპანობისა მიუბოძეს არქიეპისკოპოსობა მოქვისა. 1811 გარდაჰყვა დედოფალს ნინას რუსეთსა და დაშთა რუსეთსავე მოსკოვის ჩუღოვის მონასტერში: აქა გარდაიცვალა 1823 წელსა 50 წლისა და მუნვე დაეფლა. მოსკოვისა არქიეპისკოპოსსა აგვისტინეს დიდად არ უყვარდა იგი მეშურნობითა, რამეთუ დიდად პატივ სცემდნენ მას მოსკოვისა მცხოვრებნი. იგი იყო კაცი მოხუძარი, მხიარული, პურადი და ყოველთაჲში სიყვარულითა აღსავსე, მთავარმან საქართველოსა ციციანოვმან წარგზავნა იგი კაიშაურისა მთიულთა დასამშვიდებლად. აქა იტყოდა თვით, 40 ხანჯლითა მჩხელიტესო და დამიფარაო სიკვდილისაგან და სირცხვილისა მჭეისძემან ფარნაოზ. 1815 მოვიდა დროებით თბილისსა და ექსარხოისმან ვარლამ ქსნის ერისთვის შვილმან არ აწირვინა სიონში მტერობითა. ესე იწყინა მან და ჰყვედრიდა მას ესრეთსა მისდამი მოქცევასა, ოდეს მოვიდა თვით მოსკოვსა. სადაცა გარდაიცვალაცა, ვითარცა გადაყენებული“ (16ა;183). ცნობა მრავალმხრივ საინტერესოა, რადგან როგორც ცნობილია მოქვის საეპისკოპოსო XVIII საუკუნის დასაწყისში დაცარიელდა. 1810 (?) წელს კი პაფნოტის არქიეპისკოპოსად კურთხევა კი იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციაზე მიუთითებს. ამ პერიოდში სამეგრელოს სამთავრო, დედოფალ ნინოს ხელმძღვანელობით აფხაზეთის სამთავროზე, უფრო სწორად დაკარგულ ტერიტორიებზე გაელენის აღდგენას ცდილობდა. ერთ-ერთ წერილში ნინო მთავარმართებელს სწერდა: „და აწცა ოდეს მოხდაეს თქვენ მიერთა კარისა განღებითა უთვითმპყრობელესი ხელმწიფე ჩენი და მიიღებს მონად თვისთა (საუბარია გიორგი შერვაშიძეზე – გ.კ.). მაშინ განაცხადებს სარწმუნოებასა ჩენსა არა თუ ესე მხოლოდ, არამედ ყოველი აფხაზეთი. ესეთ აღმითქვეს მე, ყოველთა აფხაზეთისა თავადთა და აზნაურთა და ხოლო გლეხნი მოსწრაფებით მზა არიან, ვინადგან უმეტესნი ქრისტიანობენ და სწამთ ჯვარი და ხატი ჩენი; და არს დიდნი პირველად ზუფუს საპატრიარხო ეკლესია ბიჭვინტისა, მეორედ კვალად სასახლისა ეკლესია, კვალადვე ზუფუს მესამე დორანდისა, რომელიცა დღესვე დაურღვევლად სდგას სამფლობელოსა ამისსა, და ჩენსა დამფლობელო აფხაზეთისა შინა არს ეკლესია ილორისა, მოქვისა და ბედიისა და სხ“ (115ა :183). 1810 წლის 21 ივლისს რუსული ფლოტის დახმარებით სოხუმის ციხე დაეცა და აფხაზეთი ფაქტიურად სამეგრელოს ვასალი გახდა. სწორედ ამ პერიოდში უნდა კურთხეულიყო პაფნოტი მოქვის არქი-


ეპისკოპოსად, რითაც დედოფალმა ნინომ რეგიონში ქრისტიანობის დაკარგული გავლენის აღდგენა სცადა.

ამდენად, მოქველ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, სავარაუდოდ, შემდეგ სახეს მიიღებს:

1. გრიგოლ მაგნისძე (გუძანისძე) – XII საუკუნე.
2. დანიელი – 1300 წლის ახლო პერიოდი (მთავარეპისკოპოსი).
3. აბრაჰამი – XIV ს-ის I ნახ. (მთავარეპისკოპოსი).
4. ამბრია – XIV ს-ის I ნახ (?).
5. ლუკა ოძრეელი – 1363 წლის ახლო პერიოდი
6. ელია – 1414 წლის ახლო პერიოდი (მთავარეპისკოპოსი, მოქველ-დრანდელი).
7. რომანოზი – XV ს-ის I ნახ.
8. ფილიპე ჩხეტიძე – XV საუკუნე (მთავარეპისკოპოსი).
9. ეფთჳმე საყვარელიძე – XVI ს-ის II ნახ. (მთავარეპისკოპოსი, აფხაზეთის კათალიკოსი).
10. მაქსიმე – 1639-1640.
11. ანდრია საყვარელიძე – 1660-1666.
12. პაუნოტი ხოზიაშვილი – 1810 – ?. (არქიეპისკოპოსი).

## §2. თქმულება მოქველი დიდოსტატის შესახებ

აფხაზთა მეფე ლეონმა გადაწყვიტა, აღემართა დიდი ტაძარი მდინარე მოქვისა და დეაბის შესართავთან. დაიბარა საუკეთესო ხუროთმოძღვრები და მშენებლები, მოიწვია უცხოელი ოსტატები და შეკპირდა ყოველ მათგანს ზღაპრულ სიმდიდრეს, თუ ააგებდნენ მეფისათვის მოსაწონ ტაძარს. დაუნდობელ და მრისხანე ლეონს სურდა, რომ ტაძარი ყოფილიყო კენარი, ლამაზი და არაჩვეულებრივი ფორმის. მისი გუშაბითიდან ხელისგულივით უნდა გამოჩენილიყო მთელი აფხაზეთი. უსმენდნენ დიდოსტატები ხელმწიფეს და ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ სამეფო სასახლეს, რადგან იცოდნენ, რომ თუ საქმეს ხელს მოჰკიდებდნენ და შემდეგ დანაპირებს ვერ შეასრულებდნენ, თავს წააგებდნენ. მსგავსი ტაძრის აგება კი თითქმის შეუძლებელი იყო.



მოქვის ტაძარი პავლინოვის მიხედვით.


მაგრამ გამოჩნდა ერთი უშიშარი ხუროთმოძღვარი, რომელმაც გადაწყვიტა, ბედი ეცადა და დასთანხმდა მეფის პირობებს. გაჩაღდა მუშაობა მოქვისა და ღვინის შესაყართან, ტაძარი სწრაფად მიიწვედა ცისკენ, იმდენად საუცხოო იყო იგი საცქერლად, რომ გვეგონებოდათ, თბილ სიოს, ზღვის ქაფსა და ყვავილთა სურნელებას ერთად მოეყარა თავი მის კედლებში.

და აი, უკვე როცა ხურავდნენ ოქროთი ტაძრის გუმბათს და ათასი იდაყვის სიმაღლეზე აღემართათ არნახული ჯვარი. გადაწყვიტა ლეონმა, ამაღლასთან ერთად ენახა ტაძარი, გაეგო, შეასრულა თუ არა მისი პირობები უშიშარმა დიდოსტატმა და თან წამოიღო ხუროთმოძღვრისათვის შეპირებული ოქროთი და ვერცხლით სავესკივრები. მაგრამ ცბიერი იყო ლეონი, დაათვალიერა მან ტაძარი და ყველაფერი მოიწონა, შემდეგ ავიდა მთავარ გუმბათზე, რათა ეხილა, ჩანდა თუ არა მოქვის სიმაღლიდან მთელი აფხაზეთი ... და იქიდან მოღუშული და განრისხებული დაეშვა: „არ შეასრულე შენ ჩემი ერთი პირობა, — უთხრა ხუროთმოძღვარს, — არ ჩანს ტაძრის სიმაღლიდან მთელი აფხაზეთი“.

დაღონდა დიდოსტატი, მაგრამ გადაწყვიტა, თვითონ შეემოწმებინა მეფის ნაბრძანები და აუყვა გუმბათს, რომელიც ათასი იდაყვის სიმაღლეზე აეზიდა მისსაკვე ხელებს. როდესაც დიდოსტატმა მიაღწია გუმბათს, მეფემ ბრძანა, კიბე მოეცილებინათ შენობისათვის, რამეთუ ენანებოდა შეპირებული ოქრო და ვერცხლი და, ამასთანავე, არ სურდა, ქვეყნიერებაზე კიდევ აგებულიყო მოქვის ტაძარივით მშვენიერი რამ. ასე მიუსაფარმა დაასრულა სიცოცხლე დიდოსტატმა საყვარელი ტაძრის გუმბათზე, ქარმა გაფანტა მისი ცხედარი და სადაც მიმოაბნია, იქ დღემდე ხარობენ ლამაზი ვარდები (170;55).

### §3. მოქვის ტაძრის არქიტექტურა

ქ. ონაძინიდან 15-20 კილომეტრის მოშორებით, სოფელ მოქეში დგას სუროთმოდერების ძეგლი, საკათედრო ტაძარი, რომელიც ააგო აფხაზთა მეფემ ლეონ III-მ დაახლოებით 957 წელს.



მოქვის ტაძრის გეგმა პავლინოვის მიხედვით.



მოქვის ტაძარი. X ს.




მოქვის ტაძარი. X ს.



მოქვის ტაძარი. X ს.



მოქვის ოთხთავის ერთ-ერთი მინიატიურა. 1300 წ.



მოქვის ტაძრის გეგმა პაულინოვის მიხედვით.

„შეიქცა ღეონ და ეუფლა მამულს და სამეფოს თქსსა, რამეთუ მაშინვე შთავიდა აფხაზეთად. და განადიდა უფალმან ღმერთმან მეუობა მისი მსგავსად მამისა მისისა.

ამან აღაშენა ეკლესია მოქვსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ. აკურთხა და განასრულა ყოველითა განგებითა“ (26;270).

„ტაძარი წარმოადგენს წაგრძელებული ფორმის ხუთნაგიან გუმბათოვან შენობას. ტაძრის სამი ძირითადი ნაწილი აღმოსავლეთით შეერილი აფსიდებით მთავრდება, ამასთან, შუა მრავალწახნაგოვანია. დასავლეთის ნართექსი დაკავშირებულია გარეშემოსასვლელთან. რომლის აღმოსავლეთის ნაწილში მოწყობილია სამრეკლო და სადიაკვნო, ხოლო ზემოთ პატრონიკე. მკაცრი და მშვიდი სივრცე უხვად არის განათებული, თლილი ქვით შემოსილი ფასადების ძირითად მხატვრულ ელემენტებს წარმოადგენს სარკმელთა რიტმული განაწილება და გუმბათი მრავალწახნაგა ყელითა და დაბალი სახურავით“ (13; 91-93).


მოქვის ტაძარი რთულია გეგმით, აღმოსავლეთით გამოშეერილი აფსიდებითა და სხვა თავისებურებებით უახლოვდება კიევის რუსეთის ისტორიულ ძეგლებს და, კერძოდ, კიევის სოფიის ტაძარს. ეს მსგავსება, ალბათ, უნდა აიხსნას იმით, რომ ორივე ძეგლს გააჩნია საერთო პროტოტიპი ბიზანტიურ არქიტექტურაში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი კედლების აღმართვის ტიპი (კედლების სისქე, მოპირკეთება)

მეტყველებს იმაზე, რომ ძველრუსულმა პროტოტიპმა ადგილობრივი გავლენა განიცადა.

აკად. ვახტანგ ბერიძის სიტყვით, მოქვის დაგეგმარებაში 5 ნავია (თუმცა რეალურად უკიდურესი ნაგებობები შედგება ცალკეული კაპელებისაგან), ეს კი იძლევა საბაბს იმისას, რომ მოქვი მივამსგავსოთ კიევის სოფლის ტაძარს. საქართველოში ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. გუმბათი ეყრდნობა ოთხ ბოძს, რაც ტიპური მაგალითია ბიზანტიური სამყაროსათვის.

აკად. შალვა ამირანაშვილმა მოქვი გამოყო იმ ზოგადი არქიტექტურული ფორმისაგან, რომელსაც სამთავისის ტაძრის ტიპი ეწოდება, რადგან მოქვის ტაძრის განხილვა ადასტურებს, რომ იგი წარმოადგენს სამნავიან გუმბათოვან ბაზილიკას, მას სამი მხრიდან გარს უვლის ნართექსი, რომლის თავზე მოთავსებულია პატრონიკენი, ხოლო ასასვლელი, ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშია. გუმბათის ყელი შედარებით დაბალია, თორმეტწახნაგოვანი ფორმა აქვს და გადახურულია დაბალი, ბიზანტიური ტიპის, ოდნავ მომრგვალებული სახურავით, რაც დამახასიათებელია აფხაზეთის ძეგლებისათვის.

ტაძარში შემორჩა ბიზანტიური მარმარილოს კაპიტელები და შესაძლებელია ყოფილიყო მოზაიკაც (174;194). თედო ჟორდანიას



მოქვის ტაძარი. X ს.





კიევის სოფიის ტაძარი.

თქმით, აქ იყო ფასდაუდებელი მოზაიკა, ე. წ. სოფიის კენჭით შესრულებული, 1899 წელს აქ კარგად იკითხებოდა ხუცური ლაპიდარული წარწერები (33).

მოქვის ტაძარში მარმარილოს იატაკის ცენტრში შესრულებული იყო წრე, წითელი მარმარილოთი და ჩუქურთმა, მზის სხივების სტილში.

მოქვის ხუროთმოძღვრული ძეგლის იერსახის შესახებ მეტ-ნაკლებ წარმოდგენას გვიქმნის კრისტოფორო კასტელის გრაფიკული ჩანახატი.

ზახარევის ჩანაწერებიც საინტერესო ინფორმაციას იძლევა მოქვის არქიტექტურული სახის შესახებ. მისი თქმით, აქ ქვის ტაძარი გადატიხრულია საკურთხევლით, კედლები მოხატულია მაცხოვრისა და ღმრთისმშობლის სახეებით. ტაძარში ეპისკოპოსის ტახტიც ყოფილა. ავტორი გაკვრით საუბრობს სამეფო და ჩრდილოეთ კარიბჭეებზე (50; 352-356).

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით: „არს მოქუს ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები, აღაშენა თ-მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდთა“ (12;781).

მოქვის ტაძრის არქიტექტურა მონოგრაფიულად შეისწავლა ლ. ჩჩუელიშვილმა (173;46-66). ტაძრის დათვალიერებისთანავე თვალ-

ში გვხვდება ექსტერიერის თავისებურებები. ერთი მხრივ, არასტანდარტული თანაფარდობა მძიმე კორპუსისა და ჯვრის მკლავებისა და მეორე მხრივ, მოპირკეთების სიახლე და კარ-ფანჯრების მოჩარჩოება. ასევე შეუფერებელია ტაძრის პირამიდისებურ სახურავზე მდგარი ოთხკოლონიანი კოშკურა (173;49).

მოქვის ტაძარი არის ეგრეთწოდებული „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, სამი მხრიდან ორსართულიანი პატრონიკეს მასივით გარშემორტყმული. მისი გუმბათი ეყრდნობა ოთხ, თავისუფლად მდგარ ბოძს.

აღმოსავლეთი და დასავლეთი მკლავები ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავებთან შედარებით ძლიერ წაგრძელებულია. ისინი გადახურულია საბჯენ თაღებზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარებით, ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, ემყარებიან ჩვეულებრივი კაპიტელებით დასრულებულ პილასტრებს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის კაპიტელებს შორის კედლების გასწვრივ გადაჭიმულია პროფილირებული ზოლურები.

გარედან გადახურული მკლავების სივრცე გამოვლენილია ორთვალა სახურავით. ჯვრის მკლავებსა და პატრონიკეს შორის მოქცეული სათავსო გადახურულია ცილინდრული კამარებით, რომლებიც გარეთ გამოდიან ერთფერდა სახურავით, რაც კათედრალის თავისებურ სილუეტს ქმნის (173;51).

მიგნიდან პატრონიკის ორი სართული წარმოდგენილია ნახევარწრიული თაღებით. სამკუთხა აბრისი შემორტყმულია აღმოსავლეთიდან სამი გამოშვერილი აფსიდით, მათ შორის შუა წახნაგებიანია, დანარჩენი ორი კი ნახევარწრიული (173;51).

პატრონიკეები წარმოადგენს დაუნაწევრებელ შემოსასვლელს, ქვედა სართულზე სივრცე დატიხრულია და მათ გასწვრივ ექვს-ექვსი კაპელაა. ორი მათგანი აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეები იზოლირებულია ცენტრალური ჯვარგუმბათოვანი სივრცისაგან და უერთდება გვერდით ნაგებს მხოლოდ ვიწრო გასასვლელით. უკიდურესი აღმოსავლეთ კაპელები განსკუთრებულადაა მოწყობილი, ყოველი მათგანი განათებულია ორი სარკმლით. აღმოსავლეთის სარკმლები პატარა ნიშებშია გამოყვანილი. ეს უკანასკნელი კი აფსიდის მაგივრადაა შეჭრილი კედელში. როგორც ჩანს, ეს მცირე სადგომები განკუთვნილი იყო მეორეხარისხოვანი მღვდელმსახურებისათვის.


ტაძარს დასავლეთით მიშენებული აქვს ნართექსი, რომლის ცილ-

ინდრული კამარა ემყარება საბჯენ თაღს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ებჯინება კედლის პილასტრებს.


ჯვარგუმბათოვანი სივრცის დასავლეთ მკლავს ნართექსი უერთდება ერთი განიერი თალით, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტა პირველადი არ არის, რადგან საბჯენ თაღებს, რომლებიც დასავლეთით ემყარებიან პილასტრებს, აღმოსავლეთით საერთოდ არ გააჩნიათ რაიმე საყრდენი. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ შესასვლელი გვიანდელი წარმოშობისაა, რადგან, როგორც ჩანს, თავის დროზე, ნართექსი სამხრეთისა და ჩრდილოეთის კაპელების მსგავსად არა თუ ერწყმოდა ტაძრის მთავარ სივრცეს, არამედ ხუროთმოძღვრის მიერ ჩაფიქრებული იყო, როგორც დამოუკიდებელი სათავსო. შეცვლილია ასევე დასავლეთი პატრონიკის სახურავის ნაწილიც, დასავლეთი მკლავის თალი ხეშია გამოყვანილი.

ნართექსის ჩრდილოეთ და სამხრეთ ბოლოებში ისეთივე ოთახებია, რომლითაც გარშემორტყმულია ტაძრის მთელი სივრცე. ყოველ მათგანში არის ორი ფანჯარა, ისევე როგორც უკიდურეს აღმოსავლეთ კაპელებში. ნართექსის ჩრდილოეთ მხარეზე ამოყვანილია ასასვლელი ფართო კიბე.

ტაძარი უხვადაა განათებული. გარდა ეკვდერისა და პატრონიკის ფანჯრებისა, სინათლე შენობაში 12 სარკმლიდან შემოდის. სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებში სამ-სამი სარკმელია. სარკმლები მოთავსებულია მაღლა, მჭიდრო სამკუთხედის სახით. სამი სარკმელია მთავარ აფსიდაშიც, გვერდით კი თითო-თითო.



გრიგოლ მოქველის წარწერა. XII ს.



მოქვის ტაძარი. X ს.

ბათქაშის ჩამოხსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტაძარი შიგნიდანაც მოპირკეთებულია ქვით და შესაძლოა იგი XIX საუკუნეს განეკუთვნებოდეს.

1956 წელს აქ აღმოჩნდა ძველი კარიბჭის ფუნდამენტი, პილასტრის ნარჩენები და მასთან მიმდებარე ძველი ცოკოლი, იგი X საუკუნით თარიღდ-

ება. მსგავსი კარიბჭის ფრაგმენტები აღმოჩნდა ჩრდილოეთის შესასვლელის აღმოსავლეთითაც.

XIX საუკუნეში ჩატარებულმა ეგრეთ წოდებულმა „სარესტავრაციო სამუშაოებმა“ ძალიან შეცვალა ტაძრის პირველადი სახე. მთლიანად განადგურდა ტაძრის დეკორატიული მორთულობა და მოპირკეთება, ასევე განადგურებულია სამივე კარიბჭე. ლ. ხიმშიაშვილის აზრით, თავიდანაა აღმართული გუმბათიც, მაგრამ მისი პროპორციები და სარკმლების რაოდენობა ემთხვევა მუსლოვისა და ნორევის ჩანახაზებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ, თუ გუმბათი მართლაც შეცვლილია, იგი დიდად არ განსხვავდება პირველადი სახისაგან. სამშენებლო ფენების შესწავლამ ასევე ცხადყო, რომ მოქვის ტაძარი შეკეთებულია მანამდეც, კერძოდ, გვიან შუა საუკუნეებში (184;42-43;179).

მოქვი 1859 და 1865 წლებში მოუნახულებია დიმიტრი ბაქრაძეს, რომელმაც თითქმის დაწერილებით აღწერა ძეგლის იმდროინდელი მდგომარეობა, ამიტომაც მოგვყავს ვრცელი ციტატა: „1859 და 1865 წლებში ტაძარი ენახე იმ მდგომარეობაში, როგორც ნახა აკადემიკოსმა მარი ბროსემ, რომელიც, ისევე როგორც მე აღფრთოვანებული იყო მისი სიდიადით. ტაძრის კორპუსის ზომათა სიდიდე, შემოხლართული მცოცავი მცენარეულობით, მისი საფარი გადაქცეულია ჰაეროვან ბაღად, მისი ბრწყინვალე გუმბათი წაგრძელებულია მასზე ამოზრდილ ხეთა სიმაღლით. ყველაფერ ამას მნახველი მოჰყავს

გაოცებაში, შიგნით ისარივით აღმართული ბოძები, ხუთი ნავი, თეთრი მარმარილოს იატაკი, ფერადი მინის ნატეხები, ბრწყინვალედ მოჩუქურთმებული ლავგარდნების ნაწილები, მოწმობს ხელოვნების სრულყოფის უმაღლეს დონეზე. მთავარი ნავი გუმბათის ბოძებამდე გარემოცულია მშვენიერი გალერეით, მთელს შენობაში აგური გამოყენებულია მხოლოდ ბოძებს შორის კამარაში, სამწუხაროდ, კარიბჭეები ჩამონგრეულია, ფანჯრის მინები ჩამტვრეულია, იატაკი ნაგევითაა დაფარული. არსად არ შეიმჩნევა წარწერები. ტაძრის გარეთ ზარზმის სამრეკლოს მსგავსი სამრეკლოა აღმართული, მარჯვნივ ეპისკოპოსის სასახლის ნანგრევებია, მარცხნივ პატარა ჩამონგრეული ეკლერია – კედლები ოდესღაც ბერძენი მხატვრების მიერ იყო მოხატული, რამეთუ იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეიმ მოქევი 1659 წელს მოინახულა და შემდეგი შინაარსის წარწერა ამოიკითხა: „მოხატულია იმპერატორ ალექსანდრე კომნენის და აფხაზეთის დიდებული მეფის დავითის დროს“. ალექსანდრე I კომნენი მეფობდა 1089-1125 წწ. სწორედ ამიტომაც ვფიქრობთ ტაძარი ამ პერიოდში მოიხატა“ (141; 102-103).

ტაძრის სამხრეთით მდინარე მოქვის მარჯვენა ნაპირზე, ფლატის ძირში არის გამოქვაბული, საიდანაც შესაძლოა, მიწისქვეშა გასასვლელი ტაძართან მიდიოდეს. ადგილობრივი მოხუცების გადმოცემით, მოქვის ტაძარი ბედიის ტაძარს მიწისქვეშა გვირაბით უკავშირდებოდა. ეს გამოქვაბული ხელოვნურია და იგი პირველად აღმოაჩინა აფხაზმა მეცნიერმა ი. ადძინბამ. ტაძარი შემოზღუდულია მაღალი გალავნით, რომელ-



იოანე მახარობელი პროქორეს კარნახობს.  
მოქვის ოთხთავი. 1300 წ.

იც თავის დროზე ციხე-სიმაგრე იყო. ამიტომაც გამორიცხული არაა, რომ მას ჰქონოდა მიწისქვეშა გვირაბი, რომელიც ალყის დროს ხალხს გაიყვანდა მდინარესთან (169;77).

XIX საუკუნის შუა ხანს მოქვის ტაძარი უკვე დაცარიელებული და უპატრონო იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტაძარი „განახლებიანთ“ ბარბაროსული მეთოდებით, რითაც ძეგლს ძველი ელფერი და დიდებულება დაუკარგავს. ამ „განახლების“ დროს დაანგრის როგორც გალაგანი, ასევე მცირე ნაგებობანი. გადააკეთეს სამრეკლო და მნიშვნელოვნად დამახინჯდა ტაძარი. ძეგლის იერსახეში განსაკუთრებული დისონანსი შეიტანა გუმბათზე დაშენებულმა საჰაერო-ომ და სამრეკლოს კოშკურამ. მოქვი შიგნიდან შეათეთრეს კიდეც (174;221).

#### §4. მოქვის საეპისკოპოსოს როლი ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში

მოქვის ტაძარში ეროვნული საუნჯის მრავალი ნიმუში შეიქმნა. შევჩერდებით რამდენიმე მათგანზე:

მოქვის ხელნაწერი სახარება წარმოადგენს შედარებით დიდი ზომის კოდექსს – 30x23,5 სმ. დაწერილია პერგამენტზე, კლასიკური ნუსხურით, ორ სვეტად.

ტექსტთან ერთად მოქვის სახარების მხატვრულ სტილს ქმნის საზეიმო მინიატიურები ცალკეულ გვერდზე (9 მინიატიურა), მინიატიურები სახარებათა თემაზე ტექსტში (153 მინიატიურა) და ორნამენტული მორთულობანი. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მოიცავს კამარებს, თავსართების გაფორმებასა და 53-მდე საზედაო ასოსა და მდიდრულად ორნამენტირებულ ინიციალს.

ფურცლოვან ოქროზე შესრულებული მინიატიურების ფერადოვანი ფენა დაზიანებულია. ოქროს საფუძველთან ერთად, მრავალ მინიატიურაში იგი ჩამოცვენილია ისე, რომ სიუჟეტის მონახაზიც კი ძნელად გასარკვევია.

ხელნაწერის ანდერძების მიხედვით, იგი მოქველი ეპისკოპოსის დანიელის შეკვეთით 1300 წელს გადაუწერია ეფრემს, რომელიც ამავე დროს ხელნაწერის მხატვარიცაა (133;32-33).

მოქვის სახარება იმითაა საინტერესო, რომ მასში მხატვარმა გამოიყენა როგორც მთლიანად გვერდებზე, ასევე ტექსტში ჩართუ-



პეტრეს გამოცდა. მოქვის ოთხთავის მინიატიურა.



ქრისტეს აღდგომა. მოქვის ოთხთავის მინიატიურა.



იუდას ამბორი. მოქვის ოთხთავის მინიატიურა.



ქრისტეს გენეალოგია. მოქვის ოთხთავის მინიატიურა.





მოქვის ტაძრის კანკელის ფრაგმენტი.

ლი მცირე ზომის ჩარჩოთი მოსაზღვრული მინიატიურები, რომლებიც ტექსტში სახარების ყველა მნიშვნელოვან ეპიზოდს ასურათებენ. გვერდებზე საზეიმო მინიატიურის განაწილების თანმიმდევრობა შემდეგნაირია: „ვედრება“ (ფ. 7), დღეს ეს მინიატიურა დაკარგულია; მათე მახარებელი (ფ. 12); „ქრისტეს გენეალოგია“ (ფ. 14); „მარკოზ მახარებელი და მის წინაშე მაკურთხებელი პეტრე მოციქული“ (ფ. 105); „ლუკა მახარებელი და მის წინაშე ღვთისმშობელი“ (ფ. 16); „იოანე მახარებელი, რომელიც უდაბნოში კარნახობს პროზორეს“ (ფ. 254); „სულიწმიდის მოფენა“ და „ღვთისმშობლის მიძინება“ (ერთ გვერდზე) (ფ. 327); „ჩვილდი ღვთისმშობელი და მის წინაშე ქტიტორი დანიელ მოქველი“.

ი. ჭიჭინაძის თქმით, იკონოგრაფიული რედაქციების შერჩევამოყენებით, კომპოზიციური წყობის თავისებურებით, ძველ ორიგინალთან უჩვეულო კავშირის ნიშნებით საზეიმო მინიატიურები, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ საკმაოდ დახვეწილ ნაწარმოებებს. დამახასიათებელი ნიშანი ამ მინიატიურებისა არის არაჩვეუ-

ლებრივი მოძრავი ფიგურები, გამომსახველი პოზები, ფერწერული დრაპირება ... ყოველ მათგანს აქვს საკმაოდ რთული გენეალოგია, წარმოადგენენ უფრო ადრეული ორიგინალის ასლებს და ოსტატი, რომელიც ძველ იკონოგრაფიულ რედაქციას აღადგენს, ანიჭებს მას ახალ ულერადობას, ავსებს ახალი იდეური შინაარსით, დროის შესაბამისი დატვირთვით (133;33-34).

მოქვის კოდექსში ყურადღებას იპყრობს სახარებათა მიხედვით მინიატიურების არათანაბარი განაწილება: მათეს ასურათებს 97 მინიატიურა, მარკოზს – 6, ლუკას – 27, ხოლო იოანეს 25 მინიატიურა. მათეს სახარებაში დასურათებული ეპიზოდები სხვა მომდევნო სახარებაში უკვე აღარ მეორდება და მათეს სახარების სიუჟეტური მინიატიურების ციკლი საერთოა მთელი ხელნაწერისათვის. ოთხივეს შინაარსის ურთიერთშეჯერების შედეგად მოქვის ოსტატმა შექმნა ერთიანი და თანაც სრული სისტემა სახარების სასურათე ციკლის შესაქმნელად (133; 35-36).

მინიატიურები ყველგან მოცემულია საილუსტრაციოდ შერჩეული ტექსტის დამთავრებისთანავე, ამიტომაც არის შეჭრილი მინიატიურის ქვედა მარცხენა კუთხეში დიდი ზომის საზედაო ასო ან ინიციალი, რომელიც, თავის მხრივ, ახალ ქვეთავს იწყებს.

მოქვის ხელნაწერის მხატვრულ-დეკორაციული შემკულობის მაღალ პროფესიულ დონეს მდიდარი გამომსახველობითი საშუალებები შეესაბამება.



მოქვის ტაძრის კანკელის ფრაგმენტი.

ფერისა და ხაზის მრავალფეროვან შესაძლებლობათა დახმარებით მხატვარი ისწრაფვის, თავის ნაწარმოებს ზემოქმედების დიდი ძალა მიანიჭოს, რასაც ფერადოვანი პალიტრის მნიშვნელობის გაზრდით, ფერწერული მოდელირების მრავალფეროვნებით აღწევს. XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის არცერთი ბერძნული და ქართული ხელნაწერი არ გვაძლევს ფერთა სიუხვის ისეთ არაჩვეულებრივ ჰარმონიას — (იისფერი, სოსანისფერი, ზღვისფერი, ცისფერი, ღია მწვანე, ნაცრისფერი, ვარდისფერი), როგორც მოქვის კოდექსის მინიატიურები.

მოქვის მინიატიურების თავისებურებას შეადგენს

ფიგურების მოძრაობის გაბედული გამოსახვა. ყველა კომპოზიცია დატვირთულია დინამიკით, მხატვრის მთელი ყურადღება გადატანილია მოქნილ კონტურზე, სწრაფ და მკვეთრ თეთრ ლაქებსა და ხაზებზე. ვერცერთ სცენაში ვერ ნახავთ მშვიდად, ფრონტალურად მდგარ ფიგურას. თუმცა ყველა მოძრაობა მაინც გაწონასწორებული, გამოზომილი და რამდენადმე შენელებულია.

მოქვის კოდექსის მინიატიურების სტილისტური ხასიათი მეტყველებს ახალი ტენდენციების განვითარებაზე ქართულ მინიატიურულ ხელოვნებაში. ყველაზე სრულყოფილად ახალი გემოვნება გამოვლენილია სიერცის ორგანიზაციის საკითხში, ფიგურებისა და სახეების შესრულების მანერაში. სახეზეა წმინდა ფერწერული ელემენტების ზრდა. მოქვის ოსტატმა ეფრემმა ქართული მინიატიურული ხე-



სული წმიდის მოფენა.  
ღმრთისმშობლის მიძინება.  
მოქვის ოთხთავი 1300 წ.

ლოვნება ახალი მხატვრული ხერხებით გაამდიდრა (133;35-36).

აქვე გვინდა, ყურადღება შევაჩეროთ მოქვის ორ ბარელიეფზე, რომლებიც დღეისათვის დაკარგულად ითვლება, მაგრამ შემორჩენილია მათი ფოტოები. ორივე ბარელიეფი კანკელის ფრაგმენტები უნდა იყოს. პირველი გაფორმება განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა. თაღელები დამშვენებულია წნული ჩუქურთმებით, სადაც ფოთლოვანი დეტალები დომინირებს. ორი ოვალური თაღის ქვეშ შარავანდით შემოსილი მარიამი და მაკურთხებელი იესო დგას, მოსასხამში გამოწყობილ მაცხოვარს მარცხენა ხელში სახარება უკავია.

მეორე ფილაზე წარმოდგენილია მდიდრულ ტახტზე მჯდომი მაცხოვარი, რომელსაც შარავანდი ამშვენებს, ტახტის მარჯვნივ წარმოდგენილია ხელაპყრობილი ორი ანგელოზი.

ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მოქვის ღმრთისმშობლის კარედი ხატი, რომელიც დაცულია ზუგდიდის დადიანების სასახლეში. შუაში ღმრთისმშობელი ფეხზე მდგომარეა, მარჯვნივ იოვანე წინამორბედი, მარცხნივ კი სტეფანე მთავარდიაკონია წარმოდგენილი. ოქროს ჭედური ხატი ჩასვენებულია დიდ, ვერცხლით შეჭვილი კარედ ბუდეში. ზემოთ, ბუდის შუა ნაწილში გამოსახულია ორ სვეტზე დაყრდნობილი კამარა, გამოქანდაკებულია ჯვარცმა წინამდგომებითურთ: იოანეთი, მარიამით, მარიამ მაგდალინელითა და მხედარ ლონგინოსით, ზემოთ, ფრთებზე ხარებაა წარმოდგენილი.

სვეტები შემკობილია თვლებით, ამჟამად აქვს 90 თვალი, ბუდეს ამშვენებს თვლებით გამოყვანილი ჯვრის სახეები, სულ 18 ჯვარია: ოთხი კამარის ზემოთ, ორი კამარაში, ექვს-ექვსი ასომთავრულ წარწერიან სვეტებზე.

ხატი მოქვის ეკლესიისათვის მოაჭედვინა ანდრია მოქველმა. იგი მოგვიანებით ხობის ეკლესიაში გადაუტანიათ (59;13-14).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოქვის ეპარქიამ ქართული ხელოვნება ეროვნული კულტურისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ნიმუშებით გაამდიდრა.



ხოვის ღმრთისმშობლის ხატი. X ს.



სოზის სასახლე. XVII ს.



სოზის ტაძრის მოსატულობა. XVII ს.

ხობის საეპისკოპოსოს ისტორია

§1. ხობის საეპისკოპოსოსა და საწინამძღვროს ისტორია და ხობელ იერარქთა ქრონოლოგიური რიგი

ხობის საეკლესიო სტრუქტურა სირთულით გამოირჩევა. როგორც უნახავთ. აქ რამდენიმე სახეობის საეკლესიო ორგანიზაციამ მოიყარა თავი, რამაც შესაბამისად გაართულა მისი ისტორიის შესწავლა.

საკითხის უკეთესი გაგებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, სრულად მიმოვიხილოთ ყველა დოკუმენტი, რომელიც ტაძრის ისტორიაზე მოგვითხრობს.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები უნდა დახარისხდეს, როგორც ქრონოლოგიურად, ასევე შინაარსობრივად, რაც მეტ ნათელს მოჰქვენს საინტერესო საკითხს.

უძველესი დოკუმენტი, რომელშიც ხობია მოხსენიებული, განლაგოთ ვკრის სამონასტრო მატრიანეში შეტანილი ალაპი, სადაც მოხსენიებულნი არიან ცოტნე დადიანის ოჯახის წევრები და ახლობელი პირები. მათ შორის ეგნატე, ხობის წინამძღვარი. მოსახსენიებულში ნათქვამია: „ქ. ამასვე დღესა ალაპი ეგნატი ხობისა წინამძღვრისა“ (78:721).

ხობის ტაძარი შერგილ დადიანის ოჯახის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. აქ დაცულია კიდევ შერგილის, მისი ძეულლე ნათელისა და ყმაწვილ ცოტნეს ფრესკები. ისევე, როგორც ლაშა-გიორგის გაუგზავნია იერუსალიმში მოსახსენიებელთა განსაწესებლად მესტუმრე შალვა, შერგილ დადიანსაც წარუგზავნია იქ ეგნატე ხობისა წინამძღვარი, და ბარამ უშაფათელისძე. დოკუმენტში მოხსენიებულია ასევე ეგნატეს დედა ნისიმე და მისი ძმა ყელგრძელი (78:720-721). რადგან ეგნატე ხობის წინამძღვრად მოიხსენიება, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში ხობი საწინამძღვრო იყო და, როგორც ჩანს, იმდროინდელმა ოდიშის ხელისუფლებამ, ხობის წინამძღვრის სახით. მხარის უმაღლესი საეკლესიო წარმომადგენლობა გააგზავნა.

ეგნატეს მოსახსენიებელი 1212-1222 წლებით თარიღდება. ამიტომაც მისი წინამძღვრობა XIII საუკუნის I ნახევარზე მოდის, კერძოდ კი 1212-1222 წლებზე.

ჩვენთვის საინტერესო შემდეგი დოკუმენტია ამავე ტაძრის ფრესკული წარწერა. აქ, ჩრდილოეთის კედელზე, წარმოდგენილია გიორგი დადიანი, რომელსაც ეკლესიის გეგმა უპყრია ხელთ, წარწერით – „საყდარი“. ქტიტორს მხედრულად აწერია:

1. ამ: საყდრისა: აღმაშენებ(ე)ლი: ერის
2. თავთ: ერისთავი: და მანდატორ
3. რთ: უხუცესი: დადიანი გ
4. ირგი: შეუნდს: ღმ
5. თმნ: ამინ“ (72;134-135)

ანალოგიური ფორმით ტაძრებში ისტორიული პირების გამოსახვა, ძირითადად, მიგვანიშნებს მათზე, როგორც ტაძრის მშენებლებზე, ან როგორც მნიშვნელოვანი ღონისძიების გამტარებელ პირებზე. მაგალითად: ბაგრატ III ბედიაში, დავით აღმაშენებელი გელათში, ლევან II დადიანი წალენჯიხაში და სხვ. წარწერაში მოხსენიებული გიორგის ვინაობის შესახებ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება: პირველი აზრი, რომელიც ბუნებრივად შეიძლება დაგვებადოს, ის არის, რომ ეს გიორგი, ლევან II-ის ბიძაა. ეს კარგადაა ცნობილი მისი თანამედროვე წყაროებიდანაც, მით უფრო, რომ ლევანისა და მისი ფიგურის შესრულების მანერა სავსებით ერთნაირია, თუმცა, როგორც აღნიშნა თავის დროზე ე. თაყაიშვილმა, ეს მოსაზრება უკუსაგდება. ამგვარი ტიტულატურა – მანდატურთუხუცესი და ერისთავთ-ერისთავი – XVII საუკუნისათვის სრულიად შეუფერებელია. ლევან II-ის ბიძა გიორგი ყველა დოკუმენტში ლიპარიტიანად იწოდება, ასე აწერია წალენჯიხის ერთ-ერთ ეკვდერში მოთავსებულ მის პორტრეტსაც – „ლიპარიტიანი ბატონი გიორგი“. გარდა ამისა, ლევანისა და გიორგის პირადი ურთიერთობის ხასიათიც ძალიან საეჭვოს გახდიდა მათ ამგვარ მეზობლობას – ძნელი წარმოსადგენია, ლევანს დაესატყინებინა თავისი გადამტყინებული ბიძა, რომელსაც მან მეუღლე ნესტან-დარეჯანი წაართვა, მით უფრო, საკუთარი თავისა და სწორედ ნესტან-დარეჯანის გვერდით (60;14). ვახტანგ ბერიძის აზრით, ეს გიორგი დადიანი ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახული პირების: შერგილ, ნათელა და ცოტნე დადიანების თანამედროვე უნდა იყოს, მაგრამ, როგორც მეცნიერი მიიჩნევს, აქ კონტრასტულად გმირის ოჯახთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ხობის ტაძრის ეს პორტრეტები სხვა ცოტნესა და მის მშობლებს გამოხატავენ (60;75). მეცნიერი თავის მოსაზრებას წალენჯიხის ხატის



წარწერით ასაბუთებს, სადაც ნათქვამია: „ვამკობთ ჯუარსა შენსა მაცხოვარო წალენჯიხისაო, მინდობილნი შენნი: მანდატურთ-უხუცესი: დადიანი ბედანი და მე ძე მათი, მეორედ მამკობი დადიანი გიორგი, და მე დადიანი შერგილ და მეუღლე ჩემი ნათელ, მესამედ მამკობნი ხატისა თქუენისა“ (60;76). ვახტანგ ბერიძის აზრით, ამ წარწერაში ერთად მოიხსენიებიან ის სახელები, რომლებიც ხობში შემონახულია და აქამდე სრულებით ვერ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ამიტომ ფიქრობს, რომ ზემოხსენებული გიორგი, ბედან II-ის



ხობის ტაძრის ლაპიდარული წარწერა. XIV ს.

(1260-1290) ძეა, ბედანი კი თანამედროვეა დავით ნარინისა (1245-1293). რადგან ისინი ერთად მოიხსენიებიან ხობის ღმრთისმშობლის ხატის წარწერასა და ჟამთააღმწერლის თხზულებებში, ამიტომ მეცნიერი ბედანისა და მისი შვილის გიორგის მოღვაწეობას XIII საუკუნის II ნახევრით ათარიღებს, ხოლო მათ შთამომავალს, ცოტნე დადიანს, XIV საუკუნის I ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევს. ჩვენი კვლევა განსხვავებული მოსაზრების დაფიქსირების საშუალებას გვაძლევს, რამეთუ ჩვენს ხელთაა 1259-1274 წლებით დათარიღებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპები, სადაც მოხსენიებულია ცოტნე დადიანი და მისი დედა ნათელა (78;175). გარდა ამისა, არსებობს თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრის ჩასასვენებელი ხატის წარწერა: „ქ. ხატო არსებისაო, უცვალებელო, მეოხ და მფარველ მექმენით აქა და საუკუნესა ერისთავთერისთავი დადიანი შერგირ“


და მეუღლე ჩემით დეოფალ დეოფალი ნათელით ძითურთ ჩემით ცოტნეთითურთ“ (72;153). წარწერა 1212-1222 წლებითაა დათარიღებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ელენე მეტრეველი ზემოაღნიშნული აღაპის დათარიღებისას გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: „გურიელის ასულმა მარიამ-ყოფილმან მაკრინემ სააღაპოდ ათასი თეთრი მოახსენა“ ჯვრის მონასტრის კრებულს. ამავე ტაბულაში არის მარიამ-მაკრინეს დალოცვა, რომელსაც მონასტრისათვის 2000 თეთრი მიუცია, საფიქრებელია, რომ მარიამყოფილი მაკრინე ცოტნე დადიანის ცოლი იყო; ამავე ტაბულის 96-ე აღაპით თარიღდება მთელი ტაბულა. ეს აღაპი შამადვალე მაკრინის ძეს გაუჩინა მისმა მეუღლემ – ფოტინემ ჯვრისმამა იოსების დროს. იოსების ჯვრისმამობის წლებია XIV ს-ის დამლევი და XV ს-ის პირველი წლები, ამავე დროის უნდა იყოს ერისთავთერისთავისა და მანდატურთუხუცესის ცოტნე დადიანის აღაპიც. ამ ცოტნეს გაიგივება კოხტას აჯანყების ცოტნე დადიანთან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება“ (72;170). ამ საკითხთან მიმართებით ჩვენ ერთ გარემოებას გვინდა მივაქციოთ ყურადღება. ჯვრის აღაპში შერგილ და ნათელის მოსახსენიებულთან ერთად იმავე მდივან-მწიგნობარს ხობის წინამძღვრის ეგნატეს მოსახსენიებელიც ჩაუწერია. თუ დავეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეს აღაპები XIV ს-ის დამლევისა და XV ს-ის პირველი წლებისაა, გამოდის, რომ ეგნატესაც ამ პერიოდში უმოღვაწია, თუმცა ხობში ამ დროს სულ სხვა ვითარებაა, XIV-XV საუკუნეში აქ უკვე საეპისკოპოსო არსებობს და ცნობილია კიდევ XIV საუკუნის I ნახევრის მოღვაწის ილარიონისა და XV ს-ის I ნახევრის მოღვაწის საბა ეპისკოპოსის სახელი. ამიტომ, ვფიქრობთ, შეუსაბამოა მანდატურთუხუცესთან და ერისთავთერისთავთან ერთად ხობელი წინამძღვრის მოხსენიება იმ პერიოდში, როცა ხობის საეპისკოპოსო საყდარზე უკვე ეპისკოპოსი ზის. ამდენად, არამართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ ხობში გამოსახული შერგილის ოჯახის პორტრეტი არ შეიძლება XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე ადრინდელი იყოს, რადგან არსებობს სწორედ XIII საუკუნის I ნახევრის დოკუმენტები, სადაც შერგილ დადიანი, ნათელი და მათი ძე ცოტნე მოიხსენიებიან. ამიტომ, უმართებულოდ გვეჩვენება დაუშვავთ, რომ ხობის პორტრეტები სხვა ცოტნესა და მის მშობლებს გამოსახავენ, მით უმეტეს, არ არსებობს გვიანდელი ხანის დოკუმენტები, რომელნიც იცნობენ სხვა ცოტნე დადიანსა და მის მშობლებს – შერგილსა და ნათელას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ხობის ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახული პირები კონტასთავის შეთქმულების გმირის ცოტნე დადიანის ოჯახია და ეს მხატვრობა XIII საუკუნის I ნახევრით უნდა დათარიღდეს. ამიტომ მათ ვერაფრით დაუუკავშირებთ ჩრდილოეთის კედლებზე გამოსახულ ერისთავთ-ერისთავსა და მანდატურთუხუცესს გიორგი დადიანს. იგი, წარწერის შინაარსის მიხედვით, უნდა ეკუთვნოდეს გიორგი II-ს (1345-1384).

აქვე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება ერთ გარემოებაზე: წარწერაში გიორგი „საყდრის აღმაშენებლად“ მოიხსენიება, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით კი: „ეს დადიანი პირველი მაშენებელი არ არის ხობის ეკლესიისა და ეს შეუძლებელიც არის, ვინაითგან ... ხობში დაცულია XIII საუკუნის ფრესკა შერგილ დადიანისა. გიორგი მეორეს უნდა მიეწეროს, ჩვენი აზრით, იმ ღია შტოს მიშენება, რომელიც უვლის ხობის ეკლესიას სამხრეთით და აღმოსავლეთით“ (72;135). აქედან გამომდინარე, გიორგის მართლაც შენობის დამწყობად ვერ მივიჩნევთ, შესაძლებელია, გიორგი II-მ ხობის ტაძარს რესტავრაცია გაუკეთა, ან კიდევ გალერეები მიაშენა, ყოველ შემთხვევაში მის სახელს აქ მნიშვნელოვანი ძვრები უკავშირდება, თუმცა აუცილებელი არ არის, საყდრის აღმაშენებლობა მაინცდამაინც ხუროთმოძღვრული კომპლექსის მშენებლობას დაუუკავშიროთ – ძველ ქართულში „საყდარი“ სკამს, ტახტსა და საეპისკოპოსოს ნიშნავდა (27;63). ამიტომაც არაა გამორიცხული, რომ აქ გიორგი II დადიანის სახელს არა მარტო გარკვეული სამშენებლო საქმიანობა, არამედ კათედრის დაარსება უკავშირდება, მით უფრო, რომ ჩვენთვის ცნობილი პირველი ხობელი ეპისკოპოსი სწორედ XIV საუკუნეშია ცნობილი. ამიტომ, უფრო საფიქრებელია, რომ ხობში საეპისკოპოსო კათედრა გიორგი II დადიანმა დააარსა. ამ წარწერის დასასრული პროფესორმა ვ. სილოგავამ შემდეგნაირად წაიკითხა: „მამა-ღედათა ღარნაკი და მისი და მარეხის გააერთა“.

შემდეგი ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტი გახლავთ ზემოხსენებული ხობის ტაძრის ლაპიდარული წარწერა, რომელიც დატანებულია სამხრეთ ეკვდერის მარმარილოს ლოდზე. „ქ. სახელითა ღმრთისათა ერისთავთერისთავმან და მანდატურთ უხუცესმან დადიანმან ვამეყ მამისა მათისა [პატ]რონისა ერისთავთ ერისთავისა დადიანისა გიორგის შედეგად მიუქდა ჯიქეთ[ს] ურწმუნოებისა და

ორგულობისათვის, რათამცა მოემსახურა. და სძლო, შეურაცხ და უკმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღალნი, ყოველნივე ძალითა მოირჭუნა. მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მიუვალი მოარბიენა. რაოდენნი მოეწყო, მათი მძევალნი წამოასხნა და სხვანი



ხოზის ტაძარი მურიეს მიხედვით.

აოტნა. მაშინ მოილო სვეტნი და ფილაქნი ესენი მარმარილოსანი და მამათა-დედათა ლარნაკი და მისი და მარეხ[ისი] გააერთ[ა]. საუკუნემცა არს ქსენებაჲ მათი“ (72;133). ხოზის ტაძრის, უფრო სწორად ვამეყ დადიანის ეკვლერის მხატვრობა საგანგებოდ შეისწავლა ი. ლორთქიფანიძემ (160;139-145). ვამეყის ეკვლერის მონათულობის რეპერტუარი განსასვენებლისათვის შესაბამისია და ბიზანტიურ საძვალესთან იჩენს მსგავსებას. აქ რელიგიური სცენები სათანადო დატვირთვითაა წარმოდგენილი. აფსიდის კონქზე გამოსახულია ღმრთისმშობელი ყრმითურთ და ანგელოზებით. დასავლეთის კედლის ზედა რეგისტრში კი წარმოდგენილია მაცხოვრის, მარიამისა და იოანეს ფრესკები. ეს სცენა – „ვედრება“, როგორც საშინელი სამსჯავროს შეხსენება, ხშირად გამოიყენებოდა ბიზანტიურ საძვალეებში (1605;141). ეკვლერის კედლებზე ასევე წარმოდგენილია ჯვარცმა, ჯოჯოხეთად შთასვლა, მენელსაცხებლე ქალები მაცხოვრის კუბოსთან, გარდამოხსნა, დატირება, ჩრდილოეთის კედელზე კი მოჩანს მაცხოვარი კუბოში.

ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ მხარეს გამოსახული არიან ქტიტორები: ვამეყ დადიანი და მისი თანამეცხედრე მარეხი. შესაძლოა, აქ სხვა ქტიტორებიც იყვნენ წარმოდგენილნი (ვამეყის მამა გიორგი და მისი მეუღლე) (160;142). მართალია, ქტიტორთა ფიგურები ძალიან დაზიანებულია, მაგრამ შეიძინევა, რომ ისინი მდიდარი საერო პირებისათვის შესაფერისი ტანსაცმლით არიან შემოსილნი, რადგან შექეულნი არიან ოქროთი და ძვირფასი ბეწვეულით. ვამეყის მეუღლეს გვირგვინი ამშვენებს, მთავარს კი კონუსისმაგვარი მაღალი ქუდი ახურავს (1605;144). (მსგავს ქუდშია წარმოდგენილი ლევან II დადიანი, ცაიშის ტაძრის ერთ-ერთ ფრესკაზე. როგორც ჩანს, იგი სამეგრელოს მთავრების მოკაზმულობის დამახასიათებელი ატრიბუტი იყო).

ქტიტორები გამოსახულნი არიან მლოცველთა პოზაში დეკორატიული არკის ქვეშ. საერო პირთა სახეები წმინდანთა სახეების მანერითაა შესრულებული. საოცრად მომხიბვლელია მარეხი, მისი ამაყი მზერა, წერილი ყელი, ფართოდ გახელილი თვალები, გრძელი კეხიანი ცხვირი კარგად წარმოგვიდგენს ქართველი ქალის ტიპს. მას ერთი წარბი ზეაწეული აქვს, რაც პორტრეტს მეტ სიცხოველეს მატებს (160ა; 145). დედოფლის გვერდით ვამეყი წარმოგვიდგება როგორც მრისხანე და ბრძენი მთავარი.

დღემდე უცნობია, თუ ვინ მოხატა ვამეყის ეკვდერი, თუმცა მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ მისი ავტორი წალენჯიხის ფრესკების მხატვრის კირ მანუელ ეგენიკოსის ერთ-ერთი მოწაფე უნდა ყოფილიყო (160ა;145). როგორც ვხედავთ, ეს დოკუმენტი ნაწილობრივ ეხმიანება პირველ წარწერას და აქ მთავარი მოქმედი პირი გიორგი II-ის ვაჟი ვამეყ დადიანია (1384-1396), რომელსაც ჯიქეთიდან ბერძნული ეკლესიის კათედრის მარმარილოს სვეტები, ფილები და სხვა ნაწილები წამოუღია და ტაძრისათვის შეუწირავს ( ), ხოლო დედ-მამის სასაფლაოზე ეკვდერი გაუკეთებია. წარწერაში არაფერია ნათქვამი ზობის საეკლესიო სტატუსის შესახებ.


აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ზობის ტაძარივით მდიდარი საეკლესიო. აქ დაცული იყო: დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი; თამარ მეფის გულსაკიდოჯვარი; მისი დედის ბორდოხან დედოფლის კუთვნილი ხატი; აქვეა ხატები, რომლებიც მოიხსენიებენ დავით ნარინს, მანდატურთუხუცეს ბედან დადიანს, აფხაზეთის მეფეს ლეონ II-ს და სხვა. მართალია, ჩვენ არ ვიცით, თუ როდის და როგორ მოხდა ეს ნივთები ზობის ტაძარში,

მაგრამ ცხადია, რომ მას საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.


ზობის ტაძრის შესახებ არსებული XIV-XV საუკუნეების დოკუმენტები გარკვეულწილად ნათელს ჰფენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს. ამ პერიოდის ფრესკებში მოიხსენიება ზობელი ეპისკოპოსი, ასევე არსებობს ალესანდრე I დიდის (1412-1442) მიერ გაცემული თოფურიძეთა სიგელი, სადაც ასევე ზობელი ეპისკოპოსის სახელია დაფიქსირებული, რაც თავისთავად მეტყველებს, რომ ზობი XIV-XV საუკუნეებში საეპისკოპოსო კათედრა იყო. პირველი ზობელი ეპისკოპოსია ილარიონი, იგი დახატულია ტაძრის ჩრდილოეთ სვეტზე, სავედრებლად ხელებალმართული (ამ ილარიონს თ. ბერაძე უცნობ კათალიკოსად მიიჩნევს), რომელსაც გადმობრუნებული ხუცური ასოებით აწერია: „ზობელი ილარიონ“ (72;136).

წერილობითი წყაროები არ იცნობენ ზემოაღნიშნულ ეპისკოპოსს, ამიტომ. მისი მოღვაწეობის განსაზღვრა შესრულებული მხატვრობის დათარიღებით უნდა მოხდეს. ილარიონის ფრესკული გამოსახულება XIV საუკუნეშია შექმნილი (72;136). ჩვენი აზრით, მისი ეპისკოპოსობა დაახლოებით ამ პერიოდს უკავშირდება.

ჯვრის მონასტრის დაუთარიღებელ აღაპებში მოიხსენიება „თადეოზ ზობელი“, რომელიც ხელნაწერის სავარაუდო დათარიღების მიხედვით, შესაძლოა, XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დამდეგს მოღვაწეობდა (118ბ;6).



ზობის ტაძარი კასტელის მიხედვით.



სობის ტაძარი კასტელის მიხედვით.

შემდეგი ჩვენთვის ცნობილი სობელი ეპისკოპოსია საბა სობელი, რომელიც მოხსენიებულია ე. წ. თოფურიძეთა სიგელში (30;721). როგორც ზემოთ დავასაბუთეთ (იხ. მოქველ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), თოფურიძეთა სიგელი საქართველოს ერთიანი მეფის ალექსანდრე II-ის დროს გაცემულად უნდა ჩაითვალოს, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ აქ მოხსენიებული საბა სობელი ამ პერიოდში მოღვაწეობდა, ესე იგი დაახლოებით XV საუკუნის I ნახევარში.

XV საუკუნეში ოდიშის ერისთავს შამადავლა დადიან-გურიელს ტაძრის მფლობელობის გასაძლიერებლად გარკვეული ზომები მიუღია, რის დასტურადაც მისი სიგელია შემორჩენილი, რომელიც 1470-1474 წლებს შორის არის შედგენილი. აქ განმეორებულია უფრო ადრინდელი საბუთის შინაარსი. შამადავლას ერისთავობის დროს (როგორც ამას ლევან II დადიანის (1611-1657) ერთ-ერთი საბუთი იუწყება) სობის ტაძრის „ძულთაგანი იადგარი გარყუნილ“ ყოფილა. მას აღუდგენია და ხელახლა დაუმტკიცებია ტაძრის იურიდიული უფლებები. „ძველი იადგარის“ შინაარსიდან ბევრი ჩვენთვის საინტერესო რამ შეგვიძლია ამოვიკითხოთ, კერძოდ, აქ ნათქვამია: „... წყლისპირს ჭალადიდს რიონზედ ან ნახევარი ბაჟი ხოფისა ღეთისმშობლისა არის და ნახევარი კათალიკოზისა არის დადიანის

სახლის ნიშანი კათალიკოზისა არის, აგრევე, სხუათა აზნაურის შვილთა ნიშანი; აგრევე სხუათა ებისკოპოზთა საფერხავი მართებს და ამას არა ეთხოვებოდეს ... ვინცა სახოფოსა ზედან მოუხდეს, დაარბიოს და დაწუას ... მეხადილე კუამლი გლეხი დაუურვოს საყდარსა ... ათასი ბოტინატი დაუურვოს. აგრევე ჭურთასა და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლადწმიდისა არის“ (38;119).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა თ. ჯოჯუამ. მისი ვარაუდით, ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქ მიხაილის მიერ ნაკურთხებ აფხაზეთის კათალიკოს იოაკიმეს დადიან-გურიელმა შამადავლამ ზობის მონასტერი გადასცა, რისი დასტურიცაა ის, რომ დადიანებისა და სხვა თავად-აზნაურების მიერ ზობისათავეს მირთმეული ნიშანი ანუ დაკრძალვისათვის დაწესებული გამოსაღები კათალიკოსის კუთვნილება ყოფილა. მეცნიერის აზრით, 1470-იანი წლებიდან ვიდრე XVI საუკუნის შუა ხანებამდე, ანუ საბოლოოდ გელათში დამკვიდრებამდე, აფხაზეთის კათალიკოსები ბიჭვინთის პარალელურად ზობში მოსაყდრეობდნენ (18ა;124-127).

ზობის ტაძრის ძველი იადგარის მიხედვით, დარეგულირებულა ამ საეკლესიო სენიორიის სოციალური ცხოვრება, განსაზღვრულა მისი დამოკიდებულება აფხაზეთის საკათალიკოსოსთან. სამწუხაროდ, დოკუმენტში არ ჩანს, ზობის როგორ საეკლესიო სენიორიასთან გვაქვს საქმე (მონასტერი თუ საეპისკოპოსო), მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ამ პერიოდის სხვა დოკუმენტები თვალნათლივ მიუთითებენ აქ საეპისკოპოსო კათედრის არსებობაზე. ამის დასტურია მოგვიანო ხანის, კერძოდ 1561 წლის, ნიკოლოზ წულიკიძის შეწირულობის წიგნი, სადაც ნათქვამია: „ოდეს სხვა ხოფელი იჯდა და თათრისაგან გაოხრებული და გაცუდებული საყდარი და მონასტერი იყო, ესე მოგუცეს ჩვენ, წულუკიძეს ხოფელ ნიკოლოზს“ (38;274).

XVI საუკუნეში ზობში საეპისკოპოსოს არსებობას ასევე ადასტურებს ამ ეკლესიის გლეხთა თეთრის გამოსაღების მინაწერი, სადაც ნათქვამია: „ვინცაი არ მისცეს ყოვლად წმინდა ღმრთისმშობელი გაურისხდების და ხოფისა ღმრთისმშობლის წინამდევის ებისკოპოზის მადლისაგან შეწუენებულმცა არის ...“ (38;156-158).

XVI საუკუნეში ზობის კათედრა ოსმალებს აუოხრებიათ, რაზეც მეტყველებს ზობელ ნიკოლოზ წულიკიძის შეწირულობის წიგნი.



მას მოუწესრიგებია ტაძრის სასულიერო და სამეურნეო ცხოვრება, მისთვის შეუწირავს როგორც მამული, ასევე „კერცხლის ბარძიძი და ფეშხუმი და კამარა, სამი ატლასის პერეკლები, ერთი ოდიკი, ერთი ნაქსოვისა კრეტსაბმელი, ერთი ხელი შესამოსელი სტრიხარი და ფილონი ნაქსოვისა, ოლარი ნაქსოვისა, სამკლავე ნაქსოვისა, ერთი ღიდი ქვაბი ნაქსოვისა“ (37;275). გარდა ამისა, მასვე დაუწესებია ბეგარა: „ერთი ცხვარი, ერთი ღოღარიკონი სანთელი, ორი შაურის საკმეველი, სამი კოკა ღვინო, ორი ქილა ღობი“ (37;275). ამ ღოკუმენტს ისიღორე დოლიძე 1569 წლით ათარიღებს, ამიტომაც ცხადია, რომ ნიკოლოზსაც XVI საუკუნეში, 1569 წელთან ახლო დროში უმოღვაწია.

თათართა მიერ ხობის ტაძრის ზემოაღნიშნულ აოხრებას, თ.ჯოჯუას აზრით, 1553-1554 წლებში კათედრაში სასულიერო ცხოვრებისა და აქ მოქმედი საკათალიკოსო რეზიდენციის მოშლა მოჰყვა (138ა;129). „სავარაუდოა, რომ ლიხთიმერეთის მწყემსმთაერებმა საერთოდ მიატოვეს აქ მოქმედი საკათალიკოსო რეზიდენცია და მონასტერიც უშუალოდ ხობელი ეპისკოპოსის დაქვემდებარებაში გადავიდა“ (138ა;129).


XVII საუკუნეში ხობში მნიშვნელოვანი საეკლესიო-ადმინისტრაციული ცვლილებები მოხდა. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ცნობას, რომელიც არქანჯელო ლამბერტის ეკუთვნის, რომელმაც სამეგრელოში 1633-1649 წლებში იმოგზაურა. იგი გაუქმებულ საეპისკოპოსოთა შორის მოიხსენიებს ხობსაც (22;197).

1649-1652 წლებში დონ კრისტოფორო დე კასტელმა შეასრულა აღნიშნული ტაძრის გრაფიკული ჩანახატი, წარწერით: „ხობის საეპისკოპოსო“ (21;178).

პავლე ზახარევი და ფედოტ ელჩინი, რომლებიც ოდიშში 1639-1640 წლებში იყვნენ, მოიხსენიებენ როგორც ხობის კათედრას, ასევე მის ეპისკოპოსს ნიკოლოზსაც (50;325). ზემოხსენებულ წყაროთა ანალიზს მიყვარათ იმ დასკვნამდე, რომ XVII საუკუნის გარკვეულ მონაკვეთში ხობი, როგორც საეპისკოპოსო კათედრა, გაუქმდა (ალბათ ისევე, როგორც ცაიშში 1771-1777 წლებში და ჯუმათში 1772-1776 წლებში). წყაროთა სიმციროს გამო ჩვენთვის შეუძლებელია დავადგინოთ, თუ როდის მოხდა ეს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევაში ნაწილობრივ გვეხმარება იტალიური წყარო – „სამეგრელოს აღწ-

ერა“. არქანჯელო ლამბერტის თქმით: „ხობს და კიდევ ხუთ დანარჩენ ტაძარს წინათ ჰყავდათ ეპისკოპოსები და ეხლა გადაკეთებულა მონასტრებად“ (21;17). ლამბერტის ეს ინფორმაცია ანგარიშგასაწევია, რამეთუ ლევან II დადიანის ხობის ტაძრისადმი მამულების მფლობელობის განახლების სიგელში ცხადადაა ნათქვამი, რომ ხობში „ჟამთა ვითარებისა და წელთა გარდასულისა და ეტლთა მოქცევისა და დღეთა ცვალებისაგან მოშლილიყო სოფელი და ტყე და ველი“ (36;209). ამდენად, ფაქტია, რომ არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოში მოღვაწეობის გარკვეულ მონაკვეთში ხობი, როგორც საეპისკოპოსო კათედრა, მოიშალა. სწორედ ამიტომ დასჭირვებია ლევან II დადიანს ძველი გარყვნილი და დაკარგული იადგარის მოძიება და ამ ტაძრისადმი მფლობელობის განახლების ბოძება.

სამეგრელოს მთავრის მიერ როდის უნდა გატარებულიყო ეს ღონისძიება? ჩვენი აზრით, XVII საუკუნის 30-იან წლებში მოშლილი ხობის საეპისკოპოსო მთავარს დაახლოებით 1639-1649 წლებში აღუდგენია. ამავე პერიოდში უნდა იყოს შედგენილი მფლობელობის განახლების სიგელიც. ისიღორე დოლიძე ამ დოკუმენტს ლევან II დადიანის მოღვაწეობის პერიოდით – 1611-1657 წლებით – ათარილებს (36;208), ჩვენი ვარაუდით, დოკუმენტის შედგენა დაახლოებით 1639-1649 წლებში უნდა მომხდარიყო. არქანჯელო ლამბერტიმ კი მოგვიანებით მომხდარი ეს ფაქტი, შესაძლებელია, სულაც არ იცოდა, ან იგი არ ჩაურთავს თავის თხზულებაში. ამ არგუმენტის სასარგებლოდ მეტყველებს ერთი გარემოებაც – კერძოდ, ხობში მოღვაწე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ბიოგრაფია. ისტორიულ წყაროებში იგი ჯერ წინამძღვრად, შემდეგ კი ეპისკოპოსად იხსენიება, რაც, ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის. მისი ეპისკოპოსად კურთხევა სწორედ ლევან II დადიანის რეფორმის შემდეგ უნდა მომხდარიყო. მის შესახებ ტაძრის სამხრეთ კედელზე დაცულია ბერძნული ფრესკული წარწერა, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: „ნიკოლოზ ხობელი, ამ წმინდა მონასტრის წინამძღვარი“ (126). წარწერა XVII საუკუნით თარიღდება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 1639-1640 წლებში სამეგრელოში სტუმრად მყოფი რუსი ელჩები ფედოტ ელჩინი და პაველ ზახარევი ნიკოლოზს უკვე ხობელ ეპისკოპოსად მოიხსენიებენ: «маны в де пришли в Хабы в Пречистенской монастырь к Николазу епископу ... Николаз епископ показывал нам пречыстыя Богородицы сорочка».



ხოპის ტაძარი. XIII ს.

ნიკოლოზი სხვადასხვა დროს იყო მეტეხის ეკლესიის წინამძღვარი, კახეთის მოძღვართმოდღვარი, კორცხელის მონასტრის გამგებელი, იერუსალიმში ჯვარისმამა და გოლგოთის არქიმანდრიტი. ლევ. დადიანის კარზე ის 1632-1642 წლებში მოღვაწეობს, 1657 წელს კვლავ მთავართანაა და ცოტა ხნით დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ტახტსაც განაგებს. ამ წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ერთხანს ხობის მონასტრი წინამძღვარი ყოფილა, ხოლო შემდეგ იგი ეპისკოპოსად უკურთხებიან. დასტურად ეკლესიაში, საკურთხეველის წინ, ჩრდილოეთ კედელზე არის ნიკოლოზის გამოსახულება წარწერით:

„მე: (... ძემან) ხობელმა ნიკოლოზ

დავახატვინე ესე

საყდარი ჩემის სულის

საცხოვნებლად“ (127;55).

მისი აღსაყდრების ზუსტი თარიღის გარკვევა შეუძლებელია მაგრამ ეს, ალბათ, 1639-1640 წლებში უნდა მომხდარიყო, რადგან ამ პერიოდში სამეგრელოში მყოფი რუსი ელჩები მას ეპისკოპოსად იხსენიებენ. ამდენად, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, იგივე ნიკიფორე ირ

ბახი, ხობში XVII საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა ჯერ წინამძღვრად, ხოლო 1639-1640 წლებში ეპისკოპოსად უკურთხები-  
ათ. ამავე პერიოდში უნდა მიეღო მას ბედიელობაც.

XVII საუკუნეში მოღვაწე ეპისკოპოსთაგან ჩვენთვის ცნობილია ეფთიმე ფაღავა, რომელიც სწირავს ხობის ღმრთისმშობლს ერთ კომლ კაცს: „წალენჯიხისაგან ნაყიდს როსტომიას, მისის ძმითურთ, შვილებიანად, მათის სახლისკაცითა, მისის ეკლესიისა, სახლ-კარი-თა“. დოკუმენტში ნათქვამია: „აწე ვინცა და რამანც – [ძე]-მან კაცისამან ესე ჩვენგან შეწირული გლეხი გამოგწიროს, დიდმან ანუ მცირემან ან დადიანმან ანუ დედოფალმა ან ეფისკოპოზმან და ან თავადმან [ანუ აზ]ნაურიშვილმან ან გლეხმა ამისდა შლად ქცევად და გამოხმად ხელყოს მასამცა რისხავს თავად დაუსაბამო ღმერთი“ (17;84).

ლევან III დადიანის 1660-1680 წლების შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „მობრძანდით თქვენ კათალიკოზი ბატონი და ბატონი დავით დაგველაპარაკენით და ძველადგანცა ხობი ბიჭვინთის ღთის-მშობლის შეწირული ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან გამოხ-დომოდა ... შეიწირე მცირე ესე შესაწირავი შენ შვიდ ცათა უმაღ-ლესო და ქერაბინთა უზეშთაესო, ბიჭვინთისა ღუთისმშობელო, ასე რომე კათალიკოზს ოდიშის ერთი საყდარი ასეთი არ ქონდა, რომე დღესასწაული გარდაეხადა, ხან ერთ ეპისკოპოსს ჩაუდგებოდა შინ და ხან მეორეს, ეპისკოპოზები მწეთ გარჯით იყვნენ და ამისთვის შეუსწირეთ, რომე როდისაც კათალიკოზი ოდიშს მობრძანდებოდეს, ხატსა, ჯვარსა და ომფორსა იქ დაასვენებდეს და სასაფლაოდაც ის



ხობის ტაძარი. XIII ს.



ხობი ტაძარი. XIII ს.

შეგვიწირავს“ (1675 წელი) (17;77). დოკუმენტი ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა, მისი მიხედვით აფხაზეთის კათალიკოსს დავით ნემსაძეს (1673-1693) ლევან დადიანი გადასცემს საკათალიკოსოს საყდარს ხობს იმ მიზეზით, რომ ოდიშში ამ უმაღლეს იერარქს არ ჰქონია საკუთარი ტაძარი და „ხან ერთ ეპისკოპოსს ჩაუდგებოდა შინ და ხან მეორეს“. მთავარი თავის გადაწყვეტილებას არგუმენტითაც ამაგრებს – თურმე ხობი ადრეც ბიჭვინთას შეწირული ყოფილა. ჩვენთვის დღემდე უცნობი იყო, რის საფუძველზე აცხადებს ამას მთავარი და რა პერიოდით ეკუთვნოდა ხობი აფხაზეთის კათალიკოსს, როგორც მისი პირადი რეზიდენცია. თუმცა, სულ ახლახან ახალგაზრდა მეცნიერის თ. ჯოჯუას გამოკვლევებმა ამ საკითხს ნათელი მოჰყინა. თ. ჯოჯუამ ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული 1160 წლის გარეჯული ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერი შემდეგნაირად ამოიკითხა: „ს(უ)ლსა კობისა ქათალ(ი)კოზ(ი)სა ბართლომეს(ა) შ(ეუნდენე)ს ღ(მერთმა)ნ“ (138ა;10-11). თ. ჯოჯუას აზრით, აქ მოხსენიებული „ბართლომე“ აფხაზეთის კათალიკოსი უნდა იყოს. ხელნაწერში „აფხაზეთის კათალიკოსის“ „ხობის კათალიკოსის“ ტიტულით მოხსენიება, მისი აზრით, განაპირობა ხობში აფხაზეთის საკათალიკოსოს რეზიდენციის არსებობამ 1470-1474 წლებიდან, ვიდრე 1553-1554 წლებამდე, რის გამოც დროის ამ მონაკვეთში ლიხთიმერეთის მწყემსმთავრები ბიჭვინთის პარალელურად ხობში მოსაყდრებოდნენ და „ხობის კათალიკოსის“ საეკლესიო ტიტულს ატარებდნენ (138ა;10-11). აქვე აღსანიშნავია, რომ მსგავსი შეწირულობა ოდიშის სამთავროში ადრეც მომხდარა,

კერძოდ, ლევანის მამას ვამეყ III-ს (1658-1660) ზაქარია ქვარიანისათვის (1657-1660) საღვთისმშობლის წირვის გადასახდელად შეუწირავს სენაკის საწინამძღვრო საყდარი, მამული და სასახლე (116;4). საყურადღებოა ისიც, რომ ვამეყი პირობას აძლევს კათალიკოს სვიმონ ჩხეტიძეს, რომ მოურავად და ეპისკოპოსად არავის დანიშნავდამის დაუკითხვად და ხობის ღმრთისმშობელს მამულს არ წაართმევდა (116;5). როგორც ვხედავთ, მთავარი ბიჭვინთასა და ხობს ერთ კონტექსტში, ერთი დონის სენიორიებად განიხილავს, ანუ, ამ პირობის მიხედვით, კათალიკოსისათვის ხობის ყმა-მამული ისეთივე საკუთრებაა, როგორც ბიჭვინთისა. მართლაც, დავით ნემსაძე იუსუფ ლეფონავას სწირავს ბიჭვინთისა და ხობის ღმრთისმშობელს. ასეთივე დამოკიდებულებაა ამ საყდრებისადმი სვიმონ ჩხეტიძის დროსაც, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ხობის საეკლესიო სტატუსი ისეთივე იყო ვამეყ დადიანის დროს, როგორც მისი შვილის ლევანის მიერ გაცემული შეწირულობის შემდეგ.

ვფიქრობთ, რომ ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ხობის საეპისკოპოსო კათედრა მოიშალა და იგი აფხაზეთის კათალიკოსის ისეთივე პირადი რეზიდენცია გახდა, როგორც ბიჭვინთა. ისმის მეორე საკითხი: რატომ გახდა საჭირო აფხაზეთის კათალიკოსის საკუთრებაში ხობის გადაცემა? აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას: XVI საუკუნის მეორე ნახევარში კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე (1557-1578) ბიჭვინთიდან გელათს წამოვიდა, მაგრამ ხდება ისეც, რომ დასავლეთ საქართველოს უმაღლესი საეკლესიო პირის ხანგრძლივი სამყოფელი ადგილი უფრო ხშირად სხვაგანაცაა. კათალიკოსი, გარდა გელათ-ქუთაისისა, საცხოვრებლად იმყოფება დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. გამონაკლისია მხოლოდ აფხაზეთი. მაგალითად, კათალიკოსები: ცაიშელ-ჯუმათელ-ხოწელი ეპისკოპოსი მალაქია გურიელი (1616-1639) და მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657) უმეტესად ოდიშ-გურიაში ცხოვრობდნენ. აფხაზეთიდან წამოსული კათალიკოსი არასოდეს დაბრუნებია ბიჭვინთას, როგორც მუდმივ რეზიდენციას, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ბრუნდებოდა, ძირითადად, მირონის მოსახარშად (101;204-205), ამან საჭირო გახდა, აფხაზეთის კათალიკოსს ჰქონოდა რეზიდენცია ოდიშის სამთავროში, ჯერ სენაკში (ვამეყ დადიანის დროს) მერე კი ხობში, ამიტომ 1660-1680 წლებში ლევან III დადიანმა ხობის ტაძარი აფხაზეთის კათალიკოს დავით ნემსაძეს შესწირა.

XVII საუკუნის 80-იან წლებში ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებულია ხობის წინამძღვარი ზებედე, რომელმაც ხობის ღმრთისმშობლის „განატეხში“ (ლალატის გამო) იასავა მამაძინი (მან გაცა ქვაჩი ყუსუა, რომელიც ხობის საყდარს იყო შეხიზნული და კახაბერ ჩიჩუას ჩააბარა) თავისი მამულით შესწირა ხობის მონასტერს. მასვე ხობის ღმრთისმშობლისათვის შეუწირავს ორი ძმა გეგენავა, რომლებიც ადრე ტაძრისთვის ყოფილან შეწირულნი, მაგრამ ზებედე წინამძღვარს ემსახურებოდნენ (1188;14).

ხობი მონასტრად რჩებოდა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, სულ ბოლომდე, სანამ იგი საერთოდ არ გაუქმდა. დიუბუა დე მონპერეს თქმით: სიტყვა „მონასტერი“ საქართველოში ყოველთვის ნამდვილი მონასტრის სინონიმი არ არის. უფრო ხშირად იგი უბრალო ეკლესიას ნიშნავს, მაგრამ ხობი ნამდვილი მონასტერია. რომელშიც წმინდა ბასილის ორდენის რამდენიმე ქართველ-ბერძენი ბერი ცხოვრობს, მათი წინამძღვარი არქიმანდრიტის წოდებას ატარებს (141;153). მაგრამ ბერების რიცხვი უმნიშვნელო იყო: მაგალითად, 1853-1854 წლებში მხოლოდ 2, საუკუნის მეორე ნახევარში რამდენადმე მეტი; მონასტერს წინამძღვრის გარდა 4 მღვდელ-მონაზონი, 1 იეროდიაკონი და 2 მორჩილი ჰყავდა.

XIX საუკუნეში ხობის პირველ წინამძღვრად მოიხსენიება გრიგოლ მიქელაძე. დოკუმენტში ნათქვამია: „უღირსი ხობის მონასტრის არხიმანდრიტის გრიგოლ მიქელაძეს მერწმუნა, მისი ძალად უგანათლესობას ღენერალ ლეიტენანტის და სხვათა კავალერთა მქონებელს დადიანის გრიგოლის ძისა ლევანის მიერ და დედის მისისა, დედოფლის ნინოს საქართველოს მეფის გიორგის ასულის მიერ 1806 წელში, თვინიერ ბიჭვინტისა უწარჩინებულესი საკათალიკოზო ხობის მონასტერი“ (85;42). 1840 წელს ხობის არქიმანდრიტად ინიშნება ბესარიონ ჭყონია, რომელიც მოიხსენიება 1834 წელს გადაწერილ ფსალმუნთა წიგნის მინაწერში, სადაც ნათქვამია: „ეს დავითნის თარგმანი განსვენებულის გიორგის ეპისკოპოზის იყო, და არხიმანდრიტად ბესარიონმან დავსდევი, მარტვილის მონასტერშიდ, სულისა მისისა საოხად და მოსახსენიებლად და ვინც ეს დავი(თ)ნის თარგმანი გამოიტანოს ამ ეკლესი(ი)დამ შეჩვენებულ იყოს სულით და ხორციით და მერმესა მას საუკუნესა ხობის მონასტრის არხიმანდრიტი და დროებით მენდრეელი(ი)ს საეპარხიოს მმართველი ბესარიონ“ (31;536). ბესარიონ ჭყონიას ბევრი

შრომა-ღვაწლი მიუძღვის ხობის მონასტრის მამულების დაცვის საქმეში (31;536).

შემდეგი ხობელი წინამძღვარია ბესარიონ ჩიჩუა, რომელიც ხობის არქიმანდრიტი იყო 1857 წლიდან. მას აქ აუშენებია „ზღუდის შუა“ ორსართულიანი სახლი ოთხი ოთახითა და დარბაზით ზემო სართულში. „კაცი მეტად მზრუნველი ამ მონასტრისათვის, მერმეთ მთელი მენგრელიის ეპარქიის ეპისკოპოსი, ნამდვილი კაცთმოყვარე მწყემსი და გულშემატკივარი მოღვაწე, საყვარელი მწყემსმთავარი, როგორც თავის სამწყსოსი, თანასწორ მთავრობისაც, იყო ყველასგან საყვარელი კაცი, ღირსი ნეტარებისა“ (85;48). იგი გარდაიცვალა 1865 წელს და საწინამძღვრო ტახტზე, ალბათ, სიმონ აფაქიძე ავიდა, რასაც გვაფიქრებინებს სამრეკლოს წარწერა: „1902 წ. გაკეთდა დროსა წინამძღვრობისა არხიმანდრიტის სიმონ მამუკას ძის აფაქიძისა, სამრეკლოს იატაკი, კიბეები გალავნით, ეკლესიის გალერეის იატაკი კიბეებით, ღმერთმან გაცხვენოს“. სიმონ აფაქიძის შესახებ ისტორიული წყაროები ისევე მწირია, როგორც მომდევნო წინამძღვრის შესახებ — ორივე მათგანი მოიხსენიება საფლავის ქვის წარწერაში: „აქ განისვენებს არხიმანდიდი შიო ქვილითაია“.

ეს საფლავის კვა უფრო ძველია, ვიდრე მეორე და აქ წინამძღვრის ვინაობის გარდა არაფერია ნათქვამი. არაა გამორიცხული, რომ იგი სიმონ აფაქიძის შემდეგ გახდა წინამძღვარი. მეორე საფლავის ქვის ეპიტაფიაში კი ნათქვამია: „აქ განისვენებს არხიმანდიდი მონასტრის გამგებელი ალექსი მამა მირცხულავა“. როგორც აღვნიშნეთ, ეს წარწერა უფრო ახალია, ვიდრე შიო ქვილითაიასი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ალექსი მირცხულავა მის შემდეგ მოღვაწეობდა ხობის მონასტერში.

ისტორიულ დოკუმენტებში ასევე მოიხსენიებიან შემდეგი ხობელი წინამძღვრები: გერმანე — 1864-1868 წლები, გრიგოლ დადიანი — 1871-1879 წლები, ბენიამინ ჭყონია — 1880-1893 წლები, ნიკოლოზი — 1907-1911 წლები, დიონისი — 1912 წელი, დიმიტრი — 1913-1914 წლები (118ბ;36).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხობელ იერარქთა ქრონოლოგიური რიგი ასეთ სახეს მიიღებს:

1. ეგნატე — XIII ს-ის I ნახ., 1212-1222 წწ., წინამძღვარი.



2. თადეოზი – XIV-XV სს. მიჯნა,  
ეპისკოპოსი.
3. საბა – XV ს-ის I ნახ.,  
ეპისკოპოსი.
4. ილარიონი – XIV ს-ის I ნახ.,  
ეპისკოპოსი.
5. ნიკოლოზ წულუკიძე – XVI ს., 1569 წლის ახლო პერიოდი,  
ეპისკოპოსი.
6. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი –  
წინამძღვარი 1632-1640 წწ.,  
ეპისკოპოსი 1640-1657 წწ.
7. ევთიმე ფალავა – XVII ს.,  
მთავარეპისკოპოსი.
8. ზებედე – XVII ს. 80-იანი წწ.,  
წინამძღვარი.
9. გრიგოლ მიქელაძე – 1806-1836 წწ.,  
წინამძღვარი.
10. ბესარიონ ჭყონია – 1840-1857 წწ.,  
წინამძღვარი.
11. ბესარიონ ჩიჩუა – 1857-1863 წწ.,  
წინამძღვარი.
12. გერმანე – 1864-1868 წწ.,  
წინამძღვარი.
13. გრიგოლ დადიანი – 1871-1879 წწ.,  
წინამძღვარი.
14. ბესარიონ ჭყონია – 1880-1893 წწ.,  
წინამძღვარი.
15. სიმონ აფაქიძე – 1894-1906 წწ.,  
წინამძღვარი.
16. შიო ქვილითაია – 1915-1928 წწ.,  
წინამძღვარი.
13. ალექსი მირცხულავა – 1928-1962 წწ.,  
წინამძღვარი.

## §2. ხობის ეპარქიის ყმები

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ხობის ტაძარი დიდ ყმა-მამულებს ფლობდა. ძირითადი დოკუმენტები, რომელთაც ჩვენ აღნიშნული საკითხის კვლევა-ძიებისას ვეყრდნობით, შემდეგია:

1) ოდიშისა და გურიის ერისთავის, შამადავლა დადიან-გურიელის სიგელი, რომელიც შედგენილია 1470-1474 წლებს შორის. იგი ეგრეთ წოდებული „ერთიანი სიგელია“, სადაც განმეორებულია უფრო ადრინდელი საბუთის შინაარსი.

2) მამულების მფლობელობის განახლების სიგელი ლევან II დადიანისა.

3) ნუსხა ხობის შესავალი და შეწირული სანთლისა.

4) ნუსხა ხობის ეკლესიის გლეხთა თეთრის გამოსაღებისა.

ამ დოკუმენტების კრიტიკული შესწავლა საშუალებას გვაძლევს, თვალნათლივ წარმოვსახოთ ხობის სენიორიის სოციალური დონე.

პირველი ჩვენთვის საინტერესო ისტორიული წყაროა ხობის ტაძრის „ძველი იადგარი“, რომელიც განმეორებულია შამადავლასა და ლევან დადიანების მიერ XV საუკუნესა და XVIII საუკუნეში გაცემულ საბუთებში. „ძველი იადგარის“ თავდაპირველი სახიდან ირკვევა, რომ ხობს ეკუთვნოდა „თავსა წმიდა გიორგი მსხულებისა, მისითა შესავალითა და გამოსავლითა, მისითა სამართლიანითა მზღვრითა, ტყითა, წყლითა და სანადიროთა, სათევზოთა, საყანითა, უძებრითა და საძებრითა – რასაც მოგვლია იხმარებდა იმ რიგითა და წესითა, გლეხებითა ყოლათა და ჯუარისმტვირთველითა ბერი ზოსიმესითა; კემხელს: გეგებურია ვაჭრის შვილები ბაბადიშა და მისნი ძმანი: კახიანი და ვაჟიბედაი, მას თანა ორნი მაშისძენი: დეისმამაი და ნადირია, ორნი ლადარია: მიქელა და მამისთუალი; წუწუნაური მამული და მარანი, მისითა ტყითა, წყლითა და ეკლესიის კარითა და სათევზოთა; კურიია მასხულია მისითა შვილებითა; ოთარი წუწუნავა მისითა მამულითა. ბერია მისითა მამულითა; წყლისპირს ბონია ქრისტეშიაი მისითა მამულითა; წყლისპირს ჭალადიდს რიონზედან ნახევარი ბაჟი ხოფისა ღვთისმშობლისა არის და ნახევარი კათალიკოზისა არის. ქარიანტას და კემხელს მესამედი წყლის ბაჟი ყოვლადწმიდისა არის. ნოხუდენს; ოთხი კუამლი კაცი: ყურუა და სხვიტავა, ანდალისშვილი და შონია მათითა მამულითა, ტყითა; წყლითა და სათევზოთა და ეკლესიის კარითა.

დადიანის სახლის თავი ნიშანი კათალიკოზისა არის, აგრევე, სხუათა აზნაურის შვილთა ნიშანი; აგრევე, სხუათა ებისკოპოზთა საფერხავი მართებს; და ამას არა ეთხოვებოდეს.

აგრევე, ცუს გამოღმა და ჭურთხას წყალს შუა ვინცა ნადირი მოკლას, სეფეს ყოვლადწმიდის წინ მოიღებდეს, — ნურავენ დააკლებს!

ვინცა ზოფის საყდარსა გარშემო უპატიობა იკადროს, ანუ გლეხი დაურბიოს, ანუ ჯოგი წაუსხას, ანუ ქურდობა ქნას, ანუ სასახლეს მოუხდეს და გატეხოს, ათი გლეხი დაუურვოს საყდარსა. ვინცა სახოფოსა ზედან მოუხდეს, დაარბიოს და დაწუას (...) მეხადილე კუამლი გლეხი დაუურვოს საყდარსა.

ვინცა უსამართლოდ ანუ ღალატითა საყდრისა კაცი მოკლას, ორი ზომა სისხლი დაეურვოს.

ვინცა ძმათაგანსა უპატიობა ჰკადროს, ანუ ავინოს, ათასი ბოტინატი დაეურვოს.

აგრეთვე, ჭურთხასა და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა არის“ (56ა;110).

ლოკუმენტი, ცხადია, მრავალმხრივ საინტერესოა, ამიტომ უფრო ნათელი სურათის მისაღებად შევეუდგეთ მის ლეტალურ განხილვას. თავდაპირველი ტექსტი XV საუკუნის პირველ ათეულ წლებში შეუდგენიათ (56ა;109-111). ამ დროს ტაძარს ეკუთვნის დაახლოებით 16 „საყდრის კაცი“ ან, შესაძლებელია, 16 ოჯახი, რამეთუ ლოკუმენტში ერთგან მოხსენიებულია „ოთხი კუამლი კაცი“. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ამ 16 „საყდრის კაციდან“ რამდენიმე საყდარს ეკუთვნის მამულით, მარნით, ეკლესიით, ტყით, წყლით, სანადიროთი, სათევზაოთი, საყანოთი. საყდარსავე ემსახურება ჯუარისმტვირთველი ბერი ზოსიმე (56ა;110).

ზოზის ტაძრის მამულები ფართოდაა გაშლილი. კემხელის ზღვისპირა ნავსადგომი, რომელიც ანაკლიასა და ფოთს შორის მდებარეობს,



ზოზის ტაძრის ორნამენტი.  
XIII საუკუნე.

ხობისათვის წყლის ბაჟის ერთ მესამედს იხდის. იმავე სახის გადასახადი მდინარე ჭურიას პირას მდებარე სოფელ ქარმაიატას ეკუთვნის, ხოლო მდინარე რიონზე მდებარე სოფელი ჭალადი ტაძრის სალაროში წყლის ბაჟის ნახევარს აგზავნის.

ხობის კუთვნილებაა მდინარე ხობსა და ჭურიასწყალს შორის მდებარე ტყე და ზღვის სანაპირო. ტაძარს დამატებითი შემოსავალიც აქვს იმ შემთხვევაში, თუ მას „უპატიობას“ ჰკადრებენ, გლეხებს დაურბევენ, ჯოგს წაუსხამენ, სასახლეს გაუტეხენ, გაქურდავენ – სასჯელი 10 გლეხის ოდენობით განისაზღვრება, ხოლო თუ ვინმე მის მფლობელობას დაწვეავს ან დაარბევს, სასჯელად ერთი გლეხის ოჯახი ეკუთვნის, „საყდრის კაცის“ მკვლელობისათვის ტრადიციული ქართული სისხლია დაწესებული, რაც მიყენებული ზარალის ქონებრივ ანაზღაურებას ითვალისწინებს.



ხობის ტაძრის სამრეკლო.

ვინც მონასტრის სასულიერო პირს უპატიობას კადრებდა, მას ათასი ბოტინატი ეკისრებოდა. ეს ფულის ერთეული ანუ მონეტა მოიჭრა ბიზანტიის იმპერატორის ნიკიფორე ბოტანიატის (1078-1081) მიერ. იგი საქართველოში მიმოქცევაში იყო მოჭრის დროიდან თითქმის ორი, XII-XIII საუკუნეების, განმავლობაში. მაგრამ „იადგარში“ ჯარიმად ბოტინატის დიდი რაოდენობა (ათასი) დაწესებული, რაც შეუფერებელია XII-XIII საუკუნეებისათვის და იგი უფრო XIV-XV საუკუნეების სოციალური ვითარების ამსახველი უნდა იყოს (56ა;110).

აქვე გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ დოკუმენტის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე — ეს ის წერილობითი ძეგლია, სადაც ერთადერთად თავმოყრილი ხობის საკუთრების (ადგილ-მამული, ყმა-გლეხები), პრივილეგიების, სისხლის ფასის, სხვადასხვა დროს შედგენილი იურიდიული აქტების ძირითადი შინაარსი ანოტაციების სახით, რომელთაც ამტკიცებდა ამ უფლებების მქონე საერო ხელისუფალი და საეკლესიო იერარქი. ასეთი დოკუმენტის შედგენის საჭიროება განპირობებული იყო პრაქტიკული მოთხოვნილებებით. საქმე ისაა, რომ ეკლესიამონასტრებში საკუთრების უფლებების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტებს დიდად უფრთხილდებოდნენ და სათანადო წესების დაცვით მეტად სათუთად ინახავდნენ (56ა;110). იშვიათად, რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ ხდებოდა „ბეჭდით დაბეჭდული“ დოკუმენტის „გახსნა“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტებით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის საქმე ხშირად მოითხოვდა უშუალოდ ამ აქტების მოხმობას. ეს „იადგარები“ ანუ „სამახსოვრო“ სიგელები დოკუმენტების დაცვა-შენახვის ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველდღიური პრაქტიკული გამოყენებისათვის დგებოდა (56ა;110). ალბათ სწორედ ამიტომ განუახლებია ლევან II დადიანსაც ეს იადგარი, რომელშიც შამადავლასეული იადგარის შინაარსი მეორდება. მას მხოლოდ თავში ერთვის ვრცელი ტექსტი, სადაც მოთხრობილია შამადავლას ღვაწლზე, ხოლო დასასრულს ნათქვამია: „დავსხედით ჩვენ კელმწიფე პატრონი დადიანი ლეონ და კათალიკოზი პატრონი მაქსიმე მაჭუტაძე და ვნახეთ ძუელი იადგარი, და სრულად ჩუენი დარბაისელნი დავსხით და გავსინჯეთ. და ასრე ეწერა წყევით, რომე ჳვირის და ცუს (შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა ხოფისა ღმრთისმშობლისა არის უცილობელი)“ (56ა;110). ესე იგი, სამეგრელოს მთავარმა აფხაზეთის კათალიკო-

სთან ერთად კიდევ ერთხელ დაადასტურა ხობის იურისდიქცია ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე.

ხობის ტაძარს XVI საუკუნეში მნიშვნელოვანი ფინანსური შემოსავალი ჰქონდა, რასაც ადასტურებს „ნუსხა ხოფის ეკლესიის გლეხთა თეთრის გამოსაღებისა“. მის მიხედვით, ტაძარი ყოველწლიურად საშუალოდ 1000-მდე თეთრს იღებდა, რომლის ნახევარი (505 თეთრი) მაისის თვეში იკრიბებოდა. გადასახადს დაახლოებით 50-მდე ოჯახი იხდიდა. ხობის ყმები შემდეგი გვარის წარმომადგენლები იყვნენ:

- |              |                         |
|--------------|-------------------------|
| 1. დუდუნია   | 12. ჭანტურია            |
| 2. კუტალია   | 13. შულაია              |
| 3. კუკუნია   | 14. კუკუტია             |
| 4. პარკალები | 15. ცხომარია            |
| 5. გორამები  | 16. რატიები             |
| 6. კორტიკია  | 17. ჩუკულიები           |
| 7. ჩიქობელი  | 18. თევნაზია            |
| 8. სანაკია   | 19. ილივარია            |
| 9. ცუდუნია   | 20. კვირკუელია          |
| 10. იასავა   | 21. ლუამჭითავა          |
| 11. ბერია    | 22. კუათაცხელია         |
|              | 23. შონია (37:349-350). |

ვინმე ანდრიათვალი კი ას სანთელს იხდიდა. გარდა ამისა, ემართა „ფოთელსაი ნავსაი მაისობისა თვითოსა ნავსაი თავსა მუნსა წონაი სანთელი“. ხობს ჰქონდა თავისი შეწირული და შესავალი სანთელი, ამის შესახებ მოგვითხრობს 1669-1742 წლებში შედგენილი „ნუსხა ხობის შესავალი და შეწირული სანთლისა“. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ შესაწირს იხდიდა: ხორგის თავისა და გაღმა ხორგის, ხობის, ბიას, სახარბედიოს სოფლების მოსახლეობა, კერძოდ კი შემდეგი გვარები:

- |             |              |
|-------------|--------------|
| 1. დასტურია | 13. გვაძაბია |
| 2. არცანდია | 14. დოღუზია  |
| 3. ხოჭოლავა | 15. კოღუა    |
| 4. პაჭკუტია | 16. სუბუქია  |
| 5. გიგბერია | 17. ჯგუბურია |
| 6. ლეფონავა | 18. ელიშია   |
| 7. ბერაია   | 19. სიჭინავა |



ცოტნე დადიანი. სობის ფრესკა.  
XIII ს.



შერგილ დადიანი. სოზის ფრესკა.  
XIII ს.



დედოფალი ნათელი. სოზის ფრესკა.  
XIII ს.



თამარ დადიანი. სოზის ფრესკა.  
XIII ს.



გიორგი დადიანი. სოზის ფრესკა.  
XIII ს.



- |                |                          |
|----------------|--------------------------|
| 8. არცანდია    | 20. ბიგავა               |
| 9. აფშილავა    | 21. ეჯიბია               |
| 10. ბიგავა     | 22. ხარბელია             |
| 11. დიხამინჯია | 23. შულაია               |
| 12. წულაია     | 24. ჟოელია (37;770-772). |

წლიური შემონაწირი სანთელი დაახლოებით 124 ლოლარიკი იყო. ამდენად, თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯერებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: ხობის საეპისკოპოსო ფლობდა დიდ მამულს, მარნებს, ტყეებს, სათევზაო წყლებსა და სანადიროებს, საყანე მიწებს, სოფლის ეკლესიებს. მას ბაჟს უხდიდა ოდიშის სამთავროს რამდენიმე ნავსადგომი. ყოველწლიურად 50-მდე ოჯახი და 23 გვარი 1000-მდე თეთრს უხდიდა. ხოლო 5 სოფლის 24-მდე გვარი 124-მდე ლოლარიკ სანთელს უგზავნიდა. მისსავე კუთვნილებაში იყო 16-მდე „საყდრის კაცი“.

მართალია, ეს ციფრები ძალიან მიახლოებითია და ისინი ერთი ეპოქის სურათს ვერ წარმოსახავენ, მაგრამ ამით საშუალება გვეძლევა, წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენი სიმდიდრის მფლობელი იყვნენ საქართველოს ძლიერი ეკლესია-მონასტრები, რომელთა რიცხვს ხობიც მიეკუთვნებოდა.

### §3. ხობის ტაძრის არქიტექტურა და მხატვრობა

ხობის ტაძრის მხატვრობა, სამწუხაროდ, ცალკე მეცნიერული შესწავლის ობიექტი არ გამხდარა. პირველმა, ვინც მის ფრესკებს ყურადღება მიაქცია, იყო ნ. ტოლმაჩევსკაია, რომელმაც ტაძრის შიდა სივრცის შემამკობელი მხატვრობის თითქმის სრული აღწერილობა მოგვცა. სანამ უშუალოდ მხატვრობის განხილვაზე გადავიდოდეთ. საინტერესოა თუ როდის შესრულდა იგი. ფრესკული მოხატულობის შესრულების პირველი ეტაპი, ჩვენი აზრით, ტაძრის აშენების დასრულებას უნდა უკავშირდებოდეს. მაშ, როდის აშენდა ხობის ტაძარი? XVII საუკუნის I ნახევარში როცა ათონელი ბერები ლევან II დადიანის სამფლობელოში მოგზაურობდნენ, როგორც ჩანს, ადგილობრივ მკვიდრთაგან, უკვე აღარავინ იცოდა ხობის აშენების ნამდვილი თარიღი. იგი ძალიან ძველად მიაჩნდათ მოსკოველ ელჩებს ტოლოჩანოვსა და იველევს, რომლებიც ათონელი ბერების

მონათხრობს გადმოგვცემენ. მათ აღუნიშნავთ კიდეც – ხობის აგებას ბერძენთა კეისარს ჰერაკლეს მიაწერნო.

ეს აზრი შემდეგ აღარავის გაუმეორებია. ვახუშტის საერთოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ხობის შესახებ. ძეგლის ძირითადი ნაწილის თარიღზე არც დიუბუა ამბობს არაფერს. მას მხოლოდ აღნიშნული აქვს: ვამეყის ეკვდრის ფრაგმენტთა ნაწილი „საქართველოს მეფეთა ბრწყინვალე ეპოქას – მე-11-12 საუკუნეებს“ მიეკუთვნებაო (190;234). საფიქრებელია, რომ მას თვით ტაძარიც ამ ეპოქის ძეგლად მიაჩნდა. ამგვარივე დათარიღებას ეთანხმებიან სხვა ავტორებიც: ნ. კონდაკოვი XI საუკუნეს ასახელებს, თაყაიშვილის აზრით, „გეგმა ტაძრისა, ჩუქურთმა და სტილი შენობისა უჩვენებს, რომ თავი მონასტერი უნდა იყოს აგებული არა უგვიანეს X-XI საუკუნისა“ (72;63). მღვდელ-მონაზონი კალისტრატე ტაძრის ამგებად დავით აღმაშენებელს მიიჩნევს. რა თქმა უნდა, ამ შესაძლებელ „მაშენებელთა“ შორის არც თამარია გამოტოვებული. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სრული შეთანხმება მიღწეული არ არის, საქართველოს ძლიერების ეპოქის ფარგლებს არცერთი ავტორი არ სცილდება.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე მიიჩნევს, რომ ხობის ფრესკაში „საყდრის აღმაშენებლად“ მოხსენიებული გიორგი ის დადიანია, რომელიც 1323 წელს გარდაცვლილა და ამიტომ „ტაძრის აგების თარიღიც ამავე ხანაში, XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე ექცევა“.

მეცნიერი ამასთანავე დასძენს, რომ შესაძლებელია, გიორგი დადიანი ტაძრის მშენებლობის დამწყები არ ყოფილიყო, რადგან „ერისთავთ-ერისთავს ვერვინ დაუშლიდა, თავისი თავი საყდრის მოდელით დაეხატვინებინა ... თუ გიორგის როლი მართლაც ამგვარი იყო, ტაძრის დაწყების, მისი ხუროთმოძღვრული შთანაფიქრის ჩასახვის თარიღი მცირედით გადაიწვედა უკან, XIII საუკუნის ბოლო ათეული წლებისაკენ“ (60;78).

ვახტანგ ჯობაძე, რომელიც დეტალურად შეისწავლის ხობის ტაძრის სამხრეთ ეკვდერს, ეკლესიას XIII საუკუნის ძეგლად მიიჩნევს (185;76).

უნდა აღინიშნოს, რომ ხობის ტაძრის შენობა ქართულ არქიტექტურაში გავრცელებულ რომელსავე ტიპს არ მიეკუთვნება: ეს უგუმბათო შენობაა, რომლის შიგნით კამარები ჯვაროვან სივრცეს, გარეთ კი მათი სახურავები ჯვაროვან მოცულობას ქმნიან. ჩრდი-



ზაქარია მღვდელთმთავარი წერს იოანეს სახელს.  
ფრესკა. სობი. XIII საუკუნე.

ლო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეები თავდაპირველად ცალკე ეკვდრებად იყო გამოყოფილი, უფრო გვიან კედლები გამოიღეს და ეკვდრები მთავარ სივრცეს დაუკავშირეს. დასავლეთისა და სამხრეთის ფასადებს მთელ სიგრძეზე მიკვება ღია გალერეა, რომელიც სამხრეთ ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში დახურული ეკვდრით მთავრდება. გალერეა მთლიანად ერთდროული არ არის. ტაძრის ფასადები უხვადაა მოჩუქურთმებული. ამ მოჩუქურთმებას, კერძოდ კი სამხრეთ ეკვდერს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროფესორმა ვახტანგ ჯობაძემ, რომლის აზრითაც, ეს მიშენება ჯიქეთის იმ სალოცავის მსგავსია, რომელიც დადიანისა და შერვაშიძის ომმა შეიწირა. ძეგლის ეს ნაწილი წააგავს XVI საუკუნის ბაზილიკას, რისი დასტურიც ფილები, მოაჯირი, ჩუქურთმები და ლათინური ჯვრებია (185;76).

ტაძრის მშენებლობა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა – ჯერ დასავლეთის კარიბჭე, შემდეგ კი იმავე ფასადის მთელი სიგრძის გაყოლებით, კარიბჭის მარჯვნივ და მარცხნივ გალერეა აიგო.

საღებავებით შესრულებული წარწერა ამ გალერეის კარნიზზე, რომელიც, ალბათ, სამშენებლო ხასიათისა იყო, სამწუხაროდ, მთლი-

ანად განადგურებულია. მარჯვენა კუთხეში ცუდად განირჩევა რამდენიმე ასო, მაგრამ რაიმე აზრის გამოტანა არ ხერხდება. სამაგიეროდ, სამხრეთის გალერეისა და ეკვდერის აგების ამბავი მოთხრობილია გრძელ წარწერაში, რომელიც ეკვდერის შესასვლელის ზემოთ, საგანგებოდ გათლილ დიდ ქვაზეა ამოკვეთილი, წარწერა ცხრასტრიქონიანია:

- „1. ქ.სახელითა ღმრთისათა, ერისთავთ ერისთავმან და მანდატურთ
2. უხუცესმან დადიანმან ვამეყ, მამისა მათისა [პატრ
3. ონისა ერისთავთ-ერისთავისა დადიანისა გიორგისა შედეგად მიუქდა ჯიქეთ[ს]
4. ურწმუნოებისა და ორგულობისათჳს, რათამცა მოემსახურა. და სძლო და შ
5. ეურაცხ და უკმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღაღნი ყ
6. ოველნივე ძალითა მოირჭუნა, მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მიუ
7. ვალი მოარბიენა. რაოდენნი მოეწყო მათი მძევალი წამოსახნა
8. და სხვანი აოტნა, და მაშინ მოიღო სვეტნი და ფიქალნი ესენი მარმ

9. არილოსანი და მამა — დედათა ლარნაკი და მისი და მარეხ გააერთ(ა), საუკუნომცა არს ესენება მათი“ (72;134).

ამ წარწერის დასასრული პროფესორმა ვ. სილოგავამ შემდეგნაირად წაიკითხა: „მამა-დედათა ლარნაკი და მისი და მარეხისა გააერთა“.

ეს ტექსტი ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს ისტორიული თვალსაზრისით, რადგან ვამეყის ამ ლაშქრობის შესახებ არცერთ სხვა წყაროს არ შემოუნახავს არავითარი მითითება. როგორც ვ. ბერიძე შენიშნავს, წარწერა საინტერესოა თვით ამომკვეთის პიროვნების წარმოსადგენდაც: ვამეყი უთუოდ ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და ენერგიულია სამეგრელოს მთავართაგან, იგი არა მარტო ძლევამოსილი მოლაშქრეა, არამედ მისთვის დამახასიათებელია (და არა შემთხვევით), რომ მას ამოღენა მანძილზე მოაქვს მარმარილოს „სვეტნი და ფიქალნი“ საგანგებოდ ეკვდერის ასაშენებლად (60;79).

ვამეყის მთავრობის წლები ცნობილია და ამით ამ წარწერისა და ეკვდერის აგების თარიღიც ადვილად ირკვევა: ვამეყი „დაჯდა დადიანად“ 1384 წელს, მამის გიორგის გარდაცვალების შემდეგ, ხოლო გარდაიცვალა 1396 წელს.

RESIDENTIE PRINCIPALJ ACQVISTATE IN ORIENTE  
 da nostri Padri sotto tre Pontefici cioe Urbano VIII.  
 Innocentio X. & Alessandro VII.

Handwritten signatures in Latin script at the top of the page.



Vertical column of handwritten text on the right side of the illustration.

Handwritten text located to the left of the figure's lower body.


Handwritten text located to the right of the figure's lower body.

Block of handwritten text in the lower right quadrant of the page.

Large block of handwritten text at the bottom of the page, likely a title or description in Georgian script.

სომელი ეპისკოპოსი ნიკიფორე ირბანი-ჩოლოყაშვილი კასტელის მიხედვით.

ვახტანგ ბერიძე ძეგლზე დაკვირვებიდან გამომდინარე ასკნის, რომ გალერეაც და დახურული ეკვდერიც ვამეყს უნდა ეკუთვნოდეს. მარმარილოს სვეტები ამ ეკვდერშია გამოყენებული, „ფიქალნი“ გალერიის კედლებში ჩაურთავთ, რამდენიმე ცალი კი ეკლესიის შიგნითაც გამოუყენებიათ — საკურთხევის იატაკსა და ტრაპეზზე.



წმინდანთა რიგი. ხობის ფრესკა.  
XVII ს.

წარწერის უკანასკნელი სტრიქონის თანახმად, დახურული ეკვდერი ვამეყს თავისი მშობლებისა და მეუღლის დასაკრძალავად მიუშენებია ტაძრისათვის. ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ „მამადედანი“ ჯერ სხვაგან ყოფილან დაკრძალულნი და მხოლოდ ამ კაპელის აგების შემდეგ მომხდარა მათი „გაერთიანება“. ბუნებრივი და გასაგებია, რომ ვამეყს სურდა, საკუთარი საოჯახო საძვალესამლოცველო ჰქონოდა სწორედ ამ ტაძარში, რომლის შექმნაც მისი არც ისე შორეული წინაპრის სახელთან იყო დაკავშირებული და რომელშიც თავიდანვე არსებობდა საგანგებო საძვალეები ცალკეულ ოჯახთათვის. რა თქმა უნდა, ხობის ეკვდერში არა მარტო ვამეყის მშობლები და მეუღლე არიან დაკრძალულნი, არამედ თვით ვამეყის პორტრეტები, რომლებიც ჩრდილოეთის კედელზე აფსიდის წინ იყო მოთავსებული, შესაძლებელია ვამეყისა და მისი მეუღლისა ყოფილიყო. მამაკაცს წარწერა არ შერჩენია, ქალის თავთან კი გაირჩეოდა შემდეგი წარწერა: „თ...ფ...მარ. შეუნდვნეს ღმერთმან“.

საერთოდ, ხობის ტაძრის მხატვრობა, ისევე როგორც არქიტექტურა განსაკუთრებით საინტერესოა. ნ. ტოლმაჩევსკაია მისი შეს-

რულების ქრონოლოგიას რამდენიმე ეტაპად ყოფს – ნაწილი XIII საუკუნეს განეკუთვნება, სამხრეთ ეკლერში – XIV საუკუნის ფრესკებია, მხატვრობის ძირითადი ნაწილი კი XVII საუკუნისაა.

თანმიმდევრულად მიყვებით მათ აღწერას:

აფსიდა: ანგელოზებს შორის გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღმრთისმშობელი, თაღზე მედალიონებში წინასწარმეტყველება ჩახატული. ცოტა ქვემოთ თეთრად შემოსილი 8 ანგელოზი ერთმანეთს ეგებება. ყოველ მათგანს ბერძნული წარწერა „აგიოს“ ამშვენებს. უფრო დაბლა წარმოდგენილია 2 სახის „ევექარისტია“, მათ ქვემოთაა მაკურთხეველები და ხელთუქმნელი სახება კვართზე. თაღის შუაში 4 ანგელოზს მედალიონი უკავია ჯვრით და წარწერით „აგიოს“. დანარჩენი 4 ანგელოზის ხელებში მოთავსებულ მედალიონს ვარსკვლავები ამშვენებს. ამ სცენის გაგრძელებად გვევლინება ნათელ მანტიაში შემოსილი ანგელოზი, რომელსაც ხელში საკუთარი მოკვეთილი თავი უჭირავს.

აფსიდიდან თაღის სამხრეთ დაქანებაზე წარმოდგენილია: „ხარების“ ორი სახე, „ელისაბედის ამბორი“, „შობა“, „მოგვთა თაყვანისცემა“, ცოტა ქვემოთ – „ევეკიპტიდან გაქცევა“, „მთავარანგელოზი მიქაელი“, ორნაირი „აკაფისტო“, ქვედა რიგში – „ურწმუნო თომას დარწმუნება“, „ფერისცვალება“ და ქტიტორთა სახეები.

საკურთხეველიდან ჩრდილოეთ დაქანებაზე: „ხარება“ „აკაფისტოს“ 8 სცენით იწყება, მის ქვემოთ წარმოდგენილია „ჯოჯოხეთში წარგზავნა“. თაღის მეორე მხარეს; „წმინდა სულის ზეცასთან შერწყმა“, უფრო დაბლა წარმოდგენილია ქტიტორები.

სამხრეთ მკლავის თაღში გამოსახულია მედალიონში ჩახატული მაცხოვრის წელსზედა გამოსახულება, ცოტა დასავლეთით – „ტაძრად მიყვანება“, სამხრეთ კედელზე – „ამაღლება“. ქვემოთ – მოციქულები, რომელთაც გადახლართული ორნამენტების წრეები აკრავთ, მათ ქვემოთ ვხედავთ წმინდანებს და ღმრთისმშობელის ჩვილით.

ჩრდილოეთის მკლავის თაღის ცენტრში ჩანს „მთავარანგელოზი კვერთხით“, აღმოსავლეთ მხარეს – „ჯვარცმა“, დასავლეთ მხარეს – „ქრისტეს დატირება“.

ჩრდილოეთ კედელზე, ზემოთ – „სამ განდევილ ანგელოზთან ერთად“, ქვემოთ – „ჯვარზე გაკვრა და ჯვრიდან გარდამოხსნა“, შემდეგ კი ჩანს „ქრისტეს გლოვა“, რომლის გვერდითაც ვხედავთ ქტიტორებს.

სადიაკნე კონქში ორ ანგელოზსა და წინასწარმეტყველებს შორის მოქცეულია მედალიონში ჩახატული ქრისტე — ემანუელი. მთელი ჯგუფი გარშემორტყმულია ანგელოზებითა და ქერუბიმებით.


**სამსხვერპლო:** მახარობლების სიმბოლოებსა და ორ წინასწარმეტყველს შორის მოქცეულია შარავანდით დამშვენებული მაცხოვრის გამოსახულება. ქვემოთ, სცენა წმინდანთა რიგით გრძელდება, მათ ხელში გრაგნილები უკავიათ.

ტაძარში შემორჩენილ XVII საუკუნის მხატვრობაში შეიმჩნევა რამდენიმე ოსტატის ხელი. აქ ყვითელი საღებავი ნათელი გამით გამოირჩევა და ეს საკურთხევის მხატვრობაში კარგად ისახება. აქვე ნათლად შევამჩნევთ ბიზანტიური ხელოვნების გავლენას, რისი საუკეთესო დასტურიც აფსიდის სამხრეთ კედელზე დაცული იულიონ განდევილის დიდი სცენა გახლავთ, სადაც ამ უკანასკნელს რაინდი ამარცხებს, პირქვე დამხობილი იულიონის ფიგურაში კარგადაა წარმოდგენილი ბიზანტიური ტიპის ტანსაცმელი და გვირგვინი. მიუხედავად იმისა, რომ იულიონი მახვილითაა განგმირული, სცენა მაინც საოცრად მშვიდია, მისი ფიგურის პროპორციები რეალისტურია, სახის წყობა შეუვალი და ოდნავ შეთეთრებულია, შუქრდილები არ შეიმჩნევა.

ჩრდილოეთის მკლავის მხატვრობა შესრულების დაბალი და მდარე გემოვნებით გამოირჩევა. აქ ფიგურები არაპროპორციულია, პერსონაჟების თავები ხშირად ძალიან დიდია (მაგალითად, „ქრისტეს დატირების“ სცენაში). არაპროპორციულობა და შესრულების მანერა მომხატველთა გაუწაფობაზე მეტყველებს, შუა ნეფის თაღში საღებავი უფრო მძიმეა და აქ ფორმათა უკიდურესი სტილიზაცია შეიმჩნევა, მხატვრობის იმ ნაწილის კოლორიტი, სადაც შავი კონტურები დომინირებს, ღარიბია. მთებისა და არქიტექტურული ნაგებობების ფონისათვის ძირითადად ორი ფერი: წითელი და ნაცრისფერია გამოყენებული, აქ ისინი ერთნაირად მონაცვლეობენ. მთები უცნაურ ფორმას იღებენ, მაგალითად, ეს კარგად შეიმჩნევა მოჯირითე მოგვების სცენაში, სადაც მთების წითელი სამკუთხედები და კვერცხისმაგვარი მწვერვალები შავი კონტურებით სრულდება. ასეთივეა მიწაც. ხშირად შავ კონტურს თეთრი მიუყვება, რაც მას უფრო კარგად გამოჰკვეთს (179;37-38).

ხობის ტაძრის, უფრო სწორად, ვამეყ დადიანის ეკვდრის მხატვრობა საგანგებოდ შეისწავლა ი. ლორთქიფანიძემ (160ა;139-145). ვამეყის ეკვდრის მოხატულობის რეპერტუარი განსასვენებლისათვის





ხოზის ტაძრის სამრეკლო.

შესაბამისია და ბიზანტიურ საძვალეებთან იჩენს მსგავსებას. აქ რელიგიური სცენები სათანადო დატვირთვითაა წარმოდგენილი. აფსიდის კონქზე გამოსახულია ტახტზე მჯდომი ღმრთისმშობელი ყმით და ანგელოზებით. დასავლეთის კედლის ზედა რევისტრში წარმოდგენილია მაცხოვრის, მარიამისა და იოანეს ფრესკები. ეკლერიის კედლებზე ასევე წარმოდგენილია „ჯვარცმა“, „ჯოჯოხეთად შთასვლა“, „მენელსაცხებლე ქალები მაცხოვრის კუბოსთან“, „გარდამოხსნა“, „დატირება“, ჩრდილოეთის კედელზე მოჩანს მაცხოვარი კუბოში.

ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ მხარეს ქტიტორებია გამოსახული. ვამეყ დადიანი და მისი თანამეცხედრე მარეხი. შესაძლოა, აქ სხვა ქტიტორებიც იყვნენ წარმოდგენილნი (ვამეყის მამა გიორგი და მისი მეუღლე) (160ა;142). მართალია, ქტიტორთა ფიგურები ძალიან დაზიანებულია, მაგრამ შეიმჩნევა, რომ ისინი მდიდარი საერო პირებისათვის შესაფერისი ტანსაცმლით არიან შემოსილნი. მათი გრძელი მოსასხამები მორთულია ოქროთი და ძვირფასი ბეწვეულით, ვამეყის მეუღლეს გვირგვინი ამშვენებს, მთავარს კი კონუსისმაგვარი მაღალი ქუდი ახურავს (160ა;144), (მსგავსი ქუდითაა წარმოდგენილი ლევან II დადიანი ცაიშის ტაძრის ერთ-ერთ ფრესკაზე. როგორც

ჩანს, იგი სამეგრელოს მთავრების მოკაზმულობის დამახასიათებელი ატრიბუტი იყო).

ქტიტორები გამოსახული არიან მლოცველთა პოზაში დეკორატიული არკის ქვეშ, საერო პირთა სახეები წმინდანთა სახეების მანერითაა შესრულებული. საოცრად მომხიბვლელია მარეხი. დედოფლის გვერდით ვამეყი წარმოგვიდგება, როგორც მრისხანე და ბრძენი მთავარი.

უცნობია, თუ ვინ მოხატა ვამეყის ეკვდერი, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ავტორი წალენჯიხის ფრესკების მხატვრის კირ მანუელ ეგგენიკოსის ერთ-ერთი მოწაფე ყოფილიყო (160ა;145).

აქვე გვინდა ხობის არქიტექტურულ კომპლექსში შემავალ სასახლეზეც ვისაუბროთ. მის შესახებ ისტორიული ცნობა შემოუნახავს მღვდელ-მონაზონს კალისტრატეს, რომლის თქმითაც: „ეკლესიის ზღუდეში ჩაშენებულია ... ორსართულიანი პალატი, სიგრძე 42 ალაბი, ქვედა სართულში მარანია. ძველ ქვევრთა შორის, ერთი მათგანი 365 კოკისა“ (85).

ხობის სასახლე გეგმაში სწორკუთხედიანია. იგი სიგრძივი ღერძით ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა მიმართული. ძველი ნაგებია სხვადასხვა ზომის, უხეშად დამუშავებული თეთრი ქვით, რიგების პორიზონტალურობა მეტ-ნაკლებად არის დაცული.

პალატის ქვედა სართულში მარანია გამართული. მისი სწორკუთხა განიერი შესასვლელი დასავლეთიდანაა. მოგვიანებით იგი დაუვიწროვებიათ. შესასვლელის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, თითო, ვიწრო, თაღოვანი სარკმელია, რომელთა წირთხლები შიგნით ფართოვდება. კიდევ ერთი ასეთი სარკმელია სამხრეთი კედლის შუაში. სართულშუა გადახურვა ამჟამად აღარ არსებობს, მაგრამ ადგილზე არსებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ იგი ბრტყელი იყო. ზედა სართულის იატაკი ეყრდნობა პილასტრებს. მათ შორის არე რიყის ქვის წყობით არის შევსებული. პილასტრები დაახლოებით ერთ მეტრზეა შემორჩენილი. საფიქრებელია, რომ, როცა ისიც მთელი სიმაღლით იქნებოდა აღმართული, სამხრეთით ერთი მათგანი დაფარავდა სარკმელს, ხოლო მეორე – ნიშას ჩრდილოეთით.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ზედა სართულზე ასასვლელი კიბის ორი საფეხურია შემორჩენილი (127;55).

მეორე სართულის დასავლეთი კედელი ოთხი დიდი თაღოვანი სარკმლითაა გახსნილი, რომლებიც პირდაპირ იატაკიდან იწყებოდ-

ნენ. სარკმელთა თაღები ორსაფეხუროვანია და ეყრდნობა მარტივ, სწორკუთხა მოყვანილობის თაროს. სარკმელთა წირთხლები, ისევე როგორც თაღები, თლილია და ერთმანეთზე კარგად მორგებული ქვებითაა ამოყვანილი (127;55).

მეორე სართულის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებს ფრონტონიანი დასრულება აქვს. სამხრეთით კედლის ფრონტონის შუაში ერთი ვიწრო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მის ქვევით, აღმოსავლეთ ნაწილში სწორკუთხა კარია. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ნახევრად დანგრეული აგურის ბუხარია. იგი გვიანდელი უნდა იყოს, რადგან უკვე შელესილ კედელზეა მიშენებული და თან განსხვავებული მასალისაა (ამ შენობაში აგური სხვაგან არსად არ არის გამოყენებული) (127;55).



ზობის ტაძარი დიუბუა დე მონაერეს მიხედვით.

მეორე სართულის ჩრდილოეთი კედელი ნაწილობრივ ჩამოქცეულია, მის აღმოსავლეთ ნაწილში გაჭრილია სწორკუთხა კარი.

ამ სართულის აღმოსავლეთი მხარე ყველაზე მეტად არის დაზიანებული. აქ სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია სარკმლის კვალი.

სასახლეში მრავლადაა სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნიშა. შენობა გარედან და შიგნიდან შელესილი იქნებოდა. შელესილი ნაწილები ახლაც არის შემორჩენილი ზოგიერთ ადგილას. შესაძლოა, ინტერიერი მოხატულიც ყოფილიყო.

სამხრეთიდან მეორე სართულზე გარედან მიშენებული კიბით ადიოდნენ, რომლის კვალი შეიმჩნევა კედელზე. ჩრდილოეთით კი


რელიეფი ისეთია, მიწის დონიდანვე იქნებოდა შესაძლებელი შენობის მეორე სართულზე შესვლა. ამ მხარეს მოგვიანებით მიუდგამთ ორსართულიანი, რიყის ქვით ნაგები საცხოვრებელი, სადაც შესანიშნავი ქვის ბუხარია შემორჩენილი.

სასახლე გადახურული იქნებოდა ორკალთა სახურავით (127;55).

ციცინო ჩანხუნაშვილი, რომელმაც პირველად შეისწავლა ისტორიული ძეგლი, მიიჩნევს, რომ ხობის სასახლე XVII საუკუნეში უნდა აეშენებინათ და შესაძლებელია, მისი მშენებლობის ინიციატორი წარმოშობით კახელი ნიკიფორე ირბასი ყოფილიყო. ალბათ ამიტომაცაა რომ ხობის სასახლე მიგვანიშნებს იმ ორსართულიან, დიდი ღიობებით გახსნილ სასახლეებზე, რომელთა უმეტესობა სწორედ კახეთში შემოგვრჩა (127;55).



ყოვლადწმიდა მარიამ ღმრთისმშობლის კვართი.



უფლის სახევა ღმრთისმშობლის კვართზე  
(ფოტო - გ. როგაეასი, დ. ასათიანისა).



უფლის სახევა ღმრთისმშობლის კვართზე  
(ფოტო - გ. როგაეასი, დ. ასათიანისა).

# VI თავი

## წმინდა ნაწილები და რელიკვიები სამეგრელოში

### §1. წყაროები

ქართული ეკლესიის წმინდა ნაწილთა და რელიკვიათა საგანძური მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი შეუსწავლელია, რაც გარკვეულწილად აფერხებს ქართული ეკლესიის ისტორიის ზოგიერთი საკითხის კვლევას.

ყოველ წმინდა ნაწილსა და რელიკვიას, რელიგიურის გარდა, კონკრეტული საეკლესიო დანიშნულებაც აქვს. მნიშვნელოვან წმინდა ნაწილთა ქონა მის მფლობელს მსოფლიო ეკლესიათა საძმოში ავტორიტეტს ანიჭებდა, წმინდა ნაწილები კი მრავალრიცხოვან მრევლს იზიდავდა, რაც ეკლესიის მესვეურთათვის ღირსებისა და შემოსავლის წყარო იყო.

მსოფლიო ისტორიაში ხშირია შემთხვევა, როდესაც წმინდა ნაწილებს პოლიტიკური მიზნებისთვისაც იყენებდნენ. მათი მიზეზით ომებიც კი იმართებოდა. შუა საუკუნეებში ქრისტიანულ სიწმინდეებს მისტიკურ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ. იქმნებოდა თქმულებები, ლეგენდები, ლიტერატურული და ჰიმნოგრაფიული ძეგლები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ქართულ ეკლესიაში საუკუნეების განმავლობაში ბევრმა ქრისტიანულმა სიწმინდემ მოიყარა თავი, რაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა თუ რელიგიურმა მოვლენებმა განსაზღვრა. საქართველო უდიდესი ქრისტიანული საგანძურის სავანედ იქცა.

ჩვენი აზრით, ქრისტიანულ სიწმინდეთა და რელიკვიათა შესწავლა საქართველოს ეკლესიის ისტორიის ბევრ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს მოჰყვანს ნათელს.

ქართულ წერილობით წყაროთა შორის, უპირველესად, უნდა დავასახელოთ ის საეკლესიო დოკუმენტები, რომლებიც ინახებოდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ეპარქიაში.

საინტერესო წყაროა 1042 წლის ხელნაწერი „ღმრთისმშობლისა მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა სპარსთა და სკვითთა

ზედამოსვლისაგან 625-632 წწ.“, რომელიც მოგვითხრობს მარიამ ღმრთისმშობლის კვართის თავდაპირველი სამყოფელის შესახებ. წყაროში ასევე წარმოჩენილია, ბიზანტიელ ხელისუფალთა და სამღვდელთა დამოკიდებულება სიწმინდეებისადმი.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებს, კერძოდ, იმ ქრისტიანულ გადმოცემებს, როძლებიც მოგვითხრობენ პალესტინიდან ბიზანტიაში მარიამის კვართის გადმოსვენებაზე, 627 და 672 წლებში სარკინოზთა და სპარსელთა თავდასხმების დროს მომხდარ სასწაულებრივ მოვლენებზე.

საყურადღებოა XI საუკუნის ავტორების: გიორგი კედრენეს, ლეონ გრამატიკოსის, სიმეონ ლოგოთეტის, პატრიარქ ფოტიუსის თხზულებები.

აქვე აღვნიშნავთ XII საუკუნის ლათინურ წყაროსაც, რომელშიც აღწერილია კონსტანტინოპოლში დაცული სიწმინდეები. მნიშვნელოვანი როლი ეკისრება XIV საუკუნის რუსი მემატიანის ნიკიფორე კალისტასა და მიტროპოლიტ პიმენის ცნობებსაც.

საკითხის კვლევისას ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სხვა რუსულ წყაროებს, რომლებიც მოგვითხრობენ 866 წელს წარმართი რაინდების – ასკოლდისა და დირის ბიზანტიაში ლაშქრობასა და მათ წინააღმდეგ ღმრთისმშობლის კვართის სასწაულებრივი ძალის გამოყენებაზე.

მატერიალური ნივთებიდან, წმინდა ნაწილების გარდა, საყურადღებოა ხატები და ტაძრები, რომლებიც ღმრთისმშობლის კვართისა და სარტყლის დასვენების დღის აღსანიშნავად იქმნებოდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ირგვლივ სრულყოფილი მასალა მაინც არ გაგვანჩია. ამდენად, ბუნებრივია, წყაროების ერთგვარი სიმწირე წინამდებარე ნაშრომსაც გარკვეულ დალს დაასვამს.

## §2. სამეგრელოში დაცული სიწმინდეების ისტორიიდან

ქართველი ხალხი დიდ პატივს სცემდა წმინდანებს. ჩვენს ქვეყანაში მოკრძალებით ინახავდნენ წმინდა ნაწილებს, რადგანაც მათ ფლობას ქრისტიანულ სამყაროში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.



ვიდრე სამეგრელოში დაცულ სიწმინდეებს განვიხილავდეთ, თავალი გადავაკლოთ საქართველოს სიწმინდეთა ძირითად ნუსხას: ქრისტეს კვართი, მაცხოვრის თმები და წვერი (ჯვარცმისდროინდელი), „სამსჭუალნი ფეხთანი უფლისა და ფეხთა ფიცარი ქრისტეს ჯვრისა“, ძელიცხოვლის ნაწილი, მაცხოვრის ხის თეფში საიდუმლო სერობიდან, შოლტი, რომლითაც მაცხოვარი იგვემა, ბაწარი, რომლითაც იგი იყო გათოკილი, სახვევი, რომელშიც მას ბავშვობაში ღმრთისმშობელი ახვევდა, მაცხოვრის ეკლის გვირგვინის ნაწილი, ღმრთისმშობლის კვართი, მისი კბილი, ილია წინასწარმეტყველის ხალენი მცხეთაში, ანდრია პირველწოდებულის ნაწილები, თომა მოციქულის თავი, იოანე ნათლისმცემლის ხორხი ოპიზაში, წმინდა მარინესა და წმინდა კვირიკეს მკლავი“ (113;164).

ქალაქ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულია სიწმინდეები, რომლებიც შემოსულა ზობის მიძინების ეკლესიიდან 1923-1936 წლებში და მსოფლიო მუზეუმის საგანძურთა შორის დიდ იშვიათობას წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ღმრთისმშობლის სახელგანთქმული კვართი, რომელიც, როგორც ჩანს, თავის დროზე დეკორით ყოფილა შემკული, მაგრამ დროთა განმავლობაში საღებავი გადასულა და იგი ამჟამად ტილოს უფრო წააგავს (ზომა 180×150 სმ). აქვე დაცულია წმინდა კვირიკეს ხელი (აკლია ორი თითი: ნეკი და არათითი), წმინდა მარინეს მკლავი უსამკაულოდ (აკლია ცერი და საჩვენებელი თითის სახსარი), იოანე ნათლისმცემლის ძელის ნაწილები და წმინდა გიორგის ბარძაყის ძვალი (58).

ზემოჩამოთვლილი წმინდა ნაწილები მოთავსებულია ვერცხლით მოჭედილ პატარა ზომის კუბოში, რომელიც ლევან II დადიანის (1611-1657) დაკვეთით დაუმზადებიათ. მასზე მხედრული წარწერებია: ა) „... შევამკვეთ და მოვაჭედინე კვართის კუბო ესე ვერცხლითა, ოქროთ დაფერვითა, თვალთა მარგალიტითა კელმწიფემან დადიანმა პატრონმა ლევან. მისთვის საოხად შევიმკვეთ ყოვლად წმინდაო ქერაბინთა ... შეისმინე ვედრება ჩვენი, და იხსენ და აცხოვნე, განასვენე და აკურთხე სული დედოფლისა ნესტან დარეჯანისა და დაამკვიდრე სასუფეველსა, ამინ. მოიჭედა ყოვლად წმიდისა პერანგისა კუბო ესე ქრონიკონსა სამას ოცდარვასა“ (58); ქრონიკონი უდრის 1640 წელს.

ბ) „ქ. ხოფისა ღეთისმშობელო, აღიდე ორთავე შინა ცხოვრებათა ამისი შემამკობელი გურიელის შვილი მალაქია ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქვენცა შეგინდოს ღმერთმან, ამინ“ (58).


ისმის კითხვა: როგორ მოხვდა ღმრთისმშობლის კვართი და ზემოხსენებული წმინდა ნაწილები ხობის ტაძარში?

„ქართლის ცხოვრება“ ვერაფერს გვეუბნება ხელმოსაჭიდს. ვახუშტი ბატონიშვილი მხოლოდ ლაკონიურ ინფორმაციას იძლევა აღნიშნულ საკითხზე: „... (ხოფის) ეკლესიასა შინა მსუენარებს პერანგი ყოვლად წმიდის ღმრთისმშობლისა, სასწაულთმოქმედი“ (12;778).

სამაგიეროდ, ზემოაღნიშნულ სიწმინდეთა შესახებ ცნობები დაცულია უცხოელ ავტორთა თხზულებებში. სამეგრელოში დაცული წმინდა ნაწილების შესახებ საინტერესო და უხვი მასალაა შემონახული პაველ ზახარევისა და ფედოტ ელჩინის ელჩობის „აღწერილობაში“. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მათ მითითებაში სთხოვდნენ, ყველანაირი საშუალებით გაეგოთ, იყო თუ არა სამეგრელოში ძელიცხოვლის ნაწილები, ქრისტეს კვართი ან სახვევი, ღმრთისმშობლის კვართი და სხვა ქრისტიანული სიწმინდეები (50;262). ამიტომაც, მათ განსაკუთრებული სიზუსტით აქვთ აღწერილი სიწმინდეებთან დაკავშირებული თითქმის ყველა დეტალი. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლისას გარკვეულ პრობლემებს წააწყდით, რადგანაც ორივე ელჩმა სამეგრელოში მოგზაურობისას დამოუკიდებელი ნაშრომები შეადგინა, უფრო ნათელი სურათის წარმოსადგენად, საჭირო გახდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. ვთავაზობთ რუსი ელჩების ინფორმაციას სამეგრელოში დაცულ სიწმინდეთა შესახებ.

ელჩებს სამეგრელოში მოუნახულებიათ მაცხოვრის სახელობის ერთ-ერთი მონასტერი, რომელშიც უამრავი სიწმინდე ყოფილა დაცული. ისინი ხატში ყოფილან მოთავსებულნი და მოოქროვილ-მოვერცხლილ პატარა უჯრებში ჩადებულნი. ხატზე იმპერატორ კონსტანტინესა და მისი დედის ელენეს წარწერაც ყოფილა.

ეპისკოპოს ანდრიას ელჩებისათვის მოუხსენებია, თუ ვის ეკუთვნოდა ეს წმინდა ნაწილები: — კოზმას, დამიანეს, აზარიას და მისაილს, წმინდა პანტელეიმონს, კირიაკეს, დანიელ მესვეტეს, იოანე დამასკელს, ბარბარე წამებულს, ანასტასიას, წმინდა წამებულ ანას, მარინეს, თეკლეს, ეკატერინეს, დიმიტრი სოლუნელს, წმინდა წამებულ ხარ-



ბედიელი არქიეპისკოპოსის ქონების შესანახი ნაგებობა  
კასტელის მიხედვით.

ლამპის, ანდრია კრეტელს, თეოდორე ტირონს, წმინდა გიორგის, გრიგოლ ღმრთისმეტყველს, წმინდა მოციქულ მათეს, წმინდა წამებულ პროკოფის და დიდებულ სასწაულთმოქმედ ანტონს, წმინდა კიპრიანეს, წმინდა წამებულ ვლასიას, იაკობ სპარსს, თეოდორე სტრატელატს, იოანე გულმონაწილეს, ვასილი კესარიელს, წმინდა და სასწაულთმოქმედ ნიკოლოზს, წმინდა სპირიდონს, ღმრთისმშობლის დედას ანას, მოციქულ არქიფოს, ანტონ დიდებულს და ყოველივე ამათ შორის ყოფილა ღრუბელი, რომლითაც ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს ძმარი მიადღიეს. ელჩების კითხვაზე, — თუ საიდან აღმოჩნდა აქ ანტონ დიდებულის წმინდა ნაწილები, მაშინ, როცა მისი საფლავი ნაპოვნი არ იყო, — ეპისკოპოსს უპასუხია: ჩვენ არ ვიცით, ვინ და როგორ დაასაფლავა დიდებული ანტონი, მაგრამ აქ წერია, რომ ეს წმინდა ნაწილები მას ეკუთვნისო. ამ მონასტერში ასევე დაცული ყოფილა იოანე ნათლისმცემლის ხელი. ელჩინისა და ზახარევის კითხვაზე — თუ საიდან ან ვინ მოიტანა აქ ესოდენ მნიშვნელოვანი სიწმინდე, ადგილობრივებს უპასუხიათ — იერუსალიმის პატრიარქმა. იგი აქ 170 წელია ინახება (ზახარევი 180 წელს ამბობს), გარდა ამისა, სხვა წმინდა ნაწილებიც აქ იერუსალიმიდან მოხვედრილა, მაგრამ რადგანაც მათ შესახებ წერილობითი წყაროები არ გაგვაჩინია, ბევრს ვერაფერს გეტყვითო (50;321-322).

ელჩებს მოუნახულებიათ დრანდის მონასტერიც, სადაც, ზახარევის თქმით, მას ეპისკოპოსმა წმინდა მარინეს ხელი აჩვენა. აქ სხვა სიწმინდეებიც ყოფილა დაცული. ცაიშელი ეპისკოპოსის ანდრიას თქმით (რომელიც ელჩებს სამეგრელოში მეგზურობას უწევდა), ისინი

მონასტრის აგების დროს მოუტანიათ აქ, მაგრამ მათ შესახებ არსებული ყველა წერილობითი წყარო თურქებს გაუნადგურებიათ (50;324-325).

დრანდის მონასტრის შემდეგ ელჩებს მოქვის ტაძარიც უნახავთ. მაქსიმე მოქველს ელჩინისა და ზახარევისათვის უჩვენებია: სტუფანე არქიდიაკონის ხელისა და ფეხის ნაწილები, წამებული ირინეს, მარინეს, მელანის, ეგენის, ნიკიტას, მერკურის, პროვატორხის, ანდრონიკეს, ყოვლადღირსი ლარიონის, ვლასიას, სასწაულთმოქმედი ნიკოლოზის, ლაზარეს, ამბროსი მედიკინეულის, ავერკისა და ლუკა მახარებელის წმინდა ნაწილები. ტაძარში ძელიცხოველის წმინდა ნაწილებიც ყოფილა. მაქსიმე ეპისკოპოსის თქმით, ისინი კონსტანტინოპოლიდან ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს გამოუგზავნია (50;324-325).

ილორის ტაძარში ელჩებს წმინდა გიორგის მახვილი უნახავთ (50;354).

1640 წლის 10 თებერვალს ელჩებმა დაათვალიერეს ბედიის ტაძარიც. ბედიელმა მათ აჩვენა სამღვდელმთავრო კვერთხი, რომლის თავი გადაკრული იყო შავი ხავერდით. მასზე ამოქარგული იყო ჯვარცმა, ღმრთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი და ჯვარი, რომელიც ეკავათ მეფე კონსტანტინესა და მის დედას ელენეს. ხავერდის ქვეშ, ბედიელის სიტყვით, ინახებოდა ეკლის გვირგვინი, ლურსმანი, რომლითაც ქრისტე შემსჭვალეს ჯვარზე და ბაწარი, რომლითაც იგი გათოკეს. ელჩინი კი ამ რელიკვიების გარდა იხსენიებს მაცხოვრის თმასაც. ხავერდი კვერთხის თავზე იყო მიბეჭდილი სამეგრელოს მთავრის ბეჭდით და ამის გამო მთავრის ნუბადურთველად არავის ანახვებდნენ. ეს რელიკვიები, როგორც რუსეთის დესპანს მოახსენეს, ინახებოდა იმერეთში, მაგრამ ქართლის მეფემ სიმონ I-მა (1556-1569, 1578-1600) იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ მოიტაცა ქართლში, საიდანაც ის წაიღო ლევან II დადიანმა, როგორც მეფე სიმონზე გამარჯვების ნადავლი (7;22).

ჟან შარდენი, რომელმაც სამეგრელოში 1672-1673 წლებში იმოგზაურა, აღნიშნავს, რომ ბედიის ტაძარში, ზემოაღნიშნული რელიკვიების გარდა, ინახებოდა ჯვარიპატიოსნის ნაწილი და ის ტილო, რომელშიც ღმრთისმშობელი ახვევდა ჩვილ იესოს (29;61).


რუსი ელჩები ზობის მონასტერშიც ყოფილან. არქიმანდრიტმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა მათ ტაძარი დაათვალიერებინა და წმინ-

და ნაწილებიც აჩვენა. სტუმრების კითხვაზე: თუ ვის მიერ და საიდან იყო ჩამოტანილი ეს სიწმინდეები, არქიმანდრიტმა მიუგო: „მე დიდი ხანი არ არის რაც აქ, ამ თანამდებობაზე ვარ და არ ვიცი, საიდან ან ვის მიერ არის ჩამოტანილი“ (50;373).

როგორც ირკვევა, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (დიდი ქართველი სასულიერო, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე) ხობში 1632-1657 წლებში მოღვაწეობდა. აქედან ცხადია, რომ აღნიშნულ სიწმინდეთა ხობში მოხვედრის ზედა ზღვარი XVII საუკუნის 20-30-იან წლებზე მოდის.

ხობის სიწმინდეთა შესახებ ცნობა დაცულია არქანჯელო ლამბერტისთანაც, მაგრამ როდის ან ვის მიერაა ეს ნივთები ჩამოტანილი სამეგრელოში, ამის შესახებ იტალიელი მისიონერი დუმს: „... ხობის მონასტერში აჩვენებენ ღმრთისმშობლის პერანგს, რომელსაც იქაურები დიდ პატივს სცემენ“ (22;107).

სამეგრელოში დაცულ სიწმინდეთა შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა პავლე ალექსოელი, რომელიც საქართველოში მამასთან. მაკარი ანტიოქიელთან ერთად 1664-1666 წლებში იყო, მისი სიტყვით:



დრანდის ტაძარი. VI-VII სს. გადაკეთებული XIX ს-ში.

„(Мегრელია – Г. К.) ... имеет шесть епископов: первый – Скоиндел, второй – Мукуел, третий – Педнел, четвертый – Цаннел, пятый – Хупел, шестой – Траидел.

В первой епископии который именуется и Мартуил – зае обретаена тамо кроме чеснаго древа единна рубаха окровавлена от тех младенцев, которых побил Ирод за Христа, а имя тому младенцу было Мартуил.

Вторая епископия еснть создания от греческого царя Андроника Комнина и обретаецца тамо моши – руки и ноги архидьякона Стефана.

В третьей епископии обретаецца пречистые богородицы образ, чтои зовется влахерской. и лице и руки ее есть что плоть человеческая.

А та епископия именуется Педнел ...


В пятой епископии есть риза богородицына и таким имаем именуется, есть все живописное, и ест риза от чеснаго древа с пол аршина и видится три древа совокуплены: псфик, кедрь, кеарис.

В шестой епископии Траидела есть рука святыя Варвары и от чеснаго древа и моши святыя многы во образах ... обретаецца еше монастыр где гробы Даднашovy и длан святого Иоанна Предтечи и гортань с частью волосов от бородаы и от чеснаго древа и многие святыя моши и святыя иконы пречюдныя“ (25;71-72).

როგორც ვნახეთ, ეს დოკუმენტი უხვ ინფორმაციას შეიცავს სამეგრელოს საეპისკოპოსო ტაძრებში დაცული სიწმინდეების შესახებ. აქვე გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ პავლე ალექოელის ცნობაზე, რომელიც შეეხება იოანე ნათლისმცემლის ხორხს. ამ სიწმინდის შესახებ მოგვითხრობს „ჟამთააღმწერელი“: „ოპიზა, უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა. ამას შინა არს უპირატესი ყოველთა წინასწარმეტყუელთა და მოწამეთა, ყოველთა უაღრესისა ნათლისმცემლისა იოანეს კორკი იგი, რომელი არა დადუმდებოდა ქებად ღმრთისა მოსრულისა, და მამხილებელი ჰეროდეს უსჯულოებისა“ (28;259).

როგორც ჩანს, თავიდან ნათლისმცემლის ხორხი ოპიზის მონასტერში ყოფილა დაცული და სამეგრელოში, ალბათ, იქიდან წამოუღიათ. ალექოელის მამას პატრიარქ მაკარს წალენჯიხის ტაძარში უნა-

ხავს რამდენიმე ლურსმანი, რომლითაც მაცხოვარი ჯვარს გააკრეს, აგრეთვე ზემოხსენებული იოანე ნათლისმცემლის ხორხი და წვერის ღერები (24; 45).



წალენჯიხის ტაძარი. ლამბერტის მიხედვით.

ზობის მონასტერში დაცულ სიწმინდეთა შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა XVII საუკუნის მისიონერი, თეატინელთა მისიის პრეფექტი სამეგრელოში ჯუზეპე მარია ძამპი. მოვიტანთ ვრცელ ციტატას მისი თხზულებიდან:

„ამ ხალხს (საუბარია მეგრელებზე, გ.კ.) ბევრი რელიკვია აქვს, რომლებიც მათ, პირველ ყოვლისა, მიიღეს იმ დროს, როცა აქ ქრისტიანობა ყვაოდა და მათ მთავრებს კავშირი ჰქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, რომლებიც ბევრ რელიკვიას უგზავნიდნენ საჩუქრად. შემდეგ ეს რელიკვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან ... და ბოლოს რელიკვიები მიიღეს იმ წმინდა მამათაგან, რომელნიც თურქებისაგან კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მაჰმადიანთა ტირანიისაგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გადაიხვეწნენ და გაიფანტნენ მეზობელ ქვეყნებში. ამბობენ, რომ მაშინ კოლხიდაში ჩამოვიდა ერთი არქიეპისკოპოსი, თან ჩამოიტანა ერთი მტკაველის ოდენა ნაჭერი ძელი ჭეშმარიტისა (ფრანგული ფუტის რვა დიუმზე რამდენადღე დიდი) და კვართი, რომელიც, მათი თქმით, ღმრთისმშობელს ეკუთვნოდა. ჩვენს პატრებს იგი უნახავთ. ტილო, რომლისგანაც იგი არის შეკერილი, ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩრთულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკაველის ოდენაა, განით კი ოთხისა, აქვს ერთი მტკაველი მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. მეც მინახავს იგი ზობის ეკლესიაში, სადაც ის ინახება აქვე, ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ლუსკუმაში. ვნახე აგრეთვე კვირიკეს მკლავი და ოქროთი თუ ვერცხლით შემკული სხვა წმინდანთა ნაწილები.

კვართი, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე, ინახება ვერცხლის-  
აგან გაკეთებულ, ყვაილებით მორთულ ებანოზის ყუთში, მასში  
არის პატარა კოლოფი, რომელშიაც დევს მაცხოვრის წვერის რამ-  
დენიმე ღერი და შოლტი, რომლითაც იგი იგვემა. ეს ყუთი ბეჭდით  
არის დაბეჭდილი“ (47;156). მისიონერის აღნიშნულ მონათხრობში  
წმინდა რელიკვიათა აღწერილობის გარდა საყურადღებოა ერთი  
გარემოება. მასში მოცემულია ის სავარაუდო გზები და საშუ-  
ალებები, რომლითაც ქრისტიანული სიწმინდეები აღწევდნენ სამე-  
რელოში.

სხვა ვერსიას ღმრთისმშობლის კვართის ხობის მონასტერში  
მოხვედრის თაობაზე გვაწვდიან XVII საუკუნის რუსი ელჩები:  
ალექსი იველევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი. 1650-1652 წლებში  
ისინი იმყოფებოდნენ იმერეთში. ბერებმა, რომლებიც ათონის მონ-  
ასტრიდან ყოფილან ჩამოსული გადასახადის ასაკრეფად, ელჩებს  
უამბეს, რომ „ხობის მონასტერში ღმრთისმშობლის მიძინების ნარე-  
ვი ქვის საყდარიო, საბერძნეთის მეფის ერეკლეს აგებულიო, იმ  
საყდარში ძველი დროიდანვე ყოფილა წმინდა ღმრთისმშობლის კვართი  
დაცულიო, ის ღმრთისმშობლის კვართი კონსტანტინოპოლიდან არის  
ერთი წიგნების მცველის მიერ მოტანილიო, როცა წმინდა ხატების  
დევნა მიმდინარეობდა (საბერძნეთში) ფეოფილე მეფის დროსო ... ის  
კვართი მიტკალისაგან ან წმინდა ნარმისაგან უნდა იყოს შეკერი-  
ლიო ... იგი მოხატული იყო, თვით კვართსო შაქრის ფერი ჰქონდაო.  
ის ღმრთისმშობლის კვართი ვერცხლის კიდობანშია დაცულიო და  
იმ საყდრის საკურთხეველშია დადგმულიო.


მე, ალექსიმ, ღმრთისმშობლის იმ კვართის შესახებ, ზაქარია მიტ-  
როპოლიტს ვკითხე – მას უნახავს თუ არა ის და ნამდვილად  
ღმრთისმშობლის კვართია თუ არა ის-მეთქი. მიტროპოლიტმა მითხრა  
– ის მრავალჯერ აქვს ნახული და წიგნების მცველის მიერ მოტა-  
ნილია იმ დროს, როცა წმინდა ხატების დევნა იყო (საბერძნეთში).  
ნამდვილად ღმრთისმშობლის კვართიაო ის და სნეულის განკურნებაც  
მისგან ყოფილაო, მხოლოდ ამჟამად ყველაფერი შეწყდა, იმიტომ,  
რომ დადიანი სარწმუნოებას განუდგა და მაჰმადიანობა მიიღო.  
იმავე საყდარში წმინდა კვირიკე მოწამის წმინდა ნაწილებია დაც-  
ული. მარჯვენა ხელი მაჯამდე, ისე როგორც ცოცხალი ადამიანის.  
აქვე ძელიცხოველის ნაწილიც და სხვა წმინდანთა ნაწილებია და-  
ცული, მაგრამ ყველა ესენი მივიწყებულია და უყურადღებოდა



მიტოვებული, არც სანთლებს უნთებენ და არც გალობაა, ამ წმინდა ნაწილებისაგან სნეულთა განკურნება ხდებოდა თუ არა, ამათ ეს არ იციან იმიტომ, რომ მათ იქ ყოფნის დროს ასეთ მოვლენას ადგილი არ ჰქონია“ (45;52).

საინტერესო ცნობას იძლევა XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი, მისი თქმით: „უფლის დიდი დედა ხოფის მონასტერშია, სადაც ბერძენებმა მოიტანეს (სარკინოზების მიერ) კონსტანტინოპოლის ალების შემდეგ. ეს ჩანს იმ წარწერებიდან, რომელიც შემონახულია იმ საუნჯესთან ერთად“ (21;176). მისივე სიტყვით: „აფხაზეთის ახლო მდებარე მოქვის საეპისკოპოსო ეკლესია ძალიან ლამაზია, შიგ მრავალი ოქროსა და ვერცხლის ხატი და სხვადასხვა წმინდანის რელიკვიაა. აქვეა სახელოვანი სტეფანეს მკლავი“ (21;176), ხოლო ბედიის მონასტრის აღწერისას იგი ამბობს: „აქ მნიშვნელოვანი რელიკვიებია, როგორცაა სისხლით შეღებილი თეთრი ქსოვილი, რომელზედაც ბერძენი პატრიარქის ანტიკური წარწერაა: ქრისტე არის ღმრთის შვილი“ (21;176).

იმერეთის მეფის ბაგრატ ალექსანდრეს ძის მიერ რუსეთის იმპერატორისადმი ელჩების ხელით 1669 წელს გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ დადიანის ქვეყანაში, ხობის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერში სანაწილე კოლოფი ინახება ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის კვართით, კოლოფის გასაღები აქვს ხობის ეპისკოპოსს. ამავე წერილის მიხედვით, კვართსა და სხვა სიწმინდეებს, რომლებიც აქ ბევრი ყოფილა, საფრთხე დამუქრებია: როდესაც თურქეთის ფაშები ლაშქრით მოსულან, სიწმინდეები დაუტყვევებიათ და მოუნდომებიათ ამ ადგილზე დამკვიდრება. იმერეთის მეფე ბაგრატ ალექსანდრეს ძეს თურქთაგან ტაძ-



მოქვის ტაძარი კასტელის მიხედვით.

არი ფულით გამოუსყიდია. ამავე ცნობით, ზობის მონასტერში მაცხოვრის კვართი დაუსვენებია ივერთა მეფე დავითს, რომელიც, როგორც ტექსტიდან ჩანს, დავით აღმაშენებელი უნდა იყოს (118ბ;11-12).

ზობის სიწმინდეთა შორის აღსანიშნავია, აგრეთვე, ძელი ჭეშმარიტის რამდენიმე ნაწილი. ექვთიმე თაყაიშვილს უნახავს ზობის ხატი, რომელსაც შემდეგნაირად აღწერს: „ხატის შუაში მოთავსებულია გრძელი ჯვარი ძელი ჭეშმარიტისა, სიგრძით ექვსი გოჯი, ვერცხლით შეჭედილი“ (72;148).

გარდა ამისა, ე. თაყაიშვილს ზობში უნახავს თამარ მეფის (1178-1213 წწ.) გულსაკიდი ჯვარი, რომელიც აქ, ალბათ, ბედან დადიანის მეშვეობით მოხვდა, რომელიც ახლოს იყო დავით VI ბაგრატიონთან, რუსუდანის ძესთან. „შიგ ჯვარში, როგორც ჩანს, ჩატანებული უნდა იყოს ძელიჭეშმარიტისა“, რასაც ჯვრის წარწერაც ადასტურებს: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინძლომითა ყოფილადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“ (72;152).

სამეგრელოში დაცული სიწმინდეების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ცნობილი ფოტოგრაფი დ. ერმაკოვი. 1896 წელს შედგენილ მის ფოტოკატალოგში აღნიშნულია ფოტო შემდეგი სათაურით: „ზარდახმა, რომელშიც ინახებოდა თამარ მეფის პერანგი ზონის ტაძარში“ (155ა;165). ცნობა მართლაც მრავალმხრივ საინტერესოა, რადგან ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზონის ტაძარში წმინდა თამარ მეფის სამოსელი ინახებოდა არსად გვხვდება. სამწუხაროდ ჩვენ ვერ მივაკვლიეთ თავად იმ ფოტოს, რომელზეც ეს სიწმინდე გამოსახული. თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ერმაკოვი ცდება და ზობის ნაცვლად ზონს მიუთითებს, ხოლო თამარის პერანგი ადვილად შესაძლებელია ღვთისმშობლის კვართი იყო. მაგრამ გადაჭრით რომელიმე ვერსიის დამტკიცება ძნელია მანამ, სანამ ფოტო არ იქნება ნაპოვნი და შესწავლილი.

მღვდელ-მონაზონი კალისტრატე ერთ-ერთ თავის ნაშრომში წერს, რომ ზობში დაცულ ტრაპეზის ჯვარში ძელიცხოველი ყოფილა ჩასვენებული (85;17).

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ძელიცხოველზე, ანუ იმ ჯვარზე, რომელზეც მაცხოვარი გააკრეს და რომლის ნაწილები, ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოშიც ფიქსირდება.

ამ რელიკვიას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. იესო ქრისტეს

ჯერის აღმოჩენას ქრისტიანული ტრადიცია ელენეს, კონსტანტინე კეისრის დედას, მიაწერს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით: კონსტანტინე კეისარმა გაქრისტიანებულ მირიან მეფეს „სიხარულით მიანიჭა ნაწილი ძელი ცხოვრებისა და ფიცარნი იგი, რომელსა ზედა ფერხნი დაუმსჭვალნეს უფალსა, და სამსჭვალნი ხელთანი“. ცოტა უფრო მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ქრისტეს ჯვარი თაყვანისცემის საგანი გახდა, თვალსაჩინო ამბავს ჯერის ისტორიაში წარმოადგენს მისი „წარტყუევნა“ 614 წელს, როცა სპარსელებმა ხოსრო ანუ „ქასრე“ მეფის დროს ეს ჯვარი იერუსალიმიდან წაიღეს, როგორც სამხედრო ნადავლი. თვით ამ ამბავმა და შემდეგ 628 წელს პერაკლე კეისრის მიერ ქრისტეს ჯვრის ტყვეობიდან დაბრუნებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თანამედროვე ქრისტიანობაზე. „ძელი ცხოვრებისა“ ზემოთ თავის ადგილზე აღმართეს. თვითონ კეისარმა ჯვარი ზურგზე იტვირთა (55;13). ბერძნული წყაროების მიხედვით, კეისარმა ჯვარი ჯერ კონსტანტინოპოლს მოიტანა, მერე კი წამოიღო და იერუსალიმში აღმართა, იგივე ბერძნული დოკუმენტები სხვა ვერსიასაც გვთავაზობენ, რომ პერაკლემ ჯვარი ჯერ იერუსალიმში მიიტანა, პატრიარქ მოდესტოსს აჩვენა და შემდეგ შესაინახად კონსტანტინოპოლს წაიღო (55;24).

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით კი, პერაკლე კეისარმა ძელიცხოვლის გამოხსნასთან ერთად საქართველოდან კონსტანტინეს მიერ ნაჩუქარი რელიკვიებიც წაიღო: „ფეხთა ფიცარნი და სამსჭვალნი უფლისა იესო ქრისტესნი“ (46;227-228).

638 წელს არაბებმა იერუსალიმი დაიპყრეს და ძელიცხოვლის განადგურება განიზრახეს. დიდი მსხვერპლის ფასად, მაშინ მისი გადარჩენა მოხერხდა და უსაფრთხოების მიზნით რამდენიმე ნაწილად დაყოფილი ქრისტიანებმა გაინაწილეს. სხვა ცნობებით, მუსლიმთა ხალიფა ომარმა იერუსალიმის მცხოვრებლებს ფორმალური გარანტია მისცა, რომ ეკლესიები, ჯვრები და ქრისტიანული სიწმინდეები ხელუხლებელი დარჩებოდა.

ე. თაყაიშვილის ნაშრომში – „არხეოლოგიური მოგზაურობიდან საქვერელოში“ – დაცულია ცნობები მარტვილის სიწმინდეთა შესახებ. მკვლევარი აღწერს ღმრთისმშობლის ხატს, რომელშიც ვერცხლის ბუდეებით ქრისტეს საფლავის ქვის ნატეხებია ჩასმული. აქვე წარწერაა: „ლოდი ქრისტეს საფლავისა. ხატის ამის შემაკობელი დადიანის ბუეანის ძე ჭყონდიდელი მიტროპოლიტი გაბრიელ მოიხსენოს

ღმერთმან სასუფეველსა, ამინ“ (72;240).


ე. თაყაიშვილს მარტვილშივე უნახავს ოქროს ჯვარში ჩადებული ძელი ჭეშმარიტის ჯვარი, რომელშიც წინათ იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილები ყოფილა ჩატანებული. ჯვარზე წარწერა: „წმიდაო იოვანე ნათლისმცემელო, მეოხ ეყავ ზოსრონუმ დედოფალსა, ბაგრატს და დავითს“ (72;240).

სამეგრელოში წმინდა ნაწილების შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა ნ. კონდაკოვი, რომელსაც საკმაოდ კარგად აქვს აღწერილი რიგი ქართული მონასტრებისა. მისი გადმოცემით, მარტვილის მონასტერში დაცული ყოფილა პატარა სკივრი, რომელშიც წმინდა ნაწილები ინახებოდა, აქ დატანებული წარწერებიდან ირკვევა, რომ იგი რამდენიმეჯერ გაუძარცვავთ. საბოლოოდ კი დაუბრუნებით და შეუწირავთ მონასტრისათვის ბეჟან დადიანსა და დედოფალ თამარს. მაგრამ მას უკვე წმინდა ნაწილები აკლდა. ყუთში ინახებოდა ჯვარსაცავი, რომელშიც ოქროს ძაფებით დამშვენებული ძელიცხოვლის ნაწილი იდო (159;240).

ზემოაღნიშნულ სიწმინდეთა ნუსხა საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა მათ შორის ყველაზე დიდ ინტერესს ღმრთისმშობლის კვართი იწვევს. საინტერესოა, არის თუ არა იგი ჭეშმარიტად მარიამის კუთვნილება, რადგან ქრისტიანულ სამყაროში ხშირია ფაქტები, როდესაც ერთი და იგივე სიწმინდე რამდენიმე ქვეყანაში ფიქსირდება (მაგალითად, მაცხოვრის ლურსმნების რაოდენობამ რამდენიმე ათეულს გადააჭარბა). საინტერესოა, ხომ არ ჩანს სადმე იდენტური კვართი ან სარტყელი?

ქრისტიანულ გადმოცემათა თანახმად, მარიამ ღმრთისმშობელმა მჟარველობის ნიშნად თავისი კვართი ბერძნულ ეკლესიას დაუტოვა (176;82).

ბიზანტიის იმპერატორ ლეონ დიდებულის (457-471) დროს იმპერატორის ძმები, ცნობილი საეკლესიო იერარქები გალვიოსი და კანდიდი, მოგზაურობდნენ წმინდა ადგილთა მოსალოცად პალესტინაში. ისინი შეჩერდნენ სოფელ ნაზარეთში, ერთ-ერთი ღარიბი ქალიშვილის სახლში. მოგზაურებმა სადილობისას შეამჩნიეს, რომ შიდა ოთახში იატაკზე უამრავი ავაღმყოფი იწვა და ენთო სანთლები. ებრაელი ქალიშვილი მათ გამოუტყდა, რომ კიღობანში ესვენა ღმრთისმშობლის უწმინდესი სამოსელი, რომელიც მარიამმა მიძინების წინ უანდერბა ორ თავის მსახურ ღარიბ ქვრივს. ერთ-ერთმა მათგანმა



ილორის ტაძარი კასტელის მიხედვით.

წესად დაამკვიდრა, რომ ეს უწმინდესი საჩუქარი მემკვიდრეობით გადასულიყო მორწმუნეთა შორის. დარწმუნდნენ რა ძმები მარიამ ღმრთისმშობლის კვართის ნამდვილობაში, გზა განაგრძეს იერუსალიმისაკენ, იმ იმედით, რომ როგორმე მოიტაცებდნენ ამ სიწმინდეს. მათ დაამზადეს სწორედ ისეთივე კილობანი, როგორიც იყო ებრაელი ქალიშვილის სახლში და უკან დაბრუნებისას შეცვალეს იგი. ნამდვილი კილობანი კი კვართთან ერთად კონსტანტინოპოლში წამოიღეს. იმპერატორი დიდად გაახარა ამ წმინდა განძის ჩამოტანამ და მისი ბრძანებით 474 წელს იგი ვლახერნის ღმრთისმშობლის ტაძარში დაასვენეს (176;82). ეს ეკლესია აუგია იმპერატორ არკადის (395-408) ქალიშვილს, წმინდა პულხერიას. იგი წმინდა სოფიის ტაძრის შემდეგ ყველაზე დიდი პატვიით სარგებლობდა და იმპერატორების კარის ეკლესიად ითვლებოდა. ბიზანტიის მმართველები წელიწადში სამჯერ მოდიოდნენ აქაურ აუზში განსაბანად. ბიზანტიური წყაროს ცნობით, იმპერატორი ჯერ მარიამ ღმრთისმშობლის თავსაბურავს სცემდა თაყვანს და შემდეგ საჭურისების თანდასწრებით სამგზის ეშვებოდა წყალში (151;12).

1204 წელს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დარბევის შემდეგ აქედან ბევრი რელიკვია დაიტაცეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ღმრთისმშობლის კვართი და სარტყელი ავაზაკებს გადაურჩა, რად-

გან ვლადკერნის ტაძრიდან წამოღებულ ღმრთისმშობლის სიწმინდე-  
თა შორის მხოლოდ მისი თავსაბურავი მოიხსენიება, რომელიც  
ჰაინრიხ დე ულმენმა ტრიირის მონასტერს გადასცა. მისი ნაწილი  
ინახება ასევე რომში ლათერანის ეკლესიაში (149;681).

რაც შეეხება პალესტინიდან კონსტანტინოპოლში მარიამ ღმრთის-  
მშობლის კვართის გადმოტანას, ქრისტიანულმა ეკლესიამ ამ დღის  
აღსანიშნავად 2 ივლისი გამოაცხადა. ამ ფაქტთან დაკავშირებით  
შეიქმნა ხატებიც, მათგან ჩვენთვის ცნობილია XVI საუკუნის შუა  
ხანებში შესრულებული ნოვგოროდის სკოლის ხატი (145;44) და  
კრემლში დაცული რუსული ხატი (167;187). ისინი ასახავენ ვლადკერ-  
ნის ტაძარში მარიამ ღმრთისმშობლის კვართის დასვენებას. ასევე  
ცნობილია ამ მოვლენის სახელობის XV საუკუნის ტაძარიც, რომელიც  
მოსკოვში მდებარეობს (167;187).

მარიამ ღმრთისმშობლის კვართის შესახებ დაცულია საინტერესო  
ისტორიული ცნობები, რომლებიც მოგვითხრობენ მისი სასწაულებ-  
რივი ძალის შესახებ. 626 წლის გაზაფხულზე სპარსელებისა და  
ხაზარების უზარმაზარი არმია შახრვარაზის მთავარსარდლობით  
ბოსფორს მოადგა და კონსტანტინოპოლისაკენ დაიძრა, ამ დროს  
ბიზანტიის იმპერატორი ირაკლი (610-641) ლაზიკაში იყო და  
სპარსელებზე თავდასასხმელად ემზადებოდა. ქალაქის მმართველო-  
ბა პატრიარქ სერგის (610-638) ებარა. მტერმა კონსტანტინოპოლს  
აღყა შემოარტყა და მისი იერიში 7 აგვისტოს დაიწყო (177;365).  
მაშინ „პატრიარქმან და ყოველმა ერმან სამეუფოსა მის დედა  
ქალაქისამან აღიღეს კელითუქმნელი ხატი უფლისა და მაცხოვა-  
რისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და სამოსელი იგი წმინდაი ყოვლად  
უბიწოჲსა ღმრთისმშობლისაჲ და საუფლოჲ და ცხოვლისმყოფელი  
ძელი ჯუარისაჲ, და ზე აქუნდეს იგი კელთა მათთა, და მოჰვიღდეს  
იგი გარემოჲს ქალაქსა და შესასვლელს ქალაქისა, და იტყოდეს  
ცრემლითა მხურვალითა: „აღდეგ ღმერთო და განაბნიენ ყოველნი  
მტერნი შენნი, და ვითარცა რაი კუამლი მოაკლდენ იგინი, და  
დადნენ და განქარდნენ იგინი, ვითარცა რაჲ ცული წინაშე პირსა  
ცეცხლისასა, და ეგრეთ წარწყმდნენ ღმერთის მოძულენი იგი პირ-  
ისაგან შენისა, ხოლო მონანი შენნი მხიარულებით გაკურთხევდნენ  
და გიგალობდნენ შენ“ (124;14-15). „... ხალან სკეითმან ყოველნი  
მონოქსელონი იგი, ნაენი აღავსნა მბრძოლთა ზღუასა შინა, აღილო  
კვალად სიმრავლე მბრძოლთაი თავისა თვისისა და თვით აღიჭურვა

იგი რათა მბრძოლთა მიერ ქუეყანით მანქანით მით, რომელი შეექმნა ციხის ციხეი, რათა ამის მიერ ზღუდვი დასცენ ქალაქისაი ... უკუე მოიწიენეს რაი მახლობლად ტაძრისა მის ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისასაი ვლაჰერნას, სიმრავლი(სა) მონოქსვლთაი მათ ეწია სასჯელი საღმრთოი. ეჰა საკვირველებაი, რომელი მეყსეულად დაემართნეს რაითა ტაძარსა მას წმიდა, ნიავქარი სასტიკი მათ ზედა და დანთქნა იგინი, მუნთქუესვე ადგილსავე მას და რაოდენიციი მოიწოდეს არესა მას კერძო ვლაჰერნისასა, მახლობელად ყოველნივე დანთქედეს, რომელი ამადლდის ზღუაი გარეგან ბუნებითისა წესისაი აღმატებულად საშინელებით სახილველადცა, და მერმე განიყვის ორად წამის ყოფითა საღმრთოითა, და მიუხდის თითოეული მონოქსოვლოსთა მათ ზედა მათთაი და მყის დაანთქმის იგინი უფსკრულთა“ (124;20-22).

ამდენად, 626 წელს ბიზანტიელების სპარსელებზე გამარჯვებას ისტორიული წყაროები მარიამის კვართს მიაწერენ. ამ დღის უკვდავსაყოფად შეიქმნა ღმრთისმშობლის აკათისტო. იგი შედგება 25 გალობისაგან: 13 კონდაკი და 12 იკოსი განლაგებულია ბერძნული ანბანის მიხედვით და ყოველი მათგანი მთავრდება სიტყვით – „გიხაროდენ“ (177;47). მის ავტორად პატრიარქი სერგი (610-638) ითვლება (177;432).

ისტორიული წყაროების მიხედვით, ღმრთისმშობლის კვართმა კონსტანტინოპოლი სარკინოზების შემოსევისაგან დაიფარა. წყაროს ცნობით, 669 წელს სიცილიაში ჩამოსხდნენ ეგვიპტელი სარკინოზები. მათი მთავარი იერიში ბიზანტიის დედაქალაქზე იყო გათვლილი და უკვე 672 წელს დაუღალავმა მეომარმა მოავიამ გრანდიოზული საზღვაო ექსპედიცია მოაწყო. 673 წლის აპრილიდან სექტემბრამდე ფლოტი კონსტანტინოპოლის კედლებქვეშ იდგა, მაგრამ მათი ყოველი შემოტევა მოგერიებულ იქნა. სარკინოზთა გემები ღმრთისმშობლის კვართის მეოხებით ბიზანტიელებმა გაანადგურეს და ზღვაში ჩაძირეს (149;55). იგივე შემთხვევა მოხდა სარკინოზთა წინააღმდეგ 715 წელსაც (177;83).

ბიზანტიური და რუსული წყაროები ერთხმად მოგვითხრობენ ღმრთისმშობლის კვართის კიდევ ერთ სასწაულზე. 866 წელს რუსი წარმართი რაინდები ასკოლდი და დირი 200 შეიარაღებული ხომალდის თანხლებით ბოსფორში შევიდნენ და კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყეს. ბიზანტიის იმპერატორი მიხაილ III ლოთი (842-867)

შავი მდინარის ნაპირებთან ებრძოდა აგარიანებს. პატრიარქ ფოტიოსისაგან შეტყობილი ამბის შემდეგ იგი სასწრაფოდ დედაქალაქისაკენ დაიძრა, მაგრამ რუსებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. შეშინებული ხალხი ლოცულობდა. პატრიარქმა ფოტიოსმა ვლადიკერნის ტაძრიდან კვართი გამოასვენა და მისი კიდე ზღვას შეახო. ლევენდის თანახმად, უცებ საშინელი ქარბორბალა ამოვარდა, ზღვა აღელდა და რუსების ხომალდები ჩაძირა. გადარჩე-



ვლადიკერნობის დღესასწაული სამეგრელოს მთავრების კარის ეკლესიაში.  
XIX ს-ის ფოტო.

ნილმა ასკოლდმა და დირმა წარმართობაზე უარი თქვეს და ქრისტე ირწმუნეს (142;205. 157;97. 178;9). ამ ფაქტს ადასტურებს XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრენეც. მისი თქმით, „გამოსცადეს რა რუსებმა ღმრთის ძალა, უკან დაიხიეს“ (156;245).

მარიამ ღმრთისმშობლის კვართის ბიზანტიაში არსებობას ადასტურებენ ასევე XI საუკუნის ისტორიკოსები: ლეონ გრამატიკოსი და სიმეონ ლოგთეტი (156;245). თუმცა თვითონ პატრიარქი ფოტიოსი აღმოსავლეთის არქიეპისკოპოსებისადმი გაგზავნილ საყოველთაო ეპისტოლეში რუსების თავდასხმის მოხსენიებისას არაფერს ამბობს



სასწაულის შესახებ (156;245).

საკითხის კვლევისას საინტერესოა XII საუკუნის ანონიმური ლათინური წყარო, სადაც აღწერილია კონსტანტინოპოლში დაცული სიწმინდეები. დოკუმენტის შესწავლამ დაგვანახვა, რომ XI საუკუნეში კონსტანტინოპოლში დაცული ყოფილა ის წმინდა ნაწილები, რომელთა არსებობა მოგვიანებით სამეგრელოში ფიქსირდება. მაგალითად: ქრისტეს ეკლის გვირგვინი, ლურსმნები, რომლითაც მაცხოვარი ჯვარზე გააკრეს, ღმრთისმშობლის დედის წმინდა ანას, წმინდა ნიკოლოზის, იოვანე ნათლისმცემლის, ლაზარეს, ლუკა მახარებლის და სხვა წმინდანთა ნაწილები (161;439).

რაც შეეხება მარიამ ღმრთისმშობლის სიწმინდეებს, წყაროში ერთგან ნათქვამია: „დიდ სასახლეში, მარიამ ღმრთისმშობლის ტაძარში ინახება ღმრთისმშობლის ტანსაცმელი“ (161;439).

აქვე სხვა ტაძრის აღწერისას აღნიშნულია: „წმინდა ვლადიმერის ღმრთისმშობლის მახლობლად, მეორე ტაძარში – საკურთხეველში არის ვერცხლის სკივრი, რომელშიც დევს წმინდა ღმრთისმშობლის სარტყელი“ (161;452). როგორც ვხედავთ, წყაროში ზუსტადაა მითითებული ღმრთისმშობლის უპატიოსნესი სარტყლის თავდაპირველი სამყოფელი, ხოლო ზოგადი ცნება – „ღმრთისმშობლის ტანსაცმელი“ – შეიძლება კვართის არსებობასაც გულისხმობდეს (ქრისტეანულ სამყაროში მარიამის კვართის გარდა რელიკვიად ითვლებოდა მისი მოსასხამიც, რომელიც დღემდე დაცულია შარტრის XIII საუკუნის ტაძარში) (144;28).

XIV საუკუნის მემკვიდრე ნიკიფორე კალისტა ამბობს, რომ „ღმრთისმშობლის კვართი ინახებოდა ვლადიმერის ტაძარში, როგორც ქალაქის მფარველი, განკურნებისა და უამრავი სასწაულის წყარო“ (176;83).

რუსი მიტროპოლიტი პიმენი მოგვითხრობს, რომ 1387 წელს, მარიამ ღმრთისმშობლის კვართის დასვენების დღეს, იგი იყო ვლადიმერში და თავყვანი სცა იმ კიდობანს, რომელშიც წმინდა კვართი და სარტყელი ესვენა (176;83).

მარიამ ღმრთისმშობლის კვართთან დაკავშირებული კიდევ ერთი სასწაული აქვს აღწერილი ამ მოვლენის თანამედროვეს, მღვდელმონაზონ კალისტრატეს: „1891 წელს ზოპის მონასტერი გასტუმრეს და გაიტანეს ეს სიწმინდე თავის კუბოიანად. ავაზაკი არ შეეხო ... ძვირფას ხატ-ჯვარს, არამედ მხოლოდ ეს სიწმინდე გაიტანა ... ეს ამბავი გაიგო ხალხმა თუ არა, ზარის ხმასთან ივრიალა და შემო-

ერთყა ტაძარს. კაცი და ქალი, დიდი და პატარა, გამოუთქმელის მწუსხარებით აღვისილნი გაიძახოდნენ: „სად იყვნენ ბერები! ნურც ბერი, და ნუცა ერი ვიქნებით ცოცხალნი, თუ ეს სიწმინდე დაგვეკარგაო“, განსაკუთრებით დედათა სქესისაგან მხურვალე ცრემლი ბერი დაიღვარა, აღელდა ხალხი, გაცხარდა ადმინისტრაცია! არ გაუვლია სამ დღე-ღამეს, ეს კვართის კუბო ხელუხლებლად მონასტრის მხლობელ ალაგზე ბუჩქში დაესვენა, სადაც ღამის წყვილადში ზეციდამ თითქო ცეცხლის ნაპერწკლები გამოდისო, ეს შენიშნეს ღამის მოგზაურთ და სოფლის მცხოვრებთ, სადაც მივიდნენ და იპოვნეს ეს კუბო, წინ სანთლით.

ამ სასწაულებრ მოქმედებამ, ხალხს გაუორკეცა უმეტესი სასოება და სიყვარული ყოვლად წმიდის ქალწულის მარიამისადმი, სამადლობელი პარაკლისის შემდეგ, ხალხმა დაადგინა განაჩენი, რათა ხოპში მუდამ იყვნენ სამ-სამი კაცი ღამის ყარაულებად ხალხის ანგარიშზე, ასეც არის დღეს“ (85;49-50).

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავაანალიზებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტანტინოპოლის დაცემამდე, ე. ი. 1453 წლამდე მარიამ ღმრთისმშობლის კვართი ბიზანტიაში ინახებოდა. როგორ წარიმართა მისი და სხვა ქრისტიანული სიწმინდეების ბედი ოსმალთა მიერ ქალაქის დაპყრობის შემდეგ, ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

მარიამ ღმრთისმშობლის წმინდა სარტყელიც სამეგრელოში ყოფილა დაცული. ისევე როგორც კვართს, მასაც დიდი ისტორია აქვს.

ქრისტიანულ გადმოცემათა თანახმად, მარიამმა მიძინებისას თავისი წმინდა სარტყელი მოციქულ თომას გადასცა. იმპერატორ არკადის ზეობის დროს, 395-408 წლებში იგი კონსტანტინოპოლში გადაუტანია მის ქალიშვილს წმინდა პულხერიას, რომელიც მის მიერვე აგებულ ვლაქერნის ღმრთისმშობლის ტაძარში დაუსვენებია. ამ დღესთან დაკავშირებით ქრისტიანულმა ეკლესიამ X საუკუნეში, 31 აგვისტოს ზეიმი დააწესა. XVI საუკუნეში კი „სარტყლის დასვენების“ რუსული ხატიც შეიქმნა (160;44).

XI საუკუნეში იოსეფ სტუდიტმა სარტყლის დასვენების საზეიმო დღისათვის დაწერა საგალობელ-კანონი. VI საუკუნეში ბიზანტიაში დაწყებული არეულობის გამო სარტყელი კაპადოკიის ქალაქ ზილაში გადაუმალავთ, საიდანაც ის იუსტინიანე II-ს (685-694) უკან დაუბრუნებია.

ბიზანტიური წყაროების ცნობით, X საუკუნეში იმპერატორ ლეონ

VI ბრძენის (886-912) მეუღლე დედოფალი ზოია ავად გამხდარა, მას ვერავითარმა მკურნალობამ ვერ უშველა. სასოწარკვეთილმა ზოიამ ძილში გამოცხადება იხილა, რომ გადარჩებოდა იმ შემთხვევაში, თუ მასზე წმინდა სარტყელს დაასვენებდნენ. ამ რიტუალის აღსრულების შემდეგ დედოფალი მართლაც განიკურნა.

ისტორიული დოკუმენტების თანახმად, წმინდა სარტყელი ბიზანტიის იმპერატორებს ლაშქრობისას თან დაჰქონდათ.

ერთ-ერთი ასეთი ომის დროს ალექსი I კომნენოსის სარტყელი (1081-1118) ბულგარეთის მეფე კოლომანემ (1095-1114) წაართვა (156;78) და 1151 წელს სერბეთის მთავარმა ლაზარემ საჩუქრად გადასცა ათონის მთაზე მდებარე ვატოპედის მონასტერს. სარტყელი უნახავს პლატონ იოსელიანს: „მონასტერსა მას შინა არს დაცული ძვირფასად საუნჯედ ნაწილი სარტყლისა ყოვლად წმინდა ღმრთისმშობლისა. იგი ჰქევს ოქროს მშვენიერად ნაკეთს ყუთში ხვერდით შიგნიდან მოვლებულში. სიგრძე სარტყლისა არს ორი მტკაველი, სიგანე მისი სამი გოჯი“ (7;31).

მარიამ ღმრთისმშობლის სარტყლის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი XI საუკუნის დასაწყისში საბერძნეთიდან საქართველოში მოუტანია ბიზანტიის იმპერატორის რომან III არგიროსის (1028-1034) ქალიშვილსა და საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072) მეუღლეს ელენეს, რომელიც განკურნებულა ამ სარტყლისაგან. მან საქართველოში გამოგზავრების წინ მამას სთხოვა სასწაულმოქმედი სარტყლის ნახევრის მზითვად გამოტანება (166;280-281)-

იგი ჯერ ვლადიკერის ღმრთისმშობლის სახელობის ბედიის ტაძარში დაუსვენებიათ, შემდეგ, „როდესაც მაჰმადიანობამ შავი ზღვის სანაპიროებზე იწყო მძლავრობა და მეგრელობა იძულებული გახდა უკან დახეულიყო მდინარე კოდორამდის, ვლახერის ღმრთისმშობლის ხატი (სარტყელთან ერთად) მტერთაგან უვნებლად დასაცავად დროებით გადაუტანიათ მარტვილში. სარტყელი მიმაგრებული იყო ვლადიკერის ხატზე“. ა. მურავიოვის თქმით, „ხატზე მიმაგრებული სარტყელი წააგავს სამთავარდიაკონო გინგილას და დაკეცილია ოლარივით, ქვედა ნაწილი სარტყლისა მეტად დაძველებულია, სარტყლის ოქრომკედის ნიადაგი მოფენილია მარგალიტებით და ზურმუხტ იაგუნდის ქვებით. ეს, რასაკვირველია, ერთი უძველესი ნაშთთაგანია, რომელსაც ჩვენამდის მოულწვივა ქრისტიანობის პირველის

დროიდან“ (165;282).

ქართული წყაროები არაფერს ამბობენ ღმრთისმშობლის სარტყლის საჩუქრად გადმოცემის შესახებ. „ქართლის ცხოვრებაში“ მხოლოდ შემდეგია ნათქვამი: „კეისარმან მოსცა ელენე ასული თვისი ცოლად ბაგრატს, სამსჭუალნი უფლისა და ხატი ოქონისა და საუნჯე მრავალი ზითვად“ (12;144).

საქართველოში ღმრთისმშობლის სარტყლის მოხვედრის სხვა ვერსიაცაა დაცული. პლატონ იოსელიანის სიტყვით: იგი ქართველებს პერაკლე კეისარმა (610-641) ძელიცხოვლის ნაწილთან ერთად გადასცა საჩუქრად, ირანელთა წინააღმდეგ მოკავშირეობისა და ბრძოლის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის (187;14-17).

ჩვენთვის უცნობია, თუ რა წყაროებს ეყრდნობა ღვაწლმოსილი მეცნიერი, მსგავსი ვერსია ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით ვერ ფიქსირდება. პირიქით, ცნობილია, რომ პერაკლე კეისარმა და ჯიბლუ ზაკანმა 628 წელს თბილისი სასტიკად გაძარცვეს. ჯუანშერის მიხედვით: ბიზანტიელმა „მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენის იესოს ქრისტესნი, რომელნი მიცემულ იყვნეს კოსტანტინესგან ბირიანისდა“. შეწუხდა ადარნასე, ქართლისა მთავარი, და ევედრებოდა კეისარსა, რათა არა წარიხუნეს ნიჭნი იგი ღმრთისამიერი, არა ისმინა კეისარმან ვედრება მისი და წარიხუნა“ (46;227-228). ამდენად, ჩვენ უფრო მართებულად ელენე დედოფლისეული ვერსია მიგვაჩნია.

აქვე აღვნიშნავთ ერთ საყურადღებო ცნობას, რომელიც 1480-1483 წლებში უცხოელი პილიგრიმის ფელიქს ფაბრის მიერაა შედგენილი. მასში აღნიშნულია: „ქართველები, რომელთაც აგრეთვე ნუბიელებს ეძახიან, ხოლო უფრო ხშირად იცნობენ, როგორც სარტყლის ქრისტიანებს, წმინდა მიწაზე ძალზედ დაშორებული მხარეებიდან მოდიან“ (121;45). როგორც ვხედავთ, პილიგრიმი ქართველებს „სარტყლის ქრისტიანებს“ უწოდებს, რაც, ჩვენი ვარაუდით, იმაზე მეტყველებს, რომ უცხოელმა მორწმუნეებმა იცოდნენ საქართველოში მარიამის სარტყლის არსებობის ფაქტი.

ზემოხსენებულ რუს ელჩებს პავლე ზახარევესა და ფედოტ ელჩინს ბედიის ტაძარში ვლადიმერის ხატი არ უნახავთ და მის შესახებ არც არავითარი ინფორმაცია არ დაუტოვებიათ. ეს გააკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგან ხატი ლევან I დადიანის დროს (1531-1572)

უკვე ზუგდიდის სასახლეში იყო გადატანილი (7;23). საყურადღებოა ის გარემოება, რომ რუსეთის ხელისუფლებამ იცოდა სამეგრელოში ღმრთისმშობლის სარტყლის არსებობის ფაქტი და ელჩებს კიდევ სთხოვდა მის მოძიებას.

ვლადკერნის ღმრთისმშობლის ხატი დადიანების უმთავრესი საგვარეულო სიწმინდე იყო, ამიტომაც მთავრები მას დიდი სასოებითა და მზრუნველობით ეკიდებოდნენ. მთავარმართველი პ.ციციანოვი თავის მოხსენებაში აღნიშნავს: „როგორც ისტორიით და გადმოცემით, ისე ჩემგან შეკრებილი სარწმუნო ცნობებით, ვლადკერნის ხატი მუდამ ინახებოდა სამეგრელოს დადიანების სასახლეში“ (48:513-514).

ცოტა მოგვიანებით ხატის შენახვა გრიგოლ დადიანმა (1788-1804) მიანდო სიმამრს გიორგი XII-ს (1798-1800) (48:514), რომლის სიკვდილის შემდეგაც ხატი მიისაკუთრა დავით ბატონიშვილმა და მან იგი რუსეთში გადასახლებისას თან წაიღო. მისი დის, გრიგოლ დადიანის ქვრივის ნინოს (1804-1847) წერილებმა და თხოვნამ სიწმინდეთა დაბრუნების შესახებ მასზე გავლენა ვერ იქონია. „მაშინ მთავრინა ნინო და სამეგრელოს დიდებულები იძულებულნი გახდნენ მიემართათ სხვა საშუალებისათვის, ეხმარათ ხერხი, გადასწყვიტეს მიართვან ხატი ხელმწიფე იმპერატორს იმ აზრით, რომ შემდეგ ეშვამდგომლათ მის დაბრუნებისათვის სამეგრელოში. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბატონიშვილი იმპერატორისათვის ხატის მირთმევის წინააღმდეგი არ გახდებოდა და ხერხმაც მართლა გასჭრა, ბატონიშვილმა გადასცა ხატი იმ დეპუტაციას, რომელნიც ამისათვის გაგზავნილ იყო პეტერბურგში“ (7;27). აი, როგორ აღწერს ნიკო დადიანი ამ ცერემონიას: „მივედით ქალაქს სანკტ-პეტერბურგს, შეგვიწყნარეს და მიგვიღეს სამაგალითოდა პატივითა, რომლისა აღწერა დიდსამე განგრძელებების და შემდგომად რამოდენისამე ხანისა ინება და ღირსი ვიქმენით ხილვად და თაყვანისცემად მისის იმპერატორებითის დიდებულების მოწყალებისა და ყოველთა მისითა ფაშილიათა და შემდგომად ხილვისა წარუგზავნეთ იოანე დეკანოზის ხელით, რომელიც გეჰქონდა ძღვნად წაღებული ჩვენის მთავრინის ნინა დედოფლისაგან ხატი ვლადკერან ღმრთისმშობლისა და მიართვარა, მიიღო შესაბამითა პატივითა და დაასვენა თვისის სასახლის ეკლესიასა შინა დიდის ცერემონიითა: ჩვენ ვიყავით სანკტებურგსა შინა გამოუთქმელითა ცხოვრებითა ერთსა წელსა და შემდგო-



სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი  
(1611-1657) კასტელის მიხედვით.

მად გამოგვისტუმრეს დიდის პატივით ყოველითურთ კმაყოფილნი, ყოველივე თხოვნა მთავრის ჩვენისა ინება მიცემა იმპერატორების დიდებულებამ და ბრძანა აღსრულება: წარმოგზავნა წყალობად ესენი: შეამკო უძვირფასესად ხატი ვლადიმერისა ღმრთისმშობლისა და წარგზავნა კვალად სახლსა შინა დადიანისასა, რათა მუნ განისვენოს წმინდად ჩემის საფარველის დიდებისა და თქვენის ჩემ ერთგულებისა. მასთან თან წარმოატანა ყოველთვიურთ დაუკლებელი ერთ ხელ შესამოსელი სამღვდელო და სამთავრო, შესაბამი მისისა ბოძებისა: ბრძანა აშენება ეკლესიის სახელსა ზედა ვლადიმერ ღმრთისმშობლისასა სამეგრელოსა შინა ხარჯითა მისის იმპერატორების დიდებულებისათა და იქმნეს მუნ ქალაქი და ეწოდებოდეს სახელად ქალაქსა მას გრიგოლოპოლი სახსოვრად განსვენებულისა გრიგოლ დადიანისა“ (7;50-51). მანამდე კი ალექსანდრე I (1761-1825) ნინო ბაგრატიონს სწერდა: „უგანათლებულესო თავადინა ნინო გიორგის ასულ! მორთმეული ჩემდა სახელითა თქვენითა წარმოგზავნილთა თქვენ მიერ დეპუტატთაგან პოლკოვნიკს კნიაზ ნიკოლოზისა და პოლკოვნიკის კნიაზ ბეჟან წმინდაი ვლახერანის ღმრთისმშობლისა უპატიოსნესითა სარტყლითა მისითა მივიღე მე კმაყოფილებითა“ (1806 წ. 31 მაისი. თარგმანი რუსულიდან) (123;25). ცოტა მოგვიანებით ნინო დედოფლის თხოვნით პ. ციციანოვი იმპერატორს სწერდა: „ამასთან ვებდავ დაესძინო ჩემი უქვეშევრდომესი აზრი ამ ხატის შესახებ. როგორც ცნობილია, მეგრელები ძალიან გულმოდგინები არიან ქრისტეს სარწმუნოებაში და სამეგრელოს უმაღლეს ბედნიერებად მიაჩნია ამ ხატის მათთვის დაბრუნება, რადგან მასზე ამყარებენ უღრმეს სასოებას: მათზე მოწვეულ, რომ დაჰკარგეს ეს მფარველი მათის ქვეყნისა და ამისათვის ამ დეპუტაციასთან მისი დაბრუნება აღავსებს გამოუთქმელის სიხარულით მთელ სამთავროს და მოახდენს მეგრელებში იმნაირსავე დიდ შთაბეჭდილებას, როგორც მოახდინა წმინდა ნინოს ჯვარის საქართველოში დაბრუნებამ“ (49;513-514).

იმპერატორმა შეისმინა თხოვნა და ეს ხატი მართლაც უკან დააბრუნა. იგი ნინოსადმი უმაღლეს რეესკრიპტში წერდა: „ვიცი რა, რომ მეგრელებს ძველთაგანვე აქვთ სასოება და რწმენა ვლადიმერის ღმრთისმშობლის ხატისადმი, მე ვუბრუნებ მას საჩუქრად თქვენს ოჯახს და მთელ მეგრელობას“ (49;177).

ვლადიმერის ღმრთისმშობლის სახელობის ახალი ტაძრის ასაგებად 2000 ჩერვონეცი გამოიყო. ამასთან დაკავშირებით 1817 წელს

ალექსანდრე ერმოლოვი ლევან V დადიანს (1804-1840) სწერდა: „თქვენი ბრწყინვალეობის სულიერმა მამამ არქიმანდრიტ გიორგიმ, მომართვა თქვენი წერილი, რომელიც დიდი ყურადღებით წავიკითხე. მოხარული ვარ თქვენი წარმატებებისა, რაც ხელმწიფე იმპერატორის ყურადღებასაც კი იმსახურებს ... ვლაქერნის ღმრთისმშობლის ეკლესიის გეგმა ახლო მომავალში დამთავრდება და მასთან ერთად გამოგეგზავნებათ 2 ათასი თუმანი მის ასაგებად“ (3).

აქვე საჭიროდ მიგვანია, ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ თავად ვლაქერნის ღმრთისმშობლის ხატზე. სიტყვა „ვლაქერნი“ ბერძნულია და ქალაქ კონსტანტინოპოლის დასავლეთ ნაწილს ერქვა. თეოდოს მცირის (408-450) დროს, ყურის ნაპირას, პავლინ მაგისტრის მიერ აქ მონასტერი აშენდა, რომელიც 1434 წელს დაიწვა. ქრისტიანული გადმოცემის თანახმად, ამ ტაძარში იყო მარიამ ღმრთისმშობლის ხატი, რომელიც წმინდა ანდრიას გამოეცხადა. ეს ხატი XIV საუკუნეში უნახავს რუს დიაკვანს ალექსანდრეს (145;369). ამავე ტაძარში ინახებოდა მეორე სასწაულთმოქმედი ღმრთისმშობლის ხატი, რომელიც თან ახლდა ჰერაკლე კეისარს ირანელთა წინააღმდეგ ლაშქრობის დროს. VIII საუკუნეში ბიზანტიაში დაწყებული ხატომებრძოლობის დროს იგი ბერებმა პანტოკრატორის სავანეში გადაიტანეს და მის კედლებში ჩააშენეს. იგი აქ დაახლოებით ას წელიწადს ინახებოდა.

1453 წელს, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, ეს ხატი რამდენიმეხანს ბიზანტიის საპატრიარქოში იყო, საიდანაც უსაფრთხოების მიზნით ათონის მთაზე გადაასვენეს. არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვითაც ეკლესიის კედლის სამალავში ჩაშენებული ხატი მუსლიმმა ჰაბიზებმა ფანჯრის გამოჭრის დროს აღმოაჩინეს, გაძარცვეს და შემდეგ იქვე ახლო მცხოვრებ ერთ დედაკაცს მიჰყიდეს (7;32), რომლისგანაც ხატი პროტოსინგელოზმა გაბრიელმა შეიძინა (146;85-86).

1654 წელს სიწმინდე რუსეთის მეფე ალექსანდრე მიხეილის ძეს (1654-1676) გაუგზავნეს, რომელიც დაეჭვდა ხატის ნამდვილობაში და მისი შემოწმება ბრძანა. იმავე წლის 10 დეკემბერს იერუსალიმის პატრიარქმა გაბრიელმა მეფეს შემდეგი შინაარსის სიგელი გამოუგზავნა: „თქვენს მიერ ბერძენი დიმიტრი კოსტინარის ხელით გამოგზავნილი სასწაულთმოქმედი ვლაქერნის ღმრთისმშობლის ხატი სწორედ ის გახლავთ, რომელიც ოდესღაც იფარავდა კონსტანტინოპოლსა და



ბიზანტიელ იმპერატორებს და, რომელიც თან ჰქონდა სპარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობისას ჰერაკლე კეისარს“ (176;210-211). მას შემდეგ ეს ხატი კრემლის მიძინების ტაძარში ინახებოდა, ხოლო 1812 წელს, ნაპოლეონის შემოსევის დროს, იგი მცირედენ დაზიანდა.

ამბროსი ხელაია ექვქექემ აყენებს რუსეთში არსებული ვლადიკლავის ხატის ნამდვილობას, რადგან ბერძნებს ხშირად მიჰქონდათ რუსეთში სარწმუნოებრივი რელიკვიები და ამ საგნებით აღებ-შიცემობას ეწეოდნენ, სადაც ხშირად ყალბ რელიკვიებსაც ასალებდნენ (7;32). ამიტომ, ჩვენი აზრით, ალბათ, უფრო მართებულია, ელენე დედოფლის მიერ ჩამოტანილი და საქართველოში დასვენებული ვლადიკლავის ხატი მიეიწინოთ ნამდვილად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელენემ ჩამოიოტანა „სამსჭუალნი უფლისა და ხატი ოქონისა“. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს ვლადიკლავის ხატი, რომელიც XVI საუკუნეში გიორგი გურიელმა, იმერეთის მეფე ალექსანდრესთან საბრძოლველად წამოსულმა, „განსძარცვა და ჰყო სამკაულად თვისად“ (12;847).

XVII საუკუნის 60-იან წლებში დასავლეთ საქართველოში გამოლაშქრებულმა ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675) ვამეყ III დადიანი (1658-1660) სამეგრელოდან გააძევა, აიღო ჭაქვინჯის ციხესიმაგრე და დაატყვევა დადიანის ცოლ-შვილი. აქვე პოვა „ხატი ოქონისა, რომელიც დარჩა მეფესა სვიმონს“ (56;449). ალბათ, სწორედ, ამიტომაც არის დატანებული 1737 წლის იმერეთის რუკაზე შემოქმედის მონასტერი, როგორც ღმრთისმშობლის სარტყლის შენახვის ადგილი. მოგვიანებით იგი კვლავ სამეგრელოში დააბრუნეს.

ამჟამად ხატი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ოქროს ფონდშია დაცული. მასში XIX საუკუნის ხელოვნების სტილი ჭარბობს, რისი მიზეზიც რუსეთის საიმპერატორო ფაბრიკაში ჩატარებული განახლებაა.

ხატი წარმოადგენს დიდი ზომის მოოქროვილ ვერცხლის ორკარიან კუბოს, რომლის თავზე დამაგრებულია ნახევარწრიული ფორმის ჯვარი, რომელიც ვარდის კვირტებისა და მისი ღერების გამჭოლ რელიეფურ ფორმას გვაძლევს ფასადის მხრიდან, ეს ზედა ნაწილი ამჟამად მომძვრალია კუბოს კორპუსიდან და ცალკეა. ჯვარზე გამოსახულია ჯვარცმული მაცხოვრის რელიეფური ფიგურა. ზედა მონაკვეთში გრაგნილზე წარწერაა ასოებით „ИИИИ“. გამჭოლი დეკორატიული მოტივის ცენტრში ოვალური დაფაა, რომლის კიდეები მსხვილი რელიეფური წერტილებითაა დაფარული. დაფის მთელ

არეზე ექვსფიგურიანი რთული კომპოზიციაა რელიეფურად გამო-  
სახული, ფერწერული მინანქრის სახეებითა და ხელებით. კომპოზი-  
ციას ახლავს რუსული და ქართული ასომთავრული განმარტებითი  
წარწერები: „ხატი დიდებისა პატიოსნისა სარტყლისა ყოველსა წმიდისა  
ღმრთისმშობლისა“. „и҃рѣзъ пошлѣженнѣя поясѣ Пресвѣтой Богоро-  
дицы“. აქვე ამოკვეთილია 26-სტრიქონიანი ასომთავრული წარწ-  
ერა, რომელიც საინტერესო ისტორიული წყაროა:

„1. დროსა მას, ოდესცა კეთილ დღეობით განიგებოდა დიდი  
სახელმწიფო ყოვლისა რუსეთისა

2. თვით მპყრობელობითა მართლ მორწმუნისა იმპერატორის  
ალექსანდრე მეორისათა და ოდესცა

3. მეშურნენი დიდებულისა მისის სახელმწიფოისანი, მეფენი  
დასავლეთისანი, ქრისტეს ჯუარის მოსავად

4. სახელის მადებელნი თავისა თვისისანი, თანა შეიკრნენ მოწაფისა  
თანა ცრუ წინასწარმეტყველის მახმადისა ხონ

5. თქრისთანა ოსმალთასა კავშირითა ძმობისათა სავნებელად  
მართალ მადიდებლობისა და მაშინ ქუეყანაცა

6. ჩუენი განიცდებოდა პირად პირადთა ზედა მოსილთაგან ჭირ-  
თა. ყოვლად უწმინდესო დედაო ღვთისაო, მინდო

7. ბილმან მფარველობისა შენისადმი, სამეგრელოს მმართველად  
მთავრინა ეკატერინა დადიანისაგან, ასულმან

8. კახეთის თავადის ღენერალ-ლეიტენანტის ალექსანდრე ჭავ-  
ჭავაძისაგან. შემკობისა შემდგომად ყოვლად პატიოსნისა ვლადქერა

9. ნის ხატისა შენისა, რომელი და შორს მისა ნაწილიცა წმინ-  
დის შენის სარტყლისა ძუელითაგანვე აქუნდა სახლსა

10. დადიანისა უღელვოდ ნავთსაყუდელად განსაცდელთა შინა  
და რომელიცა ჩყე (1806) წელსა შინა ოდესცა სამენგრე

11. ლოსა მოველინა ზეგარდამოით მფარველობა რუსეთისა ნიშ-  
ნად სამარადისოისა ერთგულებისა მისდამი,

12. იქმნა მიძღნული მენგრელიის მმართვეული მთავრინა ნინასა-  
გან ასულისა საქართველოს მეფის გიორგი მეათ

13. ცამეტისა. ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე პირველი-  
სადმი, გარნა მისმან დიდებულებამან სათნო

14. ყო სახელითა თვისითავე წარმოგზავნა მისვე ნინასადმი მის-  
აქცევით სახლადვე დადიანთა ყოვლად უმოწყა

15. ლესისა რესკრიპტისთანა ლა (31) მაისისა მასვე ჩყე (1806)



სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა  
(1816-1882, დედოფალი - 1839-1857).



სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი  
(1812-1853, მთავარი 1846-1853).

წელსა, რომელსა შინა თქმული არიან შემდგომნი ძვირ

16. ფასნი სიტყუანი – იყავნ იგი ორ კერძოვე წმინდად და მოწამედ სამარადისოისა ჩემდამი თქუენისა ერთ

17. გულებისა და ჩემისა განუშორებელისა თქუენდა მფარველობისა. და მიერთაგან, განგრძობასა შინა ერგასთა

18. წელთასა, შენითა მეოხებითა იქმნა დაცულ სახლი სამთავრო დადიანთა და სლცა სამეგრელო უშუო

19. თუელად, ამათგან მომხსენებელმან და ძალისაებრთა მადლობათა შემომწირუელმან ვიგულისმოდგინე შორ

20. თმეკად შენდა კილოზნისა ამის, რომელსა შორის ეგებოდეს-რა ყოვლად პატიოსანი ხატი შენი წმინდით სარტყლითურთ

21. შენით, იყავნ იგი განმადლიერებლად მართლმადიდებლობისა, აღსამალლებლად დიდის ჩუენის ხელ

22. მწიფის სახელისა, წარსამართებლად ძისა ჩემისა ცხრაწლოვანისა მემკვიდრეობით სამენგრელოს მთავარის და

23. რუსეთის ხელმწიფის ლუარდიის პორუჩიკის ნოკოლაოზ დავითის ძის დადიანისა და ყოვლისა სამენგრე

24. ლოის მთავრის სახლისა, და საოხად ღვთისადმი შესუენებულის მეუღლის ჩემის მენგრელიის მთავრის და რუსე

25. თის ღენერალ-მაიორის და კავალერის დავით ლეონის ძის დადიანისა; წელთა განხორციელებითგან სიტ

26. ყვისა ჩყნვ-სა (1856) იანვრის დ (4)-სა, საზაფხულო სასახლესა შინა გორდს.“

რუსეთიდან ჩამოსვენებული ვლადიკავრის ხატი 1806 წლისათვის გორდის დადიანთა კარის ეკლესიაში დაუსვენებიათ (122;91). ირკვევა, რომ იმერეთის მეფეს სოლომონ II-ს (1789-1810) XIX საუკუნის დასაწყისში, გორდში ლაშქრობისას, მოუტაცია და იმერეთში გადაუსვენებია ვლადიკავრის ღმრთისმშობლის ხატი. ეს ამბავი 1801-1802 წლებში მომხდარა. ამ დროს კი რუსეთიდან არ იყო მიღებული ეს რელიკვიები, ამიტომ აქ, ალბათ, რომელიმე სხვა ვლადიკავრის ხატზე უნდა იყოს საუბარი. ამ ხატის გატაცებას აღუშფოთებია ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII (1798-1800) – მას იმერეთის მეფისათვის დესპანი მიუგზავნია მუქარით: „სოლომონ მეფესა, წაურთმე-ვია ხატი ჩემი სიძისა დადიანისათვის, ხატი ვლადიკავრისა. თუ არ უბრუნა და არ დასცხრა, სოლომონ, ამოვაგდებ მეფესა იმერეთიდან“

(80;200).

1883 წელს, გორდში ყოფნისას, ხატი აღწერა პროფესორმა ჟულ მურიემ და აღტაცებული დარჩა მისი ზომითა და შემკულობით – ერთი მეტრის სიმაღლის ეს სამკარედი 300 პატიოსანი თვლით ყოფილა შემკული. ღვთისმშობლის თავზე ოქროს შარავანდის სხივებში 29 მარგალიტი და 82 მსხვილი ბრილიანტი, ხოლო ხატის ქვედა, ოქროს ქათიბში 79 ლალი, 20 საფირონი, 9 ბრილიანტი და 93 ზურმუხტი კიაფობდა (98;16-18).

როგორც აღინიშნა, ეს ხატი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია, მაგრამ სარტყელი დაკარგულად ითვლება. ჩვენი აზრით, მისი ადგილმდებარეობა 1857 წლამდე, სამეგრელოს სამთავროს გაუქმებამდე, უნდა ყოფილიყო ცნობილი და იგი, ალბათ, ისევ ზუგდიდის დედოფლისეულ სასახლეში ინახებოდა. ამას ხატზე დატანებული ეკატერინე დადიანის წარწერა ცხადყოფს. ამბროსი ხელაიას თქმით: „უკანასკნელი რევოლუცია-არეულობის დროს (ე. ი. 1917 წელს, გ. კ.) იგი შენახული ყოფილა ზუგდიდში დადიანთა სასახლის ეკლესიის კედლის სამალავში, რომლის კარი ამოუშენებიათ ქვით. 1920 წელს ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს ხატი წაუღია ტფილისს და დაუსვენებია, როგორც მითხრეს, არა ტაძარში, როგორც მორწმუნეთათვის სათაყვანებელი სიწმინდე, არამედ არ ვიცი რა მოსაზრებით, სახელმწიფო ხაზინის სალაროში. როგორც გადმომცეს ღმრთისმშობლის სარტყელი ახლა ხატთან არ არის და ვის ხელში გადავიდა და ან სად ინახება ეს ძვირფასი სარწმუნოებრივი რელიქვია არ არის ცნობილი“ (7;30).

თუ მოვლენათა ქრონიკას თვალს გადავაყვებით, შემდეგ სურათს მივიღებთ: 1914 წლის დეკემბერში, როდესაც დაიწყო თურქ-ოსმალთა ჯარების შეტევა სარიყამიშის მიმართულებით მოსალოდნელად მიუჩნევიათ თურქთა შემოჭრა სამეგრელოშიც, დადიანთა მოურავს გამოუყვია ოქრო-ვერცხლის ნივთები, რომლებიც მას ყველაზე ძვირფასად მიაჩნდა, ჩაულავებია ოთხ ყუთში და ვლადიკავკასიის ღმრთისმშობლის ხატთან ერთად მოუთავსებია ჯერ სასახლის ქვემო სართულის საყინულეში, შემდეგ კი იმავე ქვემო სართულის სამზარეულოს ღრმა და მაღალი კუთხის განჯინაში, რომელიც ამოუქოლავთ ორი ფენა აგურით, შეუღესავთ გაჯით და, შენიღბვის მიზნით, შეუღებავთ ისევე, როგორც იყო შეღებილი კედელი. 1919 წლის 21 დეკემბერს მთავრობის დავალებით ექვთიმე თაყაიშვილს შეუღია დალუქული

კარი ეკატერინეს სასახლისა, დაუვლია სასახლის ზემო სართულის ოთახები, შემდეგ ჩასულა ქვემო სართულის სამზარეულოში, სადაც მოურავს უჩვენებია სამალავი. გამოუნგრევიათ განჯინის ამოქოლილი პირი. შიგ აღმოჩენილა ოთხი ყუთი, სავსე ოქროსა და ვერცხლის ნივთებით, და ცალკე ვლადიმერის დიდი ხატი თავის „კიოტი“ ანუ კიდობნით.

კომისიის გადაწყვეტილებით, ვლადიმერის ხატი და სამალავში დაცული სხვა ნივთები თბილისში გადაიტანეს (117;32-35). ჩვენამდე შემორჩენილია მანდატი და სასახლიდან განძის გამოძიანი კომისიის ოქმი, რომელშიც მოხსენიებულია ვლადიმერის ხატის „კიოტი“, ანუ სარტყლის კიდობანი. 1921 წლის თებერვალში ეს ხატი, სხვა ეროვნულ განძეულობასთან ერთად, საფრანგეთში გაიტანეს და 1945 წლის 11 აპრილს კვლავ სამშობლოში დააბრუნეს (74;471-472), მაგრამ აღარსად ირიცხება სარტყელი. იგი არაა ფიქსირებული განძეულობის როგორც გატანის, ასევე ჩამოტანის ოქმებში, რაც იმას ცხადყოფს, რომ 1919 წელს მარიამ ღმრთისმშობლის სარტყელი უკვე დაკარგული იყო.

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ სამეგრელოში წმინდა ნაწილების მოხვედრის სამი ძირითადი გზა იყო: კონსტანტინოპოლი, იერუსალიმი და აღმოსავლეთ საქართველო.

ჩვენი აზრით, სიწმინდეთა ძირითადი ნაწილი სამეგრელოში ბიზანტიიდან უნდა შემოსულიყო. როგორც ცნობილია, ეს სახელოვანი იმპერია საქართველოს ესაზღვრებოდა, ხმელეთითაც და ზღვითაც, აბიტომ, ცხადია, ამ სახელმწიფოებს მჭიდრო ურთიერთკავშირი ჰქონდათ. გარდა ამისა, საუკუნეების განმავლობაში ბიზანტიაში წმინდა ნაწილების გატანის მრავალი მიზეზი წარმოიშვა. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ VIII საუკუნეში დაწყებული ხატმებრძოლობა, როცა მეფე ლეონ III-მ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, აიკრძალა ეკლესია-მონასტრებში ხატებისა და წმინდა ნაწილების თაყვანისცემა. პროცესს შედეგად მოჰყვა მრავალი წმინდა ნაწილისა თუ ხატის მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის სამეგრელოში, გატანა.

მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი ბიზანტიიდან საქართველოში წმინდა ნაწილების მოხვედრისა უნდა ყოფილიყო კონსტანტინოპოლის დაცემა. წმინდა ნაწილები და რელიკვიები საქართველოში საჩუქრებისა

და მზითევის სახითაც მოქონდათ. ამას ბიზანტიის საიმპერატორო ტახტისა და საქართველოს სამეფო კარის წევრთა ხშირი ნათესაური კავშირ-ურთიერთობები გვაფიქრებინებს.

უდავოა, რომ სიწმინდეები სამეგრელოში მხოლოდ ბიზანტიიდან არ შემოუტანიათ. ისტორიული წყაროები ქალაქ იერუსალიმსაც ასახელებს, რაც, ჩვენი აზრით, არცთუ ისე უსაფუძვლოა. საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ამ ქალაქთან გიორგი ბრწყინვალის დროს. ეგვიპტის სულთნების წერილებში გიორგი მოხსენიებულია როგორც „იერუსალიმის წმინდა ადგილების განმადიდებელი, ქრისტიანთა საყრდენი, რომის პაპის მეშველი“. ამ მეფის მეოხებით ქართველებმა ეგვიპტელთაგან დაიბრუნეს ჯვრის მონასტერი, დაუფლნენ ქრისტეს საფლავის კლიტეებს, დაიწიეს ზრუნვა სხვა ქრისტიან ერთა უფლებებზე. იერუსალიმში ჩასული ქართველი მომლოცველები „სულთანს ხარკს არ უხდიდნენ და ცხენებზე ამხედრებულებს“ შეეძლოთ, გაშლილი ქართული დროშებით შესულიყვნენ ქალაქში, ხოლო მაშინ, როცა იერუსალიმი სელჩუკთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, საქართველო ერთ-ერთი უძლიერესი მართლმადიდებლური სახელმწიფო იყო.

წმინდა ნაწილები და რელიკვიები სამეგრელოში აღმოსავლეთ საქართველოდანაც მოქონდათ. ეს რეგიონი ხშირი თავდასხმებისა და აწიოკების ობიექტი იყო, დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა (ლიხის ქედი, გაუვალი ტყეები, ჭაობები) ხელს უშლიდა მტრის ფართომასშტაბიან მოქმედებას, ამიტომაც დასავლეთ საქართველოში იხიზნებოდნენ სამეფო კარის წევრები, მოსახლეობა. აქვე ხშირად მალავდნენ სასახლეებიდან და ეკლესიებიდან გამოტანილ ძვირფასეულობას. სწორედ ამ გზით უნდა მოხვედრილიყო იოანე ნათლისმცემლის ხორხი ოპიზის მონასტრიდან სამეგრელოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სიწმინდეები ერთდროულად არ შემოუტანიათ ამ მხარეში, ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა.



X საუკუნეში ბიზანტიის საეკლესიო პოლიტიკის საწინააღმდეგოდ საქართველოში მოიშალა ძველი (ბიზანტიური) საეპისკოპოსო კათედრები — სებასტოპოლის საარქიეპისკოპოსო ცხუმის კათედრამ შეცვალა, ხოლო ფაზისის მიტროპოლია აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის (922-957) დროს ჭყონდიდში გადაიტანეს. „ბერძნული“ გუდაყვა 999 წელს ქართულმა ბედიამ „მოცვალა“. ამავე პერიოდში დაარსდა მოქვისა და დრანდის საეპისკოპოსოები.

XIV საუკუნეში დაარსებული ხობის საეპისკოპოსო XVII საუკუნის 30-იანი წლებისათვის მოიშალა და იგი 1639-1640 წლებში ლევან დადიანს აღუდგენია, მაგრამ ხსენებული კათედრა XVII საუკუნის დასასრულს საბოლოოდ მონასტრად გადაკეთდა.

ლევან II დადიანს დაუარსებია XVII საუკუნეში წალენჯიხის საეპისკოპოსო, რომლის არსებობამაც ღიდხანს ვერ გასტანა.

XVII საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო აფხაზეთის გაძლიერებული თავდასხმები. მოქვისა და დრანდის ეპარქიებში სწრაფად აიყარა მკვიდრი მოსახლეობა, აქაურობა გაველურდა, რის შედეგადაც ეს საეპისკოპოსოები გაუქმდა.

ოდიშ-აფხაზეთს შორის მიმდინარე პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ბედიის კათედრის სიცოცხლისუნარიანობაზეც იმოქმედა. XVIII საუკუნის 80-იან წლებში აქ სასულიერო ცხოვრება შეწყდა, 1888 წელს ბედიის ტაძარი მცენარეულობით დაფარულ ნანგრევებს წარმოადგენდა.

1823 წელს, ცაიშის უკანასკნელი მიტროპოლიტის გრიგოლ ჩიქოვანის გარდაცვალების შემდეგ, ჭყონდიდისა და ცაიშის ეპარქიები გაერთიანდა, 1829 წელს მას სამეგრელოს ეპარქია ეწოდა და კათედრად მარტვილის ტაძარი გამოცხადდა.

ოდიშის სამთავროს ტერიტორიაზე 7 საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: ცაიში, ბედია, მოქვი, დრანდა, ჭყონდიდი, ხობი და წალენჯიხა. ყოველმა მათგანმა განვითარების საკუთარი გზა განვლო.

ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგების დადგენის დროს გაირკვა, რომ ოდიშში იყო შემთხვევები, როცა მაღალ სასულიერო წოდებებს და მათ შორის ეპისკოპოსობასაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ერთი გვარის წარმომადგენლები ატარებდნენ, რაც საეკლესიო სფეროში. ცალკეული საგვარეულოების დაწინაურების შედეგი იყო.

ოდიშში საეკლესიო წოდებამ — მიტროპოლიტობამ განვითარების საკუთარი სახე მიიღო და იგი თავისი ძალაუფლებით არსებითად არ აღემატებოდა ოდიშის სხვა ეპისკოპოსებს. შეიძლება ითქვას, რომ ეპისკოპოსობის ინსტიტუტი ოდიშში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, განვითარების თავისებურებებს განიცდიდა, მაგრამ ძირითადი ქრისტიანული, დოგმატური არსი ეპისკოპოსობის შესახებ პრაქტიკულად არასოდეს დარღვეულა.

ოდიშის საეპისკოპოსოთა შორის უძველესია ცაიში, მისი მოხსენიება VI-VIII საუკუნეების ბერძნულ ნოტიციებში იმაზე მეტყველებს, რომ ცაიშის საეპისკოპოსო უფრო ადრე უნდა შექმნილიყო. X საუკუნისათვის იგი მცხეთის საკათალიკოსო ტახტს დაექვემდებარა და ერთ-ერთი უძლიერესი ქართული სასულიერო და კულტურული ცენტრი გახდა. ჩვენამდე შემორჩენილი დოკუმენტების მიხედვით, ცნობილია 17 ცაიშელი იერარქის სახელი, მათგან პირველი XI საუკუნის მოღვაწე ეფრემი გახლავთ, უკანასკნელი კი მიტროპოლიტი გრიგოლ ჩიქოვანი (1777-1823) იყო.

ცაიშის მონასტრის პირველად შესწავლილმა ფრესკულმა მხატვრობამ საშუალება მოგვცა, დაგვედგინა აქ გამოსახულ ისტორიულ პირთა ვინაობა და გაგვერკვია მათი დამოკიდებულება კათედრისადმი.

XVII საუკუნეში ცაიში დასაველეთ საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი ეპარქია იყო. მისი ვრცელი ტერიტორიები და დიდი სამწყსო კათედრას მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა. გარდა ამისა, ცაიშის ეპარქიას აფხაზეთის საკათალიკოსოსთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, როგორც საეკლესიო საკითხებში, ასევე სოციალურ სფეროში, რაც გამოიხატება ამ ეპარქიაში აფხაზეთის კათალიკოსისათვის კუთვნილ მოლაშქრე კაცთა არსებობასა და რაოდენობაში.

ცაიშის საეპისკოპოსოს საზღვრები, სავარაუდო, ასეთია: ჩრდილოეთით იგი გადიოდა მდინარე ჭანისწყლის ზემო წელზე, ზუგდიდ-ჭანჭენიჯსა და მდინარე რუხს შორის, ეს საზღვარი ხშირად იცვლებოდა და XVII საუკუნისათვის უკვე მდინარე ენგურზე გადმობინაცვლა; სამხრეთით საზღვარი იყო მდინარე რიონის ქვემო წელი, დაახლოებით სუჯუნიდან შავ ზღვამდე; დასავლეთით — დადისწყლის შესართავიდან მდინარე რიონის შესართავამდე. აღმოსავლეთით — მდინარე აბაშა ან მდინარე ტეხური. ცაიშის საეპისკოპოსოს ასევე ეკუთვნოდა სადადეშქელიანო სვანეთი.

ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისის ხუროთმოძღვრების სტილის პირმშოა. ხოლო ზოგი ნიშანი საწყისს ჯერ კიდევ XIII ს-ის დასდევს იღებს. მასში ძირითადად სამი სამშენებლო პერიოდი განიჩევა. აქვე გვხვდება უფრო ადრეული, კერძოდ, X საუკუნისა და უფრო მოგვიანო, XVII საუკუნის, ხუროთმოძღვრების ნიშნები.

შესრულების მანერით, იკონოგრაფიული და სტილისტური ნიშნებით ცაიშის მოხატულობას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიენიჭოს XVII საუკუნის ქართულ მონუმენტურ ფერწერაში.

ცაიშის ტაძარი XIV საუკუნეში დადიანთა საგვარეულო საძვალე იყო. პლ. იოსელიანის სიტყვებით: „ჩრდილოეთისაკენ მიმართულ მზერას იმთავითვე იპყრობს ურთას მთაგრეხილი, რომელსაც თითქოს უბეში ჩაუკრავს ცაიშის მონასტერი – ქრისტეს რჯულის ჭემშარიტი მანათობელი ოდიშში, ამ კუთხის ძველ და ახალ მთავართა საძვალე, წმინდა ჯვრისა და სახარების წინააღმდეგ მებრძოლთა რისხვა“.

როგორც ჩანს, გარდა დადიანებისა აქ იკრძალებოდნენ ცნობილი საზოგადო და საეკლესიო მოღვაწეები. ცაიშის ტაძრის შიგნით 6 საფლავია შემორჩენილი.

ბედიის საეპისკოპოსო კათედრა დაარსებულია X საუკუნის ბოლოს, კერძოდ 999 წლის ახლო წლებში.

ბედიის, როგორც ქალაქის, შესახებ უძველესი ცნობა გადმოცემული აქვს ლეონტი მროველს და მოსაზრება, რომ აქ მოხსენიებული ქალაქი ეგრისი დღევანდელი ბედიია, გასაზიარებელია.

ბედიელ იერარქთა შესახებ მწირი ისტორიული წყაროებია შემორჩენილი. ცნობილია სულ 20 იერარქის სახელი. მათგან პირველი X-XI საუკუნეთა მიჯნის მოღვაწე გიორგია, ხოლო უკანასკნელი, XVIII საუკუნის 80-იანი წლების ეპისკოპოსი მაქსიმე იაშვილი.

ბედიის ეპარქიის სამხრეთი საზღვარი გადიოდა მდინარე დაღისწყალზე და ენგურის ზემო წელზე, ჩრდილოეთით – მოქვის წყალზე ვიდრე კოდორის შენაკადის სათავემდე, დასავლეთით – შავ ზღვაზე, აღმოსავლეთით კი ოდიშ-სვანეთის პოლიტიკურ საზღვარზე.

მოქვი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეპისკოპოსო იყო არა მარტო ოდიშში, არამედ საქართველოში, მაგრამ ცნობებმა მოქველ ეპისკოპოსთა შესახებ ჩვენამდის ნაკლებად მოაღწია.

პირველი ჩვენთვის ცნობილი მოქველი ეპისკოპოსი ამავე ტაძრის სამრევლოს წარწერაში მოიხსენიება და იგი XII საუკუნის მოღვაწე გრიგოლ მაგნიძისძე (ან გუძანისძე) გახლავთ. უკანასკნელი კი, ანდრია საყვარელიძე, მოქვს განაგებდა XVII საუკუნის II ნახევარში, 1665 წლამდე.

ხობში საეპისკოპოსო კათედრის დაარსება გიორგი II დადიანის სახელს უკავშირდება და პირველი ხობელი ეპისკოპოსიც XIV საუკუნეშია ცნობილი.

XVII საუკუნეში ხობში მნიშვნელოვანი საეკლესიო-ადმინისტრაციული ცვლილებები მოხდა. კერძოდ, XVII საუკუნის 30-იან წლებში მოშლილი საეპისკოპოსო კათედრა ლევან II დადიანს დაახლოებით 1639-1649 წლებში აღუდგენია. ამავე პერიოდში უნდა იყოს შედგენილი მფლობელობის განახლების სიგელიც. ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ხობის საეპისკოპოსო კათედრა მოიშალა და იგი აფხაზეთის კათალიკოსის ისეთივე პირადი რეზიდენცია გახდა, როგორც ბიჭვინთა. რადგან XVI საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთიდან წამოსული კათალიკოსი ვერასოდეს უბრუნდება ბიჭვინთას, როგორც მუდმივ რეზიდენციას, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იქ მიდის, ძირითადად მირონის მოსახარმად, ამან საჭირო გახადა, აფხაზეთის კათალიკოსს ჰქონოდა რეზიდენცია ოდიშის სამთავროში, ჯერ სენაკში (ვამეყ დადიანის დროს), ხოლო შემდეგ — ხობში. ამიტომაც, 1660-1680 წლებში ლევან III დადიანმა ხობის ტაძარი აფხაზეთის კათალიკოსს დავით ნემსაძეს გადასცა. ხობი მონასტრად რჩებოდა XIX საუკუნის განმავლობაში, სულ ბოლომდე. სანამ იგი საერთოდ არ გაუქმდა.

ხობის საეპისკოპოსო ფლობდა დიდ მამულებს, მარნებს, ტყეებს, სათევზაო წყლებსა და სანადიროებს, საყანე მიწებს, სოფლის ეკლესიებს, მას ბაჟს უხდიდა ოდიშის სამთავროს რამდენიმე ნავსადგომი, ყოველწლიურად 50-მდე ოჯახი და 23-მდე გვარი 1000-მდე თეთრს უხდიდა, ხოლო 5 სოფლის 24-მდე გვარი 124 ლოლარიკ სანთელს უგზავნიდა. მისსავე კუთვნილებაში იყო 16-მდე „საყდრის კაცი“.

ცალკეა აღსანიშნავი სამეგრელოში დაცული ქრისტიანული სიწმინდეებისა და რელიკვიების კულტი. ნათლად ჩანს, რომ ყოველ წმინდა ნაწილსა და რელიკვიას, რელიგიურის გარდა, კონკრეტული საეკლესიო დანიშნულებაც ჰქონდა. მნიშვნელოვან წმინდა ნაწილთა ფლობა მსოფლიო ეკლესიათა საძმოში ავტორიტეტს ანიჭებდა მის

მელობელს. წმინდა ნაწილები მრავალრიცხოვან მრევლსაც იზიდავდა, რაც ეკლესიის მესვეურთათვის ღირსებისა და შემოსავლის წყარო იყო.

სიწმინდეთა ღიდი ნაწილი სამეგრელოს მთავრების რეზიდენციაში – ზუგდიდის დადიანების სასახლეში ინახებოდა. აქ იყო დაცული მარიამ ღმრთისმშობლის კვართი და მისი სარტყელი. განსაკუთრებით მდიდარი იყო ხობის მონასტერიც, სადაც ინახებოდა წმინდა გიორგის, იოანე ნათლისმცემლის, კვირიკეს, მარინეს სიწმინდეები.

სიწმინდეთა ძირითადი ნაწილი სამეგრელოში ბიზანტიიდან უნდა შემოსულიყო, რასაც ხელი შეუწყო ბიზანტიაში მიმდინარე ხატომებრძოლუობამ და 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემამ.

წმინდა ნაწილები და რელიკვიები სამეგრელოში აღმოსავლეთ საქართველოდანაც მოჰქონდათ. ეს რეგიონი ხშირი თავდასხმებისა და აწიოკების ობიექტი იყო, ხოლო დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა (ლიხის ქედი, გაუვალი ტყეები, ჭაობები) ხელს უშლიდა მტრის ფართომასშტაბიან მოქმედებას. ამიტომაც, დასავლეთ საქართველოში იხიზნებოდნენ სამეფო კარის წევრები, მოსახლეობა. აქვე ხშირად მალაუდნენ სასახლეებიდან და ეკლესიებიდან გამოტანილ ძვირფასეულობას. სწორედ ამ გზით უნდა მოხვედრილიყო იოანე ნათლისმცემლის ხორხი ოპიზის მონასტრიდან სამეგრელოში.

ცხადია, სიწმინდეები ერთდროულად არ შემოუტანიათ ოდიშში – ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა.

ბედიის სიგელი\*

„მოთხრობისაგან ივერიის ცხოვრებისა ჩანს, რომელ დროსა მეფის თამარის მეფობისასა აფხაზეთს მთავრობდა დოლატო შერვაშიძე, შთამომავალნი მისნი ყოფილნი თექვსმეტს, ანუ ჩვიდმეტ საუკუნოებში სამნი ძმანი შარვაშიძენი როსტომ, ჯიქეშია და ყვაპუ, ძენი ზეგნაყისანი. განყოფილან ურთიერთისაგან. უხუცესს როსტომს დაუპყრია თვის და წილათ პირველი ადგილი აფხაზეთისა შინა მდინარე ბზიფიდან დაწყებული მდინარე კოდორამდე, საშუალ ძმას ჯიქეშიას – მდინარის კოდორიდან მდინარის ღალიძგამდე, რომელსაც საზღვარსა ღღესაც ეწოდების აბხაზურის ენაზედ აბჟუაა, ესე იგი შუა ქვეყანა, ანუ სოფელი. ხოლო უმრწემესსა ძმასა ყვაპუს – მდინარის ღალიძგიდან მდინარე ენგურამდე... ესე უკანასკნელი ნაწილი ამღვრეულ დროებათა გამო ყოფილა დაცარიელებული მცხოვრებელთაგან, ამის გამო ყვაპუს გადმოუყვანია ბზიფიდან, ესე იგი უმცროსის ძმის საზღვრიდან, რაოდენიმე გვარნი თავადნი და აზნაურნი, სახელდობრ: ანჩაბაძე, ემუხვარი, ინალიშვილი, მარღანია, ზვანაძა, ლაკირბაია და აქირავა, რომელთათვის დაუნაწილებია ესე საზღვარი. ხოლო თვისდა სახასოთ შეუცავს სოფელი ბედია, ფახულანი და ბარბალო (ახლანდელი სოფელი კოკი). ყვაპუ ესე გარდაცვალებულა რა, დაშთენილა ძე მისი მურზაყან, რომელსაც საზღვარი ესე (....) მცხოვრებელთა აღუყვავილებია ადგილი და უწოდნია მურზაყანისა სახელსა ქვეშე სამურზაყანო და უუფლია სამურზაყანოში. შემდეგ მურზაყანისა უფლება ძე მისი ხუტუნიასი ლეონ და სოლომონს გაუნაწილებიათ მფლობელობასა სახასო სოფლები. უხუცესს ლეონს შეხვედრია სოფელი ბედია, რომელსაც ღღემდე უფლობენ ძენი მისნი, ხოლო სოლომონს ნაწილად ხდომია ბარბალო (კოკი) და სოფელი ფახულანი. დაშთენილი გაუნაწილებიათ მფლობელობასა ქვეშე უხუცესის ძმისა ლეონისას, ვითარცა სამურზაყანოისა მთავრობის საზაფხულო სოლომონისაგან წარმოსდგნენ ექვსნი ძენი 1 მანუჩარ, უკანასკნელი მფლობელი სამურზაყანოისა 2 ბეჟან, 3 სოხეხ და სხვანი“.

\* გაზეთი „კვალი“, 1897 წელი, № 20.

კაცია დადიანის სიგელი\*

(გრძელი წინასიტყვაობის შემდეგ) „... მპყრობელმან ოდიშ აფ-  
ხაზთა, სვანთა, თაკვერთა და პონტოს ზღვისამან, ძემან დიდად  
სახელოვანისა ხელმწიფისა დადიანისა ოტიასამან, თვით დადიანმან  
მონამან შენმან კაციამ და თანამეცხედრემან ჩემმან დელუფალმან  
ბატონმან ანნამ და ძემან ჩვენმან პირმშომან გრიგოლ და სხვათა  
ძეთა ჩვენთა — მანუჩარ, გიორგიმ, ლევან და ოტიამ მცირედ ძღვნად  
მიგიპყრათ შენ შეხრილად და ასეულად მიმგებელსა შენდაძი შემ-  
წირველთასა ესრეთ, რომელ ეკლესია შენი (ცაიშის ღმრთისმშობე-  
ლო) და მამულიცა ყოველივე ჟამშია რომელდთამე საეროდ ქმნილ-  
იყო და ეკლესია შენი ქერვიად ეგლო და განსაკუთრებული შენი  
ადგილიცა და შეილნი შენისა ეკლესიისანი მიმოდამნეულ იყვნენ,  
არცა იყო ეკლესიისა შინა შენსა განმგე ეპისკოპოსი უფროსად  
სამკვიდროდ, საეროდ ქმნილიყო. ამისთვის მრავლის ჟამითაგან მწუხ-  
არება არა მცირედი მიპყრობდა. გარნა, ოდესცა, მოწყალებითა ძისა  
შენისათა, უმატეს წარმატება ცხოვრება ჩემი, მაშინ შეწვენითა  
გამოვიხსენ ეკლესია შენი და ყმანიცა ეკლესიისა შენისანი მრავ-  
ლის ჭირითა და ღვაწლის დადებითა და შენადვე შევსწირე მინდ-  
ობილმან არა განუნახველად და არცა მძლავრებით, არამედ ჭეშმარ-  
იტისა მსჯავრის დადებითა და სამართლითა გამოვიძიე და რაცა  
ვპოვე საზღვარ დებულება მისი, თვისის საზღვრითა ყმანიცა ეკ-  
ლესიისა შენისანი განგისაკუთრეთ და ადგილიცა საზღვრითი საზღუ-  
რამდე თვისით მიწით, წყლით საყანით, სავენახით, სათევზით. სანად-  
იროთი რომელიცა გამოვიძიეთ, მაშინ განგისაკუთრეთ და რომელიცა  
მაშინ ვერ ვპოვეთ ჟამდრო ცვლილებისაგან, შემდგომად ძეთა ტახ-  
ტისა ჩვენისა მპყრობელთა ვარწმუნეთ ზრუნვად და გამოძიებად.  
ვინაითგან იგინიცა მფარველობასა შენსა შევევედრე, დედა სიტყვისა  
ღმრთისაო. და ესენი რა ესრეთ გამოვიძიე, მაშინ ძიება ვყავ გონებ-  
ისა ხედვითა და თანა შეთქმულებითა ყოვლად სამუდღელოთა მიტ-

\* გადმობეჭდილია: ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები.  
ტ. II, თბ., 1922, გვ. 176-177.

როპოლიტიკათა გამოვარჩიე კაცი სათნო და სატრფო გონებისა, ტომით ჩიქოვანი, ყოვლად სამულუდელო მიტროპოლიტი, ხედვითა და საქმითა სათნობათა შორის წარჩინებული, ღირსი ქებისა მიტროპოლიტი გრიგოლ და დავადგინეთ განმგედ. ეკლესიისანი საკუთარნი ყმანიცა და ადგილნი შენნი ყოველინვე და სამწყოსაცა შენისა ეკლესიისა. ხობის წყალის გაღმართი და ესრეთ განვათავისუფლეთ შენი ეკლესია, რომელ ლაშქრობისა მეტი სხვა ჩვენი სამსახური, არც საური, არც სხვა გადასახადი რამე, არც მუშაობა, არც ცხენის ჩაბმა არაფერი ეთხოვებოდეს რა. და ამ საქმეების დავთარიცა შენს ეკლესიაში დავსდევით და მხოლოდ ეკლესიის სამსახური ვარწმუნეთ. და ესეოდენი თავისუფლება ამისათვის დაუწერეთ შენის ეკლესიის ყმას ყოველსავე, რომლისა ჯერმჩინებელი და მოწამე არს უსანატრელესი კათალიკოსი მაქსიმე და ფრიად საწყური გონებისა ჩემისა და ტრფიალი სიბრძისა მოყვარებისა ფრიად ბრძენი ერთ სახელისა თვისისა, ფრიად სასო გონებისა ჩემისა ყოვლად სამულუდელო ცაგერელი მიტროპოლიტი სოფრონ, ძენი სახლისა ჩემისანი, საყვარელნი და საწყურნი, ძმანი ჩემნი ნიკოლაოს და გიორგი, სულიერი მამა და მოძღვარი ჩემი არხიმანდრიტი გერმანე, მოურავი გელოანი ქაიხოსრო, სახლთუხუცესი ჩიქანი გიორგი და ყოველნი დიდებულნი სამფლობელისა შინა ჩემსა მკვიდრობისა მომგებლნი ... (გრძელი წყევლა) აღიწერა ხელითა ჭყონდიდის არხიდაკონისა იოსელიანისითა. ქრისტეს აქეთ ჩლოზ“.

აქ დასმული ყოფილა ბეჭედი კაცია დადიანისა და ანნა დედოფლისა.



განჩინება ცაიშელისა კობახიძეთა სასისხლო საქმეზე\*  
(XVIII საუკუნის II ნახევარი)

ქ. დავსხედით ბრჭენი და მოსამართლენი და ყოვლად სამღვდელ-  
ლო ცაიშელი და კობახიძეთა გაეაბჭვეთ.

ცაიშელმა უჩივლა: რადგან ამ ქვეყნის მწყემსი ვარ, ჩემგან რიგია,  
რაც რომ უსჯულოება და უმართებულო საქმე იქნება, უნდა მოვი-  
კითხო. ერთი ღმერთის მტერი მემრავლე სოფელში დაიარებოდა და  
ემშაკობას ლაპარაკობდა და ყოველს კაცს ემშაკისაკენ მიაქცევდა.  
დიდის ხნით ვცდილობდი რომ დამეჭირა, მაგრამ ერთ დღემდის ვერ  
მოვახელე. შევიტყვე, რომ ჩემის კაცისას მოსულიყო, გავაგზავნე  
კაცი და დავაჭირვინე. დახვდი შენ და შენი სახლიკაცი. ის კაციც  
წაართვი და ჩემი კაციც გალახე და იარალი აყარე.

მოდგა კობახიძემ და ასე უპასუხა: მე შენს ლაპარაკს ვერ  
მივბედავ და არცა რიგია. ჩემ[მა] ამხანაგმა ჩემი თავი დაგასძინა და  
მან მიყო. შესახვეწნათ გიახელი; მე მკითხავის რას დავეძებ, ჩემს  
სტუმარს ვე[ძებ]დი, თორემ სხვა საქმე არ მქონდა. ერთი კაცი –  
რავარი კერძი კაცი არის ჩემი, ქვეყანამ იცის – ჩემი მეძღვნე  
უბრალოთ დამიჭირეს, გამიცარცვეს და მეორეს დღეს ამის შემხ-  
ვეწუთ გიეახელით, მაგრამ არაფერი სამართალი მიბოძე. ჩემი კაცის  
ნა[ცა]რცვი თოფი და ლეკური, სატევარი და ნაბადი დღესაც ხელში  
გაქვს; და ჩემგან შენს კაცს ან რა აკლია და ან რა ვკადრე?

მოდგა ცაიშლის კაცი იმ დღის გალახული და ასე უჩივლა:  
ბატონმა ჩემმა გამჩენმა გამავგზავნა ერთს ღმერთის მტერს კაცსზე.  
კაცი დავიჭირე და მომყავდა და მისი თაბუნი კაცი მად დამესწია,  
თოფით მკვლიდა და მართალია, სასიკვდილოდ თავი არ დავანებე და  
თოფი წავართვი, ამაზე დამხვდი შენ და შენი სახლიკაცი, ის დაჭირული  
კაციც გამაშვებინე და მეც თოფი წამართვი და ბევრი მირტყი და  
ჩემი თოფი იმ კაცს გაატანე და დღესაც მას აქვს.

\* გადმობეჭდილია: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო გან-  
ჩინებანი (XVIII-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაუროთო  
პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 247-249. საბუთი თარიღდება მანუჩარ დადიანის  
მმართველობის დროის მიხედვით.

მოდგა კობახიძე და ამისი აშორი ასე უთხრა: რაც რომ მე და ჩემი სტუმარი ტყუილა არ გამლახე, იმ დღეს ჩვენის ხელით შენ არაფერი გაადრებოდეს დ[ა] არც დაჭირული კაცი გაგვეშვებინოს.

აწ ამისი საქმე ასე გავსინჯეთ და გავაჩინეთ: წამოდგეს ჯოდორია და ლევანიკა და ან იმათი ტოლი კაცი თან ჩაიტანოს და თორმეტმა კაცმა ასე უფიცოს ცაიშელს: „რაც რომ ტყუვილს არ გვეწამები, იმ დღეს ჩვენ არც დაჭირული კაცი გაგვეშვებინოს, არც იარაღი წაგვეერთმიოს და არც ჩვენის ხელით რამე კადრებოდეს“: თუ ასე უფიცოს, ცაიშელი რას ემართლებდა.

და კობახიძე, რომ თავი[ს] სტუმრის გალახვას ჩივდა, თუ კობახიძე, ის მისი სტუმარი იშოვნოს, სამართალი შეიძლოს, რომ მის სტუმარს იმ დღეს არ ეშუღლებინოს ცაიშლის კაცისათვის, თოფი იმ კაცს შერჩეს და საუპატიო კობახიძეს მიეცეს.

თუ კობახიძის სტუმარმა სამართალი ვერ შეიძლოს, თოფიც მოიტანოს და მიართვას ცაიშელს და მისმა გალახვამაც გაიაროს, დასტურ თუ სამართალი შეიძლოს, თოფიც შერჩება კობახიძის სტუმარს; და რაც ნაცარცვია კობახიძის სტუმრის, ისიც მიეცეს. და საუპატიო როგორც რიგია, ისე კობახიძეს მიეცეს.

თუ სამართალი ესე თო[რ]მეტმა ვერ შეიძლოს, როგორც სამართლის წიგნმა გააჩინოს, ისე მიერთვას ცაიშელს.

ბეჭედი: „დადიანი მანუჩარ“.

ცაიშელი მიტროპოლიტის გრიგოლ ჩიქოვანის წარწერა\*

„1) ღირს არს ქებად შ(ე)ნდა და გალობად, ყ(ოვლა)დ წმინდაო ღ(ე)თის მშობელო, უპატიოსნესო ქერობინთაო

2) და უზესთესო სერაფიმთაო მარიაჲ, რ(ამეთუ) შ(ე)ნ მიერთა მოხედვითა აღმიყვანა ღ(მრ)თისა მსახ-

3) ურმა და მოსავმან სახელისა შენისამან მთავარმან და ჩულო-ბელმან ს(რულია)დ ოდიშ-ლერხ-

4) უმთა და სვანთა და აფხაზთამან, დადიანმან კაციაჲ, ცათა მობაძვის ეკლესიისა შენისა

5) ცაიშისა მწყემსობისა ხარისხისა მპყრობელან და წარმინართა (sic)

6) მე ხელი მოქმედებად და მსახურებად წმიდისა ამის ეკლესიისა შ(ე)ნისა,

7) ვინაიდგან ფ(რია)დ ესაჭირობოდა ეკლესიასა ამას შ(ე)ნსა ღწუა მუშაკობა, რ(ომე)ლ უ-

8) წინარსავე საშინელსა ძერისა მიერ სრულიად დაქცეულ იყო და რაოდენმე აღეშენე-

9) ბინა კვალადვე კათალიკოზ ცაიშელ-ჯუმათელ-ხოხელ მთავარეპისკოპოსს, გურიელის გი(ო)რგის

10) ძეს, მალაქიას; და შემდგომად ჟამთა ცვლილებითა და ეს ეკლესია შენი ცალიერი მწყემსისა, შევარდ-

11) ნილი კელთა ერისკაცთათ, და მოღვაწეობითა დადიანისა კაცისათა და გამორთმეული იქნამ ხე-

12) ლთაგან არარაის მზრუნველისა ამის ეკლესიისათვის. და მერწმუნა მე მპყრობელობა ეკლესიისა

13) ამის, ცაიშელ მიტროპოლიტს გრიგოლ ჩიქოვანს, (წელს)დ ათას შეიდას სამოცდა ჩვიდმეტსა. გარნა ვი-

14) ხილე ესე ეკლესია ფრიად დაცემული და დარღვეული შინაგან კედელი და გარეგანიცა, და, აგრეთვე, ხატნიცა შე-

15) ნნი უზრუნველობითა და სიძველითა გარყვნილ იყვნენ, რ(ომ)ლისათ(ვი)ს სასოებითავე და შენ მიერისა ძალისა

\* გადმობეჭდილია: ლილი ბერაია, სამეგრელოს X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატების წარწერები, თბილისი-ზუგდიდი, 2000. გვ. 21-22.

- 16) მოცემითა მივეც თავსა ჩემსა სიმხნე და კ(ვალა)დ მღვიძარება მივეც თავსა ჩემსა, ეგრეთვე, არცა რაიმე მონაგები
- 17) ვიპყარ ჩემდა და აღვაშენე ესე ეკლესია, რაოდენ დარღვეული იყო, საფასითა შინაგან და გარეგან. და
- 18) კ(ვალა)დ შემოვავლე ეკლესიასა ამას ირგვლივ გალაკანი, გაუკეთე მურდახალათ ხატებისა დასასვენებელი
- 19) შინაგან ეკლესიასა შინა, გაუკეთე სალხინებელი წმინდანსა ტრაპეზსა შ(ენ)სა და დაძველებულნი ხა
- 20) ტნი შენნი განვაახლენ პირველად მოყვითლითა და შემკობად საფასითა ჩემითა მოვაჭედინე, რაოდენ გარყვნი-
- 21) ლ იყო სიძველისაგან. და შევამკე თვლებითა და მარგალიტითა და ოქროს გვირგვინებითა ორნი დიდნი
- 22) ხატნი შენი და ჯვარცმისა მეოთხედ ესე მცირე ხატი შენი და სამწყსო დიდი ჯვარი და ამას, ოდეს ფ-
- 23) ლობელობდა მფარველობითა დიდი ხელმწიფე რუსეთისა აღექსანდრე პავლეს ძე, რომელიცა სწყალობდა
- 24) ფრიად მთავარსა ჩვენსა ღრანალ-მაიორისა და სხვათა და სხვათა ორდენ კავალერსა ლეონ დადიანსა,
- 25) მპყრობელსა ს(რულია)დ ოდიშ, ლეჩხუმთა, აფხაზთა და სვანთასა, ამისვე მთავრობასა ჟამსა შინა (წელს
- 26) ათას რვას თერთმეტსა, განახლებულ ვქენი ხატნი უდიდესნი და უმცირესი). შეიწირე, დედაო კ(რისტე)ს
- 27) ჩემისაო, ესე ღვაწლნი ჩემნი და ნუ განმაგდებ მე ეზოსაგან შენისა, რომელი განუმზადა მოყვარეთა მი
- 28) სთა. ხ(ოლო) თქვენ, შ(ემდგომა)დ მწყემსობისა ხარისხისა მპყრობელნო და მხილველნო ეკლესიისა ამისანო, ნუ მყოფთა
- 29) ცალიერ მოხსენებისაგან და ლოცვისა თქვენისა და ეგრეთვე თქვენცა მოიგეთ სიმხნე, რ(ათ)ა დაკლებუ-
- 30) ლნი ჩემნი მსახურებანი სრულ ჰყოთ თქვენ, ვინაიდგან მე ვყავ მრავა
- 31) ლსა პირად პირადსა აღშფოთებისა ჟამსა შინა, აწ სჩანს, რ(ომელ) მშვი-
- 32) დობა დაემყაროს ქვეყანასა ამას ჩვენსა, ვინაითგან, მაღალმან ხელ
- 33) მწიფემან განმართა სკიპტრა თვისი მფარველად ქვეყნისა ამის.
- 34) ესეც იუწყეთ, რომ უეჭველი წმინდათა ნაწილი შიგნით თავ
- 35) ზედ დავასვენეთ“.

იაკობ რეისნერი

მონასტრები და ტაძრები აფხაზეთში\*  
აფხაზეთი

ზღვის ნაპირიდან ოთხი ვერსის მანძილზედ, ინგურისა და სამეგრელოს ახლოს, დაბლობში აღმართულია ილორის ტაძარი – ერთადერთი კარგა მოზრდილი ეკლესია კოდორის ადმინისტრაციული ნაწილისა. იგი მოხდენილი, მაგრამ შედარებით პატარაა და არც გუმბათი აქვს, აქა-იქ ემჩნევა ოდესღაც არსებული კარი. ბჭეთა კვალი ირგვლივ ბლომათაა, ძველი და ახალი საფლავები შეკეთებულია, განახლებულია ქვითკირის გალავანი და ძველი სამრკელოს ნანგრევები. ადგილობრივ მოძღვარ მ(ამა) კონსტანტინე მაგლანიდის აზრით მეფე დავით ნარინის დროს, ე. ი. X საუკუნეშია აშენებული(!).

ეჭვს გარეშეა, რომ აწინდელი ილორის ტაძარი წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს იმისა, რაც წინათ ყოფილა და მასთან უმეცარის ხელით დამახინჯებულს და გავერანებულ ნაწილს: იგი დღეს გალესილია, შეღებილი, გადახურულია უბრალო, ჩვეულებრივ რკინის სახურავით, წვიმის ღარით, და მხოლოდ ორგან, ჩრდილოეთით და სამხრეთიდან წინ გამოწეული კედლები და სახურავზედ ჯვარი გვიჩვენებენ, რომ აქ ეკლესიაა. აღმოსავლეთის კედლის თავში, სახურავის ძირში და ქვევით, მიწის პირას შევხვდებით ქვის ფიქრებს, პირველზედ გამოკვეთილია წმ. გიორგი თავის რაშით, ხოლო მეორეზედ წარწერაა. ერთიც და მეორეც გალესილი და შეღებილია.

\* ხელნაწერი შედგება 19 გვერდისაგან. ქაღალდი – 36X221 სმ, შესრულებულია 1911 წელს. იაკობ რეისნერი იყო მხატვარ-არქიტექტორი. პეტერბურგის არქიტექტორთა საზოგადოების წევრი.

ტექსტი რუსულიდან იულონ ლომოურს კირიონ III საძაგლიშვილის თხოვნით უთარგმნია. ი. ლომოურის ცნობით, პეტერბურგელ მხატვარ რეისნერს მონაწილეობა მიუღია ზარზმის მონასტრის აღდგენაში, ასევე თან ახლდა ექსპედიციას, რომელსაც მეფისწული გიორგი აღექვანდრეს ძე ხელმძღვანელობდა. ხელნაწერის ბოლოში, სქოლიოში შემდეგი სახის მინაწერია: „ორი უკანასკნელი – აფხაზეთის და სვანეთის ძველი ტაძრების აღწერა წაკითხული იყო პეტერბურგის არქიტექტორთა საზოგადოების IX მორიგ კრებაზედ 18 იანვარს 1911 წელს. ამის შესახებ იხ. ყურნ. „Зодчии“ 15 1911 წ. ს. პეტ.“ წინამდებარე წიგნში ი. რეისნერის შრომის მხოლოდ I ნაწილი ქვეყნდება.

ასეთივე გულმოდგინებით „მოვლილია“ მთელი შენობა. შიგნით ბერი ხატებია, ამათში მომეტებული ნაწილი უკვე ცნობილია და აღწერილი, წარწერებიც თითქმის ყველა წაკითხულია. მართალია, ეს ხატები ძირიელ პატივცემულნი ბრძანდებიან, ხალხი მათ სასწაულ-მოქმედებასაც სწამებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მეტად საცოდავ და უნუგემო მდგომარეობაში არიან. აქვე ვიპოვე სამღვდლო სამოსელი, ლამაზად ნაკერი და მარგალიტებით მოქარგული, უყურადღებობით სამკურთხველოს სამხრეთ კედლის კუთხეში მტკვერში და ნაგეში მიგდებული. აქვე აყუდებულია ბროლის შუშებით მორთული ნაჭედი რკინის ჯვარი. კედლის მხატვრობა არსადაა – კედლები შელესილია. კანკელი, როგორც გურიის და სამეგრელოს საყდრების მომეტებულ ნაწილში, ხისაა, ახალი მე-ნო-წლების ხელობისაა.

ეკლესიის გალავნის შორი ახლოს გამოჭიმულია უზარმაზარი ბებერი თელა, რომელიც მთლიანად აჩონჩხილია დაფლეთილი ძონძებით და რამერუმეებით – აქ თურმე აფხაზების შესალოცი ადგილია და ბებერი თელაც ამიტომ დიდ პატივისცემაშია. კარგა ხანია, ადგილობრივი სამღვდლოება ებრძვის ამ ცრუ-მორწმუნებას, მაგრამ ამოდ... სწორედ იმ დროს, როცა მე ამ ადგილებს ვათუა-ლიერებდი, ზემოხსენებული აურ-ზაური და ყაყანი იდგა – თურმე სოფლები ფულის მისაცემად შეყრილიყვნენ.

ილორის ტაძარზე ბერი თქმულებაა ხალხში გავრცელებული. მაგ., ამბობენ, რომ დროგამოშვებით ეკლესიის მიდამოებში გაჩნდება ხოლმე წმინდა, საღვთო მოზვერი, რომელსაც ამ ეკლესიის დღეებში ჰკლავენ. ბერი სასწაულთმოქმედება და ღვთის წყალობა მოსდევს ხოლმე ამ მოზვერის გაჩენას... ამის გარდა, გავრცელებულია დიდებულ და ცნობილ მაჰმადიანთა ხატების თაყვანისცემა და სხვ. ამ ტაძარში ბლომად არის შეკრებილი ყოველგვარი ხატები და სხვა საეკლესიო სიძველენი წარწერებით, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ყველა ეს აქ სხვა ეკლესიებიდან და ადგილებიდან შემოუკრეფიათ. აქაურები კი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს სიმდიდრე სხვა მიზეზით არის აქ შემორჩენილი – უძლეველი და ძლიერი(ა) წმ. გიორგის ხატი, მას ვერას დააკლებს ქრისტიანობის მტერი და ავხელი ადამიანი... ნუ გამოვეკიდებით ამ ბავშვურ რწმენას, დეე არხეინად იყოს აფხაზი თავის ხატების ძლიერებას და სიცხოველეს მინდობილი. ჩვენ შორის კი აღვნიშნოთ, რომ ამ ძვირფას საუნჯეთა მომეტებული

ნაწილი აქ ინახება ბედიის და მოქვის მონასტრების, ზემო აფხაზეთის ამ უდიდეს და უმშვენიერეს ტაძრების გაუქმების შემდეგ.

ბედიის მონასტერი წამოჭიმულია მდინარე ოხოჯის ნაპირზედ ქვაჩხრელის მთების კალთებზედ, მთა ოდინწარის ახლოს მიუდგომელ კლდე საჯიხვეზედ. მის მფარველი ლახერის ღმრთისმშობლის ძვირფასი ხატი დღეს ზუგდიდში ინახება და თავად მინგრელსკის ეკუთვნის. თქმულება გვიჩვენებს, რომ დაარსებულა მეფე ბაგრატ III (980-1018) (sic) და მისი დედის გურანდუხტის მიერ XI საუკუნის პირველ ნახევარში. იგი აშენებულა საკირე ქვის უზარმაზარ ლოდებით და დაგვირგვინებულა მაღალ, 12 სარკმლიანი გუმბათით. ეს დიდებული და მოხდენილი ტაძარი ამაყად გადაჰყურებს მიდამოს და მთელ ზემო აფხაზეთს და სამეგრელოს. იგი შესანიშნავია თავის მორთულობით, რთული კონსტრუქციით და ამით ძლიერ განსხვავდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკლესიებიდან. ტაძრის ამშენებელი ხუროთმოძღვარი, ეტყობა, სიმონი ყოფილა: – ამას ამტკიცებს დასავლეთის კედლის კუთხის ქვაზედ ამოკვეთილი წარწერა: „წმიდაო ღმრთისმშობელო, დაიფარე და შეინდე, ვინც ააშენა ეს ტაძარი, სიმონი ხუროთმოძღვარი“. ტაძარი სამი ნეფისაგან შესდგება: შუა – მოზრდილი, ხოლო ორი გვერდებისა კი პატარებია, ყველა ამ ნაწილს თავის შესაფერი აბსიდა აქვს. შუა აბსიდში, კანკელის ადგილზედ, აღმართულია ორი უშველებელი საჯდომის მსგავსი ბოძი. ამბობენ, ძველად კანკელი ქვისა ყოფილა, მოკირწყლული და პირმოშენებული მარმარილოს ფიქალით, ასეთივე იყო, თურმე იატაკიც. ზენა ადგილიც ქვისაა და შემომწკრივებულია ქვისავე საჯდომებით, ტრაპეზი კი მარმარილოსია, მაგრამ დამსხვრეულია და ძირ ჩანგრეული. ტაძრის შინაგანი მორთულობა თვალწინ გვიხატავს ქართულ ხელოვნების ხუროთმოძღვრების და მხატვრობის ადვილებს ხანსა. სამწუხაროდ, ცოტა გადარჩენილა ამ შესანიშნავ ღროიდან: შენახულია სამი ფრესკა: „მებრძოლნი და მფლობელნი“... მათ ზემოთ კედელზე ეტყობა ლამაზი, კარგი ხელოვნების ჩუქურთმა, აქა იქ მოსჩანს თვით ნაშენიც, შანიშინის ახლო კედლებში ხმის გამოსაცემლად ჩატანებულია ქვევრები. ერთი ქვევრის პირი მეტად დიდი იყო და უნებურად მიიზიდა ჩემი ყურადღება. დავეკითხე ამ ეკლესიის ძველი დიდების და საუნჯეთა მოამავე და მოსიყვარულე მოხუც მღვდელს იასე შელიას და იმან, პასუხს ნაცვლად, მოატანინა კიბე მითხრა: „მებრძანდით და ნახეთ“-ო. ავძვერი ქვევრის პირამდი და

დავინახე რომ იქით, მეორე მხარეს იმყოფება ფარული და დამატებითი კარი-ბჭე. ცნობის მოყვარეობამ დამძლია და გადავწყვიტე აუცილებლად იქით გადაძრომა. ბევრი ვეწვალე – შესაძრომი მეტად ვიწრო იყო – მაგრამ, როგორც იყო, პერანგის ამარა, ხელ-ლონიჭი ბიჭის წყალობით, გავეტიე ამ ხვრელში და კარგა მოზრდილ და ნათელ ოთახში გავჩნდი. ეტყობა აქ ყველაფერი ხელუხლებელი ყოფილა და მრავალ საუკუნეთა მსვლელობას თან არაფერი გაუფანტავს, არ გაუმტკვერებია. სამწუხაროდ, მე მხოლოდ ცარიელი კედლები ვნახე, მგონია კი, რომ ამ კედლებში შენახული უნდა იყოს ბევრი რამ, რაც გადარჩა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ყოველი მხრიდან შემოსულ მტრის რბევა დაწიოკებას. უკან უფრო მეტი საცოდაობით და გაჭირვებით გამოვძვერი და ისევ ტაძრის დათვალიერებას შევუდექი. მოხუცმა მოძღვარმა შელიამ მიაძბო, რომ თავის სიყმაწვილეში მას კიდევ უნახავს ამ არაჩვეულებრივი ტაძრის თითქმის მთელი მხატვრობა. გუმბათი ამ 20-25 წლის წინათ მეზბა დაანგრია. ღმრთისმსახურება უკანასკნელად 1816 წელს ყოფილა. ამის შემდეგ კი ერთის მხრივ მრევლში სასოების და რწმენის დახშობის წყალობით, მეორე მხრივ კი უსახსრობის გამო, სვანე გაუქმებულა და დაცარიელებულა. ოდესღაც კი აქ სიცოცხლე სდუღდა, იგი სავსე იყო ბერებით და სიმდიდრით, რასაც მოწმობენ მრავალი და უზარმაზარი შენობები, რგოლივით შემორტყმული გორაკ ნაჯიხევის გარშემო. დღეს ამ შენობათა ხსენებაც კი აღარსად არის, და მხოლოდ გამოცდილი მკვლევარი თუ იპოვნის მათ კვალს: ყველაფერი მიწითაა დაფარული და ზედ ტყესავით აღმართულია მრავალი დაბურული ლელვის ხე და სხვა და სხვა გვარი მწვანე მძვრომარე მცენარეულობა. ასევე ამწვანებულია აღმოსავლეთის კედელი უხვად მოფენილი ზმილით. ამ მწვანე საფარავში, აქა იქ ამოსულან უშველებელი ლელვის ხეები, რომელთაც ღრმად და მაგრად გაუღვაკთ ფესვები, დაულხვიათ და გაუბიათ კედელი გუმბათიდან საძირკვლამდე. ამის გამო მთელი ტაძარი იმდენათაა დაზიანებული, რომ შიგ ყოფნაც კი საშიშია, ალბათ ამიტომ გაუტანიათ ეკლესიიდგან ყველაფერი, რის გატანაც კი შეიძლებოდა, რაც გადარჩენილია – გაფანტული და გაფუჭებულია. მაგ.: მარმარილოს ქვის ნამტკერეები აფხაზებმა თავისი საფლავებისათვის გამოიყენეს. მეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ აფხაზების საფლავები არა გვანან ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანთა საფლავებს – გარეგნობით ისინი უფრო სარკო-



ფაგებს წააგავან, მაგრამ ამოშენებულნი არიან, რითიც კი შეიძლებაო-  
და — ან უბრალო თიხით, ან ქვებით და ფიცრებით. არც სადმე  
არჩეული, მუდმივი სასაფლაო გააჩნიათ აფხაზებს, მარხავენ ყველ-  
გან, სადაც მოხვდებათ, არა თუ მარტო ეკლესიის გალავანში, არაჰედ  
გზის პირადაც, ბალებში, საფუტკრეებში... ყველგან სადაც მიცვალე-  
ბულმა უანდერძათ, ან სადაც თვით მოისურვებენ. აქაც, ამ მონასტ-  
რის მიდამოებშიაც ასეთივე სურათია: ყოველ ნაბიჯზედ წააწყდებით  
ამგვარ საფლავეებს, და აი ერთზედ ვნახე კარგა მოზრდილი სვეტი,  
ძველი კანკელის ნაწილი... სახურავეი ქვისაა, მაგრამ ისეა მიხ-  
ლართულ-მოხლართული მცენარეულობით, რომ ზედ ასვლა შეუ-  
ძლებელია.

ბედის მონასტერში ღამიან მოვედი და სანთლით ხელში შეუდ-  
ეკი ტაძრის დათვალიერებას. შიგ შუა გულ ეკლესიაში, ზედ გადა-  
ვაწყდი ორ, საძოვარზედ გაშვებულ კამფს, ერთი წამოწოლილი იყო  
აბსიდში, ტრაპეზის ადგილზედ, მეორე კი შორი ახლოს იცოხნებო-  
და... ჩემმა მოულოდნელმა სტუმრობამ ეტყობა დააფრთხო, შეაშინა  
ეს ოთხფეხა მასპინძლები — წამოდგნენ და გაიქცნენ, ხოლო იატაკზე  
დატოვეს თავისი აქ ყოფნის მსხვილი და სქელი კვალი... ტაძარი  
შემოფარგლულია საუცხოვო, სუფთა ჰაერით და გორაკის გვერდ-  
ისპირით. კარი-ბჭით მიდგმული აქვს უზარმაზარი შენობა, ალაყაფის  
კარი-სამრეკლო და იქვე მიშენებულია ეპისკოპოსის დარბაზი. დღეს  
ეს შენობა საცოდავ ნანგრევებს წარმოადგენს, მაგრამ კარგა ხნის  
დათვალიერების და შესწავლის შემდეგ შეიძლება კაცმა აღადგინოს  
მისი პირველყოფილი გეგმა. ეს შენობა სართულად იყოფოდა სარდაფის  
მსგავსად. მიწაში ჩასმულ ქვემო სართულში მოთავსებული იყო  
ორი მოზრდილი, თაღებგადატარებული სატრაპეზო ოთახი. ვიწრო  
ფანჯრებით და სათოფეებით, აქედან ზევით, ქვის კიბე მისდევდა.  
ეხლა ჩამოწოლილი და დანგრეული. მეორე სართულში ეპისკოპო-  
სის ბინა იყო გამართული, რომელიც ოთხი ოთახისაგან შედგებოდა.  
ამათგან, ორი ოთახი დიდები იყვნენ და სამხრივ ფანჯრები ჰქონ-  
დათ დატანებული, ხოლო ორი დანარჩენი კი — პატარა. ზემო,  
მესამე სართული წამოხურული ვერანდა გახლავთ; ამ 50 წლის  
წინათ კიდევ ნახავდით მის ნანგრევებს, სადაც, როგორც ძველებს  
ახსოვთ, უყვარდა ხოლმე ქეიფი და დროს გატარება აქაურ მემამ-  
ულეს, თავად შერვაშიძეს. ამ სამრეკლო-კარების ორთავ მხარეს,  
შიგნით, გამართული იყო კარგა მოზრდილი დარბაზები — ყარაულების

და კარის მცველთა ბინა. მარცხნივ დამწკრივებულნი იყვნენ პატარა-პატარა სენაკები, მარჯვნივ, კი ცოტა მოშორებით, კარგა დაქანებულ ფერდობზედ — სამონასტრო სათონე სარდაფებით და მოსამსახურეთა ბინით. ცოტა იქით, ტაძრის ახლოს, ხევის პირას, ჩამორიგებული იყვნენ სამ სართულიანი დელეკები (იგულისხმება სენაკები გ.კ.) — განმარტოებისა და განდგომილებისათვის. ამ პატარა სენაკებში ოდეს-ღაც წვიმა-ავდრისაგან თავი შეაფარეს ვიღაც მგზავრებმა, გააჩაღეს ბუხარში ცეცხლი და უსაქმოდ ყოფნა რომ მოსწყინდათ, დაუწყეს თურმე იატაკს თხრა და ჩიქნა და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ბევრი ვერცხლის ჭურჭლეულობა წაუღიათ თანა ამ მაღლიან სტუმრებს.

დიდის გაჭირვებით და დავიდარაბით ავბობლდი ამ შენობამდის, მაგრამ სამწუხაროდ ვერა და ვერ მოვახერხე მათი გადახატვა და გადაღება; აფსუსი კია: საინტერესოა, კაცმა ნახოს იქ ამოსული ლელვის ხის გამანადგურებელი ძალა. იგი არხენიანდ მოთავსებულა სენაკის ერთ-ერთ კედელზე და ჯერ ისევ ახალგაზრდა — სულ რვა წლისა, მაგრა ჩაჰკლომია, ჩაჰკიდებია კედლის შენობას, გამოუგლეჯია იქიდან რამოდენიმე ფუთი ქვის ლოდი და უფსკრულის თავზედ ნახევარ არშინზედ გაუტანია.

ასეთია აწინდელი მდგომარეობა ამ ფრიად შესანიშნავი და ძვირფასი ტაძრისა; იგი ოდესღაც ბედიელ კათალიკოსთა რეზიდენცია ყოფილა. პირველი კათალიკოსი, გერმან ჩხეტიძე (მე-XVIII საუკუნეში). გერმანე ჩხეტის ძე იყო ბედიელი მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი (მოღვაწეობდა XVII-XVIII სს. მიჯნაზე, გ.კ.), და ტაძრის ამშენებელი მეფე ბაგრატი შიგნით, საკურთხევლის ახლოს ასაფლავიან. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბედიელი კათალიკოსები დიდი მამულის პატრონები იყვნენ: მდინარე ირისის (ეხლა — ოხოჯი) და დალისის შუა მდებარე ადგილები მათ საკუთრებად ითვლებოდა.

მოქვის მონასტერი. დაბა ოჩამჩირიდან ოცი ვერსის მანძილზედ იმყოფება უძველესი მოქვის მონასტერი. იგი მდებარეობს გორაკზედ, რომელსაც წნელავით შემორტყმია მდინარე მოქვა. გორაკის შუა გულზედ აღმართულია ტაძარი, მაგრამ რა განსხვავებაა ამის და ბედიის ტაძარს შუა! აქ ვერა ნახავთ იმ მოხდენილ და თან დიდებულ ზომიერებას, იმ სილამაზეს და სიღიადეს, რომელიც ბედიის ტაძრის უპირველეს სიღიადეს წარმოადგენს. მოქვის ტაძარი დაბა-

ლია; ტლანქი, უშნო გუმბათი ადგია. მისი გარეგანი და შინაგანი მდგომარეობა მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენს, თუმცა მეტად სუფთად არის შენახული. ამაზედ დაბლა ვილაპარაკებ. ტაძრის სახურავი მაღლა-მაღლა, კიბე-კიბედ მიდის, და ამრიგად, სანამ გუმბათს შეუერთდება, სამ წინ წამოწეულ საფეხურს აკეთებს. გუმბათის სიგანეზედ, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლები წინ არიან გამოწეულნი, მეზონინის გვარად. ტაძარს ბლომდა აქვს ვიწრო სარკმლები და ამიტომ იგი კარგად არის განათებული, ეს იშვიათი მოვლენაა საქართველოს ტაძრებში. აღმოსავლეთის კედელი წინ არის წამომდგარი და მომრგვალებულია, დასავლეთისა, კი სრულებით სწორია. ამ კედელში ჩატანებულ გამოსასვლელ კარებს არტყია ბნელი დერეფანი, რომელსაც თავზედ რაღაც გუმბათისა თუ სამრეკლოს მსგავსი არტყია. დერეფნის ოთხი ბოძის წვერი ორიგინალური ჩუქურთმებით არის მორთული. შიგნით ტაძარი ორ ნაწილად იყოფა: ქვემო და ზემო. ქვემო ნაწილი შედგება სამი, თითქმის ერთნაირი ნეფისაგან; შუა ნეფი ადის ჭერამდის, გვერდისანი ორ სართულად იყოფიან. სუფთად ჩამოთლილი ბოძები მეტის-მეტად უშნო და ტლანქია. ტაძარს იმდენად სქელი კედლები აქვს, რომ სამხრო და ჩრდილოეთ ნეფის სივრცეზედ თახჩებიან ტალავრის მსგავსადაა გამართული. ამის ბოლოზედ, სამკურთხველოს ორივე გვერდით პაწია სენაკები სდგანან, რომელთაც თითო კარები აქვთ — უეჭველია, აქ ეკლესიის სამოსელთა საცავი იქნებოდა. სამკურთხველოს ჩრდილოეთ აბსიდაში აქამდის შენახულა ქვის ტრაპეზი და ქვისავე პირსაბანი. უძთაერეს და სამხრო აბსიდაში კი ტრაპეზის ხსენებაც კი აღარ არის. მთელ აბსაზეთში ოდესღაც სიმღიდრით განთქმულ ტაძარში ეხლა ცარიელი კედლებიღა დარჩენილა, მაგრამ ამ წარსული დიდების საცოდავ ნაშთებს დღესაც არ აძლევენ მოსვენებას. ვიდაცის კეთილმოსურნე მზრუნველ ხელს უკისრია მათი აღდგენა. ტაძრის ძველებურ ქვის იატაკზედ, ხის იატაკი დაუგიათ; სამკურთხველოში ზოგიერთი კედლები კირით გაუთხუნნიათ, გაუთეთრებიათ; ასეთივე ბედი სწვევია შემოსასვლელი კარების ჩუქურთმას ეკლესიის გარეთ. ძლივს ძლიობით გაარჩევთ ხელოვნურ მორთულობას, ისე შეუბრალებლად არის ყველაფერი გადაღესილი. ფანჯრების ხის ჩარჩოები და ამოჭვრეტილი ქვის ნაპირები ვარდისფერი საღებავით შეუღებიათ... გულს გახეთქავს ესოდენი ბარბაროსობა, ცრემლები გერევა თვალებში, როცა უყურებ ამ დიდებული ტაძრის ასეთ უღვთო, უგვანო განადგურებას.

დიდხანს არ მომშორებია ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც იქონია ჩემზედ ტაძრის აწინდელმა სურათმა... გული მითხრობდა, რომ სწორედ აქ არის დამარხული წარსული დიდების ძვირფასი განძი, აუარებელი სიმდიდრე, რომ სწორედ ეს ტაძარი, უმეცარი ხელით ასე ველურად გაოხრებული, არის მოწამე იმ ბედნიერ დღისა, როდესაც აქ სიცოცხლე სდულდა, როდესაც აქ ჰყვალა კულტურა, ხელოვნება... (ტაძარი XIX საუკუნეში რუს ბერებს რამდენჯერმე „განუახლებიათ“, გ. კ.).

და არც მოვსტყუვდი. მე-XVII საუკუნეში, 1659 წელს იერუსალიმის პატრიარქ დისიფეომს უმოგზაურია კავკასიაში და აი რასა წერს მოქვის მონასტერზედ:

მე აქ, (ე. ი. ეკლესიაში) ვნახე წარწერა მეფე ალექსის და აფხაზეთის დიდის მეფის დავითის დროისა. პატრიარქს მოქვის ტაძარი ეტყობა მაშინ უნახავს, როდესაც მისი მხატვრობა არ იყო ჯერ გაფუჭებული. 1848 წელს ბროსესაც მოუსწრია ზოგიერთი ფრესკის ნახვა; უნახავს აგრეთვე ბევრი მარმარილოს ამბიონი, გასაკვირველი სილამაზის ჩუქურთმებით მორთული, და ბიზანტიური ტრაპეზის ნაშთები, თვრამეტი წლის შემდეგ, 1859 წ. ბაქრაძეს თითქმის ამავე მდგომარეობაში უნახავს ტაძარი. მისი სიტყვით მოქვის ტაძარი ააგო მეფე დავით აღმაშენებელმა, დაახლოებით 1084 და 1125 წლების შუა, მაშასადამე ამ დროს ეკუთვნის პატრიარქის მიერ ნანახი მხატვრობა. მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ტაძრის აღწერას. იგი აშენებულია გორაკის გაგაკებულ წვერზედ და ირგვლივ მთელი ეს მოედანი შემოზღუდულია ქვის გალავანით, რომელიც ალაგ-ალაგ დანგრეულია, ზოგან, კი ეტყობა ეხლა შეუკეთებიათ. ტაძრის წარსული დიდებისაგან, ეხლა მხოლოდ ძველი, ნახევრად დანგრეული სამრეკლო დარჩენილა სახეშეუცვლელი. მხოლოდ ის გადარჩენია უვიც მზრუნველთა დამღუპველ ზრუნვას. იგი გარეგნობით დაბალ, ოთხკუთხიან კოშკს წარმოადგენს, სადაც არც ისე დიდი ხანია, რაც ზარები გუგუნებდნენ და იწვევდნენ თავისაკენ. ყველა ამის მოწამე ქვის კიბე, ეხლა თითქმის მთლიანად დანგრეულია და დაზიანებულია. განიერი კარები შეგიყვანთ სამრეკლოს ქვედა ნაწილში, რომელშიაც წინათ ეკლესია ყოფილა – კარების მარცხენა მხარეს ეხლაც კი ეტყობა მხატვრობა – თავი მწუხარე ღმრთისმშობლისა და დიდი ფრესკა – ვნებანი ქრისტესი. სამრეკლოს შუა გულში ეტყობა საფლავია, სადაც, როგორც გად-

მოცემა მოგვითხრობს, ამ ტაძრის აშენებული და დამაარსებელი ასენია (მოქვის საკათედრო ტაძარი ააგო და აქ საეპისკოპოსო დააარსა აფხაზთა მეფე ლეონ III-მ (957-967), გ. კ.). დასავლეთის კედელში გარედან ჩატანებულია ვიწრო სამრეკლო, მშვენიერი ჩუქურთმით მორთული, მესამე მხარეზე ეხლაც ჩანს ეკლესიის მხატვრობის კვალი. სამრეკლოზედ თითქმის ზედ მიდგმული აივანი ახლად გადაკეთებული ხის შენობის მეორე სართულში ადის. ეს შენობა მიდის მონასტრის ალაყაფის კარის პირამდის, რომლის მეორე მხარეს მთელი ეზოს სივრცეზედ გალავნის კედლებამდის სდგანან პატარ-პატარა სახლები.

სამრეკლოდან მარჯვნივ აყუდებულია ახლად აშენებული უკუმბათო, უბრალო ეკლესია. ამ სარაიის მაგვარ უშნო შენობაში ეკლესიის გარდა მოთავსებულია დიდი ზომის ზალა და რამდენიმე ოთახი პატივსაცემი სტუმრებისათვის. აქვე ამალღებულია პატარა გორაკი, ბუჩქნარით დაფარული; ვეებერთელა ცაცხვის ხე მარტომარტო, ობლად სდგას ბუჩქებს შორის; ყველა ეს შემოვლებულია მესერით.


მაგრამ ისევე ტაძრის შინაგან მორთულობას დაუბრუნდეთ. ქვემო ეკლესიაში სრულებით ახალი, მაღალი, მაგრამ ღარიბი კანკელია ძლიერ ცუდ, საბაზრო მხატვრობის ხატებით, აქვე იგუმენიას საყარძელია და მიყუდებულია კვერთხი. ტალანებში კი, ფარდების უკან სკივრები სდგანან. კარის-ბჭიდან რო გამოხვალთ, იქვე კარებიდან იწყება კიბე მეორე სართულში, სადაც მოთავსებულია კარგა განიერი და ნათელი გალერეა სკივრებით სავსე. კედლებზედ კიდია კაბები და სხვა მალღორისიული და რუსული ეროვნული ტანისამოსი; სიმართლე კი უნდა ვთქვათ — ჭუჭყს და უსუფთაობას აქ ვერ ნახავთ, მაგრამ საკვირველ შთაბეჭდილებას კი ახდენს ეს სურათი; ყველა შეიძლება იფიქროს კაცმა და აქ რომ მონასტერია, ამის თქმა არ შეიძლება... და მონასტერი კია ეხლა აქა? ამ რვა წლის წინათ ხარკოვის რომელის და მონასტრის (sic) მოლოზანი დოსიფეია, უეჭველია ენერგიით სავსე, ჭკვიანი ქალი, მოსულა და დასახლებულია მდინარე მოქვის ნაპირზედ. მალე ამ მოლოზნის გამჭრიახობას თავის ნიშან-წყალი დაუმჩნევია ყველაფრისათვის და ჩაუგდია ხელში სრული მფლობელობა და დედა დოსიფეია, რომ განათლებით და ცოდნით ყოფილიყო აღჭურვილი, მის გულში, რომ ჩანერგებული ყოფილიყო წმინდა წარსულის სიყვარული და მოწინება, მაშინ

მართალია, რომ უკეთესს მმართველს ვერ ინატრებდა ადამიანი. ეხლა კი — ნეტა რა საჭირო იყო ამ უშნო, ულაგოთ ჩაჩხირული ხის სახლის აშენება, რა საჭირო იყო ეს უზარმაზარი ზალა და ეკლესია, როდესაც აქვე მოქვის ტაძარში, რომელსაც ვერც დრომ, ვერც დაუნდობელმა ადამიანის ხელმა ვერაფერი დააკლო რა, ათასობით კაცს თუ ქალს შეუძლიან თავი შეაფაროს; ვის რათ უნდოდა ხის ეკლესია, ყოველ სილამაზეს და ხელოვნებას მოკლებული ახალი კანკელი, როდესაც აქ არც ისე დიდი ხანია ბაქრაძეს და ბროსეს უნახავთ მშვენიერი უძველესი მარმარილოს კანკელი ბიზანტიური ხელოვნებისა. ეხლა კი ამ უძვირფასესი განძის საცოდავი ნაშთებილა ვიპოვე, ისიც სად — ნახევარ ვერსის სიშორეზედ, ნაგავში, სადაც მარმარილოს ბოძების ნამტვრევები, მშვენიერ ჩუქურთმიან ბოძის წვერები გადაუყრიათ დამპალ მწვეანეულობასთან ერთად! ფიცარი, რომელიც წინათ სამრეკლოს კედელში იყო ჩატანებული, ეხლა ტაძრის კარებთან ჩამოსაჯდომ ტახტათ გადაუქცევიათ... ვიმეორებ, რომ ხელ უხლებლივ შენახულან მხოლოდ ტაძრის კედლები და ნახევრად დანგრეული სამრეკლო; ყველა დანარჩენი კი ზოგი მიწას ჩაუმარხავს, ზოგი ნაგავს და ჩერქს წაუპილწავს და გაუნადგურებია. ნუ გგონიათ, რომ ჩემ მიერ გამოთქმული აზრი მოქვის ტაძრის სიმდიდრის და სიძვირფასის შესახებ ცარიელი ლაპარაკი, ლიტონი სიტყვა იყოს — ამას ფაქტებითაც დაგისურათებთ და დაგიმტკიცებთ. ამიტომ მე დაწვრილებით მოგახსენებთ, რა ვიპოვე მიწაში და რა ამოვთხარე იქიდან ამ ოთხი დღის განმავლობაში, რომელიც მე მოქვაში დავყევი; ამასთან ერთად თქვენ შვიძლიათ ნახოთ ტაძრის გეგმა იმისი, რაც დროს და ადამიანის ხელს და უვიცობას ჩაუნთქავს და გაუოხრებია. ამ შედარებით ცოტა ხნის კვლევა-ძიების შემდეგ აღმოსჩნდა, რომ ახალი ხის შენობა დადგმულია დანგრეული პატრიარქის სადგომის საძირკველზედ, გორაკი რომელზედაც წინათ მოგახსენეთ, პატრიარქის ეკლესიის ნაშთი გახლავთ. ამ ეკლესიის მიწისქვეშ ზერელი-გასავალი ყოფილა, რომელიც მდინარის ნაპირამდის მიდის. დავაპირე შიგ შესვლა, შესავალიც ვიპოვე, მაგრამ ცოტა რო დავაკვირდი — ველარ გავბედე: ნანგრევებში ცოცხლად დამარხვა, მოგეხსენებათ, არაა სასიამოვნო. აქვე გვერდზედ მოსჩანდა თალები და შიგ დამტვრეული ქვევრები — ეტყობა აქ შანიშინი (Xopny) ყოფილა. ცოტა იქით — დელეკა, რომელიც ქვის გალავანში თავდება; ნახავთ აგრეთვე გორაკზედ კიბეს, კიბეს

ჩამოყოლებულ ქვის შენობას. ტაძრის ახლოს იქ, სადაც გორაკი ბურქებით არის დაფარული, ახალი ხის ეკლესიის კარების გვერდით მწვანე ბალახში თეთრად ელვარებს და მზისაგან ბრწყინავს ქვითკირის ზედაპირი; ამან მიიპყრო ჩემი ყურადღება. კვლევისა და ჩხრეკის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს სმალტია (სმალტი მოზაიკური ნაწყოების ცალკ-ცალკე ნაწილებია) (თედო ჟორდანიას ცნობით, მოქვის ტაძარში ე. წ. სოფიის კენჭით შესრულებული მოზაიკა იყო — გ. კ.), პატარა შუშის მარცვლები. ამერიკულის ცულით ფრთხილად მოვაშორე ქვითკირს კვირინჩხის ბურქები და ეკალი და მაშინ აშკარად დავინახე, რომ მთელი ეს გორაკი საფლავია ტაძრის წინანდელი ბრწყინვალე დიდებისა. დაუყონებლივ, დიდის ფაცი-ფუცით ამოვთხარე სიმაღლით არშინ ნახევარი და სიგანით საუენზედ მეტი თხრილი და ბევრი რამ ამოვიღე მიწის გულიდან: თითქმის ერთ ფუთამდე სხვადასხვა ფერის სმალტი. ამ ძვირფასი ნაპოვნით გამხნეებულმა განვაგრძე მუშაობა და მალე წაეაწყვი კირის ნატეხებს; მინდოდა მათი ამოღება, მაგრამ პაერი მოხვდა თუ არა, სულ ერთიანად დაიშალნენ, ასე რომ სულ რამოდენიმე ცალის ამოთხრა და მზეზედ გაშრობა მოხერხდა. საინტერესო ის არის, რომ ზოგან სმალტი არ იყო ამოცვენილი და ალაგ-ალაგ ფრესკის კვალიც კი ეტყობოდა. ზოგან სმალტი გამჭვრევალე არ არის — აშკარაა ორნამენტული მოზაიკის გარდა, აქ ფრესკებიანი მოზაიკაც ყოფილა, ე. ი. ადამიანის სახეების სურათებთან ერთად სხვაგვარი მხატვრობაც იცოდნენ ამ ტაძრის გამამშვენიერებლებმა. ამის დამამტკიცებელია გორაკში ნაპოვნი ქვითკირის ნამტვრევები. იქვე აღმოვაჩინე რამდენიმე მარცვალი მარგალიტისა და სარდიონისა. ვიპოვე აგრეთვე დამტვრეული ბიზანტიური სინი. მე კიდევ დავრჩებოდი და განვაგრძობდი ჩემს კვლევას, მაგრამ ვეღარ შევძელე: ჯერ ერთი საშინელი სინოტივე მიშლიდა ხელს და მერმე ის, რომ სულ მარტო ვიყავი; მოლოზნები ცოტას მშველოდნენ, მაგრამ იმათაც წამდაუნუმ სხვადასხვა მიზეზით შინ, მონასტერში უძახდნენ — ჩემი თუ ეშინოდათ. სხვა მშველელის და მუშა ხელის შოვნა კი შეუძლებელი იყო. საერთოდ, გარემოებამ ვერ შემიწყო საკმაოდ ხელი, რომ ბოლომდის, საფუძვლიანად შემესრულებინა ჩემი მუშაობა და კვლევა-ძიება; ამასთანავე, იგუმენიაც არ იყო შინა, და იძის დაუკითხავად არ მინდოდა გორაკის გათხრა. ხის ეკლესიის იქით, ტაძრის გვერდით ვიპოვე კედლის კვალი. ეტყობა, პატრიარქის


სადგომი ტაძართან იყო შეერთებული, რადგან ამ უკანასკნელს სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს ჰქონია კარგა მოზრდილი სტოვები, სადაც, სჩანს, მიცვალებულთ ასაფლავებდნენ: ჯერაც ხელუხლებლად შენახულია აკლდამა, რომელშიაც უშველებელი საფლავების ქვები აწყვიან, ბალახით და ხავსით მოდებული. იქვე საყინულის შორი ახლოს მე წავაწყდი საერთო საფლავს, სადაც, ალბათ, რომელიმე ცხარე ბრძოლის შემდეგ დახოცილთა გვამები ერთად, ძმურათ ჩაუმარხავთ.

პატრიარქის სეფე-დარბაზის გვერდით, დელეკის ნაშთების ახლოს – საძირკველი სჩანს – ეტყობა აქ ოდესღაც ღვინის სარდაფი ყოფილა, ერთი ქვევრიც გადარჩენილა ცოცხალი, უზარმაზარი, უძირო რამდენიმე ასს კოკას ადვილად ჩაიტევს თავის გაუმადლარ მუცელში, მაგრამ რა გამოვიდა! სანაგვედ გადაუქცევიათ და ვინ იცის რა არ ჩაუყრიათ შიგა; მგონი მთელი მონასტრის ჩეჩქი და ნაგავი იქ არის დაგროვილი, მაგრამ ვაი იმას, ვინც შიგ ჩავარდება – კისერს



დრანდის ტაძარი. VI-VII სს. რესტავრაციის შემდეგ.





დრანდის ტაძარი კასტელის მიხედვით.

მოიტყვის, იმდენად კიდევ ღრმა არის ეს ორმო. შიგნიდან რო ვერა დაუკლიათ რა, გარედან მისდგომიან და ქვევრის თავზედ ათასი რამ წაუყრიათ, ეგები ამით მაინც დაუცოთ მას გაუმაძღარი პირი... ნაგავში და კონკებში საცოდავთ, უპატრონოდ ჰყრიან ძვირფასი ხელოვნების ორნამენტები, სვეტები, კედლის ქვები. საითაც კი მიიხედავ, სადაც კი ფეხს დაადგამ, ყველგან შეხედებით დაუბრუნებელ დიდების ნაშთებს ... ბერძენ კალატოზებს რამდენიმე საუენის მოშორებით ამოუთხრიათ დიდი ორმო და კირსა სწვამენ; რასაც დაიგულევენ. რაც ხელში მოხვდებათ საკირეში ჰყრიან ... ეტყობა, აღარა ხუმრობენ და მართლაც დიდი შენობის აგებას აპირებენ.

პირადად მე ძლიერ კმაყოფილი დავრჩი მოლოზნების სტუმარ-მოყვარეობით, მაგრამ მათ ზრდილობიან და ალერსიან სიტყვებში. მაინცა ვგრძნობდი მათ ნატვრას: „ოხ, როდის იქნება მოგვშორდე... ღმერთმა იცის რა კაცი ხარ, რა გიდევეს გულში, რისთვის გათხარე აქაურობა... (დ)ა არც იგუმენიაა აქა“... და მეც რა ღონე მქონდა ავდექი და გამოვეცალე.

მოქვიდან დრანდისაკენ გავემგზავრე. გზაზედ აქა იქ მოსჩანდნენ ნანგრევები — ხუთიოდე — გაკვრით, ზერეულედ დავათვალიერე; შესახედავად ბევრს არას წარმოადგენდნენ: პატარა, მთლად მცენარეულობით და ხავსით დაფარულნი ისინი უფრო ქვის უბრალო ხროვას წააგავენ; მეტის დაკვირვებით და გულმოდგინებით შესასწავლათ დრო და შეძლება არა მქონდა — საჭირო იქნებოდა მათი გათხრა

და აბა სად შემეძლო, მით უმეტესს, რომ ისედაც კარგა მომიგვიანდა და ღამის გასათევებლად კოდორის ახლო საყარაულოში დარჩენა მომიხდა. გზა და გზა ბევრი რამ გამოკვითხე აქაურ მცხოვრებთ ძველი ეკლესიების და ნანგრევების შესახებ. სხვათა შორის, ძლიერ დამაინტერესეს ერთ მოხუცებულის სიტყვებმა, ვითომ, წყალდიდობის შემდეგ, მდინარე კოდორის ახალი კალაპოტის ახლოს აღმოჩენილი იყო რაღაცა ეკლესია.

საერთოდ, აფხაზეთის ამ ადგილებში ტყე მეტად ხშირია და ძნელი გასავლელი, ზოგან კი იმდენად არის დაბურული და დახლართული მძრომარ მცენარეულობით, რომ კაშკაშა მზიან დღეშიაც კი აქ სულ ბინდ ბუნდია. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მცენარეულობა მეტად მდიდარი და უხვია, და ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ სულ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში სრულებით შეიცვალოს ამა თუ იმ ადგილის შეხედულობა და ხასიათი. ეტყობა, აქაც ესე ყოფილა, როდესაც გაზაფხულზედ ადიდებულმა კოდორმა მოჰფინა არე-მარე, ჩამოხრა, ჩასჭრა ნაპირები, ამ ადგილების პატრონმა, თქმა არ უნდა, მოიწადინა გაეგო, თუ რა ნაჭერი, სადამდის მოგლიჯა მდინარემ მის მამულს და ამის კვლევა-ძიებაში მოულოდნელად წააწყდა ამ ტაძარს. ზემოხსენებული მოხუცი ადვილად დავი-თანხმე წამომყოლოდა და ეჩვენებინა ეს ადგილი და გაეწიეთ იქით-კენ. კოდორის საყარაულოდან ვერს-ნახევრის სიშორეზედ რკინის ხიდთან ჩვენ ჩაუხვით ზღვისკენ, გადავიარეთ რამოდენიმე მინდორი და მივაღექით კარგა მოზრდილ მოედანს, რომელიც მთლად მოდებული იყო კაცის სიმაღლემდე ატეხილის წვრილი ეკლით. ძალა უნებურად ჩამოვხტით ცხენებიდან და წაღლებით შეუდექით გზის გაკაფვას. დიდის გაჭირვებით, როგორც იყო მივაღწიეთ მთლად ამწვანებულს და ბალახ-ბულახით დახლართულ პატარა გორაკს. შორი-ახლოს იდგა ძველის-ძველი ნახევრად გამხმარი უშველებელი ცაცხვი. ყველაფერი მწვანე ფოთლით იყო დაფარული და მხოლოდ ორი ნახვრეტი გიჩვენებდათ, რომ იქ შესავალი კარებია. ეს იყო სწორეთ ის ადგილი, რომელიც მიჩვენა ჩემმა თანამგზავრმა, და რომელსაც ასეთის გაჭირვებით მივაღწიეთ. შევძვერი შიგნით: ტაძარი მეტად მოხდენილი და ლამაზია; დიდი არ არის, მაგრამ შედარებით მაღალი და წარმოსადგეია. შესდგება ერთი ნეფისაგან თაღებ გატარებულ აბსიდიტ, სადაც კედელში ორ რიგად ჩატანებულია ხმის გამოსაცემად ქვევრები. ნაშენი, როგორც ეტყობა, კოდორის

უბრალო რიყის ქვის მზგავს მასალით არის მხოლოდ გარედან პირამოწყობილი, თეთრი საკირე ქვით. ძრიელა ბნელა – განათებულა მხოლოდ პატარა ნახერეტით, რომელიც ჭერშია დატანებული და რომელიც ეხლა თითქმის მთლიანად ჩამოწოლილია. იატაკზედ ყველგან გაფანტულია საუცხოვო ჩუქურთმის ნამტურეები; ასეთივე, უფრო პატარა ნატენები, ავაცალე დანგრეულ კარებს. აქვე, არც თუ ძრიელ მაღლა, მოსნანს კედლის მხატვრობის კვალი, ზოგან მწვანე ზოგან წითელი ან შავი. ტაძარს ოთხი ფანჯარა აქვს: მაღალი, ვიწრო სარკმელი მოთავსებულია სამკურთხეველოში, ძლიერ პატარა და დაბალი – დასაველეთ კედელში და საშუალო გვერდების კედლებში. აბსიდაში გამოღებულია ორი ნახევრად მომრგვალებული სახატე თახჩა, რაიცა ამტკიცებს, რომ ეკლესია მდიდარი და კარგად მოწყობილი უნდა ყოფილიყო. კერძოდ, მე ვფიქრობ, რომ იგი აფხაზეთის მფლობელ შერვაშიძეთა საგვარეულო ეკლესია იყო, მაგრამ, ზღვისა და შარა გზის სიახლოვის გამო, იგი გაძარცვეს და გააოხრეს შემოსეულმა მტრებმა; შეიძლება, ამის გამო ღმრთისმსახურებაც შეწყვეტილა და როგორც კი ბალახმა და სხვა მცენარეულობამ დაჰფარა და დამალა, იგი ყველამ მალე დაივიწყა.

საინტერესო იქნებოდა დაკვირვებით და გულმოდგინედ მისი შესწავლა, მეტი არ იქნებოდა გათხრა, გაჩხრეკაც, მაგრამ ვისა სცალიან!.. ცოტა ხნის შემდეგ იმავე გზით, იმავე ეკლებში, ისეთივე გაჭირვებით და საცოდაობით დაებრუნდით უკან და მე მთლად დაგლეჯილ-დაკაწრული ცხენით გავემგზავრე დრანდისაკენ, რომელიც სოხუმიდან სულ 17 ვერსის მანძილზედაა. დრანდის მონასტერი აწინდელი საზაფხულო რეზიდენციაა სოხუმის ეპისკოპოსისა, და ამიტომ იმედი მქონდა, რომ ბევრ რამეს ვიპოვიდი საყურადღებოს და შესანიშნავს. მაგრამ საუბედუროდ, მისვლის უმაღ, შევდგი თუ არა ფეხი გალავანში, გავიგე, რომ მოვსტყუედი ჩემ მოლოდინში. ეხლაც კი სევდა ნალველსა მგვრის იქ ნახული სურათები ვითომდა ზრუნვისა და პატივისცემის. ეკლესია მთლად შეღებილია. გუმბათი გადაკეთებული; შიგნითაც ასეა ყველაფერი გადაღესილი, და ამგვარ უმეცარ მზრუნველობას არა დაუნდვია რა, ცარიელი კედლების გარდა (დრანდა ოდიშის სამთავროში შემავალი ერთ-ერთი საეპისკოპოსო იყო. იგი VIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია. მღვდელმონაზონ კალისტარატეს ცნობით „ზეპირთქმულება კი დრანდის აშენებას მიაწერს იმპერატორს იუსტინეს (527-565) (ივერია. 1900 წ. № 137).

ცნობილია, რამდენიმე დრანდელი ეპისკოპოსის სახელი. ესენია: საბა XII-XIII სს., 1412-1442 წწ., ფილიპე 1590-იანი წ. ტადარი რამდენჯერმეა გადაკეთებული, კერძოდ 1869, 1871, 1883 და 1900 წლებში — გ. კ.). და განა ასეთი იყო დრანდის ტადარი მე-60 წლებში! ხომ ვიცით, რომ იმ დროს გუმბათთან მოთავსებული იყო მაცხოვრის ხატი, თაღებზედ — „ფერისცვალება უფლისა“ და ბევრი წმინდანის ფრესკები. ესლა კი... ამ ოდესღაც წმინდა ბიზანტიურ შენობას მთლად დაუკარგავს თავისი სახე და ელფერი. და, როგორც გარედან, ისე შიგნით იგი ეხლანდელი საბაზრო სოფლის ეკლესიას უფრო წააგავს. ხელუხლებლად გადარჩენიათ მხოლოდ ძველი სამრეკლოს ნაწილი ეკლესიის გვერდზედ, სადაც, ქვემო სართულში, ბერების სიტყვით მოთავსებულია ღვინის სარდაფი, ზევით კი სავსეა ჩვრებით და სხვაგვარი ჩეჩქით. გულდაწყვეტილმა ისევ სოხუმისაკენ ვიბრუნე პირი. სოხუმში რამდენიმე დღე გავატარე და მერმე ავტომობილით გუდაუთის ადმინისტრაციული ნაწილისაკენ გავემზავრე. მშვენიერი გზატკეცილი მალე გავირბინეთ, გვედზედ დაეტოვეთ „ახალი ათონი“ და გუდაუთიდან სამი ვერსის მანძილზედ გზის პირას მდებარე აფხაზეთის მფლობელ შერვაშიძეთა ყოფილ რეზიდენციას — დაბა ლინხს მივაღექით. იქ დავათვალიერეთ ქართულ-ბიზანტიური ხასიათის ტადარი, ოთხკუთხედი, კარგა მაღალი და ლამაზად შემოზომილი, მოხდენილი გუმბათით დაგვირგვინებული კედლები ნაჭკრეტ, დაცხრილებულ საკირე ქვით არიან ნაშენი, სახურავი კი კრამიტისა აქვს. ტადარი სამი მხრიდან, სახელდობრ, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოფარგლულია კარბჭის გვარა ახდით, ღია შენობით. სამხრეთის კარიბჭეში მოთავსებულია თახჩა-სახატე და ტახტის მსგავსად ქვით ამაღლებული ერთი ალაგი. იქვეა კარგა შენახული ფრესკის ნაწილი: „ღმრთისმშობელი დიდებაში“. ამ შენობას ზემოდან გადაფარული აქვს ბანი, რომელიც კიბე-კიბე გუმბათამდის ადის. ტადარს ირგვლივ ქვის გალავანი არტყია და მიუხედავად იმისა, რომ შიგნით მოედანი კარგა მოზრდილი და ფართოა, გვეგონებათ ეკლესია შევიწროვებული და სულ შეხუთულიაო ამ პატარა ხეებით, რომელიც გარშემო შემორტყმიან ტადარს და მთლად დაუჩრდილავთ იგი. ალბათ ამიტომაც არის, რომ შენობა ისეა დანოტივებული და დაობებული, რომ კედლები დაღრღნილ-დაჯეჯგილი გვეგონებათ, თითქოს ქვისაგან კი არა, კოხისგან, შემკვირებული მიწით იყოს ნაშენი. მის დაარსებას

აფხაზეთის და ქართლის მეფე ბაგრატ IV-ს (1027-1077 წწ.) მიაწერენ, სახელდობრ, 1066 წელს. შიგნით ეკლესია სამ ფენად არის დაყოფილი; გუმბათი დაყოფილია ოთხ მეტად ტლანქ და მკვიდრ ბოძზედ, რომლებითგანაც ორი, უახლოეს შუა აბსიდასთან თაღით გადაბმულები არიან თავში, ძირში კი უძველესს, შესანიშნავ და იშვიათ კანკელის ნაწილს შეადგენენ. თვით კანკელი შესდგება ნახატ ქანდაკებით, სვეტებით და სახატე თახჩებით; მას მოსდევს აბიონი, შემდეგ — მე-60 წლების საბაზრო კანკელი, ასეთივე ხატებით. სვეტების წვერები მორთულნი არიან ლამაზი ორნამენტებით, შუაში კი ფრესკებით, მათი გარჩევა და გაგება მეტად ძნელია — ყველაფერი დაფარულია ზურმუხტ-ფერი ხავსით. მხოლოდ სამკურთხეველოში, ზედა ფენა ადგილის თავზედ, შედარებით გვარიანად შესახულია ფრესკა: „წმ. ზიარების საიდუმლოება“, რომლის ქვემოთ წარწერაა, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია ტაძრის დაარსების დრო-წელიწადი. თუმცა სამ მხრივ კარები მუდამ ღიაა, მაგრამ ხანგრძლივ შიგ დარჩენა მაინც შეუძლებელია, რადგან ყველაფერი აუტანელი შმორის სუნითაა გაყენილი. შუა ნეფი განათებულია სამი განიერი სარკმლით, გვერდებისა კი თითო ფანჯრით. ეს გვერდების ნეფები შუა ნაწილთან ვიწრო გასავლით არიან შეერთებულნი და სამოსელის საწყობით არიან გამართულნი; ამის გარდა, ჩრდილოეთის ნეფში მოთავსებულია პირ-საბანი. მიწისქვეშ გაყვანილი წყლის მილით. დასავლეთის კედელთან, შესავალ კარების ახლოს, მიდგმულია მეტად ოღრო-ჩოღრო, ტლანქი და უხერხული კიბე, რომლითაც ზემო ნაწილში, შანიშინში ახვალთ. ეს შანიშინი განათებულია სამი კარგა მოზრდილი ფანჯრით, და ამიტომაც შევიძელ ტაძრის ზემო ნაწილის გადაღება და გადახატვა. მხატვრობა მეტად ლაღი და ცოცხალია, ამასთანავე აშკარა და ნახატის გარკვეულობითაა შესანიშნავი. კარიბჭის ჩრდილოეთის ნაწილი ჭერიდგან საძირკვლამდე დამსკდარია და კედელს მუდამ რაღაც ზუზუნი გააქვს; თუ იგი სავსეა აუარებელი ფუტკრის ბუდეებით, რომელნიც ვინ იცის რამდენი ხანია აქ დასახლებულან, დამკვიდრებულან და ეტყობათ თავს მშვენიერათ გრძობენ. ეგ არის, ადგილობრივ მცხოვრებთ მოსვენებას არ აძლევს ამ „ღვთის მუშაკთა“ ნამუშევარი. ის აუარებელი თაფლი, რომლითაც თქმა არ უნდა, სავსეა მთელი კედლის ნაპრალი და ყველა ჭუჭრუტანა, ნახერეტი. მიწის პირას, უმთავრეს კედლის ძირში რამდენიმე თაღი მოსჩანს, რაცა ამტკი-

ცებს, რომ აქ მიწის ქვეშაც ყოფილა და არის სარდაფის მსგავსი შენობა. ამ გარემოებამ მაიძულა უფრო დაკვირვებით გამომეკვლია ეს ადგილები და მალე იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩრდილოეთის კედლის ორთავ მხარეს მიდგმულნი იყვნენ კარიბჭენი. ან შეიძლება უბრალო დერეფნები, რომელნიც ამ მიწის ქვეშ არსებულ სარდაფებში შესავალად ყოფილან. ამ სინოტივეში ყოფნამ მუქთად არ ჩამიარა: სამი დღის მუშაობის შემდეგ იძულებული ვიყავი თავი მიმენებებინა და გამოვცლოდი ამ ადგილს, აქაურმა დაწყევლილმა ციხე-ციხელებამ მთელი ერთი კვირით ლოგინზედ დამაკრო და მთლად დაკრუნჩხულმა, ხელ-ფეხ დახუთულმა ეს დრო უგრძნობლად, საშინელ ტანჯვა-წვალებაში გავატარე. თუმცა, აქაურ მასწავლებელ ვეკუას წყალობით მზრუნველობა და ნამდვილი მშობლიური მოვლა არ მაკლდა, მაგრამ მაინც ავადმყოფობა ვერ მოვიშორე, ვიდრე დიდის წვალებით ბათუმს არ მივალწიე, სადაც ერთბაშად ფეხზედ დავდექი.

სვანეთში წასვლის იმედი თითქმის გადამიწყდა, რადგანაც აფხაზეთში მოგზაურობამ მეტად დამითხელა ჯიბეები. არ მეგონა თუ ასეთი სიძვირე იქნებოდა ყველაფერში. მაგ. კოდორის სანაწილოში წყვილი კვერცხი ექვს შაურად გვიჯდებოდა, კიტრი კი ერთ შაურად. ამას ვილა სჩივის! მიუხედავად ოფიციალური ქალაქებისა, ცხენის ქირას იმდენს იღებდნენ, რამდენსაც მოისურვებდნენ და თუ არ დასთანხმდებოდი და წინააღმდეგობას გაუწევ — ვაი შენი ბრალი: ფეხს ვეღარ მოიცვლი, გზა შეგეკვრება.

ექვთიმე თაყაიშვილი

ზუგდიდის კარის ეკლესია და მისი ყოფილი სიძველენი\*

კარის ეკლესია სამეგრელოს მთავრისა ზუგდიდში აშენებულია იმპერატორ ალექსანდრე პირველის საფასით. ეკლესია აგებულია ქვისაგან, ჯვარის სახით, ქართულ გეგმაზე, გუმბათით. შენობა როგორც წარწერები უჩვენებს დაწყებულია 1825-ს და დამთავრებულია 1830 წ.

თავკანდად ზუგდიდის კარის ეკლესიისა წინათ ითვლებოდა ვლადიკავის ღმრთისმშობლის ხატი და მასში დაცული ვითომდა ღმრთისმშობლის სარტყელი. ეს ხატი მზითეუმი მოჰყვა მეფის ბაგრატ IV ცოლს და წინათ ინახებოდა ბედიის ტაძარში. შემდეგ მარტვილში, მაგრამ როდესაც სამეგრელოს სამთავრომ მიიღო მფარველობა რუსეთის იმპერიისა, სამეგრელოს მმართველმა დედოფალმა ნინომ საჩუქრად მიართვა იმპერატორს ალექსანდრე პირველს, მაგრამ მან უკან დააბრუნა რესკრიპტით 31 მაისს 1806 წ. და ბრძანა, რომ ოდიშში, სადაც დედოფალი უჩვენებდა აღეშენებიათ მისი ხარჯით ეკლესია და იქ დაესვენებინათ, ნიშნად სამეგრელოს მფარველობისა იმპერატორის მიერ.


ამ ხატს მოწიწებით იცავდნენ სამეგრელოს მთავრები და არავის უჩვენებდნენ კარედში მოქცეულ სარტყელს და მის წარწერას. სარტყელი ისეთი ცნობილი მეცნიერისათვისაც არ უჩვენებიათ, როგორც მარი ბროსე იყო. მისთვის მხოლოდ ხატის წარწერები გადმოუციათ. მაგრამ როგორც ეტყობა და თვით ბროსეც აღნიშნავს, პირველი უძველესი წარწერა ჯეროვნად ვერ წაუკითხავთ და ასე არის გადმოცემული:

1. მოგეთა მოართვეს ძღვენი საღმრთო ქალწულსა სამნაწილთა ნიეთთაგან. ეს ხატი უნახავს მურავიოვს, რომელიც თავის წიგნში

\* ე. თაყაიშვილის ეს გამოუქვეყნებელი ხელნაწერი შედგება 11 გვერდისაგან. ქაღალდი — 20,5X28,5სმ. დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ე. თაყაიშვილის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ე. თაყაიშვილის ფონდში. შესრულებული უნდა იყოს, სავარაუდოდ, 1913-1914 წლებში, როცა ე. თაყაიშვილმა სამეგრელოში მოგზაურა.

„Грузия и Армения“ ნაწ. III. გვ. 282 სწერს: „Это сокровище до селе хранится в церкви перед иконостасом. Лик Богоматери весьма древний, написан на верхней части пояса, который походит на диаконский орарь и сложен в виде епитрахили, нижняя часть совершенно ветха. Жемчуг, изумруды и яхонты украшают сий драгоценные остатки и рассыпаны по золотому полю, на котором они лежат. Это, конечно, один из самых древних памятников, который остался нам от первых времен Христианства“. სამწუხაროდ, ყველა ეს წარწერები და თვით შემკობილება სარტყლისა, რომელზედაც მურავიოვი მოგვითხრობს, დღეს აღარ ჩანს, ვინაიდან იმ განახლების დროს, 1857 წ. რომელიც ძველი კარელის ხატს განუცდია, ყველაფერი ეს მოუსპიათ. სარტყელი შალის ნაქსოვი ამოუღიათ, ყველა შემკობილებიდან გაუნთავისუფლებიათ და ისე სადათ დაუხვევიათ დიდ ბრტყელ ვერცხლის ფიცარზე. და ეს ფიცარი მოუთავსებიათ მაღალ კილობანში.

მურავიოვს ამ ეკლესიაში უნახავს სხვა ნივთებიც, რომლებიც დღეს აქ აღარ მოიპოვება. ის წერს „На престоле церкви Зугдидской есть еще малый ковчег, с частицею животворящего древа и мощей Предтечи, и там же лежат богато украшенные святцы,



ზუგდიდის დადიანების სასახლე. დედოფლისეული რეზიდენცია. XIX ს.



ია გუზინსკომ ენაზე, ს რუსუნიანი პო ზოლო. ნედავნი ვოზვრა-  
შენი იზ პეტერბურგა დვე დრევინი ბოლნიში იკონი, სნასა ნი ბოგო-  
მატერი, კორიე პრინაღმეჟალი პოსლედიე იმერეთისკოი ცარიცე  
აშიე, სუნიგუე სოლომონი ნი დოჩერი ვლადეტელი კაშინი, პრადსი  
ნიშენიშიე დადიანი“.

უკანასკნელი ორი ხატი მაცხოვრისა და ღმრთისმშობლისა დღესაც  
დაცულია და ჩადგმულია კანკელში.

წარწერა მხედრული ვერცხლის ფიცარზედ, რომელზედაც განწ-  
ყობილია ე. წ. დიდად დაზიანებული ღმრთისმშობლის სარტყელი.  
რიგი სტრიქონებისა და მართლწერა დაცულია, მხოლოდ სასვენ  
ნიშნებს ჩვენ უსვამთ:

1. ხატი ესე ყოვლად წმიდისა ვლახერნის ღმრთისმშობლისა  
ნაწილითურთ წმიდის სარტყლის მისისთა ძქმლითგანე იყო საქყდ-  
რებელი სამთავრო-

2. მსა სამეგრელომსა სახლის დადიანთასა, ხოლო ოდესცა  
განგებასა ზეგარდამოსა ენება მონიჭება ამა სახლისადმი მფარველ-  
ობისა დიდისა რუსეთის ხელმწიფისა, მაშინ არა მყოვარ ჟამ გარ-  
დაცვალებისა შემდგომად სამეგრელომსა მთავრის დადიანის გრიგოლ-  
ისა ქვრივ-

3. ვმან, მისმან მმართველმან სამეგრელომსამან, მთავრინამან  
ნინა, ასულმან საქართველომს მეფის გიორგი მეათსამეტისამან, უძლენა  
იგი წინ

4. დად ერთგულებისა ნეტარად სახსენებელსა ღმრთისადმი  
შესქმნებულსა რუსეთის იმპერატორსა ალექსანდრე კურთხეულსა.  
ხოლო მისმან

5. დიდებულმან უკუნ აქცია რა ხატი ესე მთავრინას ნინასადმი,  
კეთილ ინება მოწერად მისდა ლ<sup>ა</sup> მაისილამ ჩყვ-ს წლისა შემდგენი

6. ღირს-სახსოვერნი სიტყვანი:

7. „უკანათლებულესო მთავრინა ნინა გიორგის ასულო,

8. მიძღვნილი ჩემდა თქვენის სახელით დეპუტატთაგან პოლკოვ-  
ნიკის თავადის ნიკოლოზ და პოდპოლკოვნიკის თავადის ბეჟან დად-

9. იანოვთაგან წმიდა ხატი ვლახერნის ღმრთისა დედის ყოვლად  
წმიდით სარტყელით მისითურთ მივიღე მე ყმაყოფილებით, ვითარცა  
ნიშანი თქვენისა ერთგულ

10. ებისა ჩემდამო სახელისა თქმნისა და ყოვლისა მეგრელ  
ერისა. ხატი ესე სათანადოთა პატივითა იქმნა მოტანილ საიმპერ-  
ატოროსა სახლსა

11. შინა ჩემსა და დასუქნებულა სასახლისა ეკლესიასა შინა. ვიცი რა რომელ ერსა მეგრელებისასა ძუქლიდანვე აქვსთ განსხვავებული კეთილ მოწიწება და მხუ-

12. რვაღე სარწმუნოება ამა წმიდისა ხატისადმი ვლახერნის ღმრთის მშობლისა, მე უკუნ ვაქცევ აწ მას ნიჭად ჩემგან სახლისა თქუქნისა და

13. მეგრელთ ერისა. იყავნ იგი წინდად საორკერძოვედ და მოწამედ სამარადისოჲსა თქუქნის ჩემდამო ერთგულებისა და

14. ჩემისა შეუცვლელისა მფარველობისა“.

15. ხოლო, რათამცა დაუვიწყარ ქმნილ იყო სასიხარულო ესე სახსოვარი, და მისგამო დადიანთ სატახტოსა

16. ადგილსა, ქუქმოსა შინა მეგრელებისა, ზუგდიდს იქმნა ადგუბულ ახალი ტაძარი სახელისა ზედა ყოვლად წმიდისა ვლა-

17. ხერნის ღმრთისა დედისასა და ჯეროვნით პატივითა დასვენებულ და დაცულ იქმნა მას შინა ხატი ესე. ხოლო სი

18. გრძესა ჟამთასა, რომლისაგანცა იცვალების ყოველივე კაცობრივი, ძუქლ ექმნა ზურგითი კედელი ამისი და ამისთ

19. ვის დამბადებელმან ყოვლისა სასოებისამან მფარველობასა ზედა ზეციერსა დედოფლისასა სამეგრელოჲს

20. მმართუქლმან, მთავრინა ეკატერინამ, ასულმან კახეთის თავადის ღენერალ-ლეიტენანტის ალექსანდრე

21. ჭავჭავაძისამან, განვახლე ზურგი ესე და ახლად შევაწყვეთვე ხელითა ჩემითა აღმკულება გარშემო პირისა სახისა,

22. საოხად სულისა ღმრთისადმი შესვენებულის მეუღლისა ჩემისა მთავრის დადიანის დავითისა და აღსაზრდელად ძეთა ჩემთა:

23. მცირე წლოვანის მეგრელიის მთავრის ნიკოლაოზის და ანდრია დავითის ძეთა და ასულთა სალომე და თამარისათა. წელთა განხორციელებითგან სიტყუსა ღმრთისა ჩყნდ-სა (1854), თთუქმსა აგვისტოსა დ-სა დღესა. სასახლე საზაფხულო გორდი.

ამავე კარედის ხატის ვერცხლის ზურგზედ მეორე მხედრული წარწერა არის. ქვემოთ ხაზგასმული ასომთავრულია. რიგი სტრიქონებისა და მართლწერა აქაც დაცულია დედნისა, ხოლო სასვენი ნიშნები ჩვენია:

1. ღროსა მას, ოდესცა კეთილ-დღეობით განიგებოდა ღიდი სახელმწიფო ყოვლისა რუსეთისა

2. თუთმპყრობელობითა მართლ-მორწმუნისსა იმპერატორის ალექსანდრე მეორისათა და ოდესცა
3. მეშურენი დიდებულისა მისის სახელმწიფო მსანი მეფენი დასავლეთისანი, ქრისტეს ჯუარის მოსავად
4. სახელის მღებელნი თავისა თვისისანი, თანა შეიკრნენ მოწაფისა თანა ცრუ-წინასწარმეტყულის მახმადისა ზონ
5. თქრისთანა ოსმალთასა კავშირითა ძმობისათა საენებელთად მართალ-მადიდებლობისა და მაშინ ქუსყანაძეცა
6. ჩუშნი განიცდებოდა პირად პირადთა ზედა მოსვლათაგან, შიი, ყოვლად უწმინდესო ღებო ღმრთისა, მე, მინდო
7. ბილმან მფარველობისა შენისადმი სამენგრელო მმართულა მთავრინა ეკატერინა დადიანისაგან, ასულმან
8. კახეთის თავადის ღენერალ-ლეიტენანტის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან, შემეობისა შემდგომად ყოვლად პატიოსნისა ვლაქერა -
9. ნის ხატისა შენისა, რომელი და შორის მისა ნაწილიცა წმიდის შენის სარტყლისა ძუშლითაგანეე აქუნდა სახლსა
10. დადიანთასა უღებვოდ ნავთ საყუდელად განსაცდელთა შინა და რომელიცა ჩყვ წელსა შინა, ოდესცა სამენგრე
11. ლოსა მოველნა ზეგარდამოთ მფარველობა რუსეთისა ნიშად სამარადისაო მსა ერთ-გულებისა მისდამი
12. იქმნა მიძღნული მენგრელიის მმართულა მთავრინა ნინასაგან ასულისა საქართუშლოს მეფის გიორგი მეათ
13. ცამეტისა, კელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე პირველისადმი, გარნა მისმან დიდებულებამან სათნო
14. ყო სახელითა თვისითავე წარმოგზავნა მისვე ნინასადმი მისაქცევად სახლადვე დადიანთა ყოვლად უმოწყა
15. ლესისა რესკრიპტისთანა ლა მაისისა მისვე ჩყვს (1806) წელსა რომელსა შინა თქმული არიან შემდგომნი ძერ
16. ფასნი სიტყუანი. იყავნ იგი ორ კერძოვე წინდად და მოწამედ სამარადისო მსა ჩემდამი თქუშნისა ერთ
17. გულებისა და ჩემისა განუშორებლისა თქუშნდა მფარველობისა და მიერთაგან განგრძობასა შინა ერგასთა
18. წელთასა შენითა მეოხებითა იქმნა დაცულ სახლი სამთავრო დადიანთა და სრულიადცა სამენგრელო უშფო
19. თუშლად ამათგან მომხ(ს)ენებელმან და ძალისაებრთა მადლობათა შემომწირულმან ვიგულისმოდვინე მორ

20. თმეკად შენდა კიდობნისა ამის, რომელსა შორის ეგებოდეს რა ყოვლად პატიოსანი ხატი შენი წმიდით სარტყელითურთ

21. შენით. იყავნ იგი განმადლიერებლად მართლმადიდებლობისა, აღსამაღლებლად დიდის ჩუშნის კეელ

22. მწიფის სახელისა, წარსამართებლად ძისა ჩემისა ცხრაწლოვანისა მემკუდრეობით სამენგრელოჲს მთავრის და

23. რუსეთის კელმწიფის ლუარდიის პორუჩიკის ნიკოლაოზ დავითის ძის დადიანისა და ყოვლისა სამენგრე

24. ლოჲსა მთავრის სახლისა, და საოხად ღმრთისადმი შესუსნებულის მეუღლის ჩემის მენგრელიის მთავრის და რუსე

25. თის ღენერალ-მაიორის და კავალერის დავით ლეონის ძის დადიანისა. წელთა განხორციელებითგან სიტ

26. ყუსა ღმრთისა ჩენვ-სა იანერის. საზაფხულო სასახლესა შინა გორდს“.

აქვეა რუსული წარწერა: „Сия кнота делана в Москве в 1857-м году на фабрике двора Его Императорскаго Величества фабриканта церковной утвари Николая Даниловича Полтавцева“.

კანკელში მოთავსებულია დიდი ხატები, გამობერვით განჭვდილნი, რუსული ხელობისა. სახეები წამლით არის ნახატი, მაგრამ უკვე შეღებილია. მარჯვენა ნაწილში ხატი იესო ქრისტესი და ღმრთისმშობლის მიძინებისა, მარცხნივ – დედისა ღმრთისა ჩვილდი და იოანე ნათლისმცემლისა. თითოეულ ხატს ქვემოთ უწერია ასომთავრულით:

1. მე დადიანმან დავით და მეუღლემან ჩემმან ეკატერინე ალექსანდრეს ასულმან

2. შევამკით წმიდა ესე ხატი და დავასვენეთ ზუგდიდის ეკლესიასა შინა ჩემე წელსა.

ეს ის ხატებია, რომელნიც წინათ კუთვნებია იმერეთის დედოფალს ანას, დავით მეფის მეუღლეს, ორბელიანის ასულს და მისი გარდაცვალების შემდეგ 1841 წ. გამოუგზავნიათ ზუგდიდში (ჩემი არქ. მოგზ. II, გვ. 198).

ეკლესიაში ჩვენ ვნახეთ კიდევ:

1. ხატი ღვთისმშობლისა ჩვილელი, ქართული ხელობისა, 55,5x41 სანტ. ვერცხლით მოჭედილი თვით ქანდაკებანი ღმრთისმშობლისა, მრგვალ მოყვითლულ მედალიონებში ფეხზე მდგომარენი მთავარ ანგელოზებია ბურთებით ლაბარუმებით ხელთა, ზემოთ გამობერვილის დიდრონის ასომთავრულით: დ-დ ღია. ისქტ. (ღელა ღვთისა იესო ქრისტე)

ვერცხლის აშია ხატისა ლურსმულის მსგავსი ჩუქურთმებით არის შემკობილი. ქვემოთი აშია უკვე მოძარცულია. მარცხენა აშინის შუაში, ოთხკუთხედში წარმოდგენილია იოანე ოქროპირი-ი-ე ო-ქ, მარჯვნივ წმინდა იოანე-წ-ი ი-ო. ზემო აშიაზედ, შუაში იესო ქრისტე წელს ზევითი, მაკურთხეველის მარჯვნივ და გრავანილით მარცხენა ხელში. კუთხეებში მთავარანგელოზებია, მარცხენა გაფუჭებულია. მარჯვნივ და მარცხნივ ქვემოთ ასომთავრული დაზიანებული წარწერები მოიპოვება, ერთობ უშნო ასობით:

ყდ.: წო.: ღთის	(მ)ნაველს
მშბლო.: შ	ქსელაძესა
ეიწყალე.: მნა	შეუნ(ღნ)ღ-ნ
ველ.:ქსელბე	

შეუმოკლებლად	
ყოვლად წმიდაო ღმრთის	(მა)ნაველს
მშობელო, შ-	ქ(ა)სელაძესა (ქარსელაძესა)
ეიწყალე მანა-	შეუნ(ღენენ) ღმერთმან
ველ ქ(ა)სელაძე (ანუ ქარსელაძე)	
ქარსელაძენი დღესაც ცხოვრობენ ლეჩხუმში.	

ქ. ღმრთისმშობლის ქვემოთ უფრო კარგი ასომთავრულით სწერია:

წო ღმრთობო	წმიდაო ღმრთისმშობელო,
მეოხ ეყ წე ძე შენსა	მეოხ ეყავ წინაშე ძესა
შენისა	
მქლ. პის ძეს მისვ...	მიქელ პის ძეს (პატარიძესა)
	მისვ...

2. თეფში ვერცხლისა ქართული ხელობისა ქართული მარკით და წარწერით მხედრულად: „დადიანი ლეონ“.

3. უწარწერო ნივთებთა შორის ჩვენ ვნახეთ: ვერცხლის საცეცხლური, ვერცხლის დიდი ფოდნოსი, რომელზედაც დამყარებული იყო სანაწილე, სასანათლე, თეფში და სამი პატარა სანაწილე – სულ ვერცხლისა. დიდი საიაზმე ვერცხლისა, სანაწილე ვერცხლისა ჯვართ და ძვირფასი ქვებით შემკობილი, კოვზი, კამარა და ლახვარი ვერცხლისა, სასუხური ვერცხლის ტარით (საიაზმის ნაწილი); სლავიანური სახარება, ხავერდის ყდით, შევერცხლილი, ჩვეულებრივი, ხუთი მინანქრიანი მედალიონით, რუსული ხელობისა, მეორე გვერდზე ვერცხლის ფირფიტები აქვს მოყვითლული; კურთხევანი, ხუცურად დაბეჭდილი 1826 წ. სახარება 1870 წ. საგალობელნი ანუ ტრიოდონი 1863 წ. პარაკლიტონი 1823 წ. სამოციქულო 1871; თვენი 1868 წ.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს  
ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენება. (1919 წელი)\*

თანახმად მთავრობის ამა წლის 1 ივლისის დადგენილებისა, თქვენ, დამავალეთ მომეწვია ვინმე ჩემის არჩევანით, დაძველო საქართველოს ეკლესია-მონასტრები და ამეწერა მათი ქონება. თანდასწრებით ადგილობრივი ერობის ერთი წარმომადგენლისა, როგორც მე პირადათ თავშივე განვიცხადეთ ყველა საქართველოს ეკლესია-მონასტრების დავლა შეუძლებელი იყო. პირველად მიტომ, რომ ამას ერთ წელიწადზედ მეტი დასჭირდებოდა, მეორედ მიტომ, რომ ეს ძრიელ ძვირად დაჯდებოდა, ესლანდელ პირობებში არა ნაკლებ ნახევარ მილიონისა. ამას გარდა, ამის საიმისოდ არც საჭიროება მოითხოვდა, ვინაითგან ზოგიერთი საქართველოს ეკლესია მონასტრების უმთავრესი ნაშთები საკმაოდ აწერილია მეცნიერების და არქეოლოგიების მიერ. როგორც არიან მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, აკადემიკოსი კონდაკოვი, გრაფინია უვაროვისა და სხვები. ზოგიერთი საქართველოს კუთხეები მეც წინეთაც მოვლილი მქონდა, ეკლესია მონასტრების ნივთები არა თუ აწერილი, არამედ დაწერილებით გადმოღებულიც ფოტოგრაფიის საშუალებით. მაგალითად, მე დავლილი მაქვს მთელი სვანეთი, როგორც სადადიანო ისე თავისუფალი და სადადიშკელიანო, დავლილი მაქვს აგრეთვე უმთავრესი ეკლესია-მონასტრები სამეგრელოისა, როგორებიც არის მარტვილი, ხობი, ცაიში, ზუგდიდი, კორცხელი, წალენჯიხისა, აბაშა, ბანძა, სეფიეთი, სუჯუნა, ტყვირი და გულეი-კარი. აგრეთვე უმთავრესი კახეთის ეკლესიები, ალავერდი, შუამთა, ბოდბე, თელავი, გრემი, იყალთო, ახმეტა და სხვა. ეყოფილვარ მრავალ ადგილებშიც ქართლსა, იმერეთსა, მესხეთსა, გურიისა, ჯავახეთისა, ძველ ტაოსსა, როგორც არის ოლოთიის ოლქი, თორთუმის ხეობა და სხვა. ყველა ამ ადგილების ნაშთები და მათი

\* ე. თაყაიშვილის ეს გამოუქვეყნებელი ხელნაწერი წარმოადგენს მთავრობის თავმჯდომარისადმი გაკეთებული მოხსენების ტექსტის შუა ვარიანტს. შესრულებულია ქაღალდზე, 10 გვერდზე, ქაღალდის ზომა 20,5X28,5სმ. ნაწერია მკლნით და გაკრული ხელით. დაკუთვლია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ე. თაყაიშვილის ფონდში (№ ).

ეკლესია-მონასტრების ნივთები, რომელთაც მეცნიერებისთვის და ხელოვნებისთვის მნიშვნელობა აქვს, შეძლებისამებრ აწერილი და დაწერილებით ფოტოგრაფიის საშუალებით გადმოღებული მაქვს. აგრეთვე დამზადებულნი მაქვს სურათნი, გეგმებიც იმ ნაშთებისა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მოძღვრებისათვის. ამიტომაც, მე საუბრისას და ვინაზე ვაგვამზადებულები იყო ადგილებში და დამეთვალყურებია ის ეკლესია-მონასტრები, რომელნიც ლიტერატურაში ნაკლებად ცნობილი იყვნენ, ან მათ ნაშთებს შემოწმება სჭიროდა და უფრო დაწერილებით აღნუსხვა. აგრეთვე ის ეკლესიები, რომელნიც ყაჩაღთა მიერ გაცარცული იყო და საჭირო იყო დანაკლისის აღნუსხვა და დარჩენილის შემოწმება. მაგრამ, ვინაითგან მარტო ქაღალდზედ აღნუსხვა სრულს წარმოდგენას წიგნზედ და მის ღირსებაზე ვერ ვიქონიებთ ამიტომ, მე, როგორც ყოველთვის ჩემი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს, ეხლაც საჭიროდ დავინახე წამეყვანა ფოტოგრაფი და უფრო საყურადღებო ნივთები გადმოძღვო ფოტოგრაფიის საშუალებით. ამ მიზნით, მე ჩემს მოგზაურობის დროს თან მახლდა ფოტოგრაფი ვინმე. მოგზაურობა ჩემი სამ რიგათ იყო გაყოფილი. პირველ რიგში მოვიარე ქუთაისი, გელათი, მოწამეთა, ხონი, მარტვილი და შორაპნის მაზრა, საჩხერე, ჯრუჭი, კაცხი, იღვიმე, დარკვეთი, სავანე, ეხვევი (sic) და სხვა. მეორე რიგში რაჭის ეკლესია-მონასტრები, უმეტესად ქვემო რაჭისა, სორი, ბარაკონი, წესი, ამბროლაური, ზემო კოხი, კვირიკე წმინდა, ხოტევი, აგარა, ნიკორწმინდა და ჭელიში, იქიდან გადმოვედი ტყიბულში და ტყიბულიდან გავემგზავრეთ ჩხარში. მესამე რიგში გავემგზავრე ფოთში და ახალსენაკში, სადაც დავათვალყურეთ გორდიან გადმოტანილი წიგნები, რომელნიც ამჟამად ერობის სალაროში ინახება. და იქიდან წავედით გურიამში, შესამოწმებლად შემოქმედის და ვანის ქედის ეკლესიების ნივთებისა გაცარცვის შემდეგ. მოგზაურობაში დავყავი სულ ორ თვეზე ცოტა ნაკლები. ქუთაისის, გელათის და მოწამეთას ნივთების შემოწმების და აღწერის დროს დაგვესწრენ ჩემგან ტფილისიდან საგანგებოდ მოწვეული სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი კორნელი კეკელიძე, ქუთათელ მიტროპოლიტი ნაზარი, სამიტროპოლოტო საბჭოს წევრი ტრიფონ ჯაფარიძე და ერობის წარმომადგენელი ვასილ ფალავანდიშვილი. საჩხერეში დაგვესწრო ადგილობრივი კომისარი და ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი პავლე, რაჭაში ადგილობრივი ერობის წარმო-



მადგენელნი და მილიციის უფროსის თანაშემწე და აგრეთვე სხვებიც ადგილობრივი მცხოვრებნი. ოზურგეთში ერობის თავმჯდომარე და მილიციის უფროსის თანაშემწე, რომელიც გაგკვეა აგრეთვე შემოქმედამდის. ხოლო სენაკში გორდიდან გადმოტანილ წიგნებას აღნუსხვის დროს იქაური ერობის თავმჯდომარე, მილიციის უფროსი, განგებ ჩემ მიერ მოწვეული ჭყონდიდის მიტროპოლიტი ამბროსი და ადგილობრივი ბლალოჩინი. ვინაითგან ხობის, ცაიშის, ზუგდიდის და წალენჯიხის ნივთები აღწერილნი არიან ჩემს უკვე დაბეჭდილს არქეოლოგიურ მოგზაურობის მეორე წიგნში, მათი შედარება მე დაეკავალე არქეოლოგიურ ინსტიტუტის ადიუნქტ (sic) გარდეკს და მის თანამოგზაურს – სტუდენტს ამირანაშვილს, და მათ მიერ გადმოცემულს ცნობით ყველა ჩემ მიერ აღწერილი წიგნები უკლებლივ აღმოჩნდნენ თავთავიანთ ადგილებში. გარდა ამისა, მე ვინახულე ალავერდის მიტროპოლიტი პიროსი და მისგან მივიღე დაწერილებითი ცნობები თუ სად და როგორ ინახება ზოგიერთი კახეთის ეკლესიის წიგნები, რომელნიც მე წინეთ მქონდა აღწერილი. ამასთანავე, ვინაითგან ყოველი ეკლესიის დავლა შეუძლებელი იყო, მე ვთხოვე საკათალიკოსო საბჭოს და ადგილობრივ ქუთათელ მიტროპოლიტს ნაზარის, ჭყონდიდელს ამბროსის და ალავერდის პიროსს, დაავალონ ადგილობრივ მღვდლებს ახალი (კოპიო) საეკლესიო ნივთების დაეთრისა. ასეთი დავთარი ყველა ეკლესიას აქვს და მისი ერთად თავმოყრა და გადასინჯვა, ცოტათი მაინც მოგვეცემს საშუალებას ვიქონიოთ წარმოდგენა ზოგიერთ საეკლესიო ნივთებზე. რომელნიც ჯერ სათანადო მცოდნე კაცისაგან აღწერილი არ არის. ასეთი სიების წარმოდგენა ჩვენ ალგვითქვეს. მომავალში საჭირო იქნება კიდევ მონახულება ზოგიერთი ეკლესიებისა, რომელნიც ჩვენ დაგვრჩა უნახავი. როგორც არის, მაგალითად ზოგი ზემო რაჭის და აბხაზეთის ეკლესიები, და შემოწმება სხვა და სხვა გურიის და იმერეთის ეკლესიებისა. შეგროვილ მასალას მე ეხლა ვაპოშავებ და ცუდ იქნება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, მაგრამ ყველაფერი ეს უმნიშვნელო იქნება, თუ მთავრობამ არ მოგვცა საშუალება ამ აღწერილობისა და მასალების გამოცემისა. საჭიროა ეხლავე შევუდგეთ აღწერილობათა გამოცემას და მასთან ერთად შევუკვეთოთ საზღვარს გარეთ ალბომები იმ ნაშთებისა და სურათებისა, რომელნიც ჩვენ შეგროვილი გვაქვს და რომლის ნიმუშებს აქ გიდგენთ გასასინჯავად.

ეხლა საჭიროდ ეთვლი მოგახსენოთ საერთო მდგომარეობა ეკლესია მონასტრებისა საქართველოს რესპუბლიკაში. ეს მდგომარეობა ფრიად უნუგეშოა. მონასტრებს წინეთ დიდძალი მამული ჰქონდა, ტყე, ველი, ვენახი, საძოვრები, სანერგეები და სხვა, რომელნიც ასაზრდოვებდა ბერებს და აძლევდა მათ საშუალებას მოეელოთ მონასტრების შენობების და მათი ნივთებისათვის. (.....) იოანე ნათლისმცემელის და დავით გარეჯის მონასტრებს ხუთი ათასი ლესეტინა მიწა ჰქონდა, მარტვილის მონასტერს ოთხი ათასი ლესეტინა მარტო ტყე ჰქონდა და სხვა. მიწის ლეკრეტის გატარებით რესპუბლიკამ მამულები ჩამოართვა მონასტრებს და მათ მოუსპო სახსარი ცხოვრებისა, მონასტრები დაცარიელდა, ახალგაზრდები გაიქცნენ, ზოგი გაიკრიჭა, ზოგი ოჯახებს დაუბრუნდა, მოხუცებულები ზოგი დაიღუპა შიმშილით და სიცივით. შენობები და წიგნები უყურადღებოთ რჩება, წინეთ ყარაულები ყავდათ ქირით, ეხლა უამრავი მათგანი უყურადღებოდ დარჩა, შენობებს აღარავინ უგდებს ყურს, შიშიანობამ გამოიწვია ერთგვარი გადამალვა წიგნებისა და ზოგჯერ დაკეტვა მონასტრებისა. მაგალითად საუკეთესო მონასტერი გელათში მე დაკეტილი დამხვდა, იქ წირვა ლოცვას აღარ ასრულებენ,



ილორის ტაძარი. XI-XV სს.

შიშის გამო, რომ არავინ დასცემოდათ თავზე, და წირვა ლოცვა მარტო წმინდა გიორგის ეკლესიაში სრულდებოდა. ამან ცუდი გავლენა იქონია თვით ტაძარზედ, დახურული შენობა დანოტიანდა, შიგ ღამურები გაჩნდა, ფრესკებს გაფუჭება დაეტყო და მე იძულებული ვიყავი, წინადადება მიმეცა ქუთათელ მიტროპოლიტის და იქაურ საბჭოს წევრისათვის, რომ თავი ეკლესია ხშირად კვლავ გააღონ, რომ ჰაერს ემუშავებია და შენობა სულ არ დანოტილიყო. მეორე ეკლესიაში გელათისა, წყალი ჩამოდის და ტაძარი ფუჭდება. უარეს მდგომარეობაშია მარტვილის ეკლესია, რომელსაც სახურავი გაფუჭებულია და ტაძარს დარღვევა მოელის. ჯრუჭის ეკლესიას ქარი სპილენძის სახურავს აძრობს, ვინაითგან ხეები, რომლებზედაც სახურავი იყო დამაგრებული დალპობილია და სხვა. კაცხის მონასტერში მარტო ერთი ბერია და ნიეთები მოუკლელია, ნამეტნაყად წიგნები სულ გაფუჭებულია. ჭელიშის მონასტერში მარტო ორი ბერი დამხვდა და ივინიც შიმშილით კვდებიან, წინეთ 40 ბერი ყოფილა. (...) მონასტერი სულ გაუქმებულია. დავით გარეჯის და იოანე ნათლისმცემლის მონასტერში არის პოსტები საქართველოს ახალშენებისა. ყარაიასის მხრით აკლებულია თათრის ბრძობის მიერ და იოანე ნათლისმცემლის უდაბნო თათრებს ფარეხათ აქვთ გადაქცეული. უკვე კარგა ხანია ბერთუბანი დავით გარეჯის მახლობლათ, სადაც არის დაცული ფრესკები თამარ მეფისა და მისი შვილისა. კოჯრის მახლობლად არის ბეთანიის მონასტერი. რომელშიაც დაცულია მხატვრობა მე-XIII საუკუნისა და მათ შორის ოჯახობა თამარ მეფისა. ეს მონასტერი სულ დანგრეული იყო და ფარეხათ გადაქცეული, როდესაც მე პირველად ენახე ამ 21 წლის წინ, დიდის დავიდარაბით და კერძოთ შეკრებილი საშუალებით ეს მონასტერი განვაახლეთ, დიდი შრომა მივიღეთ მე და სპირიდონ ბერმა. თავი და თავი შრომა მიიღო ამ საქმეში არისტო ქუთათელაძემ. მონასტერში ჩადგა ენერგიული სპირიდონ ბერი და დამთავრდა განახლება მონასტრისა. გამოვითხოვეთ 50 დესეტინა მიწა ადგილობრივი მემამულის დავით ბარათაშვილისაგან, რომელიც უჩრუნველყოფდა ბერს, რომ მონასტრისათვის მოეკლო, აქედან ის ყურს უგდებდა, მეორე შესანიშნავ მიტოვებულს მონასტერს გუდარეხს და ამრიგათ, მთელი რიგი ძველი ხუროთმოძღვრების ნაშთების მოვლილი იყო. მამულის ჩამორთმევის შემდეგ სპირიდონ ბერი იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა მონასტერი, რომ შიმშილით არ მომკე-


დარიყო, და განახლებული ბეთანია კვლავ დარჩა მამულის მეიჯარეზედ. რაც შეეხება ეკლესიებს და მათ საეკლესიო ნივთებსა და წიგნებს, მათ წინეთ ხალხი ყარაულობდა რიგრიგობით, ესლა უმეტეს კუთხეებში ხალხი აღარ ყარაულობს და წიგნები განსაცდელშია. საერთო არეულობის და ყაჩაღობის გავრცელების გამო ზოგიერთი ეკლესია-მონასტრების ნივთები გადამალულია, მაგრამ ესეც მიზანს



მოქვის ტაძარი. X ს.

ვერ აღწევს. პირველყოვლისა ამ გადამალვით და უადგილო ადგილას შენახვით, ნივთების გადატანვით და უჭაერობით ნივთები ფუჭდება. თვით მარგალიტები ცვივა ნივთებს, ხატები ირღვევა, მხატვრობა ფუჭდება და სხვა. გარდა ამისა ყველაფრის გადამალვა შეუძლებელი ზდება და აუარებელი პირველხარისხოვანი ნივთები ისევ თავის ადგილას რჩება. არც სამალავში ელის ნივთებს კარგი დღეო, ვინაითგან ჩვენში ვინც ორმა იცის რაიმე საიდუმლო, ის ყველამ იცის. ამიტომ, უმაღლავი სამალავი მხოლოდ მეტ დროს მოითხოვს ბოროტმოქმედებისაგან თავის მიზნის მისაღწევად. ვერ უშველა სამალავმა შემოქმედის მონასტერს სრულიად განადგურებისაგან. აქ ავაზაკებს მთელი ქვითკირის კედელი გამოუნგრევიათ და იქიდან გამოუტანიათ ყველაფერი. შემოქმედის მონასტერში მართო ის დარჩენილა. რაც სამალავში არ იყო და თუმცა, გაზეთებმა

გადმოგვცეს, რომ ყველა ნივთები ნახესო, მაგრამ ეს სამწუხაროთ არ გამართლდა. უმეტესი ნაწილი ნივთებისა დაკარგულია და რაც ნახეს ისეა გაფუჭებული, დამტვრეული და დანგრეული, რომ მათ მხოლოდ მატერიალური მნიშვნელობა აქვს და ცხრა მეათედი მისი მეცნიერული, ხელოვნური და კულტურული მნიშვნელობისა გაქარწყლებულია.



დრანდის ტაძარი. VI-VII სს. რესტავრაციის დროს.

ასეთი სამწუხაროა მდგომარეობა ჩვენი ეკლესია მონასტებისა და მათში დაცული დიდებული განძეულობისა. მე ის კი არ მიკვირს, რომ ასე იცარცვება ეკლესია მონასტრები. გასაკვირი ის არის, კიდევ როგორ გადარჩა ავაზაკებს ის რაც გადარჩენილია ჯერჯერობით. (.....) ჩვენ არა ერთხელ გავმართეთ თათბირი საკათალიკოსო საბჭოს წარმომადგენლებთან, თანადასწრებით სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის ფაკულტეტის პროფესორებთან და საისტორიო და საეთნოგრაფიო საბჭოს წევრებისა ეკლესია-მონასტრების და მათში დაცული ნივთების დაცვის შესახებ, მაგრამ ვერც ერთხელ შეთანხმებით დასკვნა ვერ გამოვიტანეთ და მართლა ძნელი გადასაწყვეტია ეს რთული საკითხი, როგორც სამღვდლოებისთვის ისე ჩვენთვის. ჩვენ იმ აზრს ვადგებით, რომ უფრო საყურადღებო ნივთები მუზეუმში გადმოგვეტანა, თუნდ საეკლესიო მუზეუმში და

ამ მუზეუმში დაგვეცვა მთავრობის დახმარებით. ამის საწინააღმდეგოდ ისეთი ღებულება წამოაყენეს სამღვდელოების წარმომადგენლებმა, რომ ანგარიში უნდა გაგვეწია. ისინი ამბობენ, რომ საეკლესიო ნივთები ხალხის სალოცავი და სათაყვანებელი საგანია, მათი მოშორება ეკლესიისათვის ეკლესიის გაუქმება არის. ეს პასუხი მართალია ზოგიერთ შემთხვევაში. მაგალითად, გელათის მონასტერი თავის ღირსებას და ავტორიტეტს დაკარგავს ხალხის თვალში თუ მას ხახულის ხატი მოვაშორეთ და ხახულის ხატი ფასდაუდებელია მეცნიერებისათვის და ხელოვნებისათვის. მაგრამ გელათში სხვაც აუარებელი განძია, რომელიც ინახება და ფუჭდება მათ სალაროში, ხოლო მეცნიერებისათვის და ჩვენი კულტურისათვის ეს ფასდაუდებელია და მათი ადგილი მუზეუმშია და არა მონასტრის მოუწყობელ სალაროში და უეცრად ბერთა ხელში. გელათის ხელნაწერები, რომ მუზეუმში ყოფილიყო, მაგალითად, გადმოტანილი, ზოგიერთი მათგანი დღეს უფრო შესწავლილი და გადმოცემული იქნებოდა. ნივთები, რომელთაც კულტის მნიშვნელობა არა აქვს, მუზეუმში იყოს გადმოტანილი. ეს წინადადება საკათალიკოსო საბჭომ მიიღო, მაგრამ ჯერ სისრულეში არ არის მოყვანილი. მონასტრები სადაც ერთი ორი ბერის მეტი არ არის და ხალხის სურვილია მონასტერი (.....) ეკლესიად გადაკეთდეს, მონასტერი გაუქმებული უნდა იყოს და (.....) ეკლესიად გამოცხადებული. ასეთია, მაგალითად, კაცხის მონასტერი.

მეორე ღებულება, რომელიც მათ წამოაყენეს ის არის, რომ მუზეუმში განსეულობა შეიძლება ერთბაშად გაქრეს ცეცხლის გაჩენით თუ მტერთა შემოსევით, ან ხალხის მოძრაობით თუ გამოსვლით ისე, როგორც ეს მოხდა რუსეთში და სხვა. ხოლო ყველა ეკლესია მონასტრების განადგურება ერთად შეუძლებელია, ერთში თუ რაიმე დაიკარგება, მეორე გადარჩება და სხვა. ამ მოსაზრებით ისინი წინააღმდეგია, რომ ყველაფერი მუზეუმში მოვათავსოთ და მოითხოვენ, თუ მთავრობას უნდა განძეულობის დაცვა და მთავრობა ამას ფას სდებს, მას შეუძლის ყარაულები დააყენოს და სამღვდელოებას მისცეს საშუალება დაიცვას განძეულობა. გავიცანი რა ადგილობრივი მდგომარეობა, მე გაუეზიარე ჩემი აზრი მიტროპოლიტებს და საკათალიკოსო საბჭოს ზოგიერთი საჩქარო ზომების მიღებისათვის. ჩემი წინადადება იყო, რომ ზოგიერთი მონასტრებიდან, რომელთაც უფრო განსაცდელი მოეღის, წიგნები გადაეტანათ სხვა უფრო დაცულ მონასტრებში, რომელთაც მცველები ყავს.

საზოგადოთ უნდა მოგახსენოთ, მთელი ჩვენი წარსული კულტურა, რომლითაც ქართველ ერს შეუძლია იამაყოს, არის ეკლესიური დარგისა ან უკეთ რომ ვსთქვათ სარწმუნოების ზეგავლენით და მის სფეროში წარმოდგენილი. ესევე იყო ბიზანტიაში და საზოგადოდ ევროპაში საშუალო საუკუნეებში.

ქართველმა ხალხმა შექმნა თავისი ორგანული სტილი საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, ააყვავა ოქრომჭვლელობითი ხელოვნება, უაღრეს ხარისხამდე მიიყვანა ბევრი მილანქრიანი წიგნები ბიზანტიური და ქართული ხელობისა, დაგვიტოვა დიდი ლიტერატურა სასულიერო, საერო და საღვთისმეტყველოსნო, რომელსაც შეუძლია შუქი მოფინოს მსოფლიო ისტორიას, საქრისტიანო მწერლობას და მთელ აღმოსავლეთის კულტურულ განვითარებას. ამგვარ ნაშთებს წარმოგვიდგენენ თვით ეკლესია მონასტრის შენობები და მათში დაცული ხელთნაკეთები სამკაულნი, ჯვარ-ხატები, ნაქსოვ-ნაკერნი, მხატვრობანი, ფრესკები და მინიატურები, ქანდაკებანი და ჭურჭელნი. ყველაფერი ეს ეკლესია მონასტრებშია დაცული და მათი უყურადღებოთ დატოვება, განადგურება და მოუვლელობა არა თუ არ ეპატივება, არამედ დანაშაულობად, ბარბაროსობად ჩათვლება სახელმწიფოს, მის მთავრობას, მთელს ერს და ხალხს. ისეთი ნაშთების დანგრევა, როგორც არის ჯვარის მონასტერი, მცხეთის სობორი, ბოლნისის ტაძარი, მარტვილი, გელათი, ბედია, მოქვი, ბეთანია, პითარეთი, ცუგრუგაშენი და სხვა უთვალავი ძეგლები, დედამიწის პირიდან აღგვა იქნება ქართული ხუროთმოძღვრებისა. ხოლო დაკარგვა ისეთი ნივთებისა, როგორც უკანასკნელ დროს სამუდამოთ დაკარგულა და განადგურებულა შემოქმედის მონასტერში მთლიანად აღმოგვხვრა არის მთელი კულტურული დარგისა. ტყვილად იყო გამოცხადებული გაზეთში შემოქმედის დაკარგული ნივთები ყველა იპოვნესო, ჯერ ერთი, რომ ნახევარი ნაპოვნი არ არის და ის რაც ნაპოვნია ისე გაფუჭებულია და მოძარცვული, რომ არქეოლოგიურს და ხელოვნურ მნიშვნელობას თითქმის სულ კარგავს და მხოლოდ მატერიალურ ღირებულებას წარმოადგენენ. შესანიშნავი ბიზანტიური მილანქრით ნამუშევარი აღდგომის ხატი, რომელსაც ასე ძვირად აფასებენ მეცნიერები და ერთ შესანიშნავ განძად ჩათვლებოდა არა თუ ქართული სიძველისა, არამედ პირველ ხარისხოვან ნივთად ბიზანტიური ხელობისა სულ განადგურებულია. ირგვლივ გარე არშია მოძარცვულია და ძვირფასი ქვები ამოცვლილი, მილან-

ქრიანი მეორე წერილი არშია ზემოთ და მარჯვნივ სულ მოცილებული აქვს და დაკარგული. ქვემო არშია სულ გაფუჭებული, მარცხენა აშია ამომძვრალი, თვით ხატი შუაში მილანქრებზედ გაჭრილი და გაფუჭებული.

თავი ფერისცვალების ორარშინიან ზარზმის ხატიდან მე-IX საუკუნისა, რომელიც ერთად ერთი ნიმუში იყო მთელს საქართველოში მე-IX საუკუნით დათარიღებული. აშეები სულ მოუძარცვავთ და თვით შესანიშნავი წარწერის მარჯვენა ნაწილიც წაუღიათ, სადაც ქრონიკონი ეწერა. კარგი კიდევ, რომ მე წინეთ ეს წარწერა საგანგებოთ გადმოღებული მქონდა ფოტოგრაფიის საშუალებით.

მონასტრების მდგომარეობის და წიგნების მოვლის შესახებ მე მქონდა საუბარი ადგილობრივ მიტროპოლიტებთან და მათი საბჭოს წარმომადგენლებთან და ბოლოს საკათალიკოსო საბჭოშიც და ზოგიერთი ჩემი წინადადება მათ კიდევაც მიიღეს და ზოგის განხორციელება აღგვითქვეს. საკათალიკოსო საბჭომ მაგალითად მიიღო წინადადება, რომ ხელნაწერები და ქსოვილები გადმოიტანონ მუზეუმებში, ხოლო ზოგიერთი ნივთები ისეთი ეკლესია მონასტრებისა, რომელთაც განსაცდელი მოელის, გადაიტანონ სხვა მონასტრებში, რომელნიც უკეთ დაცული არიან და ყარაულები ყავთ. მაგრამ ეს ზომა ერთნაირი პალიატი (sic) არის და ამით საერთოდ ეკლესია მონასტრების ნივთების დაცვა უზრუნველი არ იქნება.

სამეზავრო კრედიტი ოცდაათი ათასი მანეთი რასაკვირველია სულ დაიხარჯა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ფოტოგრაფი უსასყიდლოთ რომ არ გვეყოლოდა საეთნოგრაფო საზოგადოების და უნივერსიტეტის მიერ დათმობილი და ყველა მასალები, რომ ჩვენის ხარჯით გვეყიდა, ეს თანხა მარტო ფოტოგრაფიის სურათებს არ ეყოფოდა, მაგრამ ზოგჯერ ფოტოგრაფიის მასალები ჩვენ ჩვენის ხარჯით მარტო ნაწილი შევიძინეთ, ზოგჯერ მისვლა-მოსვლა, ეტლი, ცხენები და სანოვაგე ძვირი იყო. მაგალითად, ისეთ მონასტერში, როგორიც არის გელათი, ორი დღის კომისიის სადილებში გადაგვახდევინეს ორიათას ოთხას ორმოცდაათი მანეთი.

1. დაარსდეს ორგანო განათლების სამინისტროს უწყების დაქვემდებარებით, რომლის კომპეტენციას შეადგენდეს ყოველგვარ კულტურულ ზუროთმომღერების ნაშთების დაცვა, მოვლა, შეკეთება და განახლება. აგრეთვე, მუზეუმების და კულტურული საგანბურების



ყურისგდება. ასეთ შესაფერ ორგანოთ მე მიმანია ის საბჭო, რომელიც დაარსებულა ქართულ მუზეუმის (ყოფილ კავკასიის) მართვა გამგეობისათვის, ხოლო ამ საბჭოს ფუნქციები უნდა გაფართოედეს და შესაფერი თანხა დაენიშნოს, რომ დაუყოვნებლივ შეძლოს მუშაობა.

2. მონასტრებს მიეცეს ნორმა მიწისა [...] და აგრეთვე დაუბრუნდეთ მათ ჩამორთმეული წისქვილები.

3. მიეცეს წინადადება ერობებს დაუყენონ მცველი იმ ეკლესია მონასტრებს, რომელნიც საყურადღებონი არიან თავის განძეულობით. თუ ამაზე ერობები უარს იტყვიან, ასეთი ეკლესია-მონასტრების წიგნები გადმოტანილი იქმნეს საკათალიკოსოს საბჭოსთან შეთანხმებით ან მუზეუმში ან ისეთ მონასტერში, რომელსაც დარაჯები ყავს ან გაუჩენენ.

4. გადმოტანილ იქნეს ტფილისში ის ნაძარცი ნივთები შემოქმედის მონასტრიდან, რომელნიც ინახება ოზურგეთის ხაზინაში, რათა აქ ნამტკრევებისაგან აღვადგინოთ სახეები ზოგიერთი წიგნებისა და ამის გაძლოლა დაევალოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს, აქვე უნდა გადმოტანილ იქნას ნაწილი წიგნებისა, რომელნიც შემოქმედის მონასტერში ინახება.

5. უნდა დაიბეჭდოს ის აღწერილობა, რომელიც მე შეეასრულე თქვენი დავალებით.

6. მთავრობამ გამოსცეს საზღვარს გარეთ ალბომები იმ წიგნებისა და განძეულობისა რომლის სურათები მე მაქვს დამზადებული.

## ОДИШСКИЕ ЕПАРХИИ

(Цаиши, Бедиа, Мокви, Хоби)

Еще не так давно изучению истории церкви Грузии не уделялось должного внимания, что осложняло правильное понимание и толкование тех или иных исторических событий. В грузинской действительности история церкви тесно была связана с историей государства, поэтому наряду с исследованием глобальных вопросов, касающихся церкви Грузии, а также вопросов общенационального значения для истории церкви Грузии актуально изучение истории тех отдельных епархий, храмов и монастырей, которые являются составной частью единой церкви Грузии. Исходя из этого, считаем необходимым изучение истории входящих в Одишское княжество епархий, которые играли важную роль в духовной и культурной жизни не только края, но и всей страны.

Как известно, в Одиши было семь епископских кафедр: Чкондиди, Цаиши, Бедиа, Мокви, Дранда, Хоби и Цаленджиха, с которыми связана деятельность многих выдающихся епископов и духовных лиц того времени. По их инициативе и финансовой поддержке создавались уникальные рукописи, лучшие образцы златошарения и чеканки, а также блестящие памятники церковной архитектуры.

